# «საქართველო და მსოფლიო» გილოცავთ შობა-ახალ წელს!


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№47 (282)

24 დეკემბერი 2014 – 13 იანვარი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru


გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 2015 წლის 14 იანვარს

## «ბედაურები აღარ არიან, ასპარეზზე ვირები გამოჯირითდნენ!» 8



„არ გვინდა ევროპა, რომელიც მკვლელ სააკაშვილს ტაშით ხვდება, ეს ხელისუფლებას უნდა გავაგებინოთ!"

## «ივანიშვილის აბუჩად ასაგდები არავინ არის!»

„გვითხრეს, რომ 2015 წელი იქნება კარგი. როგორ იწყებენ კარგ წელიწადს, იწყებენ სექტემბერში და პენსიას უმატებენ 10 ლარს. თურმე კარგი წელიწადი 10 ლარი ღირს."

ჯორჯ სოროსი: **სააკაშვილის წყალობით მწარე გაკვეთილი მივიღე** 2

**რას მოუტანს საქართველოს რუსეთ-თურქეთის დაახლოება** 3

**2014 წლის 15 «მარგალიტი» პოლიტიკო-სებისგან საქართველოს მოსახლეობას** 13

## ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება დაიწყო «შალახოთი» და დამთავრდა «განდაგანათი»! 4

გია მეფარიშვილი: 10

## ომი მოხდა, დავკარგეთ ტერიტორია, ამის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ წინა ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური კურსი წარმატებული იყო?

## ოლიგარქის სინდრომი 5

„კაცი უკვე იქამდე მივიდა, რომ „დისკუსიაში შედის" ნიცშესთან, აკრიტიკებს ეკლესიას და კათოლიკოს-პატრიარქის განქიქების მსურველებს მწვანეს უნთებს.
ის კი არა, გამოჰყავს ხელისბიჭი ღარიბაშვილის სიმამრი — თამაზაშვილი — პირდაპირ ეთერში და ალაპარაკებს, რომ ილიას მერე ივანიშვილის დონის ინტელექტუალი საქართველოს არ ჰყოლიაო."



ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს

**დაძალებული სექსი** 14

**რას გვიქადიან ვარსკვლავები 2015 წელს** 16

**გერმანულის გაკვეთილები უკრაინისთვის და არამხოლოდ მისთვის** 18

## ბიძინა — დიდი ინტელექტუალი? რატომ, ბატონო? 11

## როგორ ვაცილებთ ცხენის წელიწადს? 6



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბიზნესის წარმოების სარეიტინგო სიაში საქართველო 47-ე ადგილზეა

**ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა ბიზნესის წარმოებისთვის საუკეთესო ქვეყნების ახალი სია, რომელშიც 149 ქვეყანა შევიდა.** შეფასება რამდენიმე პარამეტრით მოხდა, მათ შორისაა: მოქალაქეების პირადი თავისუფლების დონე, კერძო საკუთრებისა და ინვესტიციების დაცულობის მაჩვენებელი, ტექნოლოგიების განვითარების დონე, ინოვაციების დანერგვის ხარისხი, სახელმწიფოს მიერ ბიზნესზე გავლენა, საგადასახადო ტვირთი და სააქციო ბაზრის მდგომარეობა. აღნიშნულ სიაში საქართველომ 47-ე ადგილი დაიკავა, თურქეთმა — 50-ე, სომხეთმა — 56-ე, აზერბაიჯანმა — მე-60, უკრაინამ — 88-ე. „ფორბსის“ სარეიტინგო სიის საუკეთესო ოცეული ასეთია: დანია, ჰონგ-კონგი, ახალი ზელანდია, ირლანდია, შვედეთი, კანადა, ნორვეგია, სინგაპური, შვეიცარია, ფინეთი, ჰოლანდია, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, სლოვენია, ისლანდია, ავსტრია, ტაივანი, აშშ, ლუქსემბურგი და გერმანია.



## ხუბუტიასთან დაკავშირებით...

**21 დეკემბერს რუსეთში „ქართველთა კავშირის“ თავმჯდომარემ, ბიზნესმენმა მიხეილ ხუბუტიამ სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია, რომ რესტორან „თავადურში“ ყოფნისას ამ დაწესებულების დაცვის თანამშრომლებმა სცემეს. ბიზნესმენმა თავისი გალახვა რატომღაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს — ვლადიმერ პუტინს დაუკავშირა.**

**მიხეილ ხუბუტიას კეთილი საქმეების შესახებ საზოგადოებამ კარგად იცის, არც ისაა საიდუმლო, რომ ბატონი ხუბუტია ხელგაშლილად ეხმარება უმწეოებს, რაც მისასალმებელია, ამდენად, სავსებით მიუღებელია ის ქირქილი, რომელიც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებისა და მათი დამქაშების მხრიდან მოჰყვა მის სამარცხვინოდ წიხლქვეშ გაფენას რესტორან „თავადურში“. მართალია, თვითონ ხუბუტიამ ამ სამარცხვინო გასილაქებას რატომღაც პოლიტიკური მოტივი მოარგო, მაგრამ, მედიის წარმომადგენელთა მტკიცებით, რესტორანში ადგილი ჰქონდა გამომტყვრალი და გავეშებული კლიენტის მორჯულებას...**

ფიზიკური ძალადობა ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია, მაგრამ უმჯობესია, გარემოცვამ მაინც ურჩიოს ქართულისა და რუსულის „მსუბუქად“ მცოდნე კეთილ ადამიანს, რომ თავი შეიკავოს „საყველპურო“ საჯარო გამოსვლებისგან შეუფერებელ ადგილებში, ვინაიდან მსგავსი, სოლიდური ადამიანისთვის შეუფერებელი ლექსიკითა და ინტელექტუალური „ბაგაჟით“ ხაზგასმული გამოხდომები ძალიან ცუდად მოქმედებს და ღატაკ კონტექსტში წარმოაჩენს, როგორც ბატონი ხუბუტიას პერსონას, ასევე რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, რომელთა გურუდაც ბატონი მიხეილი საკუთარი თავის წარმოდგენას ცდილობს. **უმდიდრესი ქართული და რუსული ენების ცოდნის მწირი მარაგი ბატონ ხუბუტიას არ აძლევს საშუალებას, მონაწილეობდეს ნებისმიერ მოქმედებაში, რომელიც საყოფაცხოვრებო ფარგლებს სცდება და საჯარო სივრცეში გადადის**. და როდესაც ბატონი მიხეილი ზოგადი განათლების კრიტიკული უკმარისობის ფონზე ჯიუტად მონაწილეობს საჯარო მოქმედებაში, ყველა მსგავი აქტი არის, **უკეთეს შემთხვევაში, — დაცინვის, ხოლო უარესში, როგორც რესტორანმა „თავადურმა“ დაგვარწმუნა, – აგრესიის საგანი.** რაც მთავარია, მრჩევლებმა აუცილებლად უნდა დარწმუნონ ბატონი ხუბუტია, რომ ის კატეგორიულად უნდა მოერიდოს იგავების გავრცელებას პუტინთან და რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან მითურ მეგობრობაზე – ეს კონტრპროდუქტიულია, ავნებს რუსულ-ქართულ ურთიერთობას და (როგორც რესტორან „თავადურში“ დარწმუნდა) თვითონ ბატონი ხუბუტიას ჯანმრთელობასაც, რადგან **სიცრუეს პუტინთან ძმაკაცობაზე არ შეიძლება ჰქონდეს გრძელი ფეხები და ეს მავნებლური ქოსატყუილობა ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვშიც მიიქცევს საჭირო ყურადღებას, რაც ბატონი ხუბუტიასთვის გაცილებით მძიმე პრობლემებს მოიტანს, ვიდრე ოთხიოდე ტანზრგე ყაზილარის მიერ წიხლქვეშ გაგდება. ასევე შერაცხადობას მოკლებულია (არა სადღაც რესტორანში, არამედ „ტაბულა TV“-ს ტელეანონსში) ბატონი ხუბუტიას მტკიცება — მე მიყვარს პუტინი, ამიტომაც ვარ მისი ფავორიტი...**

ძალადობა ბატონ ხუბუტიაზე, რა თქმა უნდა, დასაგმობია, მაგრამ ასევე დასაგმობია, რომ ხეპრეობის გამო, რესტორანში სამარცხვინოდ გალახულმა ადამიანმა დამსახურებული ალიყური არა საკუთარ თავკერძობას, არამედ პუტინთან მითურ მეგობრობას დააბრალო. და, საერთოდ, ხუბუტიას მიერ წარამარა რუსეთის პრეზიდენტის ხსენება, არის სამარცხვინო ქმედება. აბა, რა აზრი აქვს უსაგნო ტრაბახს, რომელიც მოტრაბახის, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაბღენძილობისა და ტლუობის გამო, დაცინვისა და გალახვის საგანი ხდება? ეს ყველაფერი ძირს უთხრის მეზობელთან ურთიერთობის ნორმალიზების ყველა მცდელობას და ერთადერთი, რა შედეგიც მოაქვს, არის მოტრაბახის სამარცხვინო გასილაქება და დაცინვა.

რაც შეეხება პოლიტიკურ მოტივს — ხუბუტიას ვერსია კრიტიკას ვერ უძლებს. საქართველოში საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობით არაერთი ადამიანია დაკავებული, რომლებიც შევარდნაძის რეჟიმიდან მოყოლებული, არ მალავენ არარუსოფობურ შეხედულებებს და ათიოდე საშუალო გაქანების საქმოსანზე გაცილებით მეტს აკეთებენ ქვეყნის საკეთილდღეოდ. მათზე ზეწოლა იყო, მაგრამ არაც ერთ მათგანს არ მოსვლია აზრად აბსურდი, რომ ეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისთვის დაებრალებინა. საქართველოში ძალიან უნდა „მოინდომო“, რომ თავი საყოველთაოდ საცემად და დასაცინად გაიხადო, თუმცა, ტელეანონსებით თუ ვიმსჯელებთ, საკმარისია, მიხვიდე „ტაბულას“ ეთერში „მძიმე კაცთან“ და იმდენი სისულელე ილაპარაკო, რომ გადაცემის ანონსიდანვე საყოველთაო დაცინვის, ხელმისაწვდომად კი — გასილაქების ობიექტი გახდე.



### ვლადიმერ პუტინი:

## მოხარული ვიქნებით, საქართველოს მთავრობის ნებისმიერი წარმომადგენელი — პრემიერი თუ პრეზიდენტი, მოსკოვში ვიხილოთ

**„თუ საქართველოს ხელისუფლება ჩათვლის შესაძლებლად, მოხარული ვიქნებით, საქართველოს მთავრობის ნებისმიერი წარმომადგენელი, იქნება ეს პრემიერი თუ პრეზიდენტი, მოსკოვში ვიხილოთ“, — ასე უპასუხა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში გამართულ ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას.**

„ვთხოვდი სააკაშვილს, არავითარ შემთხვევაში არ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები-მეთქი და მაინც დაიწყო. შედეგი ცნობილია. მას შემდეგ, რაც ეს გაფრთხილებები არ გაითვალისწინა, დიახ, რუსეთმა ცნო აფხაზეთის დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, საჭიროა ურთიერთობების მოგვარება და პირდაპირ კავშირზე გასვლა ერთმანეთთან. ჩვენ, სამწუხაროდ, გაწყვეტილი გვაქვს ურთიერთობა და არ ვესაუბრებით ერთმანეთს.

თუ საქართველოს ხელისუფლება საჭიროდ ჩათვლის, ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი წარმომადგენელი, იქნება ეს პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი, მივიღოთ და დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა და დასძინა: „სააკაშვილს, როგორც ტილიანს აბანოში, ისე დაარბენინებენ. ამ მომენტისთვის საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ამერიკაში სამუშაო ვიზის მიღებაც კი არ შეუძლია, სააკაშვილს საქართველოდანაც დევნიან, თუმცა ამაში რუსეთს არანაირი წვლილი არ მიუძღვის“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.



### ჯორჯ სოროსი:

## სააკაშვილის წყალობით მწარე გაკვეთილი მივიღე

**ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენისა და ფინანსისტის — ჯორჯ სოროსის განცხადებით, მან საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერის გამო მწარე გაკვეთილი მიიღო. ამის თაობაზე წერს რუსული გამოცემა „კომერსანტი“.**

„მიხეილ სააკაშვილისთვის უსიამოვნო ახალი ამბავი აღმოჩნდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი მთავარი სპონსორის, მილიარდერ ჯორჯ სოროსის განცხადება: რამდენიმე დღის წინათ მან გულწრფელად აღიარა, რომ ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ (მას ხშირად სოროსის ფონდს უწოდებენ) აქტიურად ეხმარებოდა მიხეილ სააკაშვილს თავისი წინამორბედის — ედუარდ შევარდნაძის დამხობაში“, — წერს გამოცემა. „მე ამისთვის რამდენიმე მილიონი დოლარი დავხარჯე და მიხეილ სააკაშვილის მინისტრთა კაბინეტის წევრებს ხელფასსაც კი ვუხდიდი, თუმცა მიხეილ სააკაშვილისადმი უფრო კრიტიკული გავხდი მის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის შემდეგ. სააკაშვილმა გაპრეზიდენტების შემდგომ ღია საზოგადოების ფასეულობებისადმი პატივისცემა დაივიწყა. ასეთი მწარე გაკვეთილის მიღების გამო გადავწყვიტე, აღარ ჩავერიო იმ ქვეყნების საშინაო საქმეებში, რომლებშიც ჩემი ფონდები მოქმედებენ,“ — ციტირებს „კომერსანტი“ ჯორჯ სოროსის განცხადებას.



## ირაკლი ღარიბაშვილი ვლადიმერ პუტინის განცხადებას გამოეხმაურა

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შესაძლო შეხვედრის შესახებ ისაუბრა.**

„ჩვენ გვაქვს პრინციპულად ჩამოყალიბებული მზაობა, რომ ასეთი შეხვედრა შედგეს, მაგრამ როდის, როგორ და რა ფორმატით, ამას სჭირდება კარგი მომზადება, კარგი გაანალიზება. შეხვედრა შეხვედრისთვის მიმაჩნია, რომ არასწორია. შეხვედრა უნდა იყოს მიმართული კონკრეტულ შედეგზე და ასეთ შემთხვევაში, ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მზაობას, რომ ასეთი შეხვედრისთვის საქართველოს მთავრობა, რომელიც არის გადაწყვეტილების მიმღები, მიიღებს მონაწილეობას და პირადად მეც მივიღებ მონაწილეობას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

18 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა საქართველოს პირველ პირებთან შესაძლო შეხვედრის შესახებ განაცხადა.

### დავით ნარმანია:

## «სითი პარკი» თბილისში დიდხანს ვეღარ გაჩერდება!

**თბილისის მერის — დავით ნარმანიას განცხადებით, კომპანია „სითი პარკი“ ფულის კეთების მეტს არაფერს აკეთებს და თბილისში დიდხანს ვეღარ გაჩერდება.**

ნარმანიას განცხადებით, „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი და ფინანსური ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები მალე იქნება მზად. ამ ანალიზსა და რეკომენდაციებს, მერიის დაკვეთით, უცხოური აუდიტორული კომპანია „ერნსტ ენდ იანგი“ ახორციელებს.

„ჩვენი შემდგომი ნაბიჯები მის დასკვნაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული. ძალიან კაბალური ხელშეკრულებაა, თუმცა, „ერნსტ ენდ იანგ“-თან გაფორმებული ხელშეკრულება გულისხმობს, რომ მათგან მიუკერძოებელი დასკვნა და რეკომენდაცია მივიღოთ“, — განაცხადა ნარმანიამ. დედაქალაქის მერმა ასევე განაცხადა, რომ „სითი პარკი“ სხვის ქონებას მართლსაწინააღმდეგოდ ისაკუთრებს.

„ერთი რამ, რაც ნამდვილად ვიცით და რაც ყველაზე მძიმეა, ავტომანქანების საჯარიმო სადგომზე გადაყვანაა, ანუ სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, რასაც ხშირად დამატებით დისკომფორტი მოჰყვება“, — განაცხადა ნარმანიამ და დასძინა, რომ „სითი პარკში“ შესული თანხა თბილისის ბიუჯეტში არ ირიცხება.



## უკრაინის პრემიერმინისტრს «მერსედესიდან» ვირზე გადაჯდომა ურჩიეს

**უკრაინის უზენაესი რადის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პრემიერმა არსენი იაცენიუკმა მდიდრული სამსახურებრივი ავტომობილი უფრო მოკრძალებული სატრანსპორტო საშუალებით უნდა შეცვალოს. დეპუტატმა სერგეი კაპლინმა უკრაინის პრემიერს იაფ სატრანსპორტო საშუალებად ვირი შესთავაზა. კაპლინი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ძვირად ღირებული „მერსედესების“ შეძენა უკრაინელებისთვის სულში ჩაფურთხებაა.**

„არსენი იაცენიუკმა ახლახან თავისი „მერსედესისთვის“ ზამთრის საბურავები შეიძინა. ერთი ცალი საბურავი 42 ათას გრივნად და ეს ყველაფერი — სახელმწიფოს ხარჯზე. ეს, უბრალოდ, მთელი ქვეყნისთვის სულში ჩაფურთხებაა, როცა მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს. მიმაჩნია, რომ შენ ვირზე უნდა შეჯდე და იარო, ვიდრე ქვეყანა კრიზისშია. ეკონომია ყველამ უნდა გასწიოს“, — განაცხადა დეპუტატმა. აღსანიშნავია, რომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა მონაცემებით, უკრაინის სახელმწიფო ვალმა 70 მლრდ დოლარს გადააჭარბა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას მოუტანს საქართველოს რუსეთ-თურქეთის დაახლოება

**რუსეთსა და დასავლეთს, შორის მწვავე კონფრონტაციამ რუსეთის ხელისუფლებას უარი ათქმევინა გაზსადენ „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობაზე (ამას დიდად შეუწყო ხელი ევროპარლამენტის რეზოლუციამ ევროპის ენერგოუსაფრთხოების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ ევროპამ ენერგიის მიწოდების სხვა წყაროები უნდა ეძებოს), რომლითაც ბუნებრივი აირი ბულგარეთის გავლით უნდა მიეწოდებინა ევროპისთვის. თუმცა რუსეთმა ალტერნატიული გაზსადენის პროექტის მშენებლობა გადაწყვიტა, ამისათვის კი კავკასიის რეგიონში თავის ისტორიულ მოწინააღმდეგე თურქეთს მიმართა. ახალი გაზსადენის ტრასა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გაივლის (აღსანიშნავია, რომ შეჩერებულია გაზსადენ „ნაბუკოს“ მშენებლობა, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაევლო). შესაბამის მემორანდუმს ხელი უკვე მოაწერეს რუსული „გაზპრომისა“ და თურქული „ბოტასის“ ხელმძღვანელებმა.**



იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს ვადა გასდის ყარსის ხელშეკრულებას (რომლის გარანტორებიც არიან რუსეთი და თურქეთი), რომლის ვადის ამოწურვის შემდეგ თურქეთმა შეიძლება პრეტენზია განაცხადოს აჭარაზე, და როდესაც საქართველოში სულ უფრო დიდ მასშტაბს იძენს თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკური ექსპანსია, რა საფრთხეებისა და გამოწვევის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო?

ამ საფრთხეებსა და გამოწვევებზე არაფერს ამბობს არც დასავლეთისგან დამფრთხალი ხელისუფლება და, მით უმეტეს — ოპოზიციად წოდებული „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც საქართველოში მხოლოდ აშშ-ის ინტერესების დაცვითაა დაკავებული და არად დაგიდევს, რა დამანგრეველი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ჩვენი ქვეყნისთვის რუსეთისა და თურქეთის ინტერესების დამთხვევამ.

თუმცა საქართველოსთვის ამ უდიდეს საფრთხეზე წლების წინათ საუბრობდა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია, რომლის პოლიტიკური პროგნოზებიც საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ ზედმიწევნით ასრულდა (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №№42, 43, 44. 2014 წ.).

აი, რა განუცხადა **ალექსანდრე ჭაჭიამ** 2012 წელს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ (№11, 21-27 მარტი) იმაზე, თუ რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო რუსეთისა და თურქეთის დაახლოების შედეგად:

**„თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკურმა ექსპანსიამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ უკვე პოლიტიკაშიც თვისებრივად ახალ ძვრებს მოითხოვს, ამისთვის კი ქართველი მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადებაა საჭირო. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ აჭარის ახალი ობიექტები, რომლებითაც ასე ამაყობს ჩვენი ხელისუფლება, თურქების აშენებულია და მათ საკუთრებას წარმოადგენს.** შეუძლებელია, ფეშენებელური სასტუმროებისა და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა აჭარაში რენტაბელური იყოს: მისით სარგებლობისთვის ქართველებს ფული არ აქვთ, ხოლო სომხური ტურისტული ნაკადი ასეთი სიმძლავრეების ასათვისებლად საკმარისი არაა, საკურორტო სეზონიც აჭარაში ძალიან ხანმოკლეა. **მიუხედავად ამისა, თურქები მაინც ყიდულობენ მიწას, აშენებენ თავიანთ ობიექტებს, შესაძლოა, იმის იმედად, რომ ცოტა ხანში შეძლებენ თანამემამულეებისთვის მათ საცხოვრებელ ბინებად რეალიზებას. მე მითხრეს, რომ დღეს ბათუმში 23 ათასი თურქია ჩაწერილი. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ეს საკმაოდ სოლიდური რაოდენობაა. აჭარაში არასოდეს უცხოვრია ამდენ თურქს, მაშინაც კი, როდესაც იგი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო.** წლების წინ ვწერდი და ახლაც შემიძლია გავიმეორო, რომ თურქეთთან ურთიერთობებში ჩვენ შემდეგი გარემოებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ:

**პირველი** — **თურქული ეროვნული ელიტა** (პოლიტიკური, ინტელექტუალური, სამხედრო) **ყოველთვის მიიჩნევდა აჭარას თავის ისტორიულ ტერიტორიად, ხოლო მთელ დასავლეთ საქართველოს – საკუთარი გავლენის ბუნებრივ ზონად;**

**მეორე** — **თურქები თვლიან, რომ აჭარა მათ ძალით, ომის შედეგად წაართვა რუსეთმა და არა — საქართველომ;**

**მესამე** — **თურქეთი ისლამურ სამყაროში აშშ-ის ერთადერთი მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეა და აშშ თურქეთს რეგიონულ ზესახელმწიფოდ აღიარებს, რომელსაც აქვს უფლება, თავისი ზეგავლენა კავკასიაზე გაავრცელოს;**

**მეოთხე** — **ერთი მხრივ, რუსულ-ქართულმა მტრულმა ურთიერთობებმა და მეორე მხრივ, თურქეთსა და რუსეთს შორის ძალიან აქტიურმა ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეიძლება საქმე მიიყვანოს რუსეთის მიერ აჭარის ავტონომიის გარანტის როლზე უარის თქმამდე და ყარსის ხელშეკრულებიდან გამოსვლამდე.**

**თურქები ჩვენს ოფიციალურ დასტურს მხოლოდ ზრდილობის გამო ითხოვენ. დღეს მათ აჭარაში ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ და ვერავინ შეუშლის ხელს. საქართველოს ხელმძღვანელობას მშვენივრად ესმოდა, რომ აჭარაზე კონტროლი ნელ-ნელა გადადის თურქების ხელში, მაგრამ ვერ შეეწინააღმდეგა. თურქებს რომ შეეწყვიტათ ობიექტების შენება აჭარასა და თბილისში, მაშინ რა წარმოედგინათ, როგორც საკუთარი მმართველობის შედეგი: ზუგდიდში შადრევანი? პლეხანოვზე გადაღებილი ფასადები? სად მიეყვანათ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები?..**

ჩემთვის ძვირფასი ბათუმელების საპროტესტო განწყობის შესახებ ვიცი და მიხარია, რომ ხალხი, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ისტორიულ მეხსიერებას ინარჩუნებს, მათ შორის, იმ სულთნის შესახებაც, მაგრამ მოვუწოდებ, იყვნენ ძალიან ფრთხილად თავის ქმედებებში. თუ თურქებმა მეჩეთის აშენება გადაწყვიტეს, ისინი მას ააშენებენ, ხოლო, თუ საპროტესტო გამოსვლები ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, თურქეთი ცერემონიებს არ დაიწყებს. **ერდოღანი მოსკოვში ჩაფრინდება, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში გააკეთა, ხოლო მოსკოვს შემაფერხებელი ფაქტორის როლის თამაშის საფუძველი აღარ აქვს.**

ჩვენი მთავარი ამოცანაა, არ დავუშვათ ქვეყნის შემდგომი დაშლა, არ მივცეთ ხელისუფლებას ახალი ტერიტორიების დაკარგვის შესაძლებლობა. ამისთვის უახლოესი 5 წლის განმავლობაში ბეწვის ხიდზე მოგვიწევს სიარული. თუ შევძლებთ, ვიქნებით ერი საკუთარი სახელმწიფოთი.

**მთავარია, დარჩენილი ტერიტორია შევინარჩუნოთ, ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი ადგილი კი მოსახლეობის მუსლიმანურ ნაწილთან ჩვენს ურთიერთობებს ეთმობა. უნდა გავიგოთ, რომ აჭარაში თურქების აქტიურობა, ისლამური ფაქტორის ზრდა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში, ბორჩალოში საზოგადოებრივი პარლამენტის შექმნა, ბაქოდან საქართველოს მისამართით მკვეთრი განცხადებები — ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვის რგოლებია. ამასთანავე, გვახსოვდეს, რომ საქართველო ეკონომიკურად მთლიანად თურქეთსა და აზერბაიჯანზეა დამოკიდებული. თუ ადრე ჩვენს უკან რუსეთი იდგა და შეგვეძლო, დიდი ყურადღება არ მიგვექცია ისლამური ფაქტორისთვის, დღეს იგი ჩვენი არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა. ჩვენ 200 წელია, დაგვავიწყდა, მაგრამ თურქეთსა და ირანს მშვენივრად ახსოვთ, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველო მათი ვასალური ტერიტორია იყო.**

**«უნდა გავიგოთ, რომ აჭარაში თურქების აქტიურობა, ისლამური ფაქტორის ზრდა ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში, ბორჩალოში საზოგადოებრივი პარლამენტის შექმნა, ბაქოდან საქართველოს მისამართით მკვეთრი განცხადებები — ეს ყველაფერი ერთი ჯაჭვის რგოლებია. ამასთანავე, გვახსოვდეს, რომ საქართველო ეკონომიკურად მთლიანად თურქეთსა და აზერბაიჯანზეა დამოკიდებული. თუ ადრე ჩვენს უკან რუსეთი იდგა და შეგვეძლო, დიდი ყურადღება არ მიგვექცია ისლამური ფაქტორისთვის, დღეს იგი ჩვენი არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა. ჩვენ 200 წელია, დაგვავიწყდა, მაგრამ თურქეთსა და ირანს მშვენივრად ახსოვთ, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველო მათი ვასალური ტერიტორია იყო»**

მუსლიმანურ მოსახლეობასთან ერთად მშვიდად ცხოვრება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქართველთა ნაწილი მუსლიმანები არიან. მეტიც, რაოდენ პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, ისლამი თავისი სულიერ-ზნეობრივი ღირებულებებით უფრო ახლოა მართლმადიდებლობასთან, ვიდრე იგივე პროტესტანტიზმი და მის წიაღში აღმოცენებული კულტურა. მუსლიმანებს, ისევე, როგორც მართლმადიდებლებს, აღაშფოთებს საზოგადოებაში ზნეობის დაცემა, აღვირახსნილობის პროპაგანდა, ნიჰილიზმი, თაობათა გაუცხოება, ეროვნული ტრადიციების უარყოფა. ეს სერიოზული საფუძველია ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობისთვის საერთო სამშობლოს სასიკეთოდ“.

მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. დიახ, ასეა: აჭარაში თურქების აქტიურობა, ადგილობრივ მოსახლეობაში ისლამური ფაქტორის ზრდა, თურქეთისა და რუსეთის ინტერესების თანხვედრა, საქართველოს ხელისუფლებას ლამის მონური მორჩილება დასავლეთისადმი — ეს ის ფაქტორებია, რომელთა გათვალისწინება არ ეგების და რომლებიც საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს.**



## როზა ბრუკსი: ამერიკული ფასეულობები მსოფლიოსთვის მომხიბვლელი აღარ არის

**ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორმა როზა ბრუკსმა Foriegn Policy-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „ქაოსით მოცული“ მკაცრად გააკრიტიკა აშშ-ის პოლიტიკური სისტემა. ბრუკსი თვლის, რომ აშშ-ის ძლიერება და მისი მნიშვნელობა მსოფლიოში მცირდება. ეს იმიტომ ხდება, რომ ოდესღაც სუსტი სახელმწიფოები მომძლავრდნენ, აგრეთვე, იმიტომ, რომ სახელმწიფოები ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი და არც ერთს არ შეუძლია კოლექტიური პრობლემების მოგვარება დამოუკიდებლად.**

პროფესორი წერს, რომ აშშ-ის პოზიციების შესუსტების შედეგად მსოფლიოს საზოგადოებრიობას სულ უფრო ხშირად შეაქვს ეჭვი ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობაში.

„მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის სხვაობა გაცილებით მეტია აშშ-ში, ვიდრე მსოფლიოს სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ამერიკელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკლებია, სხვა განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნების მოსახლეობასთან შედარებით, რომელსაც ბავშვთა სიკვდილიანობას მაღალი დონეც ემატება. ამასთანავე, აშშ-ში მოსახლეობის ერთ სულზე ყველაზე მეტი პატიმარი მოდის, ცხოვრების ხარისხისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხი კი, უკვე რამდენიმე წელიწადია, უარესდება.

**შედეგად, ამერიკული პოლიტიკური და ეკონომიკური ფასეულობები სულ უფრო ნაკლებად მომხიბვლელი ხდება სხვა ქვეყნებისთვის“**, — ასკვნის როზა ბრუკსი.



## იტალია ევროზონიდან გამოსასვლელად ემზადება

**იტალიაში შეიძლება, ჩატარდეს რეფერენდუმი ევროზონიდან ქვეყნის გამოსვლის შესახებ. ოპოზიციურმა პარტიამ „5 ვარსკვლავის მოძრაობა“ ორი დღის განმავლობაში ევროზონიდან გამოსვლის მომხრეთა 50 ათასი ხელმოწერა შეაგროვა.**

პარტიის წარმომადგენლები თვლიან, რომ ევროზონის დატოვების შესახებ რეფერენდუმი იტალიის მიერ თავისუფლებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება და ამით სხვა ქვეყნებიც გამოფხიზლდებიან. ევროზონიდან გამოსვლის მომხრეები ამბობენ, რომ ევროპა ვალებით ახრჩობს ეროვნულ ეკონომიკას. აღსანიშნავია, რომ იტალია არ არის ევროზონის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ვალებშია ჩაფლული. უფრო ადრე ევროკომისიამ ვალის დაბრუნება საბერძნეთს, ირლანდიასა და სლოვენიას მოსთხოვა.

ნანა დევდარიანის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ცუდია, როცა თავდაცვის მინისტრის გასროლა ფუჭია, მაგრამ ამაზე უარესია, რომ ყოფილი მთავარსარდალი ქართველ მეომრებს ცხელ ომში ეპატიჟება. კიდევ უფრო უარესი, როცა დაღუპული მეომრის სისხლზე პოლიტიკური რევანშის აგებას ცდილობს. და სულ მთლად უარესია ქვეყნის ჩათრევა ძმათამკვლელ ომში, რისთვისაც სააკაშვილი ყველაფერს კადრულობს.**

# ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება დაიწყო «შალახოთი» და დამთავრდა «განდაგანათი»!

**2014 წელი იწურება. საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ილიას „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ და „ასის წლის წინათ“ კვლავაც აქტუალურია. თითქოს საუკუნეზე მეტი არ გასულიყოს, ჩვენ ისევ იქ ვართ და ისევ გამოგონილ ქარის წისქვილებს ვეომებით, რეალურ საფრთხეებს კი მორჩილად ვკენკავთ. არც დღეს ვიცით, რამ უნდა გადაგვარჩინოს და, ებრაული წყევლისა არ იყოს, „ჩვენი არ ვიცით და სხვისი არ გვეყურება“!**



სხვა ვითარებაში **ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების** შეთანხმება, შესაძლოა, მართლაც წლის მოვლენა ყოფილიყო, რომ არა ერთი მაგრამ... შეთანხმების რატიფიცირებას ძებნილი ექსპრეზიდენტი დაესწრო და დამსახურებაც მიიწერა. მანამდე ჩვეული სიცრუით იყელყელავა – ორი კვირაა, ვეხვეწები ევროპარლამენტარებს, რატიფიკაციას მისცენ ხმაო! თითქოს მისი ხვეწნა რომ არა, რატიფიკაცია არ მოხდებოდა! თუმცა არც ეს არის მთავარი; **ყველაზე შეურაცხმყოფელი პირველ რიგში მისი ჯდომა იყო (მოქმედი პრეზიდენტი ამალით უკანა რიგში იჯდა). პრაქტიკულად, ეს ევროპარლამენტის დემარში იყო ქართველი ხალხის წინაშე – დაახლოებით იგივე, რომ ეთქვათ: „არ გვაინტერესებს არც თქვენი არჩევანი, არც თქვენი განწყობა, ეს ჩვენი მამაძაღლია და დღევანდელ თქვენს ხელისუფლებაზე წინ მას ვაყენებთ!“**

არ ტყუის ნინო ბურჯანაძე, როცა ამბობს, რომ ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ღირსებას ვერ დაიცავს, საკუთარი ხალხისა და სახელმწიფოს დამცველად ვერ ივარგებს! ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება კი, როგორც დაიწყო „შალახოთი“, ისე დამთავრდა ზემოთ აღწერილი „განდაგანათი“!

წლის მოვლენა **ირაკლი ალასანიას მოხსნაც** შეიძლებოდა გამხდარიყო, რომ არა კარის გაჯახუნების სურვილი, რომელმაც ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ფუჭმა გასროლამ – საკითხის გლობალურ ჭრილში გადაყვანის მცდელობის სახით. **ცუდია, როცა თავდაცვის მინისტრის გასროლა ფუჭია, მაგრამ ამაზე უარესია, რომ ყოფილი მთავარსარდალი ქართველ მეომრებს ცხელ ომში ეპატიჟება. კიდევ უფრო უარესი, როცა დაღუპული მეომრის სისხლზე პოლიტიკური რევანშის აგებას ცდილობს. და სულ მთლად უარესია ქვეყნის ჩათრევა ძმათამკვლელ ომში, რისთვისაც სააკაშვილი ყველაფერს კადრულობს.** რუსები და უკრაინელები, ადრე თუ გვიან, აუცილებლად შერიგდებიან, ან უკრაინა დაიშლება. საქართველოს, შესაძლოა, ვიღაცის ანგარიშით, საექსპორტო მინისტრები ჰყავს, მაგრამ **45-მილიონიან უკრაინას ქართველი მეომრები რომ არ სჭირდება, ეს ბავშვსაც კი ესმის.** საზოგადოდ, ომი არ სჭირდება, მაგრამ უკრაინის ხელისუფლება ჯიუტად იმეორებს იმ შეცდომებს, რომლებიც საქართველომ ბოლო 23 წლის განმავლობაში დაუშვა.

უკრაინის დაუძინებელი „მეგობრები“ კი რუსეთის დაშლას წინასწარმეტყველებენ და რუბლის ვარდნა უხარიათ. ლარის კურსის დაცემის მიზეზს ყველგან ეძებენ, იმას კი არ დაგიდევენ, რომ რუსეთიდან გადმორიცხვების რაოდენობამ კატასტროფულად იკლო, არადა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ბედი (ხელისუფლება-ოპოზიციის გარდა) სწორედ ამ თანხებზეა ჩამოკიდებული. **სასაცილოა, რომ რუსეთის დაშლაზე სააკაშვილი ლაპარაკობს, რომელმაც საკუთარი ქვეყანა დაშალა და ახლა უკრაინის დანაწევრებას უწყობს ხელს.**

მან კახა ბენდუქიძის გარდაცვალებაც შოუდ აქცია, როცა პირდაპირი სატელევიზიო ჩართვის მზადებისას ისე გაერთო სადადგმო სამუშაოებით, რომ სამძიმარის მაგივრად მასხრად აგდების ნიმუში აჩუქა ინტერნეტსივრცეს. „პიარის დიდოსტატი“ აშკარად კარგავს კვალიფიკაციას, მაგრამ ერთი ყოფილი მინისტრისა არ იყოს — **ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?**

სააკაშვილის პარტიულმა ორგანომ და ჯიბის ტელევიზიამ „რუსთავი 2“-მა თავგზა დაკარგა და ისეთი დოზებით რთავს პირდაპირ ეთერში ძებნილ ნაპრეზიდენტალს, რომ მალე საკუთარ მომხრეებსაც მოაბეზრებს მის ყურებას. „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ დამფუძნებელი **ეროსი კიწმარიშვილი** ამას ნამდვილად არ დაუშვებდა, მაგრამ ბოლო წლებში ტელევიზიებსა და პოლიტიკას შორის გამოკიდებული ახალგაზრდა ადამიანი არავინ იცის, ვის ან რას ემსხვერპლა. მისი მკვლელობის (თვითმკვლელობის აღარავის სჯერა) გამოძიება ისევე დუნედ მიმდინარეობს, როგორც პრემიერ მინისტრ ჟვანიასი.

გარდაიცვალა **შევარდნაძე,** დამთავრდა ერთი დიდი ეპოქა საქართველოს უახლეს ისტორიაში. პარადოქსია, მაგრამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კიწმარიშვილი მხოლოდ დადებითად მოიხსენიებდა მეორე პრეზიდენტს, ხოლო მისი გარდაცვალებიდან ერთ კვირაში იგი სწორედ იმ კატაფალკით გაასვენეს, რომლითაც შევარდნაძე.

ჩატარდა **ადგილობრივი არჩევნები**. ორი ძალის გარდა, ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ საკრებულოებში – „ბურჯანაძე — გაერთიანებული ოპოზიცია“ და პატრიოტთა ალიანსი. ხმები დადის, რომ „ქართული ოცნება“ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. „თავისუფალი დემოკრატები“ თავდაცვის სამინისტროში დაწყებული გამოძიების შემდეგ „თავისუფალ ცურვაში“ გაუშვეს. **„რესპუბლიკელებმა“ ერთხანს ითმინეს, მაგრამ წლის ბოლოს რიტორიკა გაამკაცრეს და თავდაცვის სამინისტროს განცხადებას „პოლიტიკური ასპექტები“ დაუწუნეს. ასეთივე პოლიტიკური აქცენტები ჰქონდა მანამდე ირაკლი ალასანიას განცხადებებს, მაგრამ იმხანად „რესპუბლიკელები“ ამას არ შეუწუხებია.**

უცნაურია, მაგრამ ამჯერად მმართველი ძალიდან გასვლა „რესპუბლიკელებს“ სხვა პარტიამ დაასწრო. ბევრი მიიჩნევდა, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ რღვევა სწორედ „რესპუბლიკელების“ გასვლით დაიწყებოდა, მაგრამ „ქვეყნის ვექტორის შეცვლის“ შესახებ გაკეთებული განცხადებების შემდეგ ახალმა ოპოზიციურმა ძალამ „ნაციონალებთან“ ერთობ მიმსგავსებულ რიტორიკას მიმართა და ამან კიდევ უფრო გაამყარა ეჭვი, რომ ცოტა ხანში „თავისუფალ დემოკრატებსა“ და „რესპუბლიკელებს“ „ნაციონალებთან“ ერთად ვიხილავთ.

„რუსი ოლიგარქი“, „ქვეყანა ერთი პირის მიერ იმართება“, „თუ მართვა უნდა, დაბრუნდეს პოლიტიკაში და მართოს“, „გამოვიდეს ჩრდილიდან“ — ბევრი განცხადება „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდების“ პრინციპზეა აგებული. „პირველი მოქალაქე“, როგორც ჩანს, ამაზე ძალიან ხალისობს და წლის ბოლოს გვამცნობს: „ზვიგენები მყავს ბიზნესცენტრში პატარა ჯიშის, 1,5-მეტრიანი. ურეკში სასტუმროს ვაშენებ ძალიან საინტერესოს და იქ დიდ აკვარიუმს ვაკეთებ, სადაც დიდი ზვიგენებიც იქნებიან, რაღაც შარმი რომ შეიძინოს სანაპირომ. მარტო აკვარიუმი არა, სხვა შარმებიც ექნება იმ სასტუმროს“.

რაკი ბიძინა ივანიშვილი ტყუილად არაფერს ამბობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდგომ საპარლამენტო არჩევნებამდე იგი ახალ, უფრო დიდი კოალიციას შექმნის და იქ „დიდ ზვიგენებს“ შეიყვანს. ახლა მთავარია, ის დიდი ზვიგენებიც „თავისუფალი დემოკრატებივით“ ზღვაში არ გაეპარონ, თორემ შარმიც იქით დაგვრჩება და ურეკიც!

მაინც რა იყო ამ წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა?

„ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა, სირიის მოვლენები, უკრაინის კრიზისი ჩვენში ბევრ მოქალაქეს კი არა, ექსპერტსაც არ მიაჩნია საქართველოზე გავლენის მქონედ. სინამდვილეში ეს ყველაფერი ჩვენგან ძალიან ახლოს ხდება და შიგაპოლიტიკური საფრთხეების გარდა, გარედან ტერორიზმის შემოდინების რეალურ საფრთხესაც შეიცავს.

სააკაშვილის მიერ მორღვეული საზღვრების გაკონტროლება ახალმა ხელისუფლებამ **სავიზო რეჟიმის** გამკაცრებით სცადა. შედეგი ის არის, რომ, მაგალითად, ირანიდან უკვე შემოსული და მოსალოდნელი მილიარდობით ინვესტიცია გაიყინა. ადამიანები, რომელთაც საქართველოში უძრავი ქონება და ბიზნესი აქვთ, ვიზას ვერ იღებენ, საქართველოს საელჩო ირანში პასუხსაც არ აძლევს მათ. შეგახსენებთ, ეს ის სახელმწიფოა, სადაც ქართველებმა 400 წლის განმავლობაში შეინარჩუნეს ენა და ადათი. სხვა რომ არაფერი იყოს, მხოლოდ მათი ფაქტორის გამო არ უნდა ჰქონდეს ქართულ სახელმწიფოს ამგვარი მიდგომა. სამაგიეროდ, **თურქეთი აქეთ გვიმკაცრებს სავიზო პოლიტიკას და აჭარის გარდა, თბილისშიც იგრძნობა მისი ბიზნესინტერესების მომძლავრება!**

დასაწყისში ილია ვახსენე. თითქოს არც გასულიყოს საუკუნე: **„ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საძოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა. შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“**

რომ არ ვიცით და არც ვემზადებით, ეს ცხადია. ჩვენს თვალწინ იცვლება გეოპოლიტიკური რეალობა, ჩვენი პოლიტიკური კლასი კი დაზეპირებული ფორმულებით ცდილობს, ფონს გავიდეს. 1 დეკემბერს თურქეთში ვიზიტისას რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ წყვეტს „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობას და გაზს თურქეთს მიაწვდის. როგორც კი ამ ახალი გაზსადენის შესახებ გახდა ცნობილი, ბულგარეთმა, რომელიც მუდმივად ხელს უშლიდა „სამხრეთის ნაკადის“ პროექტის განხორციელებას, განგაშის ზარებს შემოჰკრა. ევროპაც ერთობ შეშფოთდა. საქართველოში არავის ამოუღია ხმა „გაერთიანებული დემოკრატების“ ლიდერის გარდა. ბურჯანაძემ განაცხადა: მივმართავ მთავრობას: გამოიყენოს ეს ისტორიული შანსი და შესთავაზოს რუსეთს და თურქეთს საქართველოს ტერიტორიაზე გაზსადენის გაყვანა!

ყველა ის პოლიტიკოსი, ვისაც ესმის პოლიტიკა და არ ასრულებს დაკვეთას გარედან, მიხვდება, რომ ეს ინიციატივა ემსახურება მხოლოდ ქართული ინტერესების უზრუნველყოფას“.

რა მოჰყვა ამ ინიციატივას? მთავრობის დუმილი და საპარლამენტო უმრავლესობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, გიორგი ვოლსკის სკანდალური განცხადება: „საერთოდ ნებისმიერი ეკონომიკური, მითუმეტეს მასშტაბური პროექტის განხორცილებაზე, პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, სფეროს ანალიზია, მოპოვებისა და ტრანზიტის სფეროში როგორ პოლიტიკას ატარებს მსოფლიო, ევროკავშირი, აშშ, მათ შორის, რუსეთი და მისი მიზანშეწონილების თაობაზე პროფესიონალური შეფასების გაკეთება სრული ანალიზის საფუძველზე შეიძლება. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკური კონიუნქტურის გაანალიზებაც. თუ საქართველო, როგორც ქალბატონი ნინო ამბობს, ამ საკითხს დააყენებს, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მხარდაჭერით ან წინააღმდეგობით ასეთი თემები არ წყდება. ასეთი საკითხები სულ სხვა დონეზე განიხილება და წარმოადგენს გაცილებით უფრო მაღალი ლეგიტიმურობის სტრუქტურების პოლიტიკის თემას, ვიდრე ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია და თუნდაც მთავრობის გადაწყვეტილება“.

ერთი სიტყვით, **ხელისუფლების წარმომადგენელი აღიარებს, რომ საქართველო აღარ არის სუვერენული სახელმწიფო, მისი ბედი სხვაგან — „გაცილებით უფრო მაღალი ლეგიტიმურობის სტრუქტურებში“ წყდება!**

მაშინ აღარც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ რატიფიკაციის ცერემონიას ძებნილი სააკაშვილი ესწრება და არც ის, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე დასავლელმა მეგობრებმა „ნაციონალების“ შარშანწინდელი 40 პროცენტიც არ გვაკმარონ!

2014 წლის მოვლენა უთუოდ არის **მკვდრე-** ▶

**ოლიგარქმა, მისი აზრით, მთავარი დაპირებაც პირნათლად შეასრულა და სამართლიანობა აღადგინა, ანუ ის 80 მილიონი, რომელიც წინასაარჩევნო ბატალიების დროს სააკაშვილმა „აახია“, მისხალ-მისხალ დაიბრუნა და მორჩა. სხვა დაზარალებულებს რაც შეეხება, გახსოვთ, რა განაცხადა მან ერთ-ერთ კონფერენციაზე ქონებაჩამორთმეულ ბიზნესმენებზე: გასაგებია, ამ ხალხის მიმართ კანონი დაირღვა, მაგრამ დღეს ბიუჯეტში არ არის საკმარისი თანხები, რომ მათ ეს დანაკარგები ავუნაზღაუროთო(!).**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **თით აღდგენილი „ნაციონალური მოძრაობა“,** რომელიც ისე მოიყვანა ფერზე „ქართულმა ოცნებამ“, რომ ობოლისა და გამზრდელის ანდაზისა არ იყოს, იქით ერჩის და ემართლება! მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც საქართველოში არ ჩამოესვლება, ყოყოჩად აცხადებს: „რაში მჭირდება მე პოლიტიკური თავშესაფარი?! ხომ ხედავთ, რომ ყველა ქვეყანაში დიდი სიამოვნებით მიღებენ. ამერიკაში ძალიან კარგად მიღებენ და ამერიკის რეაქციები ნახეთ. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კარგად მიღებენ“.

ამ „პოლიტიკურად მიუსაფარს“ კი იღებენ, მაგრამ **საქართველოს რომ არც ნატოში მიიღებენ და არც ევროკავშირში, ეს უკვე ცხადია.** საერთოდაც, იქნებ სჯობდეს, ამ გაერთიანებებში პერსონალურად — სურვილის მიხედვით გაწევრდნენ პოლიტიკოსები? ქართველი ხალხი იმ მიმართულებით დიდი იმედით რომ არ იყურება, ეს ბოლო კვლევებმაც აჩვენა. **დღეს რომ პლებისციტი ტარდებოდეს, ნატოში გაწევრებას მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები დაუჭერდა მხარს.**

წლის ბოლოა და პოზიტივიც უნდა დავინახოთ: ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევა, სოფლის მეურნეობის მხარდამჭერის პროგრამა, რუსეთის ბაზრის გახსნა ქართული პროდუქციისთვის და, რაც მთავარია, თავისუფლება სახელმწიფოს ტერორისგან! ესეც იყო და ამას ბევრი რამის გადაწონვა შეუძლია. თუმცა „ნაციონალები“ ახლა თუ მთელ ქვეყანას ვერა, „ქართულ ოცნებას“ მაინც ატერორებენ და ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევენ. **ოთხჯერ იყო წინადადება რუსეთის ხელმძღვანელობისგან უმაღლეს დონეზე შეხვედრისთვის მზადყოფნის შესახებ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს ჩვენ გვქონდეს მისაკუთრებული სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეები!**

დუმილმა ის მოიტანა, რომ აფხაზეთთან უკვე გაფორმდა ხელშეკრულება, რიგში სამხრეთ ოსეთია (სააკაშვილმა კვლავ დააკანონა ეს სახელწოდება „ზემო აფხაზეთად“ გამოცხადებულ კოდორის ხეობასთან ერთად) და მისი ინტეგრაცია რუსეთთან უფრო მჭიდრო რომ იქნება, ცხადია.

ამ ვითარებაში (რომლის შემოქმედიც სწორედ სააკაშვილია, ხოლო მისი პარტია დღევანდელ ხელისუფლებას ადანაშაულებს) ინიციატივა სწორედ ჩვენგან უნდა მოდიოდეს, რადგან ჩვენ გვაქვს ქვეყანა გასამთლიანებელი! **პარადოქსული სიტუაციაა: საშინაო პოლიტიკის საკითხებში მუდმივად „ნაციონალები“ არიან პროცესის ინიციატორები, „ქართული ოცნება“ კი მოპასუხის როლშია, საგარეო პოლიტიკაში კი ვერც სხვის ინიციატივას ეხმაურება ოპოზიციაში მყოფი „ნაცმოძრაობის“ შიშით.** არადა, პირიქით უნდა იყოს: **მოპასუხის როლში და თავის მართლების რეჟიმში სწორედ სააკაშვილი და მისი თანაპარტიელები უნდა იყვნენ! 2015 წელს მაინც აღადგინეთ სამართლიანობა!**

# ოლიგარქის სინდრომი

**სამი წლის წინათ, როცა ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება გაავრცელა და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, უკიდურესი ნიჰილიზმით შეპყრობილმა ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა გულუბრყვილოდ დაიჯერა, რომ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე ჭეშმარიტი მესია გამოჩნდა.**



ხბოს აღტაცებაში მყოფმა ხალხმა მილიარდერს ისიც კი არ გაუპროტესტა, რომ კოალიციაში წამყვან ძალას სამპროცენტიანი რესპუბლიკელები წარმოადგენდნენ. ყველა ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „ოღონდ სააკაშვილი არა და ვინც გინდა“. ჰოდა, წამოვიდნენ ნაირ-ნაირი „სააკაშვილები“, შეფარულები, პირდაპირები, ირიბები... მოკლედ, **დოლურაში შემხტარი ციყვივით დაგვემართა, ვიტრიალეთ, ვიტრიალეთ და ბოლოს აღმოჩნდა, რომ წინ ერთი ნაბიჯითაც არ წავწეულვართ. არადა, ყველას კარგად გვახსოვს (ან რა დაგვავიწყებს) ოლიგარქის დაპირებები: 220-ლარიანი პენსია (ეს დაპირება დავით ონოფრიშვილმა უსინდისოდ უარყო, — მსგავსი არაფერი გვითქვამსო), საწვავის გაიაფება ერთი ლარით, 60 ქარხნის აშენება 2013 წლის ბოლომდე და ა. შ.**

საუბედუროდ, მივიღეთ რა — **როგორც კი ცნობილი შეიქნა არჩევნების შედეგები, ოლიგარქმა განაცხადა: ყველა „ნაციონალი“ ერთნაირი არ არის და ზოგიერთთან სიამოვნებით ვითანამშრომლებო. ის კი არა, იმის თქმასაც არ მოერიდა, სააკაშვილიც ამ ქვეყნის შვილია და შანსი მასაც უნდა მივცეთო.** ფაქტობრივად, ეს იყო პირველი სიგნალი „ყოვლისშემძლე“ მილიარდერისგან, რომ საზოგადოების აზრი ფეხებზე ეკიდა. საუბედუროდ, ქართველმა ხალხმა იყუჩა და მერე, აი, რა მივიღეთ: ოლიგარქმა თავისი ალუმინის სასახლე „რაზბორკების“ ადგილად აქცია: **ჯერ იყო და, ჟურნალისტები დაიბარა — რანაირ შეკითხვებს სვამთ, მასტერკლასი უნდა ჩაგიტაროთო, მერე ექსპერტებს აყარა შავი დღე და ბოლოს ე. წ. არასამთავრობოებსაც გადასწვდა**... ერთ-ერთ კონფერენციაზე ეკლესიაზეც ისაუბრა და, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ განაცხადა: **„პატრიარქსაც შეიძლება შეეშალოს, ამიტომ ისევე შეიძლება კრიტიკა. იქაც შეიძლება შეეშალოთ, იქაც შეიძლება მოხდეს ცუდი ამბები, გაუგებრობა, დარღვევები ეკლესიაში და არის კიდეც, ჩვენ ეს კარგად ვიცით. იქაც არის და ნუ გეშინიათ ამაზე საუბრის. თუ გინდათ, რომ უკეთესი იყოს, ჩვენ უნდა ვისაუბროთ... ისინი საჭიროებენ კრიტიკას, ისინი საჭიროებენ მითითებას“.**

საერთოდ, ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისთანავე ყველას და ყველაფრის კრიტიკა დაიწყო, რესპუბლიკელების გარდა. ის ყოველთვის მწვავედ რეაგირებდა, როცა

**დოლურაში შემხტარი ციყვივით დაგვემართა, ვიტრიალეთ, ვიტრიალეთ და ბოლოს აღმოჩნდა, რომ წინ ერთი ნაბიჯითაც არ წავწეულვართ. არადა, ყველას კარგად გვახსოვს (ან რა დაგვავიწყებს) ოლიგარქის დაპირებები: 220-ლარიანი პენსია (ეს დაპირება დავით ონოფრიშვილმა უსინდისოდ უარყო, — მსგავსი არაფერი გვითქვამსო), საწვავის გაიაფება ერთი ლარით, 60 ქარხნის აშენება 2013 წლის ბოლომდე და ა.შ.**

რამე შეკითხვას დაუსვამდნენ ხიდაშელზე, უსუფაშვილზე ან რომელიმე სხვა „რესპზე“. ეს უკვე ნამდვილად იყო სიგნალი, რომ ოლიგარქს ფეხებზე ეკიდა ქვეყანაც და ხალხიც, მაგრამ საზოგადოებამ ამ შემთხვევაშიც იყუჩა. აი, როგორ გაგრძელდა მერე პროცესი: **ოლიგარქმა, მისი აზრით, მთავარი დაპირებაც პირნათლად შეასრულა და სამართლიანობა აღადგინა, ანუ ის 80 მილიონი, რომელიც წინასაარჩევნო ბატალიების დროს სააკაშვილმა „აახია“, მისხალ-მისხალ დაიბრუნა და მორჩა. სხვა დაზარალებულებს რაც შეეხება, გახსოვთ, რა განაცხადა მან ერთ-ერთ კონფერენციაზე ქონებაჩამორთმეულ ბიზნესმენებზე: გასაგებია, ამ ხალხის მიმართ კანონი დაირღვა, მაგრამ დღეს ბიუჯეტში არ არის საკმარისი თანხები, რომ მათ ეს დანაკარგები ავუნაზღაუროთო(!).**

ამასობაში გავიდა ერთი წელიც. მოახლოვდა ის დრო, როცა ხალხს, დაპირებისამებრ, „მეოცნებეთა“ პოლიტიკის სიკეთეები უნდა ეგრძნო. მწვავე შეკითხვებმა იმატა. მოსახლეობამ სანთლით დაიწყო დაპირებული ქარხნების ძებნა და... 220-ლარიან პენსიაზე ხომ, საერთოდ, საუბარიც ზედმეტია. აი, აქ უკვე ოლიგარქს სალაპარაკო აღარაფერი ჰქონდა. ჩაიკეტა ლოკოკინასავით ალუმინის სასახლეში და დაახლოებით 2-3 თვის შემდეგ პოლიტიკიდანაც წავიდა. უფრო ზუსტად, ფორმალურად წავიდა, თორემ რეალურად რუხი კარდინალი პოლიტიკური მემკვიდრეების მართვას ჩვეულებრივად განაგრძობდა. მაგალითად, **2 მაისს პარლამენტში მსხდომ თავის 104-მანდატიან „შნირს“ ანტიდისკრიმინაციული კანონი ერთსულოვნად მიაღებინა. ამით „დემოკრატიულ დასავლეთს“ დაანახვა, რომ მისთვის ე. წ. ევროპული ღირებულებები „იდეოლოგიურ წყვდიადში“ მყოფ ქართველ ხალხზე უფრო მნიშვნელოვანია...**

მოკლედ, **ხელისუფლების შეცვლიდან ორი წლის თავზე მივიღეთ: ისევ გამრუდებული სამართალი და დაუსჯელი „ნაციონალები“, რომლებიც მთავარ ოპოზიციურ ძალად იწოდებიან; მასობრივი უმუშევრობა და სიღატაკე; ბანკების მიერ ასობით და ათიათასობით გარეთ გამოყრილი მოქალაქეები; გაზრდილი კომუნალური გადასახადები და ინფლაცია; 220 ლარის ნაცვლად ისევ 150-ლარიანი პენსია, უმძიმესი სოციალური ფონი და, რაც მთავარია, ხელისუფლების სათავეში არალეგიტიმური ძალა — რესპუბლიკური პარტია.** წესით, ეს ყველაფერი საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ არსებული პოლიტიკური რეალობის მთავარ შემოქმედს, ბიძინა ივანიშვილს, რქები მომტვრეოდა და განდიდების ნირვანიდან ნაწილობრივ მაინც გამოსულიყო, მაგრამ **ოლიგარქის ამბიციებს, როგორც ჩანს, საზღვარი არ აქვს. კაცი უკვე იქამდე მივიდა, რომ „დისკუსიაში შედის“ ნიცშესთან, აკრიტიკებს ეკლესიას და კათოლიკოს-პატრიარქის განქიქების მსურველებს მწვანეს უნთებს. ის კი არა, გამოჰყავს ხელისბიჭი ღარიბაშვილის სიმამრი — თამაზაშვილი — პირდაპირ ეთერში და ალაპარაკებს, რომ ილიას მერე ივანიშვილის დონის ინტელექტუალი საქართველოს არ ჰყოლიაო.** ახლა მავანი, ,ალბათ, შემედავება, რა შუაშია ბიძინა, თამაზაშვილმა ეს სისულელე თავისით დააბრეხვაო, მაგრამ რეალურად ყველამ ვიცით, როგორც არის, — **თამაზაშვილი, ღარიბაშვილი და მთელი ეს პოლიტიკური ბალაგანი მთაწმინდის ლომთან შეუთანხმებლად, განცხადების გაკეთებას კი არა, დაცემინებას ვერ ბედავს; ასე რომ, გასაგებია, სად და ვის მიერ იწერება ეს „შპარგალკები...“**

აქვე ივანიშვილის კიდევ ერთ განცხადებას მოვიყვან, რომელიც მან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 21 დეკემბერს გააკეთა: **„მე ხომ მისაბაძი ვიყავი, სულ ელოდნენ, ივანიშვილი რაღაცას გააკეთებსო, მე არ ვარღვევდი არასოდეს კანონს, მივდიოდი იდეურად და ვაკეთებდი ბიზნესს, ირგვლივ ყველა ხედავდა, რაც ხდებოდა, როგორ ხდებოდა დიდი ფულის კეთება. ვერც ერთი კაცი ვერ იტყვის, რომ კანონი დავარღვიე. მახსოვს, სოფლის მეურნეობაში რომ წავედი, პანიკა ატყდა, რაღაცას მიაგნოო, თან მე მილიონ ჰექტრამდე მიწა შევიძინე რუსეთში, ვერ გავაგებინე მთავრობას, თორემ იქაც წარმატებას მივაღწევდი. აბრამოვიჩმა დაიწყო ჩემზე გაცილებით გვიან და მე მასზეც და სხვებზეც ძალიან დიდი გავლენა მოვახდინე“.** იმავე გადაცემაში ოლიგარქმა ამაყად დასძინა: **მთელი რუსეთი ხელოვნებაზე მე გადავიყვანეო,** მოკლედ, პოლიხრონიონ, პოლიხრონიონ, ავე, ბიძინა!..

თანამედროვე მედიცინამ მრავალი სინდრომი იცის და მეტ-ნაკლებად ყველა შესწავლილია. მაგალითად, არსებობს ყველასთვის ცნობილი დაუნის სინდრომი, რომლის დროსაც, ნაცვლად 46 ქრომოსომისა, ადამიანს დამატებით კიდევ ერთი ქრომოსომა აქვს 21-ე წყვილში. ასევე არსებობს აჰასფერის სინდრომი, როცა პაციენტი ფსიქიკურად აშლილია, დადის საავადმყოფოდან საავადმყოფოში და თხზავს ანამნეზის დრამატულ სურათებს; არსებობს მენეჯერის სინდრომი, რომელიც უმეტესად აღენიშნებათ ხელმძღვანელ პირებს (და რომლისთვისაც დამახასიათებელია შრომისუუნარობა) და არსებობს ვან გოგის სინდრომი, როცა ადამიანი მიმართავს თვითდაზიანებას.

როგორც ხედავთ, ივანიშვილის ფსიქიკური მდგომარეობა ზემოჩამოთვლილი არც ერთი პათოლოგიის სიმპტომებს არ შეესაბამება. ეს არის სრულიად ახალი, თანამედროვე მედიცინისთვის უცნობი რამ, რომელსაც შეუძლებელია, სხვა სახელი დავარქვათ, თუ არა ოლიგარქის სინდრომი. **ამ სინდრომისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: შუბლის ძარღვის გაწყვეტა ან, უკეთეს შემთხვევაში, დაჭიმვა და უკიდურესად დაწვრილება, ტვინის გახურების კოეფიციენტის კატასტროფულად მომატება, რეალობის აღქმის უნარის დაკარგვა-დაქვეითება და ა. შ.** აი, ზუსტად ამ პათოლოგიით შეპყრობილი ადამიანია დღეს „კულისებს“ მიღმა, საიდანაც იმართება სახელმწიფო და რა გასაკვირია, რომ საქართველო დაუნიზმის გზას ადგას. საუბედუროდ, აშკარაა, რომ ეს პათოლოგია პროგრესირებს, ოლიგარქის ენას ახლა გაცილებით მეტად აქვს ლაგამი მოშვებული, ვიდრე 2-3 წლის წინათ. თუმცა **ჯერ სად ვართ, დაუნები და შეპყრობილები მერე ნახეთ, თბილისში ევრომაიდანს რომ მოგვიწყობენ და ხელისუფლებაში ისევ დორბლიან სააკაშვილის ვიხილავთ. ყოველ შემთხვევაში, მედასავლეთე „ლიბერასტები“ რომ ამის გაკეთებას მაქსიმალურად ეცდებიან, წყალი არ გაუვა.** დანარჩენი, ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო, ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები და რა ზნეს მიიღებს მომავალში ახალი პათოლოგია — ოლიგარქის სინდრომი...

**ჯაბა ქვანია**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**2014-ში ქართველი საზოგადოების უმრავლესობამ გაიგო, რომ: 1.ივანიშვილის ძალაუფლება პრაქტიკულად შეუზღუდავია; 2. ივანიშვილის გაკონტროლება ძალზე რთულია. ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა დაადასტურა, რომ ივანიშვილს და მის „ოცნებას“ ამ ეტაპზე რეალური კონკურენტი არ ჰყავს.**

# როგორ ვაცილებთ ცხენის წელიწადს?

**წლის შედეგების შეჯამება მასმედიის ძველი საახალწლო ტრადიციაა და მას იმ შემთხვევაშიც კი უნდა ვუერთგულოთ, როდესაც საქმე ისეთ უცნაურ და ფრიად არატრადიციულ წელიწადს ეხება, როგორიც 2014 იყო.**



**წლის შედეგების შეჯამება მასმედიის ძველი საახალწლო ტრადიციაა და მას იმ შემთხვევაშიც კი უნდა ვუერთგულოთ, როდესაც საქმე ისეთ უცნაურ და ფრიად არატრადიციულ წელიწადს ეხება, როგორიც 2014 იყო.**

პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო „წელიწადი ივანიშვილის გადადგომის შემდეგ“, რომლის განმავლობაში საზოგადოებამ ერთი მეორის მიყოლებით სამი ეტაპი გაიარა: **ა)** ახალი პოლიტიკური რეალობის გააზრება; **ბ)** მასთან შეგუებისა და ადაპტაციის მცდელობა; **გ)** მისი უარყოფა. ზოგი კვლავინდებურად პირველ საფეხურზე დგას, ძირითადი მასა კი — მეორეზე, თუმცა მისი ნაწილი თანდათან მესამეზე ადის. ისე, საინტერესო კია, აქვს თუ არა ამ კიბეს მეოთხე საფეხური. რაც შეეხება მათ, ვინც ჯერჯერობით ვერ გაიაზრა, თუ რა სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 2012 წლის არჩევნების შემდეგ, გასაკვირი არ არის, მათი დაბნეულობა, რადგან **ამ ახალ სისტემას საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ აქვს, სხვა ქვეყნების გამოცდილებასთან პარალელების გავლება გადაულახავ წინაღობებს აწყდება, რადგან იქაც მსგავსი არაფერი უნახავთ. ალბათ, გაივლის წლები, ვიდრე პოლიტოლოგები დამაკმაყოფილებლად აღწერენ ამ უცნაურ ჰიბრიდულ რეჟიმს, რომელიც დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის მიჯნაზე აღმოცენდა.**

გასული წლის განმავლობაში საზოგადოება დარწმუნდა, რომ, პრემიერმინისტრის პოსტიდან წასვლის მიუხედავად, ხელისუფლებას კვლავინდებურად ბიძინა ივანიშვილი აკონტროლებს; ის კრიზისული სიტუაციების დარეგულირებაში არაერთგზის ჩაერია, მაგრამ, ამასთანავე, ნათლად გამოჩნდა, რომ **ძალზე რთულია ივანიშვილს რომელიმე კონკრეტულ პრობლემაზე პასუხისმგებლობა დააკისრო, რადგან, ფორმალურად, ის არც ერთ ოფიციალურ პოსტს არ იკავებს და დემონსტრაციულად არ ერევა პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების მიკრომენეჯმენტში, რომელიც მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას დაუთმო.** რა თქმა უნდა, ამა თუ იმ კრიზისის დროს ივანიშვილი შეიძლება კადრების არასწორ შერჩევაში დაადანაშაულო, მაგრამ ეს არასაკმარისია საზოგადოების მიერ ხელისუფლების იმგვარი კონტროლისთვის, რომელიც (თუნდაც განვითარებად) დემოკრატიას შეეფერება. **2014-ში ქართველი საზოგადოების უმრავლესობამ გაიგო, რომ:**

**1.ივანიშვილის ძალაუფლება პრაქტიკულად შეუზღუდავია; 2. ივანიშვილის გაკონტროლება ძალზე რთულია. ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა დაადასტურა, რომ ივანიშვილს და მის „ოცნებას“ ამ ეტაპზე რეალური კონკურენტი არ ჰყავს.**

**თუ მსგავსი „შეზღუდული პასუხისმგებლობის რეჟიმის“ სათავეში მიხეილ სააკაშვილის მსგავსი პათოლოგიური პიროვნება მოექცეოდა, საქართველოში ჩამოყალიბდებოდა უსასტიკესი დიქტატურა, რომელიც პოლ პოტის აჩრდილსაც შეაძრწუნებდა.** საბედნიეროდ, ივანიშვილს კეთილგონიერება არ ღალატობს და ეს ქმნის გარკვეულ საფუძველს იმისთვის, რომ „კეთილგონიერ ავტორიტარიზმზე“ ვისაუბროთ (განათლებული აბსოლუტიზმის არ იყოს). ხელისუფლების შეცდომებისა და ცალკეული მძიმე გადაცდომების მიუხედავად, ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოში ბიზნესს აღარ ატერორებენ, პატიმრებს აღარ აწამებენ, ადამიანის უფლებებს ისე ცინიკურად აღარ არღვევენ, როგორც ეს ადრე ხდებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, **სისტემა, რომლის ღერძს ერთი ადამიანის კეთილგონიერება წარმოადგენს, XXI საუკუნეში ფრიად მოძველებლად გამოიყურება და საზოგადოების პროგრესულ ნაწილს ვერასოდეს დააკმაყოფილებს.** ადრე თუ გვიან, ის (შესაძლოა, უნებლიეთ) უსერიოზულეს კრიზისს შექმნის, თუმცა ვინაიდან დღეს 2014 წლის შედეგებს ვაჯამებთ, ალბათ, აჯობებს, ამ თემაზე საუბარი მომავლისთვის გადავდოთ.

2014 წლის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა, ალბათ, თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ირაკლი ალასანიას გადაყენება და მისი ოპოზიციაში გადასვლაა. **ალასანიას ხშირად „ორმაგი დაქვემდებარების პოლიტიკოსს“ უწოდებდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ ის, ერთი მხრივ, ივანიშვილის გუნდის წევრი გახლდათ, მაგრამ, მეორე მხრივ, ცდილობდა, ამერიკელების რჩევების თუ სურვილების შესაბამისად ემოქმედა.** თავდაცვის მინისტრი აკეთებდა ხელისუფლების პირველ პირებთან შეუთანხმებელ განცხადებებს საქართველოში ნატოს ბაზებისა და თავდაცვითი საშუალებების განთავსების შესახებ, ბოლოს კი იმით დაასრულა, რომ პროდასავლურ ორიენტაციასთან საკუთარი თავის გაიგივება სცადა. მისი გადაყენებით პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა (რეალურად კი, ბიძინა ივანიშვილმა) მნიშვნელოვნად გააფართოვა კონტროლის ზონა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, კერძოდ კი, ისეთ საკვანძო უწყებაში, როგორიცაა თავდაცვის სამინისტრო და ეს (როგორც უნდა შეენიღბათ) ძია სემის ინტერესების ხარჯზე მოხდა. აგრეთვე, **მნიშვნელოვანია ამ მოვლენის მეორე ასპექტი — ალასანიას პარტიის გადასვლა ოპოზიციაში** (მითუმეტეს, თუ ახლო მომავალში რესპუბლიკელებიც მიჰყვებიან) მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის „ნაციონალურ მოძრაობას“, რადგან ისინი ერთი და იმავე, პროდასავლურად ორიენტირებული ამომრჩევლის გულის მოგებას ცდილობენ. ამასთანავე, **ალასანია აპირებს კონსტრუქციული ოპოზიციონერობის ახალი სტანდარტის შექმნას (რასაც ადრე გიორგი თარგამაძე აკეთებდა) და ხელისუფლებისთვის, ნებისმიერ შემთხვევაში,** ▶

**ძალზე რთულია, ივანიშვილს რომელიმე კონკრეტულ პრობლემაზე პასუხისმგებლობა დააკისრო, რადგან, ფორმალურად, ის არც ერთ ოფიციალურ პოსტს არ იკავებს და დემონსტრაციულად არ ერევა პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების მიკრომენეჯმენტში, რომელიც მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას დაუთმო**



## ჩრდილო-კორეელები «აშშ-ის იმპერიალიზმის ციტადელებს» განადგურებით დაემუქრნენ

**კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის განცხადებით, ქვეყნის არმია და ხალხი მზად არიან, „ამერიკას ეომონ ნებისმიერ სივრცეში, მათ შორის კიბერსივრცეშიც“.**

„კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საპასუხო ზომების მიღება უკვე დაიწყო. ჩვენი სამიზნე იქნება ამერიკის იმპერიალიზმის ციტადელები, რომლებიც ყველა კორეელის უკმაყოფილებას იწვევს... ჩვენ გაბედულად ვიმოქმედებთ თეთრი სახლის, პენტაგონისა და მთლიანად აშშ-ის წინააღმდეგ“, — ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გასულ კვირას აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ჩრდილოეთ კორეა კომპანია Sony Pictures-ის კომპიუტერულ სისტემებზე ჰაკერულ თავდასხმაში დაადანაშაულა. „სი-ენ-ენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამერიკის პრეზიდენტმა აღნიშნულის შესახებ განაცხადა: „მე არ ვფიქრობ, რომ ეს არის ომი, ეს არის კიბერვანდალიზმი, რაც ძალიან, ძალიან ძვირი ღირს. ჩვენ ამას ძალიან სერიოზულად ვუდგებით და შესაფერისადაც ვუპასუხებთ“.

ჰაკერულმა ჯგუფმა „მშვიდობის მცველებმა“, რომელმაც Sony Pictures-ზე განხორციელებულ კიბერთავდასხმაზე დაიკისრა პასუხისმგებლობა, განაცხადა, რომ ფილმ „ინტერვიუს“ გასვლის შემთხვევაში 2001 წლის 11 სექტემბრის მსგავს თავდასხმას მოაწყობდნენ. ამ ფილმის კინოთეატრებში გამოსვლა გაურკვეველი დროით არის გადადებული. კომედიური ჟანრის ფილმ „ინტერვიუში“, რომლის გამოსვლაც საშობაოდ იყო დაგეგმილი, ორ ამერიკელ ჟურნალისტს ჩრდილოეთ კორეის ლიდერის — კიმ ჩენ ინის მკვლელობას დაავალებენ.

მსოფლიო

## ვლადიმერ პუტინი: რუსეთის ეკონომიკა გამოვა ამ მდგომარეობიდან, მაგრამ, ყველაზე უარესი პროგნოზით, ორი წელი დაგვჭირდება



**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 18 დეკემბერს ყოველწლიური პრესკონფერენცია გამართა და ქვეყანაში შექმნილ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისზე ისაუბრა.**

„ეკონომიკაში შექმნილი ვითარება საგარეო ფაქტორებით არის პროვოცირებული, მაგრამ ვითარება ძალიან მალე გამოსწორდება, თუმცა ამისთვის, ყველაზე უარესი პროგნოზით, ალბათ, ორი წელი დაგვჭირდება“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ეკონომიკის მხრივ ვითარება უკვე 2015 წლის პირველ კვარტალში დაიწყებს გაუმჯობესებას. „რას ემყარება ჩემი ოპტიმიზმი? — ეკონომიკა აუცილებლად მოერგება ნავთობის დაბალ ფასებს“, — დასძინა რუსეთის პრეზიდენტმა.

**2014 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი საზოგადოებისთვის, ალბათ, შეიძლება შემდეგნაირად აღვწეროთ: ნათლად გამოჩნდა, რომ ის არ კმაყოფილდება იმით, რომ მისი მდგომარეობა სააკაშვილის მმართველობის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით) და მეტ პროგრესს, გაცილებით მასშტაბური რეფორმების გატარებას მოითხოვს. მას არ სურს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი იდეა მხოლოდ და მხოლოდ ნეგატივის (ძველი რეჟიმის) უარყოფა იყოს და პოზიტივისკენ, შენებისკენ და შემოქმედებისკენ მიისწრაფვის.**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ გაცილებით კომფორტული პარტნიორი იქნება, ვიდრე „ნაცმოძრაობის“ ლიდერები.**

ეს არ იყო ერთადერთი პრობლემა, რომელიც გასულ წელს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შეექმნა. მთელი რიგი ტაქტიკური, მეტწილად პროპაგანდისტული წარმატებების მიუხედავად, მან პოლიტიკური იზოლაციის გარღვევა ვერ მოახერხა. ნათლად გამოჩნდა, რომ მასთან თანამშრომლობას არც ერთი სხვა, რამდენადმე სერიოზული პარტია არ აპირებს (ვინაიდან საკუთარ რეიტინგს უფრთხილდება). **ეს ფაქტი ჩანასახშივე კლავს ნებისმიერ ოცნებას ალიასანიაზე, რომელიც არჩევნებზე ან თუნდაც „მაიდნის“ აგორების შემთხვევაში „ნაცმოძრაობას“ წარმატებას მოუტანს. დამოუკიდებლად კი მას გამარჯვება არც პირველი, არც მეორე სცენარის ფარგლებში არ შეუძლია — მისი რეიტინგის, რესურსებისა და იმ სიძულვილის გათვალისწინებით, რომელსაც „ნაციონალების“ მიმართ საზოგადოების დიდი ნაწილი განიცდის.** სწორედ ამ ადამიანების დამოკიდებულება უშლის ხელს „ნაციონალური მოძრაობის“ სრულფასოვან ინტეგრაციას ახალ პოლიტიკურ რეალობაში და ხელს უწყობს მის ჩამოყალიბებას საზოგადოების ძირითადი ნაწილისგან იზოლირებულ სექტად.

პოლიტიკურ პარტიებზე საუბრის დასასრულს, ალბათ, უნდა ითქვას, რომ **ნომინაციაში „დებიუტი-2014“ უდავოდ „პატრიოტთა ალიანსმა“ გაიმარჯვა**, რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საკმაოდ საგულისხმო შედეგი აჩვენა. თუ ასეთივე შემართებით განაგრძობენ, საპარლამენტო არჩევნებისთვის შეიძლება, კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური ელექტორატის მთავარ ფავორიტებად იქცნენ.

წინა წელთან შედარებით, მთელი რიგი **ეკონომიკური მაჩვენებლებისა გაუმჯობესდა**, თუმცა ვინაიდან პარალელურად იზრდებოდა საზოგადოების უკმაყოფილება ღარიბაშვილის მთავრობით, **კომენტატორების უმრავლესობა ამ დღეებში სტატისტიკაზე მაღლა განწყობას აყენებს (ეს ძველი ქართული ტრადიციაა), 2014 წელს აფასებს, როგორც წარუმატებელს და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას უკავშირებს**. თუ მათ შეფასებებს მოკლე ფორმულის ფარგლებში მოვაქცევთ, გამოვა, რომ **2014 ნეპოტიზმის, გაუმაძღრობისა და არაპროფესიონალიზმის წელიწადი იყო. ხოლო ვინაიდან მთავრობა საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით უიმედოდ იმპოტენტურია, მას არ ძალუძს მოსახლეობის უმრავლესობა საპირისპიროში დაარწმუნოს.**



**ალასანია აპირებს კონსტრუქციული ოპოზიციონერობის ახალი სტანდარტის შექმნას (რასაც ადრე გიორგი თარგამაძე აკეთებდა) და ხელისუფლებისთვის, ნებისმიერ შემთხვევაში, გაცილებით კომფორტული პარტნიორი იქნება, ვიდრე «ნაცმოძრაობის» ლიდერები**

გასულ წელს, მარტივად რომ ვთქვათ, ზესახელმწიფოებს ჩვენთვის არ ეცალათ, მათ დღის წესრიგში მთავარ ადგილს უკრაინის (აგრეთვე, სირიისა და ერაყის) პრობლემები იკავებდა. „ახალი ცივი ომის“ მიუხედავად, სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებული რყევები არ მომხდარა და ის „გადატვირთვის“ ერთგვარ „ნაკრძალად“ დარჩა. გამორიცხული არ არის, რომ ვაშინგტონშიც და მოსკოვშიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ კონფრონტაციის გაღრმავება ამ რეგიონში ამ ეტაპზე ადრე დაკავებული პოზიციების დაკარგვის მაღალ რისკს უკავშირდება და „კავკასიური გამბიტი“ სამომავლოდ გადადეს.

**ნატოს უელსის სამიტი საქართველოსთვის უშედეგოდ დასრულდა და არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ის ხელშესახებ პერსპექტივაში ალიანსში გაწევრიანებას შეძლებს. ამან ხელი შეუწყო ანტიდასავლური განწყობების ზრდას, რომელიც ისედაც თვალშისაცემი იყო, იმის გამო, რომ ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების სისხლისსამართლებრივ დევნას შეეწინააღმდეგა** და, ფაქტობრივად, საქართველოს ახალი ხელისუფლებისგან კანონის უზენაესობის პრინციპის უგულებელყოფა მოითხოვა. ხელისუფლებამამ ემოციების ნაწილობრივი განეიტრალება მოახერხა, როდესაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა დიდ საგარეო-პოლიტიკურ წარმატებად წარმოაჩინა. თუმცა ამ განწყობებისა და ემოციების მართვას მხოლოდ ტაქტიკური შიგაპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მთავარი კი არის ის, რომ საქართველო კვლავინდებურად რჩება ღარიბ და დაუცველ სახელმწიფოდ უსაფრთხოების გარანტიების გარეშე.



**ნატოს უელსის სამიტი საქართველოსთვის უშედეგოდ დასრულდა და არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ის ხელშესახებ პერსპექტივაში ალიანსში გაწევრიანებას შეძლებს. ამან ხელი შეუწყო ანტიდასავლური განწყობების ზრდას, რომელიც ისედაც თვალშისაცემი იყო იმის გამო, რომ ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნების სისხლისსამართლებრივ დევნას შეეწინააღმდეგა**

2014 წლის ბოლოს ყველასათვის ცხადი გახდა, რომ **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაციის პირველი ეტაპი დასრულდა**. რიტორიკა შერბილდა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დარეგულირდა, გადაწყდა რამდენიმე პრობლემური, თუმცა, არსებითად მეორეხარისხოვანი საკითხი; მეტის გაკეთება დიპლომატებს არ შეუძლიათ — **შემდეგ ეტაპზე ორი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და შეეცადონ, მოძებნონ ნიადაგი ყოვლისმომცველი კომპრომისისთვის** (რომც არაფერი გამოვიდეს, ამ ეტაპის გავლა ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია). საქართველოს ხელისუფლება არ ჩქარობს, ყურადღებით აკვირდება უკრაინის კრიზისისა და „ახალი ცივი ომის“ განვითარებას და ცდილობს, ასეთი მოლაპარაკებებისთვის მაქსიმალურ ხელსაყრელი მომენტი შეარჩიოს. ამასთანავე, მას დასავლელი პარტნიორების გაღიზიანების ეშინია, რაც განსაკუთრებით სამწუხარო იმ შემთხვევაში იქნება, თუ მოლაპარაკებები მოსკოვში უშედეგოდ დასრულდება. საბოლოოდ, ეს მიდგომა შეიძლება დაგვირგვინდეს პასუხისმგებლობისგან გაქცევით და მოლაპარაკებებზე უარის თქმით (რომელიც, სავარაუდოდ, დროის დაუსრულებელი გაჭიანურების სახეს მიიღებს), თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ეს მოლაპარაკებები და მათი შედეგები საქართველოსთვის 2015 წლის მთავარ მოვლენად იქცევა.

**2014 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი საზოგადოებისთვის, ალბათ, შეიძლება შემდეგნაირად აღვწეროთ: ნათლად გამოჩნდა, რომ ის არ კმაყოფილდება იმით, რომ მისი მდგომარეობა სააკაშვილის მმართველობის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით) და მეტ პროგრესს, გაცილებით მასშტაბური რეფორმების გატარებას მოითხოვს. მას არ სურს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი იდეა მხოლოდ და მხოლოდ ნეგატივის (ძველი რეჟიმის) უარყოფა იყოს და პოზიტივისკენ, შენებისკენ და შემოქმედებისკენ მიისწრაფვის.**

იმედია, ის ნაწილობრივ მაინც მიაღწევს სანადელს მომავალ, 2015 წელს, რომლის დადგომას მთელი გულით გილოცავთ!



## ირაკლი ღარიბაშვილი: ინტერპოლით ძებნილები უკრაინის მთავრობაში კომფორტულად მოკალათდნენ

**საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინის მთავრობაში „ნაციონალური მოძრაობის“ დანიშვნას გამოეხმაურა.**

„ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ მიერ ძებნილი, ინტერპოლით ძებნილი ადამიანები კომფორტულად არიან მოკალათებული უკრაინის მთავრობაში. ეს საზიანოა უკრაინის მთავრობისთვის, მათი იმიჯისთვის. უკრაინის მთავრობას ჩვენ მხარს ვუჭერთ, პირადად ვესაუბრე პრეზიდენტ პოროშენკოსა და პრემიერ იაცენიუკს; ვუთხარი, რომ ეს აზიანებს ჩვენს ურთიერთობებს და არ არის სასიამოვნო. მე ვერ ავუხსნი ქართველ ხალხს, რატომ შეიძლება დაინიშნოს ჩვენი მეგობარი უკრაინის მთავრობაში ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ზურაბ ადეიშვილი, რომელიც დანაშაულებრივი რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი წევრი იყო, რომლის დროსაც 300 ათასი ადამიანი გასამართლდა, ან ვანო მერაბიშვილის მოადგილე, რომელიც იყო წლების განმავლობაში იმ დანაშაულებრივი რეჟიმის გამამართლებელი. ეს, პირველ რიგში, მათთვის არის დამაზიანებელი, რადგან, რაც საქართველოში ხდებოდა, ეს იყო სასტიკი რეჟიმი. სამწუხაროა, მაგრამ ეს მათი არჩევანია, ეს არის მათი სუვერენული უფლება. როგორ შეიძლება, ალექსანდრე კვიტაშვილი, რომელმაც პრაქტიკულად დაანგრია ჯანდაცვის სისტემა საქართველოში, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი გახდეს?! ეს არის მათი არჩევანი. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ მაქსიმალურად დავეხმაროთ უკრაინის მთავრობას, მაგრამ მსგავსი ნაბიჯები არ იქნება სასარგებლო ჩვენს ურთიერთობებში“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## ქუთაისის მერიის წინ ქალაქის ბიუჯეტის მონაცემები დაწვეს

**პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გოგი წულაია ადგილობრივ ხელისუფლებას ქალაქის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქუთაისის 2015 წლის ბიუჯეტის გადახედვისკენ მოუწოდებს და ამბობს, რომ ამ საფინანსო დოკუმენტში არც ერთი თეთრი არ არის გათვალისწინებული ქალაქის განვითარებისთვის. წულაიამ, პროტესტის ნიშნად, მერიის წინ ქალაქის ბიუჯეტის დოკუმენტი დაწვა.** „20 000 ლარი ვერ მოძებნეს ბიუჯეტში იმისათვის, რომ ექსპერტები მოიწვიონ და ქუთაისის განვითარების გეგმა დაწერონ. სამაგიეროდ ილებენ პრემიებს და დადიან მივლინებებში. ეს ბიუჯეტი ქალაქის დანაცრებისკენ არის მიმართული, ამიტომ მივიღე მისი დაწვის გადაწყვეტილება,“ — განაცხადა წულაიამ, რომელმაც, პროტესტის ნიშნად, მერიის წინ ქალაქის ბიუჯეტის დოკუმენტი დაწვა. შეგახსენებთ, რომ ქუთაისის 2015 წლის ბიუჯეტი 47 მლნ ლარით არის განსაზღვრული.



რეზიუმე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რა გვეშველება? —ეს კითხვა ყველა ნაბიჯზე ისმის. თავდაპირველად ეს შეკითხვა ხალხის გულწრფელ ინტერესს გამოხატავდა, შემდეგ ირონიული ხასიათი შეიძინა, ახლა კი სარკაზმში გადაიზარდა და ყველამ იცის, რომ არაფერი გვეშველება“**

# ბედაურები აღარ არიან, ასპარეზზე ვირები გამოჯირითდნენ!

**როგორი იყო 2014 წელი? — ამ შეკითხვით მივმართეთ რამდენიმე რესპონდენტს, მათ, ვისაც თითქმის მთელი წლის განმავლობაში ვსტუმრობდით და აზრს ვეკითხებოდით ამა თუ იმ საკითხზე. ზოგი მათგანი აქტიურად არის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული, ზოგი კი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. როგორც უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი, ფილოლოგი თემურ ქორიძე ამბობს, ვერც ერთი ქართველი ვერ იტყვის, რომ კარგი წელი იყო, გარდა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებისა. გვესაუბრებიან აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი, ფილოლოგი თემურ ქორიძე და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე.**



ელიზბარ ჯაველიძე:

## რა გვეშველება?!

**ელიზბარ ჯაველიძე:**

—ილიას წინასაახალწლო სიტყვას მოვიშველიებ: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ — სასიკეთო არაფერია. ილიას სიტყვებს კიდევ ერთს დავამატებ — **რა გვეშველება? — ეს კითხვა ყოველ ნაბიჯზე ისმის. თავდაპირველად ეს შეკითხვა ხალხის გულწრფელ ინტერესს გამოხატავდა, შემდეგ ირონიული ხასიათი შეიძინა, ახლა კი სარკაზმში გადაიზარდა და ყველამ იცის, რომ არაფერი გვეშველება.** ვინც არ უნდა დაგვპირდეს, რომ „გვეშველება“, აღარავინ დაიჯერებს. ქართველმა ხალხმა რწმენა დაკარგა. ქართველმა იცის, რომ არჩევნებში მისი ხმა არ გამოხატავს იმას, რაც სურს, შედეგს ვერ აღწევს.

სისტემა, რომელიც სააკაშვილის დროს მძლავრობდა და მიმართული იყო ქვეყნის განადგურებისკენ, უცვლელად დარჩა, ადამიანებს მხოლოდ შიში გაუქრა, ქუჩაში გასვლის აღარ ეშინიათ.

სიმართლე გითხრათ, არაფრის გაგონება არ მინდა, ტელევიზორს აღარ ვუყურებ, ადამიანები, რომლებიც დედის საშოდან არ არიან გაჩენილები, ისევ გვმოძღვრავენ, ისევ ბედავენ, რომ თავიანთ აზრი თავს მოგვახვიონ.

**რამდენიმე ხნის წინათ იუსტიციის მინიტრ თეა წულუკიანს ვკითხე, „ნაცები“ ისევ რატომ ჩანან, მითითება გაქვთ ვინმესგან, ხელი არ ახლოთო? მინისტრმა არ უარყო, თქვა, რომ პატარა ქვეყანა ვართ და ხელისუფლება იძულებულია, ყველაფერს ანგარიში გაუწიოს.** ამ ანგარიშის გაწევამ, კოაბიტაციამ პოლიტიკური გვამების გაცოცხლება გამოიწვია და გივი თარგამაძე დღესაც გვემუქრება, რომ სულს ამოგვხდის, რომ სათანადოდ მოგვიზღავს ყველას. ამ სიტუაციის შემქმნელი შიგა ძალებშიც ბევრი გვყავს და გარე ძალებიც კარგად მუშაობენ.

პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილის მიმართ ნდობა დაკარგული მაქვს, არც ერთი მათგანი ხალხზე არ ფიქრობს, მათ არ ადარდებთ ქვეყნის მომავალი, ყველა დასავლეთის გადაწყვეტულებას უყურებს, რადგან იციან, რომ მათი ბედი იქ წყდება და არა აქ, არჩევნებზე.

**ყველა საზიზღრობა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება, დასავლეთისგან მოდის. ქვეყანას კი არ ჰყავს პოლიტიკოსი, რომელიც საჯაროდ იტყვის უარს ამ საზიზღრობებზე.**

თქვენ გინდათ ეს წელი შევაფასოთ? გაინტერესებთ რა შეიცვალა? გავიხსენებ ერთ ფაქტს. როგორც კი, პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ქართველი ხალხი ერთსქესიანთა ქორწინებას არ დაუშვებს, ერთ კვირაში ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს. ამის შემდეგ შეიძლება რაიმე ცვლილებაზე საუბარი?

უმადური არ ვარ, ვაფასებ იმას, რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. ამ ადამიანის გარდა, ვერავინ მოახერხებდა ქვეყანა სააკაშვილისგან გაეთავისუფლებინა, მაგრამ მხოლოდ სააკაშვილის წასვლით არაფერი შეიცვლება...

**არ შეცვლილა დამოკიდებულება განათლების სისტემის მიმართ, ნადგურდება კულტურის ძეგლები, დავით აღმაშენებლის ძეგლი სადღაც გადავდგით და მისი გადმოტანა დღემდე ვერ მოხერხდა, ველოსიპედს ვუყურებთ, ვიძლევი პატიოსან სიტყვას, თუ დედაქალაქის მთავარ მოედანზე დამონტაჟებულ ველოსიპედს არ მოაშორებენ, აფეთქდება.**

ისევ იკრძალება რელიგიის სწავლება, ისევ უტევენ ქართულ ოჯახსა და ტრადიციებს, ისევ საფრთხის წინაშე დგას მამული, ენა, სარწმუნოება. კულტურის მინისტრად ჯაზმენი დასვეს, რომელიც სააკაშვილის მარჯვენა ხელი იყო და დიდ ფულსაც შოულობდა, ის ქართულ კულტურას არ დაიცავს.

**— ორი წლის თავზე იმედგაცრუებული ხართ?**

—სამწუხაროდ, პოლიტიკოსობა ფულის შოვნის საუკეთესო საშუალებაა. მე მარგველაშვილს, ალასანიას, რესპუბლიკელებს და კიდევ ბევრ პოლიტიკოსს შორის სხვაობას ვერ ვხედავ.

გზა, საითაც მივდივართ, არის უზნეობის, ჭაობში ჩაფლვის, ერის მოსპობისკენ მიმავალი, ერი ხალხია, ქართველი მოკვდება და ერიც აღარ იარსებებს.

პოლიტიკოსი შედეგით ფასდება, წაადგება შენი ღვაწლი, როგორც პოლიტიკოსისა შენს ქვეყანას? თუ წაადგა ე.ი. გიცხოვრია, თუ არა —კარიერისტი ხარ.

15 დეკემბერს დაბადების დღე მქონდა, მეგობრებმა დამპატიჟეს, უარი ვთქვი, აღარაფერი მახარებს.

ჩვენ, ყველამ ერთად, დროულად უნდა მივაწვდინოთ ხმა ხელისუფლებას, უნდა მივუთითოთ შეცდომებზე, თუ გვიღირს — დავუდგეთ გვერდით, თუ არა — მაშინ გავაძევოთ. ქვეყანას გარეშე მტერი ჰყავს, ძლიერი მტერი, ჩვენი ბედი ჩვენს ხელში არ არის. **არ გვინდა ევროპა, რომელიც მკვლელ სააკაშვილს ტაშით ხვდება, ეს ხელისუფლებას უნდა გავაგებინოთ!** ქართული, ეროვნული საზოგადოება უნდა გაერთიანდეს.

**„ბედაურები აღარ არიან, ასპარეზზე ვირები გამოჯირითდნენ“, — ეს ჩემი სიტყვები არ არის, მე მხოლოდ ერთს დავამატებ, ვირებიც აღარ არიან, ვირთხები დარბიან და ჭირი გადააქვთ ერთი ადგილიდან მეორეზე.**

თქვენი გაზეთი ერთდერთია, რომელიც ობიექტურად აშუქებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, აზრიანია ყველა წერილი. ახალი წელი მოდის და გისურვებთ, 2015 წელი წარმატებისა და ნაყოფიერი შრომისა გქონოდეთ, ძალისხმევა, რომელსაც ამ საქმეში დებთ, დაგფასებოდეთ!

**«ანგარიშის გაწევამ, კოაბიტაციამ, პოლიტიკური გვამების გაცოცხლება გამოიწვია და გივი თარგამაძე დღესაც გვემუქრება, რომ სულს ამოგვხდის, რომ სათანადოდ მოგვიზღავს ყველას»**



თემურ ქორიძე:

## ივანიშვილის აბუჩად ასაგდები არავინ არის!

**თემურ ქორიძე:**

— ვიდრე გასულ წელს მიმოვიხილავ, მინდა, თქვენს გაზეთს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი, ასევე, ვულოცავ თქვენს მკითხველს, რომელიც არ გაკლიათ, ეს ფაქტი ძალიან სასიამოვნოა თქვენი პროფესიული პრესტიჟისთვის!

განვლილი წელიწადი არ უნდა შევაფასოთ მხოლოდ პოლიტიკური მოტივით და არც ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან. თქვენი გაზეთის მკითხველს, ალბათ, ახსოვს, საქართველოს ფაქტობრივმა მმართველმა ბიძინა ივანიშვილმა რომ გაგვაფრთხილა: პირველი ორი წელი იქნება მძიმე, 2014 წელი უკეთესობისკენ წავა, 2015 იქნება კარგი, ხოლო 2016 — ძალიან კარგიო.

**2014 წელი უძრაობის ხანა იყო ჩვენი ქვეყნისთვის, ნაბიჯი არც ერთი მიმართულებით არ გადადგმულა. ივანიშვილის მიერ გამოცხადებული კურსი, თანაბარი გარღვევის თაობაზე, რაც გულისხმობდა ურთიერთობების დარეგულირებას დასავლეთთანაც და რუსეთთანაც, არ განხორციელდა. ის, რაც გაკეთდა, ასოცირების ხელშეკრულებას ვგულისხმობ, მაშინაც მოხდებოდა, სააკაშვილი რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, თუმცა ქართველისთვის არაფერს წარმოდგენს, ხვალ, ალბათ, მეგობრობაზეც მოგვაწერინებენ ხელს.**

ვერც ერთი ქართველი ვერ იტყვის, გარდა ხელისუფლებაში მყოფისა, რომ მის ოჯახში ამ ერთი წლის განმავლობაში რაიმე სასიკეთოდ შეიცვალა. ვფიქრობ, უიმედობა უფრო გაღრმავდა, სოციალურმა აპათიამ აპოგეას მიაღწია და ამის შედეგები მომავალ წელს უფრო თვალნათელი იქნება.

რაღაც სიკეთეები, რომლებზეც ხელისუფლება გველაპარაკება, საკმარისი არ არის. მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში. ოთხი ინფარქტი მაქვს გადატანილი და კარგად ვიცი, რას ნიშნავს ექიმთან ვიზიტი, მაქვს შეხება საავთაიაქო სისტემასთანაც, ამიტომ ვერ გამამხნევებს ივანიშვილი თავისი შეძახილით, რომ ყველაფერი კარგად არის ან იქნება.

**დააკვირდით ხელისუფალთა ცინიკურ დამოკიდებულებას ხალხის მიმართ. რომ ეთქვათ, გაჭირვებაა ქვეყანაში და ამ ფაქტს გაგებით მოეკიდეთო, ჩვენ აუცილებლად გავიგებდით, მაგრამ შეხედეთ მათ მადას, ნახეთ, როგორ იზრდება მათი ხელფასები. თავისმომჭრელი მოვლენის მომსწრენი ვართ.** დღეს ჩვენ გვყავს ჯამაგირისთვის მოღვაწე ხელისუფლება. ჯამაგირისთვის ღვაწლი კი რას ნიშნავს, ვისაც აინტერესებს, „ოთარაანთ ქვრივი“ გაიხსენოს, როგორი შეურაცხყოფილია ის, როდესაც ერთადერთი შვილი მოჯამაგირედ აპირებს დადგომას... ჩვენ კი შევყურებთ ჯამაგირისთვის გამართულ მარათონს, როდესაც ხელისუფლებაში მოკალათებული ადამიანები არაფრით აღემატებიან ჩვეულებრივ ობივატელებს და მიილტვიან ფულისკენ, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ანტიხალხური ხელისუფლება გვყავს.

**გახსოვთ, ყველა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში იყო „ქამრების შემოჭერა“, არც ერთი ხელისუფლების დროს ასეთი სასაცილო არ ყოფილა ეს პროცესი, როგორც დღეს.**

ვერავითარი შეღავათია თითის გაშვერა შორეული მომავლისაკენ და ნუ ვიფიქრებთ, რომ 2030 წელს ბედნიერები ვიქნებით. ბიძინა ივანიშვილის ნათქვამის პასუხად, ყველაზე რომანტიკულ ადამიანს, ვიქტორ ჰიუგოს, მოვუსმინოთ, სწორედ მას მოვიშველიებ, თანაც ივანიშვილის მეორე სამშობლოდან — საფრანგეთიდან, იმიტომ, რომ ივანიშვილს არც ქართველი ხალხისა ესმის და არც ქართული ენისა: **„უნდა ვაღიაროთ უგულისყუროდ, რომ ინდივიდს თავისი განკერძოებული ინტერესი აქვს და შეუძლია, იშრომოს და დაიცვას ეს ინტერესი. აწმყოს ბევრი აქვს ეგოიზმის შესაწყნარებელი თვისებები. დროებით სიცოცხლეს თავისი უფლება აქვს და არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ მარტოდენ მომავალს შესწიროს თავისი** ▶

**„გვითხრეს, რომ 2015 წელი იქნება კარგი. როგორ იწყებენ კარგ წელიწადს? იწყებენ სექტემბერში და პენსიას უმატებენ 10 ლარს, თურმე კარგი წელიწადი 10 ლარი ღირს. ამ თემაზე გულგრილად საუბარი არ შემიძლია. გულგასიებული, უზომოდ შეურაცხყოფილი ვარ ხელისუფლების მხრიდან, რადგან მეუბნებიან, რომ კარგი ცხოვრება და წელიწადი 10 ლარი ღირს“**

რეზიუმე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## თამარ კიკნაძე:

# სხვის თამაშს ვთამაშობთ და საქართველოს მოსახლეობა შეცდომაში შეგვყავს

**«დააკვირდით ხელისუფალთა ცინიკურ დამოკიდებულებას ხალხის მიმართ. მათ რომ ეთქვათ, ქვეყანაში გაჭირვებაა და ამ ფაქტს გაგებით მოეკიდეთო, ჩვენ აუცილებლად გავიგებდით, მაგრამ შეხედეთ მათ მადას, ნახეთ, როგორ იზრდება მათი ხელფასები»**

**დღენი. ის თაობა, რომელსაც უფლება აქვს, დღეს გაიაროს წუთისოფელი, ვალდებული არ არის, შეამოკლოს თავისი დღენი იმ თაობათა, თავის თანასწორ თაობათა სასარგებლოდ, რომლებსაც შემდგომში ერგებათ რიგი წუთისოფლის განცდისა — ვარ და ვარსებობ! — იძახის ის ვიღაც, რომელსაც „ყველა“ ეწოდება. ყმაწვილი ვარ და სიყვარულით მიძგერს გული, მოხუცი ვარ და მოსვენება მინდა. მამა ვარ წვრილშვილისა, ვშრომობ, წარმატებებს ვიძენ, სიკეთეს ვთესავ, სახლები მაქვს გასაქირავებელი, ფული მაქვს მთავრობის სალაროში შეტანილი, ბედნიერი ვარ ცოლით და შვილით, მიყვარს ყოველივე ეს, სიცოცხლე მინდა და თავი დამანებეთ, ნუ მიმღვრევთ მშვიდობიანობას“.**

ივანიშვილის მოძღვრება ნაცადი დემაგოგიაა, ის, მეტისმეტ ექსპლუატაციას უწევს თავის ფანტაზიას, რაც მიუღებელია.

**—ფიქრობთ, რომ სულ არაფერი გაკეთებულა 2014 წელს?**

— არც არფერს მივამატებ და არც დავაკლებ, ვიხსენებ იმას, რასაც დაგვპირდნენ. მათ **გვითხრეს, რომ 2015 წელი იქნება კარგი. როგორ იწყებენ კარგ წელიწადს, იწყებენ სექტემბერში და პენსიას უმატებენ 10 ლარს. თურმე კარგი წელიწადი 10 ლარი ღირს. ამ თემაზე გულგრილად საუბარი არ შემიძლია. გულგასიებული, უზომოდ შეურაცხყოფილი ვარ ხელისუფლების მხრიდან, რადგან მეუბნებიან, რომ კარგი ცხოვრება და წელიწადი 10 ლარი ღირს.**

**არც ივანიშვილსა და არც მის მარიონეტ ხელისუფლებას ამგვარი ცინიზმი არ უნდა ეპატიოს.**

**ქართველ ხალს უფლება აქვს, რომ მომავალი წლიდან დაიწყოს საერთო სახალხო საპროტესტო აქციები, გამოსვლები. ეს გამოსვლები უნდა იყოს აღსავსე ყველა იმ უფლების განხოციელებისკენ სწრაფვით, რომელიც ქართველ ხალხს აქვს მინიჭებული და რომელიც ბრძოლით მოიპოვა. ქართველს მშვიდი ღამე არ ჰქონია, ივანიშვილივით სარჩოზე გადაგებული არ ყოფილა, შეიძლება შემცდარა, მაგრამ დაკოჟრილი ხელებით ამ ქვეყანას მაინც აშენებდა.**

მომავალი წლიდან, მიუხედავად ჩემი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობისა, გაძლევთ პირობას, რომ გავაქტიურდები, არ ვაპირებთ მე და ჩემი თანამოაზრეები, რომ ვინმეს ასეთი შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება, დაცინვა ვაპატიოთ. **ეს ეხება ყველას, ვინც თქვა, რომ 10 ლარი ღირს კარგი ცხოვრება, თანაც — სექტემბრიდან. ბატონო ბიძინა სექტემბრიდან არ იწყება 2015 წელი, იანვრიდან იწყება. ამ უხამს, დამცინავ დაპირებას არ გაპატიებთ! სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, ქართველი ხალხის ღირსებას დავიცავ. ორი პარასკევი აქვს ადამიანს და ივანიშვილის აბუჩად ასაგდები არავინ არის!**

არ შემიძლია, არ აღვნიშნო კიდევ ერთი ფაქტი: ივანიშვილს „მოქალაქესთან“ პრეტენზია აქვს, რომ ქვეყნის მთავრი მოქალაქეა. თუ მოგისმენიათ „მოქალაქისგან“ ერთი საპროტესტო სიტყვა იმის შესახებ, ბანკების თანამშრომლები ოჯახებს სახლ-კარიდან რომ აძევებენ, თუ გამოსარჩლებია რომელიმე მათგანს „მოქალაქე“? არადა, მისი ერთ-ერთი დაპირება ესეც იყო.

ჩვენი ცხოვრება ცუდად რომ მიდის მარტო ეკონომიკაზე არ არის დამოკიდებული. **დავაკვირდეთ იმ ადამიანების გამოსვლებს, რომელთაც თავი ამ ქვეყნის ბატონ-პატრონად მიაჩნიათ. ამას წინათ გამოვიდა ერთ-ერთი მათგანი და თქვა, ილია ჭავჭავაძის შემდეგ საქართველოს ივანიშვილისნაირი იტელექტუალი არ ახსოვსო. ვინც ეს თქვა, სალდაფონია. მან თავისი თავი უფრო შეურაცხყო ვიდრე ილია.** როდესაც მოქალაქე თავს აძლევს უფლებას, საჯაროდ თქვას ასეთი უხამსობა, საზოგადოებას ისღა დარჩენია, იცინოს, მაგრამ მე ამას გულგრილად ვერ ვუყურებ. საქართველოს ჰყავდა შვილები, რომლებიც ამ ქვეყნისთვის დაიფერფლნენ, თანაც, არცთუ შორეულ წარსულში და ასეთ ვითარებაში, ვიღაც ბედავს ასეთი რამის თქმას. მე, როგორც მოქალაქე, ვისურვებდი, რომ არასრულყოფილი ადამიანების ეს ხროვა — მლიქვნელები, პატარა კაცუნები, რომლებიც თვალებში შესციცინებენ ივანიშვილს, აღარ დავინახო.

ჩემს თაობას ვეტყვი, რომ აღსასრულამდე კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი გადავდგათ. 2015 წელს მე და ჩემი თაობის ადამიანები კიდევ ერთხელ გავიბრძოლებთ, რათა საქართველო ამ ობივატელებისგან გავათავისუფლოთ.

**თამარ კიკნაძე:**

— თუ განვლილ წელს გლობალური მასშტაბით განვიხილავთ, იგი საკმაოდ დაძაბული იყო და მან მსოფლიოს ახალი გამოწვევები მოუტანა. რაც შეეხება საქართველოს, აქ 2014 წელმა მეტ-ნაკლებად მშვიდად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით რუსეთსა და აფხაზეთს შორის დადებულ ხლშეკრულებას.

დღევანდელ ხელისუფლებას საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დახვდა, თანაც, მისი ენერგიის დიდი ნაწილი დესტრუქციულ ოპოზიციასთან ბრძოლაში იხარჯება. ხელისუფლება ვერ უმკლავდება მათ და იმის სათანადოდ წარმოჩენასაც ვერ ახერხებს, რაც კარგი გააკეთა, სულ თავის მართლების რეჟიმშია და თვლის, რომ პიარი არ სჭირდება. ეს კი, ჩემი აზრით, შეცდომაა. როდესაც ხელისუფლება წარმატებებზე ლაპარაკობს, იგი გულისხმობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას და ხელის მოწერას, აგრეთვე — ევროპარლამენტის მიერ ამ ხელშეკრულების რატიფიცირებას, ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებას, წარმატებულ ჯანდაცვის რეფორმას, სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ ინვესტიციებს, მაგრამ მოსახლეობისთვის ეს საკმარისი არ არის. დამთავრდა გამარჯვების ეიფორია და მოსახლეობა ხელისუფლებისაგან მოითხოვს მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რომლებიც მათ ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. 10 ლარით პენსიების გაზრდა, თანაც, სექტემბრიდან და იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო მოხელეები თავისთვის საკმაოდ სოლიდურ დანამატებს ინიშნავენ, საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს.

**— რას ფიქრობთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე და რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე?**

— ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ძალიან ცუდად შეაფასა რუსეთის ქმედება და თვლის, რომ შემდეგი ნაბიჯი ოკუპაცია იქნება... ჩემი თვალსაზრისი კი განსხვავებულია — **რუსეთს ოკუპაცია რომ სურდეს, სხვანაირად იმოქმედებდა, რუსეთმა ამ ნაბიჯით, საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესები დაიცვა, რადგან საქართველოს კურსი აღებული აქვს ნატოსკენ, რომელშიც არ გვიღებენ, მაგრამ მისი პროგრამის აქტიური განმხორციელებლები ვართ. ჩვენ განუხრელად გვიქადაგებენ, რომ რუსეთის თვითმიზანი არის საქართველოს ოკუპაცია და დამონება. სინამდვილეში კი სხვის თამაშს ვთამაშობთ და ამ რიტორიკით შეცდომაში შეგვყავს საქართველოს მოსახლეობა. დღეს საღი აზრი ძალიან იშვიათად ისმის. არ კეთდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობების რეალური ანალიზი.**

**— რა აზრის ხართ რუსეთის პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერის ან პრეზიდენტის შეხვედრაზე?**

— საერთოდ, კომუნიკაციას ალტერნატივა არა აქვს. შეხვედრა სერიოზულად უნდა დაიგეგმოს და მას წინ ნაყოფიერი მოსამზადებელი მუშაობა უნდა უძღვოდეს, ყველა დონეზე. სერიოზული მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს, აგრეთვე, კულისებს მიღმა, რადგანაც პოლიტიკის დიდი ნაწილი სწორედ ამ გზით ყალიბდება.

**— რამდენიმე თვის წინათ პრემიერს დედა არ შეუგინებია რუსეთისთვის, თუმცა არც არაფერი დაუკლია...**

— ის კონიუქტურის მიხედვით მოქმედებს, რადგანაც მისი მოქმედების არეალი შეზღუდულია. დღეს საქართველო დამოკიდებულია დასავლეთზე და მკვეთრი მოქმედებები მისთვის დამღუპველია. მით უმეტეს, როდესაც მეხუთე კოლონის ამდენი წარმომადგენელი გვყავს ხელისუფლებასა და ოპოზიციაში. თანაც რუსეთის ოფიციალური რიტორიკა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოსთვის მეტად მტკივნეულია. **ქართველებს ჰგონიათ, რომ რუსეთმა უპირობოდ უნდა დაუბრუნოს ოკუპირებული ტერიტორიები, თვითონ კი ნატოში უნდა გაწევრდეს. ასეთი რამ პოლიტიკაში არ ხდება. ყველა თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, გარდა საქართველოსი.**

**— ბიძინა ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ გარღვევა უნდა მოხდეს რამდენიმე მიმართულებით, ურთიერთობა უნდა მოვაგვაროთ ყველა მხარესთანო. ორი წელი გავიდა, რამე შეიცვალა?**

— შეიცვალა რიტორიკა და აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატში ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობა მიმდინარეობს. რეალურად კი საქართველო ისევ ძველ საგარეო კურსს განაგრძობს, ისევ ისმის რიტორიკა ნატოში გაწევრებაზე.

**— ხელისუფლება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას ყველაზე დიდ წარმატებად მიიჩნევს, წლის მოვლენა დაარქვეს და ბედნიერები არიან. ხალხს ამით რამე დაეტყობა? 2015 წელს უკეთესი ცხოვრება გვექნება?**

— ჯერ ერთი, ამ **ხელშეკრულების რატიფიცირება ყველა ქვეყანას არ განუხორციელებია, მაგრამ, ასეც რომ მოხდეს, საქართველოს ეკონომიკური კუთხით ეს არაფერში წაადგება. ევროპის ბაზარი ქართველი ხალხის კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფს. ევროპას თავისი პრობლემები აქვს.** ბაზარი გაჯერებულია ღვინით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ნახეთ, რა დღეში არიან ევროპელი ფერმერები, რომლებსაც სანქციების გამო რუსეთის ბაზარი ჩაეკეტათ. საქართველოს ეკონომიკური სივრცე ამ ეტაპზე არის პოსტსაბჭოთა ქვეყნების სივრცე.

**— ორი წელიწადია, ხალხმა ვერ გაიგო, რა უნდა ხელისუფლებას, რა გზას ადგას. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა უნდა ხელისუფლებას, საით მიდის?**

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებები ვერ უზრუნველყოფდნენ პრაგმატული პოლიტიკის გატარებას. თუ რატომ, ამის ახსნას დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ ფაქტია, საქართველომ ვერ შეძლო ბევრი პრობლემის თავიდან აცილება, რომელთა აცილებაც შეიძლებოდა. ჩვენი ხელისუფლებები, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, დინებას მიჰყვებიან, რაც ისეთ მდგომარეობაში გვაყენებს, როგორშიც დღეს ვართ. სერიოზული პრობლემაა კადრების შერჩევაც. დიპლომატიური კორპუსი ისევ „ნაციონალების“ კადრებით არის დაკომპლექტებული და რა გასაკვირია, რომ საакაშვილს ევროპარლამენტში ტაშით ხვდებიან?

ჩვენი პოლიტიკა კარგად გააზრებული და გათვლილი უნდა იყოს, რომ არ მოვყვეთ დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებაში. აუცილებლად უნდა მოგვარდეს ურთიერთობები რუსეთთან. **ის ადამიანი, რომელსაც რუსეთთან არ უნდა ურთიერთობის მოგვარება, საქართველოს მტერია.**

**— 2015 წელს შესაძლოა, რომ პროცესები სხვაგვარად წარიმართოს?**

— გლობალიზაციის პირობებში ზღვარი საგარეო და საშინაო პოლიტიკას შორის თითქმის წაშლილია, ამიტომ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება საერთაშორისო ვითარებაზე. საქართველოს მოსახლეობისთვის აქტუალურია ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება და კეთილდღეობის ამაღლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერს აზრი ეკარგება. ჩვენი მოსახლეობა დაიღალა ამდენი გაჭირვებითა და კონფლიქტებით, ამიტომ ხელისუფლების ძალისხმევა ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებისკენ უნდა იყოს მიმართული და არა პოლიტიკური ელიტის კეთილდღეობისკენ.

ვისურვებდი, რომ 2015 წელი ჩვენთვის სიმშვიდისა და კეთილდღეობის წელი ყოფილიყოს!

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**



თამარ კიკნაძე:

**«რუსეთს ოკუპაცია რომ სურდეს, სულ სხვანაირად იმოქმედებდა, რუსეთმა ამ ნაბიჯით საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესები დაიცვა, რადგან საქართველოს კურსი ნატოსკენ აქვს აღებული, რომელშიც არ გვიღებენ, მაგრამ მისი პროგრამის აქტიური განმხორციელებლები ვართ»**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„განცხადებები, რომლებსაც დღეს სააკაშვილი აკეთებს, სამართლებრივ ჩარჩოებს სცდება, განსაკუთრებით — როცა საქმე შეიარაღებულ ძალებს ეხება. როგორ შეიძლება, მოუწოდებდე ჯარს, არ დაემორჩილოთ საქართველოს კანონმდებლობას, მთავარსარდლობას და წამოდით, უკრაინაში იბრძოლეთო?!“**

*გია მეფარიშვილი:*

# ომი მოხდა, დავკარგეთ ტერიტორია, ამის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ წინა ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური კურსი წარმატებული იყო?

**გასული წლის მნიშვნელოვან მოვლენებსა და მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე სამართლის დოქტორი, პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი და ყოფილი გენერალური პროკურორი გია მეფარიშვილი გვესაუბრება.**



**— ბატონო გია, როგორ შეაფასებთ 2014 წელს განვითარებულ სამართლებრივ-პოლიტიკურ პროცესებს? ეს წელიწადი ახალი ხელისუფლებისთვის მმართველობის მეორე წელი იყო და შეიძლება ერთგვარად შევაჯამოთ კიდეც მისი საქმიანობა. ხელისუფლების შეცვლასთან ერთად როგორ შეიცვალა ვითარება — გამართლდა საზოგადოების მოლოდინი?**

— 2014 წელი ურთულესი წელიწადი იყო საქართველოს ისტორიაში და მან საკმაოდ პესიმისტური კვალი დატოვა. საქართველოსთვის ყველაზე მთავარი და მტკივნეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა და ამ მიმართულებით წელს პოზიტიური არაფერი მომხდარა, პირიქით — ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მდგომარეობა არ გამოსწორებულა — ლტოლვილები მშობლიურ კერაზე არ დაბრუნებულან და, რაც მთავარია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგენილა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას: 2014 წელს მთავრობას არ შეეძლო ამ ურთულესი პრობლემის მოგვარება, მაგრამ გარკვეული შედეგები, თუნდაც მოლაპარაკებების დონეზე, მაინც უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, სიტუაცია გაყინულია. ვერ მოხერხდა დიალოგი რუსეთისა და საქართველოს ლიდერებს შორის, არადა, **ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გასაღები რუსეთშია.** საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კარგია, მაგრამ, **თუ საქართველომ ვერ შეძლო დიალოგის წარმართვა მეზობელთან, რუსეთის ფედერაციასთან, არაფერი გამოვა.**

ახალი ხელისუფლების საქმიანობაში აღსანიშნავია დადებითი მომენტებიც: დაიწყო ქართული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი; ზრუნვა — აგრარულ საკითხებსა და ქართულ სოფელზე; დეპოლიტიზაციის პროცესი — სამართალდამცველ ორგანოებში, თუმცა იქ სიტუაციის შეცვლას მუხლჩაუხრელი შრომა და დიდი დრო დასჭირდება. ამ ყველაფრის მიუხედავად, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომლებსაც ხელისუფლებამ თავი ვერ გაართვა. რაც მთავარია, სამართლიანობა არ აღდგენილა, ადამიანებისთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონება არ დაუბრუნებიათ, კვლავ მძიმეა სოციალური ფონი... **სამართლიანობის აღდგენის იგნორირება ხელისუფლების დიდი მარცხია.**

წელს აქტუალური იყო **სატელეფონო საუბრების მოსმენის საკითხი.** განსაკუთრებით აქტიურობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი მთავარი მოთხოვნა იყო ის, რომ პოლიციას არ უნდა ჰქონოდა სატელეფონო საუბრების მოსმენაზე წვდომა. საქართველოს მთავრობა კი პირიქით — ამტკიცებდა, აუცილებელია საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფადო. ვფიქრობ, **ამ საკითხზე უნდა შექმნილიყო სპეციალური პროკურორის თანამდებობა, რომელიც კანონის შესრულებაზე განახორციელებდა ზედამხედველობას.** მერწმუნეთ, არასამთავრობო ორგანიზაცია ან რომელიმე კომისია ამას თავს ვერ გაართმევს. დღეს სამართალდამცველებს ამა თუ იმ მობილურ კომპანიაში შესვლა საერთოდ არ სჭირდებათ, ისე შეუძლიათ სატელეფონო საუბარი მოისმინონ, ამის საშუალებას იძლევა სპეციალური აპარატურა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს.

რაც შეეხება **ამჟამინდელ ხელისუფლებას, მიმაჩნია, რომ მან თავისი რესურსი პრაქტიკულად ამოწურა და ერთადერთი გამოსავალი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდება, ვინაიდან კრიზისი ნათლად ჩანს.**

მიმდინარე წელს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელიც კონსტიტუციის ცვლილებებსა და დამატებებზე მუშაობს, თუმცა აღვნიშნავ, რომ საკმაოდ უხერხული მდგომარეობაა — კონსტიტუციაში უკვე სამოცამდე ცვლილებაა განხორციელებული, მხედველობაში მაქვს 1995 წლის კონსტიტუცია, და ახლა კვლავ მზადდება ცვლილებების პაკეტი. როგორც ჩანს, კონსტიტუცია კიდევ ერთხელ გადასწორდება. სამწუხაროდ, ეს არც პირველი იქნება და არც ბოლო...

**— იურისტების განცხადებით, კონსტიტუციაში ცვლილების ხშირად შეტანა გაუმართლებელია.**

## «პუტინმა განაცხადა, დიალოგი დაიწყეთ აფხაზებთან და ოსებთანო, რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თუ რუსეთმა საშუამავლო ფუნქცია არ დაიკისრა, ეს მოლაპარაკებები არ გაიმართება»

— კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი კანონია, სტაბილური კონსტიტუცია კი — ქვეყნის სტაბილური განვითარების საფუძველი. თუმცა, რეალურად ჩვენ არც სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა გვაქვს და არც — ეკონომიკური. კანონშემოქმედებით საქმიანობა კი პოლიტიკური პროცესების სარკეა. 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია რამდენჯერმე გადაასწორეს, განსაკუთრებით — 2003-2011 წლებში, მოარგეს ცალკეულ პიროვნებებს. არ მინდა დავიჯერო, რომ ანალოგიური რამ მოხდება ახლაც. იმ ცვლილებების მიმართ, რომლებიც დაახლოებით 2015 წლის მაისისთვის უნდა განხორციელდეს, დიდი ოპტიმიზმით განწყობილი არ ვარ.

**— თუ ითვალისწინებს ხელისუფლება საზოგადოების, იურისტების მოსაზრებებს?**

**— საზოგადოება შუაზეა გახლეჩილი. უფროსი და უმცროსი თაობები ერთმანეთთან ჰარმონიულ თანამშრომლობას ვერ ახერხებენ.** დააკვირდით, სახელმწიფო სამსახურებში ისევ სულ ახალგაზრდები არიან. ეს ძალიან კარგია, მაგრამ პოზიტივს ვერ შექმნის, თუ თაობებს შორის თანამშრომლობა არ შედგა. იურისტები, რომლებიც ახლა კანონშემოქმედებითი საქმიანობით არიან დაკავებულნი, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენენ და შედეგიც შესაბამისია.

**— პრემიერმა ღარიბაშვილმა პროკურატურაში რეფორმების დაწყებასა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ განაცხადა...**

— სერიოზულად ვარ შეშფოთებული პროკურატურის გამო. ვერ გეტყვით, როგორი სამუშაო ჯგუფი შეიქმნება, ვინ იქნებიან მისი წევრები, მაგრამ **მათ მიმართ, ვინც ემზადებიან ამ ჯგუფში სამუშაოდ, ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი. მე, როგორც ერთ-ერთ „ჩარეცხილ“ პროფესორს, მერჩივნა, ჯგუფში ყოფილიყვნენ იმ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ამ სტრუქტურასთან და პროფესიონალურად იმუშავებდნენ ამ საკითხებზე,** მაგრამ საკითხი არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე წყდება.

**— რატომ ვერ მოახერხა პროკურატურამ თუნდაც ვანო მერაბიშვილის ან ბაჩო ახალაიას გახმაურებულ საქმეებზე მყარი არგუმენტების წარმოდგენა?**

— ეს რთული თემაა. ყველაფრის დაბრალება პროკურატურისთვის არ იქნება მართებული. მას თავისი შეცდომებიც ეყოფა. **პროკურატურას არ ჰქონდა ბერკეტები ამ პროცესების წარმატებით დასაძლევად. იყო უხეში საკადრო შეცდომები, პოლიტიკური ზეწოლა, გაუაზრებელი კანონმდებლობა, რომელიც ძალიან მაფიქრებს, განსაკუთრებით — კანონი პროკურატურის შესახებ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.** ამ პირობებში დეპოლიტიზებული პროკურატურის შექმნა ურთულესი ამოცანაა.

**— საქართველოს პრემიერი დაეთანხმა რუსეთის პრეზიდენტის წინადადებას დიალოგის დაწყებაზე, თუმცა განაცხადა, რომ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ შეხვედრა შეხვედრისთვის. შესაძლებლად მიგაჩნიათ ამ შეხვედრის გამართვა და რას უნდა ველოდოთ?**

— მგონია, რომ ეს შეხვედრა არ გაიმართება, რადგან ვერ ვხედავ რეალურ პირობებს. ჩემი პროგნოზი საკმაოდ პესიმისტურია, მაგრამ ამის საფუძველს მაძლევს ის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც ქართულ-რუსულ ურთიერთობებში არსებობს. დიახ, ქართველი და რუსი საზოგადოებები ითხოვენ, ურთიერთობის მოგვარებას, მაგრამ, ვფიქრობ, ეს პროცესი უკვე ძალიან დაგვიანებულია. თუმცა მხარდაჭერას გამოვუცხადებდი საქართველოს ლიდერებს, თუ ასეთი შეხვედრები და მოლაპარაკებები დაიწყებოდა, რადგან, როდესაც შენს უკან ხალხი და ქვეყანა დგას, ბუტიაობა გამოსავალი არ არის. **პუტინმა განაცხადა, დიალოგი დაიწყეთ აფხაზებთან და ოსებთანო, რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თუ რუსეთმა საშუამავლო ფუნქცია არ დაიკისრა, ეს მოლაპარაკებები არ გაიმართება. რუსეთი კი ამას არ გააკეთებს, რადგან ამ რეგიონების დამოუკიდებლობა უკვე აღიარა.** მოთხოვნა კი, უკან წაილოს თავისი სიტყვები, არარეალური იქნება. ჩნდება კითხვა — რა პირობებით უნდა გაიმართოს ეს შეხვედრა, როცა სრულიად იგნორირებულია რუსეთთან ურთიერთობის საკითხები? სამწუხაროდ, ქართული დიპლომატია სათანადო დონეზე არ დგას.

**— თუმცა წინა ხელისუფლება საკმაოდ აქტიურად მუშაობდა საგარეო პოლიტიკური მიმართულებით...**

— „ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო პოლიტიკა რუსეთის მიმართ სრული კატასტროფა იყო, რაც 2008 წელმა დაადასტურა. ასე რომ, ვერ გავიზიარებ ზოგიერთი ექსპერტისა და პოლიტოლოგის მოსაზრებას, თითქოს „ნაციონალები“ ხელისუფლებაში ყოფნისას რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად ინტენსიურად მუშაობდნენ. **ომი მოხდა, დავკარგეთ ტერიტორია, ამის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ წინა ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკური კურსი წარმატებული იყო?**

რაც შეეხება ხელისუფლებაში „ნაციონალების“ დაბრუნებას, 2012 წელს „ნაციონალურ მოძრაობას“ ქართველმა ხალხმა ერთხმად უთხრა — არა! მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება სუსტია, „ნაციონალები“ ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდებიან. ვიღაცის მიერ გარედან თავსმოხვეული პოლიტიკური ძალა, თუ მას მოსახლეობამაც არ დაუჭირა მხარი, ხელისუფლების სათავეში ვერ მოვა. ხალხი კი „ნაციონალებს“ მხარს აღარ უჭერს. **„ნაციონალური მოძრაობა“, გარკვეული ტრანსფორმაციის შემდეგ, შესაძლოა, ახალ პოლიტიკურ ძალად მოგვევლინოს.**

**— „ნაციონალები“ ხელისუფლებას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მან უფრო მკვეთრი პოზიცია არ გამოხატა უკრაინის მოვლენების მიმართ. კანონიერი იყო მათი მოწოდება ქართველი ჯარისკაცებისადმი, იმსახურონ უკრაინის ჯარში?**

— ერთ-ერთი საკითხი, რომელშიც ვეთანხმები ხელისუფლებას, უკრაინის საკითხია. უკრაინა ჩვენი მოძმე ქვეყანაა და მხარში უნდა ამოვუდგეთ, დავეხმაროთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებში, მაგრამ, როდესაც სამხედრო მხარდაჭერაზეა საუბარი, სიფრთხილეა საჭირო. საქართველო სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში არ უნდა ჩაერიოს. ან რა სამხედრო დახმარების პოტენციალი აქვს ჩვენს ქვეყანას? ეს ჩვენი საქმე არ არის.

## «სამართლიანობის აღდგენის იგნორირება ხელისუფლების დიდი მარცხია»

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

**რატომ უნდა იზრუნოს ბიუჯეტმა ყველა იმ ადამიანზე, რომელთაც უცებ მომღერლობა, მსახიობობა, პოეტობა, მხატვრობა ან რამე მსგავსი მოუნდება? რატომ დამკვიდრდა საქართველოში ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური ტენდენცია, რომ ყველა, ვისაც თავი „ხელოვანად“ მიაჩნია, სახელმწიფოს და ბიუჯეტს აუცილებლად რაღაცას სთხოვს? ხვალ სრულიად საქართველოს მოსახლეობამ პრეტენზია რომ განაცხადოს, — ხელოვანი ვარო — ეს საწყალი ბიუჯეტი უნდა ადგეს და ყველა დააფინანსოს?**



ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიძინა — დიდი ინტელექტუალი? რატომ, ბატონო?


Also sprach Zarathustra.
Ein Buch für Alle und Keinen von Friedrich Nietzsche.



## ანუ რას ვერ იტყოდა ზარათუშტრა?

**აი, ასეთი მეცნიერული განწყობები მომიტანა გასულ კვირაში სხვადასხვა ტელევიზიაში ნანახისა და მოსმენილის გააზრებამ. განწყობა იყო საერთო, თორემ მეცნიერებათა დარგები, იცოცხლე, მრავალფეროვანი — დაწყებული არქეოლოგიითა და დამთავრებული ღრმა ფილოსოფიით, მაგრამ მე მაინც ფიზიკით დავიწყებ.**

ადამიანმა ფიზიკურად რომ იარსებოს, საჭიროა იკვებოს. თქვენ წარმოიდგინეთ, კვება სჭირდება ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად მისი პროფესიისა. მართალია, ჩვენი ე.წ. ბომონდის წარმომადგენლებს ხშირად ზეწარმოშობის ფენომენად მოაქვთ ხოლმე თავი, მაგრამ საახალწლო დღეებში მაინც შეეპარებათ ხოლმე ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტეები და ახსენდებათ, რომ სრულიად ჩვეულებრივი ადამიანებივით სჭირდებათ გარკვეული თანხა საახალწლო სუფრისა თუ კიდევ სხვა „ჩვეულებრივადამიანური“ მოთხოვნილებებისთვის...

და მოხდა კიდეც „დიდი აფეთქება“ ამ საახალწლოდ ქართულ პოპბომონდში.

ფიზიკოსთა ნაწილი ამტკიცებს, „დიდმა აფეთქებამ“ შექმნა სამყაროო. მანამდე მხოლოდ „მტვერი“ იყოო და ეს მტვრის ნაწილაკები ისე „ამბიციურად“ შეეჯახნენ ერთმანეთს, ამხელა სამყარო წარმოქმნესო... არა, კაცო, რა ღმერთი და რისი ღმერთიო!

რატომღაც ყველა უპასუხოდ ტოვებს კითხვას — **აი, ეგ მტვერი ან თუნდაც მისი ნაწილაკები ვინ შექმნა და საიდან მოვიდა?**

ეს კითხვა წლების განმავლობაში უპასუხოდ არის დატოვებული როგორც ფიზიკაში, ასევე ქართულ ბომონდში, ანუ მართლაც არავინ იცის, საიდან მოვიდა მთელი ეს მტვერი თავისი ნაწილაკებიანად, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი, აი, ასე — ხმაურიანად ეჯახებიან ხოლმე ერთმანეთს და გარკვეულ „სამყაროებს“ წარმოქმნიან...

ამჯერად „ნაწილაკთა დაჯახება“ მოხდა თემაზე: ვინ უნდა იმღეროს ბიუჯეტით დაფინანსებულ კონცერტებზე და ვინ — არა...

საზოგადოდ, როგორც ფიზიკაში, ქართულ ბომონდშიც დადასტურდა, რომ ეს მტვრის ნაწილაკები უწესრიგოდ მოძრაობენ ხოლმე და როდის, რატომ და რა მიზეზით დაეჯახებიან ერთმანეთს, არავინ იცის.

აბა, დაუკვირდით, ამავე მიზეზით ისინი გასული 10 წლის განმავლობაში არ დაჯახებიან ერთმანეთს, ხმაც კი არავის ამოუღია, „აფეთქებაზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ! **აი, ასე მშვიდად იგებდნენ სახელმწიფო ტენდერებს „ნაციონალების“ მომხრე და ტაშისმკვრელი მომღერლების შპს-ები და მერე ბიუჯეტის ფულით ამღერებდნენ ასეთივე „პოლიტიკურად მისაღებ“ მომღერლებს... და იყო სრული სიმშვიდე და ჰარმონია... არავინ ინტერესდებოდა „პოლიტიკურად მიუღებელ“ მომღერალთა ბედით და, თუკი ისინი პრეტენზიას გამოთქვამდნენ, არც ჟურნალისტები და ტელევიზიები აქცევდნენ ყურადღებას და შესაბამისად, არც არანაირი „დიდი აფეთქებები“ არ ხდებოდა...**

ასეა თუ ისე, საინტერესოა, რატომ უნდა იზრუნოს ბიუჯეტმა ყველა იმ ადამიანზე, რომლებსაც უცებ მომღერლობა, მსახიობობა, პოეტობა, მხატვრობა ან რამე მსგავსი მოუნდება? რატომ დამკვიდრდა საქართველოში ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური ტენდენცია, რომ ყველა, ვისაც თავი „ხელოვანად“ მიაჩნია, სახელმწიფოს და ბიუჯეტს აუცილებლად რაღაცას სთხოვს?

ხვალ საქართველოს მოსახლეობამ პრეტენზია რომ განაცხადოს, — ხელოვანი ვარო — ეს საწყალი ბიუჯეტი უნდა ადგეს და ყველა მათგანი დააფინანსოს?

თუ არადა, მაშინ **რა კრიტერიუმით უნდა დავადგინოთ, ვინ არის რეალურად „ხელოვანი“? — ის ვისაც „ხალხი აღიარებს“, თუ ის, ვისაც ტელევიზიები გამოაჩენენ ხშირად ეთერში?**

რა ვიცი, ვფიქრობ, რომ სახელმწიფოსთვის „ხელოვანთა დაფინანსების“ მოთხოვნა ელემენტარული სისულელეა...

აქვე მიჩნდება ასეთი უცნაური კითხვა — ნეტავ, რას იტყოდა ამ ყველაფერზე ზარათუშტრა?

**საინტერესოა, შეძლებს თუ ვერა ქართველი საზოგადოება ამ უმარტივესი ამოცანის ამოხსნას: არის ერთი კაცი, რომელიც ნიცშეს კითხულობს და არ ეთანხმება, ამიტომ აპირებს, დაწეროს თავისი წიგნი და შეცვალოს ნიცშეს მოსაზრებები. იგივე კაცი კითხულობს «ნაციონალების» მიერ დატოვებულ საშინელ საარჩევნო კანონს, ასევე სხვა კანონებსაც და ეთანხმება... ყოველ შემთხვევაში, არც შეუცვლია და არც მომავალში აპირებს მათ შეცვლას. აბა, ვინ არის ეს კაცი?**

ეს კითხვა კიდევ ერთმა ქართულმა დიდმა აფეთქებამ გამიჩინა!

საქმეც ის არის, რომ **ზარათუშტრა გასული კვირა დღის შემდეგ კიდევ დიდხანს ვეღარაფერს იტყოდა, რადგან „პირველ არხზე“ გასული გადაცემის შემდეგ აუცილებლად გაოგნდებოდა და ჩაუვარდებოდა ენა!**

„მე ვკითხულობ ნიცშეს, მის კრიტიკას, ადამიანზე ბევრი აქვს დაწერილი. სიმართლე გითხრათ, ბევრ რაღაცეებში არ ვეთანხმები მას და ვფიქრობ, დავწერო წიგნი, სადაც ამ ყველაფერს ჩამოვაყალიბებ, რაში არ ვეთანხმები მე ნიცშეს“.

აქ, მოდით, თავი დავანებოთ ახუნტრუცებულ-აღფრთოვანებულ წამყვან ქალბატონს, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის ამ ფრაზით თავისი აღმაფრენა რაღაც ფრანგული ფრაზის წამოყვირებით გამოხატა და ბიძინას ისეთი თვალებით შეხედა, ზარათუშტრა, ალბათ, რამეს იტყოდა კი არა, გული წაუვიდოდა ზედმეტი მღელვარებისგან...

სიმართლე გითხრათ, **ამ ზეინტელექტუალურმა საუბარმა ელიავას ბაზრობა გამახსენა...**

პარადოქსია? ახლავე აგიხსნით — ამ ბაზრობის მიმდებარედ მანქანით თუ გაივლით და ოდნავ შეანელებთ სვლას, იმ წამსვე შემოგეხვევიან ადამიანები, რომლებიც სარემონტო სამუშაოებს გთავაზობენ. კერძოდ, რომელ სარემონტო სამუშაოებს? სად — ინტერიერში თუ ექსტერიერში? რა ტიპის — სანტექნიკის, თერმო და ჰიდროიზოლაციის თუ „მალიარკის“? უფ! მოგცლიათ ერთი! ნებისმიერის! ანუ, ისინი თბილისში ასე ძალიან ცნობილი „ყველაფერშიკები“ გახლავან...

თუმცა მათი მაინც მესმის — ადამიანებს უკიდურესად უჭირთ, ორი კაპიკის შოვნა უნდათ და ყველაფერზე მიდიან.

**მაგრამ, ვერაფრით გავიგე, ადამიანს, რომელსაც აქვს 7 (ან მეტი) მილიარდი, რომელმაც ჩამოიშორა მთავარი პოლიტიკური მტერი და არ აწუხებს არავითარი პრობლემა, რაში სჭირდება ეს „ყველაფერშიკობა“?**

ბიძინა — ბიზნესმენი? კი, ბატონო!

ბიძინა — ლიდერი? კი, ბატონო!

ბიძინა — უნარიანი „ფულისმშოვნელი“? კი, ბატონო!

ბიძინა — ექსპერტი ეკონომიკასა და ფინანსებში? კი, ბატონო!

**ბიძინა — დიდი ინტელექტუალი? რატომ, ბატონო?**

**რისთვისღა გჭირდება, შე კაი დედმამიშვილო, ეს ხელოვნების, ფილოსოფიური მეცნიერების, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და მომავალში, შესაძლოა, გეოგრაფია-გეოდეზიის, კვანტური ფიზიკის, არქეოლოგიის ექსპერტისა თუ „მარკ-შეიდერის“ ანდა „გაფანტულ მეცნიერებათა მაგისტრის“ სტატუსი?**

არადა, აუდიტორია, საზოგადოება აფეთქდა! ასეთი „დიდი აფეთქებები“, ფაქტობრივად, ყოველთვის მოჰყვება ხოლმე ქართველი ხალხის მორიგი „ბელადისა“ და კერპის სადმე გამოჩენას!

**„ვაიმე, რა კარგი რესპონდენტია!“ — აღფრთოვანებული არიან მის მიერ დასაქმებულ-პატივნაცემი ჟურნალისტები! „ვაიმე, რა ღირსეული მოქალაქეა!“ — გიჟდებიან არც ისე ღირსეული მოქალაქენი! „ნახეთ რა საყვარელიაააააა!“ — შესძახებენ ისინი, ვისთვისაც, საზოგადოდ, „საყვარელია“ ხოლმე ყველა, ვინც ხელისუფლებაში მოდის... ვიდრე რაიმე პრობლემა პირადად მათ ან მათ ოჯახებს არ შეეხება...**

და ეს გოიმური — „უცხო ენები იცის!“ „პიანინოზე უკრავს“ — აღფრთოვანებები, უკვე 25 წელიწადია, მოსდევს და მოსდევს ქართულ საზოგადოებას... თავისივე ბუნებრივი გაგრძელებით — რამდენიმე წელიწადში მძიმე იმედგაცრუებითა და დეპრესიით!

არადა, **გაცილებით სწორი იქნებოდა, საზოგადოება უფრო მარტივად უდგებოდეს ასეთ თემებს და „ლიდერებისგან“ სულ სხვა, პრაქტიკულ პასუხებს ითხოვდეს და არა „როიალზე დაკვრის“ ცოდნას ანდა რომელიმე „მძიმე“ ფილოსოფოსის ნაშრომებში ღრმა წვდომას.**

მაგალითად, საინტერესოა, შეძლებს თუ ვერა ქართველი საზოგადოება ამ უმარტივესი ამოცანის ამოხსნას: **არის ერთი კაცი, რომელიც ნიცშეს კითხულობს და არ ეთანხმება, ამიტომ აპირებს დაწეროს თავისი წიგნი და შეცვალოს ნიცშეს მოსაზრებები.**

**იგივე კაცი კითხულობს „ნაციონალების“ მიერ დატოვებულ საშინელ საარჩევნო კანონს, ასევე, სხვა კანონებსაც და ეთანხმება... ყოველ შემთხვევაში, არც შეუცვლია და არც მომავალში აპირებს მათ შეცვლას...**

**აბა, ვინ არის ეს კაცი?**

პრიზიც შესაბამისია: სწორი პასუხის ავტორს მაგრად „დაერხევა“ და ვერასოდეს დაიწყებს მუშაობას ვერც ერთ საჯარო უწყებაში!

აბა, როგორ ფიქრობთ, გაბედავს ქართველი საზოგადოება ამ ამოცანაზე სწორი პასუხის გაცემას? ან სულაც, ასეთი ამოცანის თქმას მაინც გაბედავს? ან სულაც იმას მაინც მიხვდება, რომ ასეთი „ამოცანები“ უნდა დასვას საზოგადოებამ და არა რომელიმე ლიდერის მიერ „პოსტმოდერნიზმისა“ თუ „იმპრესიონიზმის“ კარგი ცოდნით, „როიალზე დაკვრით“ ან „ბალგარკის“ ოსტატურად გამოყენებით მოიხიბლოს!

აი, მასას, ხალხს თუ ბრბოსაც მხოლოდ მაშინ დაერქმევა „საზოგადოება“, როდესაც ის ასეთ რაღაცებს გაიაზრებს, მიხვდება და შესაბამისად იმოქმედებს!

მანამდე კი, **ვიდრე ქართველი „ობივატელი“ მხოლოდ ხბოს აღტაცებას გამოხატავს, აბა, ზარათუშრტამ რაღა უნდა თქვას?**

ამიტომაც, სტატიის ბოლოს, ყოველგვარი განხილვისა და თემის გაშლის გარეშე, მხოლოდ შეგახსენებთ: საქართველოში მომხდარი ერთადერთი მართლა დიდი აფეთქება, ეს ჩვენი საამაყო კულტურული მემკვიდრეობის — საყდრისის ვანდალური აფეთქება იყო!

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაფიქრებულხართ ოდესმე, რა არის სინამდვილეში პატრიოტიზმი? — ის, რაც გარშემო მყოფთა თვალში სამშობლოზე შეყვარებულის იმიჯს შეგიქმნით, თუ ის, რაც თქვენს სამშობლოს რეალურად მოუტანს მოცემული კონკრეტული მომენტისთვის დადებით შედეგს?**

# ურაპატრიოტიზმი, ანუ ტვინმოჩლექილთა ენისტლიკინი

**მართლა ბევრი ვიფიქრე და კარგა ხანს ბოლთის ცემაც დამჭირდა ოთახში, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებით მივუჯდებოდი კომპიუტერს და ამ ტექსტის წერას დავიწყებდი. არა, ტექსტზე ბევრი ნამდვილად არ მიფიქრია, აქ დიდი საფიქრალიც არაფერია... უბრალოდ, ზუსტად ვიცი, რა ამბავი და რა ტიპის კომენტარები მოჰყვება ამ ტექსტს და იმიტომ.**



ასეთ შემთხვევებში კომენტატორები ორი ტიპისანი არიან:

1. ადამიანები, რომლებიც **ურაპატრიოტიზმის** დამკვიდრებაში ფინანსურად არიან დაინტერესებულნი;

2. ადამიანები, რომლებიც სწორედ ამ ფინანსურად დაინტერესებულთაგან წარმოებულ პროპაგანდას ალალად, მაგრამ ძალიან ბრმად აჰყვებიან და ერთგვარ **გაუაზრებელ პატრიოტებად** გვევლინებიან.

პირველ კატეგორიასთან საუბარს აზრი რომ არ აქვს, ყველანი ვხვდებით. მათ საკუთარი კონკრეტული ფინანსური ინტერესები აქვთ და თითქმის დარწმუნებული ვარ, იციან კიდეც, რა მავნებლობასაც სჩადიან ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე. ისინი სრულიად გააზრებულად მოქმედებენ და შესანიშნავად იციან, რომ არავითარი პატრიოტიზმი მათ სიტყვებსა და საქციელში არ არის, უბრალოდ, მათი მიზანია, სხვებზე მოახდინონ ზეგავლენა.

ამიტომაც უფრო მეტად მინდა, სწორედ ამ „ალალ", მაგრამ ამასთანავე, ჩემი აზრით, „გაუაზრებელ" პატრიოტებს ვკითხო: **დაფიქრებულხართ ოდესმე, რა არის სინამდვილეში პატრიოტიზმი? — ის, რაც გარშემო მყოფთა თვალში სამშობლოზე შეყვარებულის იმიჯს შეგიქმნით, თუ ის, რაც თქვენს სამშობლოს რეალურად მოუტანს მოცემული კონკრეტული მომენტისთვის დადებით შედეგს?**

„რუსეთთან ენისმოჩლექით საუბარი არ შეიძლება!" — ამაყად გაიმეორა ამ დღეებში დავით ბერძენიშვილმა ცნობილი ქართველი ურაპატრიოტების მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში დამკვიდრებული „ზეპატრიოტული" ფრაზა და გახარებულმა განაგრძო ჩვენი დამოძღვრა იმის თაობაზე, რომ, „როგორც ესტონეთია მშვიდად და ყოჩაღად, რადგან ნატოთია დაცული, ასევე უნდა ვიყოთ ჩვენც!"

ესტონეთსა და ნატოს მოგვიანებითაც მივუბრუნდებით, მაგრამ ჯერ ამ სრულიად უაზროდ აჩემებულ ფრაზას, მინდა, ჩავუკვირდეთ — „რუსეთთან ენისმოჩლექით საუბარს შედეგი არ მოაქვს!"

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ **რუსეთთან გულზე მუშტების ბრაგუნით საუბარს მოაქვს შედეგი? და თუ მოაქვს, ძალიან გთხოვთ, მიმანიშნეთ, სად არის მთელი 10 წლის განმავლობაში „ნაბრაგუნების" შედეგი...**

აკი, წინა ხელისუფლებაც და ახლანდელიც გაიძახის — „რუსეთთან ენის მოჩლექით არ ვსაუბრობო" და ამით ამაყობს... ვიცი, ახლა ისევ ის ინტრიგანი ურაპატრიოტები იტყვიან, — მაშინ „ენისმოჩლექის" შედეგები გვითხარითო! ჯერ ერთი — როგორც ამის წინა და კიდევ იმის წინა ხელისუფლება იკვეხნიდნენ, ენისმოჩლექით რუსეთთან არც ერთს უსაუბრია და, აქედან გამომდინარე, ვერც შედეგების შესახებ გეტყვით რამეს...

და მეორე, რაც მთავარია — რატომ დგება არჩევანი ასე: ან ენისმოჩლექა, ან გულზე მუშტის ბრაგუნი?

**ნუთუ არ შეიძლება, რომ, ორი ამ უკიდურესი „პოზის" გარეშე, ჩვეულებრივად, მშვიდად, საკუთარი ქვეყნის ინტერესის გათვალისწინებით, ძალიან ძლიერი და თუნდაც „მტერი" მეზობელი ქვეყნის გარკვეული ინტერესები დავაკმაყოფილოთ ისე, რომ არც ენა მოვუჩლიქოთ და არც მუშტები ვიბრაგუნოთ გულზე?!**

აჰ, გასაგებია, რაშიცაა საქმე!

ეს აღარ იქნება პატრიოტიზმი!

**არ იქნება პატრიოტიზმი, რადგან ამ შემთხვევაში ვეღარავინ გააკეთებს „ვაჟკაცურ" განცხადებებს! ვეღარავის გალანძღავთ „არაპატრიოტობის" გამო! ვერავის დაუძახებს „მონას"!**

და რაც მთავარია, არავინ მოკვდება!

**„პატრიოტიზმს" ხომ მსხვერპლი სჭირდება... ოღონდ ეს მსხვერპლი არ უნდა იყოს თვითონ ამ ხმამაღალი „პატრიოტული" ფრაზების ავტორი და არც მისი ოჯახის წევრი!**

**ეს უნდა იყოს რომელიმე ჩვეულებრივი გაჭირვებული ადამიანი, რომელსაც ოჯახის ელემენტარული მატერიალური უზრუნველყოფისთვის საკუთარი სიცოცხლის რისკზე დადება მოუწია, რადგან სამშობლოში ელემენტარული სამსახური ვერ იშოვა...**

მახსოვს, როგორ მოვხვდი ერთხელ ავღანეთში მიმავალი ქართული ბატალიონის წევრების გარემოცვაში. ისინი მეორე დღეს მიდიოდნენ ამ სარისკო მისიაში და რამდენიმე საათით ყაზარმიდან დათხოვნილები რესტორანში გაშლილ მოკრძალებულ სუფრასთან ემშვიდობებოდნენ სამშობლოს.

სადღეგრძელოები? იცოცხლე! მოსცხო თამადამ — „ბიჭების პატრიოტული სულისკვეთებაო", „ისინი ავღანეთის მიწაზე სამშობლოს დასაცავად მიდიანო", „მათ წინაპრების ვაჟკაცური სული აღაფრთოვანებსო" და ჩაიარა ტაშის გრიალში...

როდესაც სუფრა მიწყნარდა, თითქმის სათითაოდ ვესაუბრე ყველას... ისე, შინაურულად, ადამიანურად... თითოეული მათგანის საუბრის ძირითადი თემა, საფიქრალი თუ საზრუნავი იყო, როდის უმთავრდებოდა კონტრაქტი, რამდენის დაგროვებას შეძლებდა, თუკი არაერთხელ მოხვდებოდა „ავღანელთა" ნაკადში... ეყოფოდა თუ არა ეს ფული ცხოვრების მოსაწყობად... როდის შეძლებდა კონტრაქტის დასრულებას და მშვიდად ცხოვრებას.

გაბრაზდით? ეს როგორ ვაკადრე ქართველ ჯარისკაცს, ხო?

კარგი, ნუ ვიტყვით სიმართლეს და უკიდურეს სიღატაკეში მცხოვრები ქართველების სხვა ქვეყნებში ჯარისკაცებად წასვლა მათი „წინაპრების გმირული სულის ძახილად" გავასაღოთ!

ხოლო სხვის მიწაზე გარდაცვლილი ქართველი ყოფილი სამხედრო პირის „დაქირავებულ მებრძოლად" ყოფნა მის „პატრიოტულ სულისკვეთებას" მივაწეროთ. მაშინ, როდესაც ეს „დაქირავებული მებრძოლი" ცოლ-შვილიანად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და შვილების რჩენის პრობლემა აქვს.

როგორ დავიჯერო სულ სხვა „სიმართლე"?!

**დავიჯეროთ ის „სიმართლე", რომ თურმე „რუსეთი მხოლოდ მასზე აღმატებულ ძალას — ნატოს — სცნობს!" (დავით ბერძენიშვილი) და რომ რუსეთს იმდენად ეშინია ნატოსი, რომ აკანკალებს კიდეც... რომ „ჩვენ მალე ვიქნებით ნატოთი დაცული და ესტონეთივით ყოჩაღად" (იგივე ბერძენიშვილი)...**

**დავიჯეროთ კიდევ ერთი წარმოუდგენლად სულელური „სიმართლე" რომ, თურმე ვლადიმერ პუტინს ისე შეშინებია ეკონომიკური სანქციების, აქეთ ითხოვს ქართველ პოლიტიკურ ლიდერებთან შეხვედრას და ჩვენ კი თურმე თავიც უნდა დავიფასოთ!**

არადა, **რუსეთის პრეზიდენტს, უბრალოდ, კითხვა დაუსვეს, — შეხვდებოდა თუ არა საქართველოს ლიდერებს, და მართლა ძალიან ტვინმოჩლექილი უნდა იყოს ადამიანი, მისგან ასეთ საჯარო ფორმატში შეხვედრისთვის, მზადყოფნის დადასტურების გარდა, რაიმე სხვა პასუხს დალოდებოდა!**

არადა, აქ, ჩვენში ატეხეს ერთი ამბავი — აგე, პუტინი შეხვედრას გვეხვეწებაო!

„შეხვედრა შედგება მხოლოდ მაშინ, თუ ამისთვის ორივე მხარე იქნება მზად. პუტინის სიტუაცია გასაგებია. ის უკვე თავის გადარჩენაზე ფიქრობს, მაგრამ ქართული მხარე ჯერ კარგად მოიფიქრებს, სურს თუ არა ეს შეხვედრა".

დავასახელო ციტატის ავტორი მესამედ?

ალბათ, არ არის საჭირო, რადგან ეს ყველაფერი, ენის არა და, ტვინის მოჩლექას ნამდვილად ჰგავს!

და **ამ ტვინმოჩლექილთა ენისტლიკინს რა შედეგებიც მოსდევს ხოლმე, ამას, უკვე 20 წელიწადზე მეტია, ვხედავთ...**

ამავე ფრაზით ვაპირებდი დამთავრებას და... „რესტორან „თავადურში" რუსეთში ქართველთა კავშირის თავმჯდომარე მიხეილ ხუბუტია სცემეს. დასაზარებულის განცხადებით, იგი რესტორნის დირექტორმა და დაცვის წევრებმა სცემეს. ცემისას პუტინის მისამართით იგინებოდნენ და ხუბუტიასაც აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას," — გაავრცელეს ინტერნეტით საინფორმაციო სააგენტოებმა...

აი, პატრიოტიზმი!

და ვიდრე ამ „პატრიოტული" ნიმუშით ენაჩავარდნილი კომენტარს გავაკეთებდი, სულზე მომისწრო საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილის — ცოტნე გამსახურდიას — „ფეისბუქ-კომენტარმა", საიდანაც ორ ამონარიდს მოვიყვან და ამით დავასრულებ:

**„მომკალით და ვერ ვიჯერებ, რომ ამ რესტორნის დირექტორი და ის ოთხი ორკლასდამთავრებული სახედარი ისეთი გულანთებული პატრიოტები არიან, რომ თურმე ნუ იტყვით! ასეთი ფაქტების წახალისებამ შეიძლება პატრიოტიზმში შეჯიბრებამდეც მიგვიყვანოს, როცა პატრიოტიზმი, თვითონაც იცით, ვისი უკანასკნელი თავშესაფარიც ხდება ხოლმე..."**

**„დარწმუნებული ვარ, ქვეყანა ოდესმე ისევ პრორუსულ რელსებს რომ დაადგეს, იგივე ტიპები ამჯერად უკვე პუტინის გინებისთვის სცემენ ხალხს!**

**და ერთსაც ვიტყვი: მახსოვს ხუბუტიამ და მისმა მეგობარმა ლეიკემიით დაავადებული ნანიკო ხაჩიურისთვის როგორ გამოორიცხეს 100 ათასი დოლარი. ჩემთვის, პირადად, ნებისმიერი ადამიანის ასეთი საქციელი საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ მას ამგვარ ფორმატში არ მოექცნენ ვიღაც იდიოტები!"**

მხოლოდ ერთ ფრაზას დავამატებ: აი, ტვინმოჩლექილთა ენისტლიკინის კიდევ ერთი თვალსაჩინო შედეგი...

**ბაკურ სვანიძე**

**«პატრიოტიზმს» ხომ მსხვერპლი სჭირდება... ოღონდ ეს მსხვერპლი არ უნდა იყოს თვითონ ამ ხმამაღალი „პატრიოტული" ფრაზების ავტორი და არც მისი ოჯახის წევრი! ეს უნდა იყოს რომელიმე ჩვეულებრივი გაჭირვებული ადამიანი, რომელსაც ოჯახის ელემენტარული მატერიალური უზრუნველყოფისთვის საკუთარი სიცოცხლის რისკზე დადება მოუწია, რადგან სამშობლოში ელემენტარული სამსახური ვერ იშოვა...**

**რუსეთთან გულზე მუშტების ბრაგუნით საუბარს მოაქვს შედეგი? და თუ მოაქვს, ძალიან გთხოვთ, მიმანიშნეთ, სად არის მთელი 10 წლის განმავლობაში «ნაბრაგუნების» შედეგი...**

ბიძინა ივანიშვილი საერთოდ არ ერევა მთავრობის საქმიანობაში. დაიღალა, გადაიღალა, დაწერა განცხადება და წავიდა. და, საერთოდ, ამ კაცზე, ამ ბიძინა ივანიშვილზე, უნა დაანებონ ბევრ ლაპარაკს თავი, რადგან კაცმა, რომელმაც უსისხლოდ მოგაგებინა, კაცმა, რომელმაც თითქმის საქართველო გადაარჩინა, და ილია ჭავჭავაძის შემდეგ ესეთი ინტელექტუალი აღარა გვყოლია, დაანებონ უნა ამ კაცს თავი, რაა“.

საჯაროთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2014 წლის 15 «მარგალიტი» პოლიტიკოსებისგან საქართველოს მოსახლეობას

## ანუ «ქალბატონო გედევან», «ილია ჭავჭავაძის შემდეგ ესეთი ინტელექტუალი აღარა გვყოლია» და «პიროვნება თალიბანი»

**2014 წელი საკმაოდ მძიმე იყო საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, ჩვენი პოლიტიკოსები კი, ბევრს თუ არაფერს აკეთებდნენ, თავინთი გამონათქვამებით ამხიარულებდნენ ხალხს. გთავაზობთ პოლიტიკოსთა იმ „მარგალიტებს“, ანუ ფრთიან ფრაზებს, რომლებმაც ქართველი საზოგადოების ბევრი წარმომადგენლის ღიმილი და, შესაძლოა, სარკაზმიც გამოიწვია...**



**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი:**

— ჩვენ ბოლო მოვუღეთ კორუფციას, ძალიან ბევრი რამ შევცვალეთ და ამიტომაც დავისაჯე!



**აკაკი მინაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

— „ქართული ოცნება“ არის შეშინებული, ბრჭყალებში, მიჩმორებული ხელისუფლება.



**დავით საგანელიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

— 2014 წლის ბიუჯეტი საამაყო არ არის, მაგრამ კარგია...



**ზაქარია ქუცნაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:**

— საპარლამენტო მართვის რესპუბლიკაში, სახელისუფლებო ვერტიკალში ყველაზე დაბალი ხელფასები გვაქვს პარლამენტის წევრებს, რაც არ მიმაჩნია სამართლიანად.



**მანანა კობახიძე, ვიცე-სპიკერი:**

— ჩვენ, ყველამ ვიცით, რომ პირადი ცხოვრება — ეს არ არის აბსოლუტური უფლება, ისევე, როგორც სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლებელია მათი შეზღუდვა კანონით.



**ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერმინისტრი:**

— მე არ ვიცი, რატომ ვართ ჩვენ, საქართველო, იმაზე უფრო დემოკრატიული, ვიდრე არის საფრანგეთი ან პოლონეთი, ან ჩეხეთი, ან ისრაელი, ან ამერიკა...



**დავით უსუფაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, 2014 წლის 28 ნოემბრის საპარლამენტო სხდომაზე სიტყვით გამომსვლელ დეპუტატთა გასაგონად გამოაცხადა:**

— ბატონი გედევან ფოფხაძე და ქალბატონი ნინო გოგუაძე არიან სიტყვით გამომსვლელთა სიაში ჩაწერილი. გთხოვთ, ქალბატონო გედევან!..



**თამაზ თამაზაშვილი, პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი:**

— მინდა, მივმართო გივია თარგამაძეს, რო შენა ხარ უსინდისო ადამიანი, ასეთ ტყუილებს რომ იგონებ, უსინდისო და უნამუსო ხარ... ეს ნადირაშვილი როა, ნადირის სახეს რო იღებს ეს ქალი და ათას სისულელეებს ლაპარაკობს და ყველაფერს მაბრალებს მე... ბიძინა ივანიშვილი საერთოდ არ ერევა მთავრობის საქმიანობაში. დაიღალა, გადაიღალა, დაწერა განცხადება და წავიდა. და, საერთოდ, ამ კაცზე, ამ ბიძინა ივანიშვილზე, უნა დაანებონ ბევრ ლაპარაკს თავი, რადგან კაცმა, რომელმაც უსისხლოდ მოგაგებინა, კაცმა, რომელმაც თითქმის საქართველო გადაარჩინა, და ილია ჭავჭავაძის შემდეგ ესეთი ინტელექტუალი აღარა გვყოლია, დაანებონ უნა ამ კაცს თავი, რაა!



**საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი გოგა ხაჩიძე — ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს:**

— თუ ბიუჯეტი იქნება შესრულებული, რის პირობასაც თქვენ იძლევით, საჯაროდ დავტოვებ დეპუტატის მანდატს, მაგრამ, თუ თქვენ ამ პირობებს ვერ შეასრულებთ, მაშინ იქნება ფინანსთა სამინისტრო დარჩეს გარღვეული ბიუჯეტის რაინდის გარეშე...



**თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:**

— ის, თუ რომელ კანონპროექტშია ჩემი ეს პოზიცია ყველაზე უკეთ ასახული, ეს მე ამ წუთში არ ვიცი, მაგრამ მხარს ვუჭერ იმ კანონპროექტს, სადაც ჩემი ეს პოზიცია იქნება ყველაზე კარგად ასახული.



**გიორგი ვაშაძე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:**

— „ნაციონალურ მოძრაობას“ რამოდენიმე საქმეზე აქვს ექსკლუზივი და, მათ შორის, აქვს ექსკლუზივი იმაზეც, რომ ეს არის ერთადერთი ძალა, ვისაც პოზიტიური საქმე აქვს გაკეთებული ქვეყანაში.



**ბიძინა ივანიშვილი, ყოფილი პრემიერმინისტრი:**

— ოპოზიციაში მყოფი ვამბობდი, რომ ოცი წლის შემდეგ ჩვენ შეიძლება მივიღოთ ევროპული ტიპის სახელმწიფო და ეს არის ძალიან ოპტიმისტური, რომ იცოდეთ. ეს არ არის ცოტა. მაგრამ ახლა უფრო ძალიან **შევამცირე ოპტიმიზმი, 20 წლის ნაცვლად, 18-ზე დავიყვანე...** რაც დრო გადის, ირაკლი (ღარიბაშვილი) ნაკლებს მაწუხებს და ძალიან ბედნიერი ვარ ამით. თუ ადრე კვირაში ერთჯერ მირეკავდა, ახლა შეიძლება ორი თვე გავიდეს და არ დამირეკოს.



**სერგო რატიანი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:**

— როდესაც ქვეყანაში მოშლილია სახელმწიფო ინსტიტუტები და ქვეყანას მართავს ზვიგენებით სავსე აუზთან მჯდომი მაფიოზი, ქუდის მოხდა-არ მოხდაზე მსჯელობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს „ქართული ოცნებისთვის“.



**ალექსანდრე ჭიკაიძე, შს მინისტრი:**

— ამოღებულ იქნა თხევადი ნარკოტიკული საშუალება გერაინი... ეს არის ავღანური წარმოშობის ნარკოტიკები, რომელიც მიეკუთვნება თალიბანს, ამის გადატანა ხდებოდა ევროპის მიმართულებით და ამ თანხებით კიდე ხდებოდა ამ თალიბანის, ამ პიროვნების და... რა თქმა უნდა, როდესაც 2012 წელს მოხდა საყოველთაო ეს ამინისტია, რაღაცა, იყო პრობლემები, კრიმინალმა მოიმატა, მაგრამ ახლა მინდა, სრული პასუხისმგებლობით მოგახსენოთ, რო კრიმინალი არის შესანიშნავ მდგომარეობაში.



**თამარ ბერუჩაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი:**

— ჩემი ამოცანა იქნება, მეტი ევროპა საქართველოში, მეტი საქართველო ევროპაში, ასევე — მეტი ნატო საქართველოში.

მოამზადა
**ნინო მაისურაძემ**

მოკლედ

## უკრაინა ევროპაში ყველაზე კორუფცირებული ქვეყანაა

**„უკრაინაში მეფობს კორუფცია, ეს ქვეყანა ევროპაში ყველაზე კორუფცირებულია და ჩვენ უნდა გავუმკლავდეთ ამას. უკრაინის ეკონომიკის სამინისტრო ბიუროკრატიული ურჩხულია, რომელიც უნდა დაიშალოს ან დაიხუროს“ — განაცხადა უკრაინის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრმა აივარას აბრომავიჩუსმა.** უკრაინა მძიმე პოლიტიკურ კრიზისშია, რომელიც შესაბამისად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. უკრაინის ეროვნული ბანკის განცხადებით, კიდევ უფრო გაიზრდება ინფლაცია, რომელმაც 2014 წელს 19%-ს მიაღწია. დედაქალაქის ბიუჯეტში კი 274 მლნ დოლარის დეფიციტია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით, უკრაინას, საფინანსო კრახის თავიდან ასაცილებლად, სასწრაფოდ სჭირდება 15 მლრდ დოლარი.





## მთავარი კათოლიკური დღესასწაული სახეს კარგავს

**დასავლეთის ქვეყნების მცხოვრებნი ყურადღებით უნდა იყვნენ საშობაო საჩუქრების არჩევისას — შეიძლება, უნებლიეთ, შეურაცხყონ ვილაცის რელიგიური მრწამსი ან უმცირესობის უფლებები.** შობის დღესასწაულს ამშვენებს ნაძვის ხეები, საშობაო მორთულობები, სიმღერები და, რა თქმა უნდა, საჩუქრები, მაგრამ ვილაცამ, პოლიტკორექტულობისკენ სწრაფვით, გადაწყვიტა, კათოლიკებს ეს დღესასწაული ჩაუშხამოს.

ეს ჭრელი, 40 გირვანქა სტერლინგად ღირებული, ნაყშებიანი სვიტერი სულაც არ არის საშობაო. მასზე, ქრისტიანულის გარდა, არის იუდაიზმის, ისლამის, ინდუიზმის, სიკჰიზმისა და ათეიზმის სიმბოლოებიც. ბრიტანელისთვის უმჯობესია, ასეთი სვიტერი შეიძინოს, თუკი ვინმეს წყენინება არ სურს.



## ფინეთში ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს

**ფინეთის პარლამენტმა განმეორებით უყარა კენჭი ერთსქესიანთა ქორწინების რეგისტრაციის დაკანონებას. 101-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა ერთსქესიანთა ქორწინებას, 90-მა უარი განცხადა, ერთმა კი თავი შეიკავა. კენჭისყრაში არ მონაწილეობდა 7 პარლამენტარი.**

ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე განმეორებითი კენჭისყრის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, როცა ეს ინიციატივა საკანონმდებლო კომისიამ უარყო.

განმეორებითი კენჭისყრა ბოლო ეტაპი აღმოჩნდა გენდერულ-ნეიტრალური ქორწინების შესახებ კანონის დამტკიცებისა, რომელიც ძალაში 2016 წლიდან შევა.

ალტერნატივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ 1970 წელს განქორწინების რაოდენობა მხოლოდ 16 პროცენტი იყო, მას შემდეგ, რაც შემოვიდა პორნოსაიტები ინტერნეტში და მობილურ ტელეფონების საშუალებით, განქორწინებების რაოდენობამ 50 პროცენტს გადააჭარბა. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ცნობილია, რომ სექსმოდელებისა და პორნოვარსკვლავების ხილვა წყვილებს ერთმანეთის სურვილს უკარგავენ და სექსუალურ აღქმას ნულამდე უქვეითებს, ყოველდღიურ „ერთფეროვნებას“ აუტანელს ხდის, და ოჯახიც ინგრევა.**

## ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს

# დაძალებული სექსი

## პორნოინდუსტრია და პედოფილია ევროპაში

*მომიახლოვდნენ მდევარნი გარყვნილებისა;
შენს რჯულს დაშორდნენ.
ფს. 118, 150*

**მკითხველს ვთავაზობთ ივო ზასეკის დოკუმენტური ტელეფილმის — „დაძალებული სექსის“ გადმოქართულებულ საგაზეთო ვარიანტს.
ეს არის „სექსუალური რევოლუციის“, სექსუმცირესობათა „უფლებების დაცვის“ მეტასტაზებით დაავადებული საზოგადოებრივი სხეულის ანალიტიკური სურათი; ობიექტურად, ფაქტების ენით გადმოცემული რეალობა, რომელიც ჩვენც დაგვემუქრება, თუ არ მოვერიეთ სულისა და სხეულის გამხრწნელი პორნოინდუსტრიის შემოტევას, რომლის წინააღმდეგაც აღდგა ადამიანის გონი და ზნეობა.**




**გერმანიის საზოგადოებრივი სამსახურის თანამშრომლებმა 2006 წელს სახელმწიფო 208 000 000 ევროთი დააზარალეს იმით, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პორნოსაიტებსა და ეროტიკულ ჩეთებს სტუმრობდნენ**

### სექსუკუღმართობის სტატისტიკა
### I ნაწილი

შვეიცარიის ტელევიზიამ შეისწავლა და გაარკვია, რომ 11 წლის ბიჭების საერთო რაოდენობის 50 პროცენტი, ხოლო 15 წლის ყმაწვილების 90 პროცენტი პორნოგრაფიის მომხმარებელია.

თავისთავად ჩნდება კითხვა — **რა გზებითა და ხერხებით მიაღწია პორნომასალამ ამ ბიჭებამდე?**

უწინარეს ყოვლისა, — მათი მობილური ტელეფონების დისპლეებისა და დღეს უკვე აუცილებელი ინტერნეტის მეშვეობით.

დანაშაული თვალნათელია — კანონით დასჯადი ქმედება აშკარაა. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები ამაზე აშკარად მიგვითითებს: **ირღვევა ბავშვების სექსუალური ხელშეუხებლობა.**

2006-2007 წლების სტატისტიკური მონაცემებით, ბავშვების სექსუალური ხელშეუხებლობის უამრავი შემზარავი ფაქტი გამოვლინდა. მაგრამ კანონდარღვევის ეს შემაშფოთებელი ფაქტები ხელისუფლების ყურადღების მიღმა დარჩა.

უფრო გასაკვირი კი არის ის, რომ საჯარო სტატისტიკიდან ეს პრობლემატიკა საერთოდ გაქრა.

რატომ?

იმიტომ ხომ არა, რომ დღეს ეს მონაცემები უფრო დამაფიქრებელი, შემაშფოთებელი და უფრო მამხილებელი ძალის მქონე იქნებოდა?

ასეა თუ ისე, პროკურატურამ და სასამართლო ორგანოებმა ამ საკითხს მზერა აარიდეს და წაუყრუეს.

პრობლემური მიზეზი ბევრია. მათგან მხოლოდ ათზე შევჩერდებით:

**1. ჯერ კიდევ 2006 წელს „გუგლის“ მეშვეობით პორნოგრაფიას 68 000 000-ჯერ ეძებდნენ;**

**2. 12-დან 17 წლამდე ბავშვები უკვე მაშინ ითვლებოდნენ მთავარ მომხმარებლებად;**

**3. ჯერ კიდევ 2007 წელს ბავშვების 50 პროცენტი, სულ ცოტა, ერთხელ მაინც შემთხვევით აღმოჩნდა პორნოსაიტებზე;**

**4. პირველი კონტაქტი პორნოგრაფიასთან ბავშვებს, საშუალოდ, 11 წლისებს ჰქონდათ;**

**5. 2006 წელს 11-დან 14 წლამდე ბავშვების 60 პროცენტი რეგულარულად უყურებდა პორნოგრაფიას ინტერნეტში (რამდენჯერ მეტია დღეს?);**

**6. 15-დან 17 წლამდე გამოკითხულ ყმაწვილთა 80 პროცენტი მძიმე პორნოგრაფიის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა;**

**7. 8-დან 16-წლამდე ბავშვების 90 პროცენტი საშინაო დავალებების შესრულების დროს უყურებდა პორნოგრაფიას;**

**8. ბავშვთა პორნოგრაფიის 100 ათასამდე საიტი არსებობდა ჯერ კიდევ 2006 წელს, მათი წლიური ბრუნვა 3 მილიარდი ფრანკი იყო;**

**9. ყოველთვიურად პორნოგრაფიულ საიტებს 7 მილიონი გერმანელი ეცნობოდა. დღეს პორნოსაიტებს რეგულარულად სტუმრობს გერმანიის ინტერნეტმომხმარებლების მესამედი;**

**10. პორნოინდუსტრია ელვის სისწრაფით ითვისებს ყველა ახალ ტექნოლოგიას, მაგალითად, მობილურ ტელევიზიას და ა. შ.**

ამასთანავე, 2012 წელს გაიშიფრა საიდუმლო, რომ ინტერნეტში პორნო და სექსსაიტები გაცილებით მეტი იხსნება, ვიდრე ნებისმიერი სხვა. გახრწნილების ამ ფორმას ლობირებს ლესბოსელთა, ჰომოსექსუალთა და ტრანსგენდერთა საზოგადოებები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ ბავშვების ადრეული სექსუალიზაციის დანერგვას და აღწევენ კიდეც თავისას. ეს ჯგუფები ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ბავშვები უკვე მეექვსე კლასიდან უნდა იყვნენ „პორნოკომპეტენტურები“.

ისინი იბრძვიან იმისთვის, რომ მსოფლიოში დაინერგოს ბავშვების სექსუალური აღზრდა 4 წლიდან.

მაგრამ, როგორც წარმოუდგენელია ცეცხლის ჩაქრობა ბენზინით, ასევე დაუშვებელია ბავშვების ადრეული სექსუალიზაცია, მით უფრო, პორნოგრაფიაზე, პედოფილიაზე, ზოოფილიაზე, სოდომაზოხიზმზე და ა. შ. ყველა ტაბუს გაუქმების გზით.

ამიტომაა საჭირო, რომ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებმა გადამწყვეტი სიტყვა თქვან ადამიანებისთვის მიუღებელი ამ უკიდურესად უკანონო მცდელობათა აღსაკვეთად.

### სექსუალური პედაგოგიკა სკოლაში, დანაშაულებრივი დოკუმენტები

**გერმანიაში ამჟამად 60-65 ათასამდე პედოფილი დამნაშავეა;** აღურიცხავი რეალური რაოდენობა გაცილებით მეტია.

ჟურნალი „სამომავლო მიზანი“ 2011 წლის თებერვალში მიუთითებდა, თუ როგორია სექსუალური აღზრდის პრაქტიკა საბავშვო ბაღებში. მაგალითებს შორის დასახელებული იყო ასეთი თამაშიც: ვინც ყველაზე სწრაფად წამოაცვამდა პრეზერვატივს სტაფილოს, გახდებოდა „სტაფილოს მეფე“. დაწყებით სკოლა „პროფამილიაში“ ბავშვებს პლასტელინისგან სასქესო ორგანოების ძერწვას ასწავლიდნენ.

**ახალგაზრდული ჟურნალი „ბრავო“ 12 წლის გოგონებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ ქალწულობა, ანუგეშებდა იმით, თუ როგორ შეეძლოთ ამ „შეცდომის“ დაუყოვნებლივ გამოსწორება. და ერთ-ერთ თავის მომდევნო გამოცემასთან ერთად გაავრცელა (არ გაგიკვირდეთ!) „საბავშვო პრეზერვატივები“. აღარაფერს ვამბობთ მასტურბაციისკენ მოწოდებაზე და სხვ.**

შემდეგი წყარო ამტკიცებს, რომ სექსმიმართულების რეკლამა ბავშვებისთვის სულ უფრო აუცილებელი ხდება. ზოგიერთ ტელეარხზე იკრძალება ამ რეკლამის ამოღება და წინ გადახვევა. „HD+“-ს ასეთი რეკლამა „ბავშვთა ოთახებში“ გადააქვს.

როცა პოლიციას, იუსტიციას ან აღზრდის საკითხების სამმართველოს შეეკითხებიან, რატომ არავინ იცავს ბავშვებს პორნოგრაფიის ამ დაუოკებელი ნაკადისგან, როგორც წესი, ერთსა და იმავე პასუხს იღებენ: არავინ იცის, ზუსტად რა შეიძლება შევაფასოთ პორნოგრაფიად. ხოლო ამის საწინააღმდეგო კანონები იმდენად სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებული, რომ რეალურად არაფრის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

ეს დამპალი მიზეზია.

ამიტომაც არის, რომ, **თუ 1970 წელს განქორწინების რაოდენობა მხოლოდ 16 პროცენტი იყო, მას შემდეგ, რაც შემოვიდა პორნოსაიტები ინტერნეტში და მობილური ტელეფონების საშუალებით, განქორწინებების რაოდენობამ 50 პროცენტს გადააჭარბა.**

**ეს გასაკვირი არც არის, რადგან ცნობილია, რომ სექსმოდელებისა და პორნოვარსკვლავების სისტემატური ხილვა წყვილებს ერთმანეთის სურვილს უკარგავს და სექსუალურ აღქმას ნულამდე უქვეითებს, ყოველდღიურ „ერთფეროვნებას“ აუტანელს ხდის და ოჯახიც ინგრევა.**

რადიოთი და ტელევიზიით პორნოგრაფიის გავრცელებას კანონი კრძალავს, რადგან ასეთ გადაცემებს შეიძლება ბავშვებმაც უყუ- ▶



ალტერნატივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დღეს უკვე მილიონობით სექს და პორნოფილმის გავლენის ქვეშაა მოქცეული მსოფლიოს მოსახლეობა, რისი შედეგიცაა დამონებული, ავხორცობით მოწამლული, ნებაშერყეული, გახრწნილი ხალხი — ადამიანების საცოდავი გროვა, ორიენტაციაშეცვლილი ქალ-კაცები და გადონდლოებული მამაკაცყოფილები.

რონ. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რამდენად უფრო საშიშია მსგავსი პროგრამების გავრცელება ინტერნეტით ან მობილური კავშირით.

**წლების განმავლობაში პორნოინდუსტრია გაცილებით უფრო მეტ მოგებას იღებს, ვიდრე ერთად აღებული ისეთი ცნობილი ფირმები, როგორებიცაა Google, Microsoft, Yahoo, eBay, Amazon, Apple.** ინტერნეტბიზნესის 70 პროცენტი ონლაინ პორნოგრაფიის საშუალებით განხორციელდება. **ჯერ კიდევ 2006 წელს პორნოგრაფიით მიღებულმა შემოსავალმა 97 მილიარდ დოლარს მიაღწია, ყოველ წამში 2304 ევროს ოდენობით იზრდებოდა. ვიდრე ამ წინადადებას კითხულობდით, 28.258 ადამიანი ესტუმრა ინტერნეტის ეროტიკულ გვერდებს.**

**ინტერნეტმომხმარებელთა საერთო რაოდენობის თითქმის 43-მა პროცენტმა (მათ შორის 10 წლამდე უამრავი არასრულწლოვანია) მოიხმარა ამ სახის ინტერნეტსაიტი. ასე იყო 2006 წელს. იოლი გამოსაანგარიშებელია, რამდენად დიდია ეს რიცხვი დღევანდელ პირობებში.**

კიდევ რამდენიმე მაგალითი:

**2006 წელს ყოველწლიურად გამოდიოდა 15.000-მდე პორნოფილმი. მხოლოდ საბავშვო პორნოგრაფიისთვის არსებობდა 100 ათასამდე საიტი, წლიური ბრუნვით 3 მილიარდი ფრანკი.**

**2006 წელს ქსელში ყოველდღიურად ერთვებოდა 266 ახალი პორნოსაიტი.** პორნომაღაზიების ქსელის მფლობელის ვაჟი ბეატე უზე უკვე მაშინ ითვლებოდა შვეიცარიის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად.

**2007 წელს ინტერნეტბიზნესში ყველაზე „დიდ ფულს" აკეთებდნენ ჩინელები, რომლებმაც ამისთვის, საერთო ჯამში, 20,5 მილიარდი ევრო დახარჯეს.**

**ერთ ადამიანზე ფულის ოდენობით ლიდერობდა სამხრეთ კორეა — 396 ევრო.**

რამდენი ევრო მოდის დღეს ერთ ადამიანზე?

ხელისუფალთა ჩაურევლობა სულ უფრო აწუხებს ბევრ დამკვირვებელს. ძლიერდება ეჭვი, ასეთი ნეიტრალური დამოკიდებულება ბინძური ბიზნესის მხარდაჭერით ხომ არ არის გამოწვეული? ამ ეჭვის უგულებელყოფა დაუშვებელია, რადგან ასეთი უზარმაზარი შემოსავლიდან გადასახადის უდიდესი რაოდენობით მიღება გარანტირებულია.

მაგრამ სწორედ ასეთი დამოკიდებულება არის თვითგამანადგურებელი სტრატეგია. ნებისმიერი ბიზნესი, რომელიც საკუთარი ხალხის ამოწყვეტაზეა დამყარებული, ერისთვის საფლავის გათხრას ნიშნავს.

საზოგადოების კვდომა ყველა დონეზე სულ უფრო აშკარა ხდება.




**ახალგაზრდული ჟურნალი «ბრავო» 12 წლის გოგონებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ ქალწულობა, ანუგეშებდა იმით, თუ როგორ შეეძლოთ ამ «შეცდომის» დაუყოვნებლივ გამოსწორება. და ერთ-ერთ თავის მომდევნო გამოცემასთან ერთად გაავრცელა (არ გაგიკვირდეთ) «საბავშვო პრეზერვატივები». აღარაფერს ვამბობთ მასტურბაციისკენ მოწოდებაზე და სხვ.**



მაგალითად, **გერმანიის საზოგადოებრივი სამსახურის თანამშრომლებმა 2006 წელს სახელმწიფო 208 000 000 ევროთი დააზარალეს იმით, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პორნოსაიტებსა და ეროტიკულ ჩეთებს სტუმრობდნენ.**

## ტაბუს დანაშაულებრივი გაუქმება

იმ ადამიანებმა, რომლებმაც ზნეობრივი ტაბუ გააუქმეს, დიდი ხანია, დაარღვიეს კანონის ყველა საზღვარი, ყოველ შემთხვევაში, დღეს მოქმედი კანონმდებლობის საზღვრები.

მასმედია, როგორც ჩვეულებრივ ამბავს, ისე გადმოგვცემს სექსუალურ ურთიერთობებს ცხოველებთან, ხოლო ავსტრიის მიწა კორინთიის გაზეთი თავის დროზე აცხადებდა, რომ 2012 წლის ოლიმპიადის ოლიმპიური სოფელი გადაიქცეოდა ველური სექსორგიების ბუდედ, რადგან მონაწილეთა 75 პროცენტს გაგებაც არ სურს სექსუალური თავშეკავების აუცილებელი მოთხოვნის, და ამიტომ სპორტსმენებისთვის 150 ათასი პრეზერვატივი მოამზადეს, ანუ 80 ათასით მეტი, ვიდრე სიდნეის ოლიმპიური თამაშების დროს.

ადამიანების დიდი რაოდენობისთვის სექსი მტანჯველი შინაგანი იძულება რომ გახდა, არავის აწუხებს, ისევე, როგორც ქორწინებითი ერთგულების დაცვის სასაცილოდ აგდების ფეხმოკიდებული ტენდენცია.

მექანიზმები და ნაყოფი სექსუალური ზღვარგადასულობის ერთი და იგივეა და, როგორც წესი, კრიზისით მთავრდება.

**ბავშვი ჯერ სიგარეტის ერთ ღერს მოწევს, შემდეგ — ორსა და სამს, მალე კი დღეში 2 და 3 კოლოფსაც არ იკმარებს.**

**ამავე გზით მიდიან ალკოჰოლიკობამდე; შემდეგ მსუბუქი ნარკოტიკებია, ჰეროინი, კოკაინი, ექსტაზი, ფსიქონარკოტიკები და მათდაგვარი „კროკოდილებისნაირი" ნაერთები.**

წამალდამოკიდებულება.

მსგავსი რამ ხდება სექსშიც: ჩვევა თანდათან ავხორცობად ყალიბდება.

ყველაფერი ერთი ფოტოსურათით იწყება, ამას სექსჟურნალები და სექსფილმები მოჰყვება, პორნოჟურნალები და პორნოფილმები, ათობით, ათასობით, ასიათასობით.

**დღეს მსოფლიოს მოსახლეობა მილიონობით სექს და პორნოფილმის გავლენის ქვეშაა მოქცეული, რომლის შედეგიცაა დამონებული, ავხორცობით მოწამლული, ნებაშერყეული, გახრწნილი ხალხი — ადამიანების საცოდავი გროვა, ორიენტაცია შეცვლილი ქალ-კაცები და გადონდლოებული მამაკაცყოფილები.**

ბესტსელერად მიიჩნევენ სოდომაზოხისტურ რომანს „პრინცი მათრახით", რომელსაც თითქოს ჰარი პოტერზე უფრო დიდი რაოდენობით ყიდულობს მკითხველი.

მაყურებლები ბრალს დებენ შვეიცარიის ტელევიზიას სოდომაზოხიზმის დანაშაულებრივ აღზევებასა და ქება-დიდებაში. ამ არხის ჟურნალისტები, როგორც დაციკლულები, ინტერვიუს ჩამოსართმევად სისტემატურად იწვევდნენ ქალაქ როშარის სოდომაზოხისტური მაღაზიის მფლობელს.

საიდან მოდის ეს მისწრაფება იმ გაუკუღმართებისადმი, რომელიც ლექსიკონში ასეა განმარტებული: „სოდომაზოხიზმი — სექსუალური აღგზნება წამების განცდის დროს ან მისი გამოყენებით".

**სექსუალური გადაჭარბებულობის, მათ შორის, სოდომაზოხიზმის მილიონობით მსხვერპლი წარმოგვიდგება გამოფიტულ, სულიერად დაავადებულ, ნაწამებ ადამიანთა მასად.**

**სულ უფრო მეტი სამედიცინო, ფსიქიატრიული და კრიმინალისტური კვლევა ადასტურებს ამ გადახრების შემზარავ და დამღუპველ ზეგავლენას ადამიანების სულსა და სხეულზე.**

ეს არცაა გასაკვირი, რადგან სექსუალური ექსტაზის სურვილი სწორედ თავში, ადამიანის გონებაში იბადება, იქიდან იღებს სათავეს. ხოლო მოყირჭებული და გადახრებითი სექსურთიერთობით გამოფიტული სხეული ამ მისწრაფებას ველარ აკმაყოფილებს.

**სექსუალური პრობლემების მკვლევარები დაჟინებით გვაფრთხილებენ, რომ ის, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, აისბერგის მხოლოდ მწვერვალია, რადგან ნეგატივიზმის ჰიპოცენტრში დუღს ამორალურ მიდრეკილებათა უზარმაზარი მასა და თანდათან გადმოედინება ვულკანური მაგმის მსგავსად.**

მხოლოდ გერმანიაში ერთი წამის განმავლობაში ერთი სექსუალური ძალადობა და ამ კუთხით ბავშვების ბოროტად გამოყენების ორი ფაქტი ხდება.

ასეა ოფიციალური სტატისტიკით, რეალურად კი, ცხადია, მეტი იქნება.

ამაზე — მომდევნო პუბლიკაციაში, ახლა კი ერთი შემზარავი ფაქტის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ სექსგადახრები, როგორც წესი, სხვადასხვა ანომალურ, ანტიადამიანურ, საშინელ და შემზარავ ქმედებაში გადაიზრდება.

**გაზეთი DER BREINTALER იტყობინებოდა: „მამაკაცი მოკლა და შეჭამა".**

**ეს მოხდა ქალაქ კასელში.**

**კანიბალიზმის ბრალდებით პოლიციამ დააპატიმრა 41 წლის მამაკაცი. ჩართული ვიდეოკამერის წინ მან მოკლა, აქნა და შეჭამა 42 წლის მამაკაცი... ამ უკანასკნელის თანხმობით. ეს დანაშაული ახსნეს იმით, რომ ორივე მამაკაცი მიდრეკილი იყო ჰომოსექსუალიზმისა და კანიბალიზმისკენ.**

(დასასრული იქნება)

რუბრიკას უძღვება
**არმაზ სანებლიძე**

**სულ უფრო მეტი სამედიცინო, ფსიქიატრიული და კრიმინალისტური კვლევა ადასტურებს ამ გადახრების შემზარავ და დამღუპველ ზეგავლენას ადამიანების სულსა და სხეულზე**



რეჯეპ ტაიპ ერდოღანი:

## თურქეთი ევროკავშირის კარის მცველი არ არის!

**თურქეთისპრეზიდენტმა მწვავედ უპასუხა ევროკავშირის მცდელობას, თურქეთისთვის „დემოკრატიის გაკვეთილი ჩაეტარებინა".**

ევროკავშირმა თურქეთის ხელისუფლება გასულ კვირას გააკრიტიკა რამდენიმე ადამიანის დაპატიმრებისთვის. ყველა დაკავებული, — მათ შორის არიან ცნობილი ჟურნალისტებიც, — ანტისამთავრობო მოძრაობა „ჰიზმეთთან" თანამშრომლობაში არიან ეჭვმიტანილნი. ამ მოძრაობის ხელმძღვანელი ფუთულაჰ გიულენი კი, რომელიც ხელისუფლების დამხობის მცდელობაშია ეჭვმიტანილი, თავს აშშ-ს აფარებს.

დაპატიმრებულები ჯერ კიდევ არ იყვნენ პოლიციაში მიყვანილნი, რომ ევროკავშირის სახელით გამოვიდა ფედერიკა მოგერინი და თურქეთის ხელისუფლების მოქმედება გააკრიტიკა. „თურქეთში მასმედიის წარმომადგენლების დაპატიმრება, შეუსაბამოა მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებასთან, რაც დემოკრატიის ძირითადი პრინციპია". — განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა.

ამ განცხადებამ კი თურქეთის პრეზიდენტი აღაშფოთა. **„ისინი ფიქრობენ, რომ შეუძლიათ, თურნქეთს დემოკრატია ასწავლონ. თავდაპირველად ამიხსენით, რა ხდება ევროპაში — რასიზმის ზრდა, ისლამოფობია და დისკრიმინაცია. თურქეთს თვითონ შეუძლია დემოკრატიის გაკვეთილების ჩატარება. მან, ვინც ცდილობს, თურქეთს რჩევა თითის დაქნევით მისცეს როგორც მასწავლებელმა, უნდა შეიგნოს, რომ საქმე ძველ თურქეთთან აღარ აქვს! რაც შეეხება თურქეთის შესვლას ევროკავშირში, ისინი უკვე ათეული წლებია, რეზინის გაჭიმვით არიან დაკავებულნი, მაგრამ, ბოდიში და, თურქეთი ევროკავშირის კარის მცველი არ არის. შეგიძლიათ, რამდენიც გინდათ, იმდენი გვაკრიტიკოთ. ჩვენ კი ჩვენი გზით წავალთ!"** — განაცხადა ერდოღანმა.

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2015 წელს მსოფლიოში დაიწყება ეკონომიკური კრიზისი, რომელიც, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფოზე და, შესაბამისად, ყველა ადამიანზე აისახება. პირველ რიგში, კრიზისი შეეხება ევროკავშირს, რომელსაც უამრავი პრობლემა შეექმნება, ვნებათაღელვა არ ჩაცხრება ახლო აღმოსავლეთში. წლის პირველ ნახევარში ბუნებრივი კატაკლიზმები (წყალდიდობა, ტორნადო, ცუნამი) დააზარალებს ევროპას, აშშ-ს, ფილიპინებსა და ინდოეთს, შიმშილობა ელის აფრიკის რამდენიმე ქვეყნის მოსახლეობას, თუმცა შემცირდება სამხედრო კონფლიქტების ალბათობა.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები 2015 წელს



## ვერძი

2015 წელი ვერძებისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებების წელია. ბევრი მუშაობა მოგიწევთ, თუმცა თქვენი ძალისხმევა ნაყოფს გამოიღებს და სამსახურში დაწინაურებითა და შემოსავლების ზრდით დასრულდება.

უარი არ თქვათ საზოგადოებრივ პროგრამებში მონაწილეობაზე. **რეკომენდებული არ არის ფინანსურ მაქინაციებსა და აზარტულ თამაშებში მონაწილეობა, რადგან ყველაფერი კრახით დასრულდება და ვალებში აღმოჩნდებით.**

ისწავლეთ მოთმინება, იმუშავეთ საკუთარ თავზე, ისწრაფეთ ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენისკენ. 2015 წელს დიპლომატიურობისა და კომპრომისის სწავლაც მოგიწევთ. ნუ დამალავთ თქვენს ამბიციებს, მაგრამ ნურც გარშემო მყოფების დამორჩილებას მოინდომებთ, რადგან მათი მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდებით.

შესაძლოა, პირად ცხოვრებაში ცვლილებები მოხდეს, ამიტომ საყვარელ ადამიანს მეტი დრო დაუთმეთ. **ღირსშესანიშნავი მოვლენები წლის მეორე ნახევარში მოხდება, თანაც, შესაძლოა, ერთდროულად — პირად და საქმიან ცხოვრებაში. გრანდიოზული საჩუქარი ან დიდი და მოულოდნელი მოგება გელით.**



## კურო

2015 წელს კუროები თითქმის ყველა სფეროში მიაღწევენ წარმატებას, მოგვარდება მათი ფინანსური კეთილდღეობის საკითხიც. მოიპოვებთ გავლენიანი ადამიანების დახმარებასა და მფარველობას. **ყველა პროექტი, რომელშიც ადრე საკმაო შრომა და ფინანსები ჩადეთ, შედეგს ამ წელიწადში გამოიღებს**. შეიძლება, სურვილებისა და ვალდებულებების შეუსაბამობით წარმოქმნილი კონფლიქტის გამო ოჯახში პრობლემები შეგექმნათ. ნუ გაჯიუტდებით და ახლობლებს ყურადღებით მოეპყარით — თქვენდამი გამოჩენილი კეთილი დამოკიდებულება სათანადოდ დააფასეთ.

**შემოდგომაზე ბევრი მაცდური წინადადება გელით. ეცადეთ, საეჭვო წამოწყებებში არ გაერიოთ, რაოდენ მიმზიდველადაც უნდა მოგეჩვენოთ, თორემ შედეგი სავალალო იქნება.** წლის ბოლოს ახლობელი ადამიანების წრე საკმაოდ დავიწროვდება — შესაძლოა, კომპანიონებისა და პარტნიორების ნაწილს დაშორდეთ, თუმცა საიმედო საყრდენად ძველი მეგობრები დარჩებიან.

მარტოხელა კუროები პირადი ცხოვრების აწყობას შეეცდებიან და მათი ძალისხმევა ამაო რომ არ აღმოჩნდეს, პრინცი ან პრინცესა კი არ უნდა ეძებონ, ირგვლივ უნდა მიმოიხედონ, საყვარელ ადამიანს სწორედ მათ შორის იპოვიან, ვისაც, დიდი ხანია, იცნობენ.



## ტყუპი

ტყუპები თანდაყოლილი არტისტიზმისა და მჭევრმეტყველების გამოყენებას ეფექტიანად შეძლებენ. **2015 წელს თქვენი ურთიერთობების არეალი უცხოელთა ხარჯზე გაფართოვდება. იდეების განხორციელებაში ახლობლები დაგეხმარებიან და შეძლებთ ახალი, მომგებიანი კონტრაქტების გაფორმებას**. წელს, პრაქტიკულად, ყველანაირი საქმის კეთებას შეძლებთ — სწავლას, ოჯახურ ბიზნესს თუ მეცნიერებაში მუშაობას. ეს ყველაფერი თქვენი თვალსაწიერის გაფართოებასა და ცხოვრებაში პოზიციის გამყარებას შეუწყობს ხელს.

მოგიწევთ, ისწავლოთ, როგორ მიუტევოთ ადამიანებს წყენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი უადგილო შურისძიება დიდი ხნის შრომით მოპოვებული კეთილგანწყობის დაკარგვას გამოიწვევს.

შესაძლოა, შემოდგომაზე არაკეთილმოსურნეებმა თქვენი ავტორიტეტის შელახვა სცადონ, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევთ. თამამად იარეთ წინ და წარმატებაც არ დააყოვნებს. **სწორედ ამ პერიოდში გამოჩენილ სიბრძნესა და მახვილგონიერებაზე იქნება დამოკიდებული თქვენი წარმატება მომავალი წლებში.** თუ მეორე ნახევარი ჯერ კიდევ არ გიპოვიათ, შესაძლოა, საყვარელ ადამიანს ხალხმრავალ გასართობ ღონისძიებაზე შეხვდეთ.



## კირჩხიბი

2015 წელს კირჩხიბებს კავშირები და ნაცნობობა დიდ სარგებელს მოგიტანთ. **ამ წელს გეძლევათ „ოქროს მარაგის“ შექმნის შანსი, რაც სიმშვიდეს მოგგვრით, რადგან ფინანსურად დაცულად იგრძნობთ თავს — ყველა იდეის სარეალიზაციოდ სახსრები საკმარისი გექნებათ.** ნუ მოიქცევით ინფანტილურად, ნურავის დაუთმობთ იმას, რაც გეკუთვნით ან აუცილებელი მანიპულაციების შემდეგ შეიძლება თქვენი საკუთრება გახდეს.

ნუ მისცემთ თავს ჩრდილში დარჩენის უფლებას, მორცხვობა არაფერში გამოგადგებათ. სამსახურში გულმოდგინება და ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოიჩინოთ. აუცილებელია, შეეგუოთ ნებისმიერ პირობებში მუშაობას. ეცადეთ, ყველა შესაძლებლობა მომგებიანად გამოიყენოთ და ნებისმიერ საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდოთ. მომავალს ნელ-ნელა, აგურ-აგურ ააგებთ. მოგიწევთ ბევრი მოგზაურობა, როგორც საქმიანი, ისე გასართობი. **ოჯახში სტაბილურობის პერიოდი დაგიდგებათ, თუ თქვენი მეუღლე რომელიმე ცეცხლოვანი ნიშნის წარმომადგენელი არ არის. ხოლო თუ თავისუფალი ხართ, შესაძლოა, თქვენი პირადი ცხოვრება მოკლევადიანი რომანებით გამრავალფეროვნდეს, მაგრამ ამაზე შორს არ წავა.** წლის ბოლოდან კი თქვენს ცხოვრებაში შესანიშნავი პერიოდი დაიწყება.



## ლომი

ლომებმა მოთმინება უნდა მოიკრიბოთ და გულმოდგინედ იმუშაოთ. **მთავარია, აირჩიოთ გზა, რომელსაც მომავალში გაუყვებით და შრომა სათანადოდ დაგიფასდებათ.** ლომები 2014 წელს შექმნილი სამსახურებრივი პრობლემების მოგვარებას 2015 წლის ზაფხულამდე ვერ შეძლებენ. ხელმძღვანელობა მკაცრად გააკონტროლებს თქვენს ნაბიჯებს. ყველა ახალ პროექტს, რომელსაც ხელმძღვანელობა შეიმუშავებს, კბილებით უნდა ჩაეჭიდოთ. ბევრი მუშაობით სულიერ წონასწორობასაც შეინარჩუნებთ და აქამდე თითქოს მიუწვდომელ სიმაღლეებსაც მიაღწევთ. 2015 წლის ზაფხულიდან კი შეგიძლიათ, ისეთ საქმეს მოჰკიდოთ ხელი, რომელშიც მოქმედების მეტი თავისუფლება გექნებათ. ახალი გეგმების განხორციელებაში ახლობელი ადამიანები დაგეხმარებიან. **ყურადღებით ადევნეთ თვალი ხარჯებს, განსაკუთრებით — გადასახადებს. შემოდგომაზე პოზიტიური ცვლილებებია მოსალოდნელი როგორც კარიერაში, ისე უძრავი ქონების საკითხებში. წარმატებული იქნება შემოქმედებითი პროექტებიც.** მტკიცე ნაბიჯით იარეთ დასახული მიზნისკენ, როგორი სირთულის პრობლემაც უნდა გადაგელობოთ. გადაწყვეტილების მიღებისას **ენდეთ ინტუიციას**, ის 2015 წელს არასდროს გიღალატებთ.



## ქალწული

2015 წელს ქალწულები დაძაბულ შრომაში გაატარებენ. წინა პლანზე კარიერისა და უძრავი ქონების საკითხები წამოიწევს. თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფული წინდაუხედავად ხარჯოთ. ლურჯი თხის წელს პარტნიორებთან ურთიერთობებში ცვლილებებია მოსალოდნელი. **თქვენს კარიერაზე გავლენას მოახდენენ ყოფილი პარტნიორები. საქმეები შეიძლება კარგად წაგივიდეთ ან პირიქით — ათასგვარი გამოცდის გადატანა მოგიწიოთ**. ყველაფერი თქვენს გამოცდილებაზე, ცოდნასა და ადრე შეძენილ უნარ-ჩვევებზე იქნება დამოკიდებული. თამამად შეიმუშავეთ ამბიციური გეგმები, თუმცა მათი განხორციელება არ უნდა გააჭიანუროთ. ბევრი ახალი შეხვედრა გელით, რომელთაგან ერთი, შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს. მართალია, ერთი ნახვით შეყვარება არ გჩვევიათ, მაგრამ ერთ-ერთმა ადამიანმა შეიძლება ყველაფერი დაგავიწყოთ.

წლის მეორე ნახევარში კი შესაძლოა, სამსახურის შეცვლა მოგინდეთ. **თუ ცვლილებების მიმართ შიშს გადალახავთ, სულიერ და მატერიალურ სფეროებს შორის ოქროს შუალედის პოვნას შეძლებთ, რაც, ფინანსურ კეთილდღეობასთან ერთად, სულიერ წონასწორობასა და კომფორტს მოგიტანთ.**




**საქართველოსთვის 2015 წელი, 2014-თან შედარებით, პოზიტიური იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა შეიძლება ფინანსური სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს, ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული იქნება სოციალური პრობლემების მოგვარება. მკვდარი წერტილიდან დაიძვრება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, თუმცა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის ამბიციურობით, შესაძლოა, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება გამწვავდეს და მთავრობაში ცვლილებები მოხდეს.**

2015 წელი ყველა ზოდიაქოს ნიშანს პოზიტიურ ცვლილებებს ჰპირდება. ადამიანები შრომას შეიმსუბუქებენ ან სამუშაო ადგილს შეიცვლიან და შემოსავალს მეტს მიიღებენ. წარმატების მიღწევა შეიძლება ისეთი თვისებების გამოვლენით, როგორიც არის: პრაქტიკულობა; გულმოდგინება; ყურადღების კონცენტრაცია და თვითდაჯერებულობა. ამ წელს ბევრს მიეცემა ცხოვრების ერთგული და საიმედო თანამგზავრის პოვნის შანსი.

# ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სასწორი

ლურჯი თხის წელიწადი სასწორებისთვის ცვლილებების მომტანია, თუმცა სიტუაციას ყოველთვის ვერ გააკონტროლებთ. შეგექმნებათ ახალი ცოდნისა და უნარების ათვისების აუცილებლობა, რაც თქვენს წინსვლას შეუწყობს ხელს. გამოიყენეთ თქვენი დახვეწილი გემოვნება, მოუძებნეთ ოპონენტებს სუსტი წერტილები და აიძულეთ ისინი, თქვენთვის მისაღებ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. ისწავლეთ პოზიციების დაცვა – 2015 წელს ეს უნარი ისე გამოგადგებათ, როგორც არასდროს. **წრე ადამიანებისა, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობა გქონდათ, შეიცვლება. შესაძლოა, ოჯახური ბიზნესის წამოწყება მოგინდეთ ან, უბრალოდ, ნათესავებს დაეხმაროთ.**

შესაძლოა, საქმიანობა უცხო ადგილას დაიწყოთ — შეუჩვეველ გარემოში. ეს საქმე სიამოვნებასაც მოგანიჭებთ და მოგებასაც მოგიტანთ, რაც თქვენს მატერიალურ მდგომარეობას ძალიან წაადგება. **თქვენს პროექტებს წარმატებული ადამიანები მოიწონებენ და მათ განხორციელებაში დაგეხმარებიან. არ არის გამორიცხული, ჯანმრთელობის პრობლემები შეგექმნათ, აგრეთვე, — სირთულეები პირად ცხოვრებაში, განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში.** წლის ბოლოს თქვენ მიერ დაწყებული პროექტები მნიშვნელოვან შემოსავალს მოგიტანთ.

## მორიელი

2015 წელს მორიელები ბევრ ენერგიასა და დროს დახარჯავენ ახალი პროექტების განხორციელებაზე. **შემოსავლების მატება, ძირითადად, გაზაფხულსა და შემოდგომაზეა მოსალოდნელი, თუმცა მთელი წლის განმავლობაში დაძაბული შრომა მოგიწევთ.** ლურჯი თხის წელიწადში, განსაკუთრებით — მის პირველ ნახევარში, მორიელებს საქმიან პარტნიორებთან სირთულეები შეიძლება შეექმნათ. ასეთ შემთხვევაში დახმარების ხელს ერთგული მეგობრები და მფარველები გამოგიწვდიან. თუ სიტუაციას სწორად შეაფასებთ, წარმატება გარანტირებული გექნებათ. მორიელებისთვის 2015 წელი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურობის პერიოდია. თვალსაზრისს ხშირად შეიცვლით, თუმცა საკუთარი სურვილით და არა — სხვათა გავლენით.

**ხშირად გექნებათ დროის უკმარისობის განცდა, მაგრამ ეცადეთ, დრო სწორად გაანაწილოთ და მეგობრებისა თუ ნათესავების დახმარებაზე უარი არ თქვათ. თქვენი ინტუიცია მთელი წლის განმავლობაში მოწოდების სიმაღლეზე იქნება და უსიამოვნო სიტუაციების თავიდან არიდებაში დაგეხმარებათ**. თუ ცხოვრებისეულ საკითხებს ფილოსოფიურად შეხედავთ, თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივები გადაიშლება.

## მშვილდოსანი

2015 წლის დასაწყისში მნიშვნელოვანი ხარჯის გაღება მოგიწევთ, ფინანსური მოგება კი მხოლოდ გაზაფხულისთვისაა მოსალოდნელი. **ზაფხულიდან თქვენი შემოსავალი სტაბილურად მოიმატებს, თუმცა აღმავლობის ეტაპს დაღმავლობის ეტაპი შეცვლის და პირიქით.** არ არის გამორიცხული, ბიზნესპარტნიორებთან შეგექმნათ პრობლემები, რომელთა მოგვარებაც ახლობლებისა და მფარველების ჩარევის გარეშე გაგიჭირდებათ. სამსახურში ავისმსურველებიც შეიძლება გამოგიჩნდეთ, მაგრამ აღებულ კურსს არ გადაუხვიოთ. **თუ ამბიციებს მოთოკავთ და ეგოისტობასაც ნაკლებად გამოიჩენთ, დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ,** თუმცა საეჭვო ავანტიურებში ნუ გაერევით. თქვენ ბევრი იდეა გაქვთ, რომელთა განხოციელებაც წარმატებას მოგიტანთ, ამიტომ ქარის წისქვილებთან ბრძოლაში დროს ნუ დახარჯავთ. ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას ობიექტურობა შეინარჩუნეთ და თამამად იყურეთ მომავლისკენ. იმ მშვილდოსნებს, რომლებსაც აქამდე სიყვარული არ სწვევიათ, 2015 წლის შუა პერიოდში მეორე ნახევრის პოვნის შანსი მიეცემათ. ეძებეთ იგი თანამოაზრეებს ან კოლეგებს შორის – რაც მეტი გექნებათ საერთო, მით უფრო იოლად შეძლებთ ჰარმონიული კავშირის დამყარებას.

## თხის რქა

2015 წელს თხის რქების ფინანსური მდგომარეობა არასტაბილური იქნება, თუმცა გაზაფხულიდან ვითარება გაუმჯობესდება და **შემოდგომაზე თხის რქები, შეუპოვარი ხასიათისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, ყველაფერს მიიღებენ, რაც დაიმსახურეს.** თუმცა უნდა იჩქაროთ, თუ საჭირო მონდომებასა და დაჟინებას არ გამოიჩენთ, თქვენს ადგილს სხვა დაიკავებს, ამიტომ გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას თავი დაანებეთ და დაუყოვნებლივ იმოქმედეთ.

2015 წელი საინტერესო და ნაყოფიერ თანამშრომლობას გპირდებათ როგორც საქმიან, ისე პირად ცხოვრებაში. კონტრაქტების ხელმოწერა, მოკავშირეების შეძენა, პარტნიორებთან ერთად ერთობლივი პროექტების განხორციელება – ამ ყველაფერს უამრავი დრო დასჭირდება და მართალია, კარგ შედეგებსაც მოგიტანთ, მაგრამ **აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება ჯანმრთელობას, რადგან, საქმიან და პირად ცხოვრებაში ჩაფლულს, შეიძლება, სერიოზული დაავადება გამოგეპაროთ.** როგორც უნდა გეჩქარებოდეთ დასახული მიზნების მიღწევა, დასვენების აუცილებლობის შესახებ ნუ დაივიწყებთ. მოგეცემათ საკუთარ თავთან მარტო დარჩენისა და დაფიქრების საშუალება, რომელიც ჩანაფიქრის რეალიზაციაში დაგეხმარებათ.

## მერწყული

2015 წელი მერწყულებისთვის აღმავლობის პერიოდია. **აქამდე მიუღწეველი მწვერვალები კარიერასა თუ პირად ცხოვრებაში იოლი დასაპყრობი იქნება, თუმცა ამისათვის ყველა დაწყებული საქმის დასრულება და კონფლიქტებისგან გათავისუფლება დაგჭირდებათ — საბოლოოდ უნდა დაშორდეთ ადამიანებს, რომლებიც წინსვლის საშუალებას არ გაძლევენ.** თუ 2015 წლის პირველ თვეებში ამ ყველაფრისგან გათავისუფლებას მოახერხებთ, თქვენი კარიერა და პირადი ცხოვრება წინ წავა.

ეს წელი თქვენთვის ფინანსურად მომგებიანი იქნება, თუმცა ხარჯის გაწევაც მოგიწევთ – მგზავრობა, ტრანსპორტი, ადრე დაგროვილი ვალები და ა. შ. ლურჯი თხის წელში გაგიჩნდებათ შანსი, თქვენი სულიერი კომფორტისა და წონასწორობისთვის აუცილებელ სტატუსს მიაღწიოთ. ნუ იქნებით ინერტული და ნუ დაკმაყოფილდებით იმით, რაც გაქვთ. რაც უფრო ამბიციური იქნება თქვენი მიზანი, მის მიღწევას მით უფრო იოლად შეძლებთ. **შემოდგომაზე შეიძლება სამსახური შეიცვალოთ, მაგრამ, რასაც უნდა მოჰკიდოთ ხელი, ყველაფერი გამოგივათ და ყველაზე მოსაწყენ საქმესაც კი სიამოვნებად აქცევთ**. 2015 წელს შეიძლება ისეთი გამოცდილება და ცოდნა შეიძინოთ, რომელიც მომავალში ძალიან გამოგადგებათ.

## თევზები

თევზების მატერიალური მდგომარეობა 2015 წელს სტაბილური იქნება, თუმცა ზაფხულში თქვენი შემოსავლები მოიმატებს. შეიძლება, ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ ან ლატარიაში მოიგოთ. **ეს წელიწადი სამსახურებრივ ცვლილებებს მოგიტანთ.** შეიძლება, დაიწყოთ ოჯახური ბიზნესი ან ვაჭრობის სფეროში ჩაერთოთ, ან კიდევ — მონაწილეობა მიიღოთ საზოგადოებრივი პროექტების განხორციელებაში. წლის დასაწყისიდან შემოდგომამდე მაღალია დაპირისპირების ალბათობა, მათ შორის, საქმიან პარტნიორებთან, რადგან შეიძლება, თქვენთვის გზის გადაჭრა მოინდომონ. თუ ვინმეს ასეთ სურვილს შეამჩნევთ, სასწრაფოდ მიუჩინეთ კუთვნილი ადგილი. ამასთანავე, მოგიწევთ, რეგულარულად აკონტროლოთ თანამშრომლები, რათა ყველა პროექტისა და პროგრამის რეალიზება დანიშნულ ვადებში მოხდეს.

**ეს წელიწადი წარმატებული იქნება, თუ გარშემო მყოფებს თქვენი ღირსებების შესაბამისად დაფასების საშუალებას მისცემთ და კუთხეში არ დაიმალებით, ამიტომ მოიშორეთ ზედმეტი სიმორცხვე, მორიდებულობა და იფიქრეთ საკუთარ თავზე.**

შემოდგომაზე თევზებს საინტერესო შემოთავაზება ელით: სასწორის ერთ პინაზე — პირადი თავისუფლება, მეორე პინაზე კი თავბრუდამხვევი პერსპექტივა იქნება.

*2015 წელი ლურჯი ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით თხის წელიწადია, იაპონური ჰოროსკოპის მიხედვით — ცხვრის;
*აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, ლურჯი თხის (ცხვრის) წელიწადი დაიწყება 2015 წლის 19 თებერვალს, 03 საათსა და 45 წუთზე.
*2015 წლის ციფრია 8, ფერი — ლურჯი და ფირუზისფერი; ქვები — ბრილიანტი, საფირონი, აკვამარინი და ძოწი.
*ეს წელიწადი წარმატების მომტანი იქნება თხის (განსაკუთრებით — ამ წელს თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის), აგრეთვე, კატისა და ტახის წლებში დაბადებულებისთვის,
შედარებით რთული — ძაღლის, ხარისა და დრაკონის წლებში დაბადებულთათვის.



## საახალწლო სუფრა

საახალწლო სუფრა წარმოუდგენელია ტრადიციული ქართული კერძების გარეშე. თქვენს სუფრას აუცილებლად დაამშვენებს ხაჭაპური, საცივი, გოზინაყი... მაგრამ გაითვალისწინეთ წლის ცხოველის ხასიათი და შეეცადეთ, სუფრაზე აუცილებლად იყოს რაც შეიძლება ბევრი მწვანილი, რამდენიმე სახეობის ბოსტნეულის სალათა და ხილის ასორტი. თავი შეიკავეთ გაყინული პროდუქტებისგან და ეცადეთ, მხოლოდ ნატურალური მიირთვათ. არ დაგავიწყდეთ სუფრაზე მარილი! თხას ხომ მარილი ძალიან უყვარს.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანისთვის, მით უმეტეს, ახალგაზრდა ქალისთვის, რომელსაც წაკითხული აქვს უკრაინელი გესტაპოელების თარეშის შესახებ, (და ჩუმაჩენკოს ეს წაკითხული აქვს, რადგან უარყოფის სტატია დაწერა) ფსიქოლოგიურად და მორალურად რთული უნდა ყოფილიყო ამ ფაქტების უარყოფა და ფაშისტებთან ერთად მუშაობა. იმისათვის, რომ ასეთ გარემოცვაში, სულ ცოტა, უხერხულობას არ განიცდიდე, ამ გარემოს უნდა ეკუთვნოდე, ანუ ფაშისტურ გარემოში უნდა იყო აღზრდილი.**

# გერმანულის გაკვეთილები უკრაინისთვის და არამხოლოდ მისთვის

## (ნაწილი მეორე)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №46 (281)

### კატერინა ჩუმაჩენკო – შინაური ქალი აშშ-ის პრეზიდენტებისთვის, უკრაინელი ნაციონალისტებისა და მსოფლიოს ფაშისტებისთვის

1983 წლით დათარიღებულ შავ-თეთრ ფოტოზე ახალგაზრდა, სიმპათიური ქერა ქალი ორი ცნობილი ამერიკელის ზურგს უკან დგას. მარცხნივ ზის **ჯინ კირკპატრიკი** (1926-2006) — პრეზიდენტ რეიგანის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, თავგამოდებული ანტიკომუნისტი და აშშ-ის პირველი ქალი-ელჩი გაეროში. კირკპატრიკმა შექმნა დოქტრინა, რომელსაც მისი სახელი უწოდეს და რომლის მიხედვითაც, აშშ უნდა დაეხმაროს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ანტიკომუნისტურ ხელისუფლებებს, მათ შორის, დიქტატორულსაც, თუკი ის ამერიკის ინტერესებს ემსახურება.

მარჯვნივ — **იაროსლავ სტეცკო** (1912-1986), „ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკისა" და სტეპან ბანდერას მიერ შექმნილი უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის მეთაური. 1941 წელს ის უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციაში სტეპან ბანდერას პირველი მოადგილე იყო და მეთაურს სწერდა: „ვქმნით მილიციას, რომელიც ებრაელების ალაგმვაში დაგვეხმარება" (ლაპარაკია უკრაინელი ამბოხებულების არმიაზე, რომელსაც მოგვიანებით სათავეში ჩაუდგა **რომან შუხევიჩი**, უკრაინული სადამსჯელო ქვედანაყოფისა და აბვერის (ფაშისტური გერმანიის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახური) დამაკავშირებელ ოფიცერ **თეოდორ ობერლანდერთან** ერთად). სტეცკომ გერმანელების მიერ უკრაინელი მოხალისეებით დაკომპლექტებული ბატალიონი „ნახტიგალი" ლვოვში გერმანული ქვედანაყოფების შესვლამდე ერთი დღით ადრე, 30 ივნისს, 20 საათზე ჩაიყვანა, ანუ საბჭოთა კავშირზე ჰიტლერელთა თავდასხმიდან მე-8 დღეს. შემდეგ მან „უკრაინელი ხალხისა და „სტეპან ბანდერას უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის სახელით" გამოაქვეყნა აქტი „უკრაინის სახელმწიფოს შექმნის თაობაზე" და საკუთარი თავი „უკრაინის მთავრობის" პრემიერად დანიშნა. და ეს სტეცკოს მოღვაწეობის მხოლოდ ნაწილია.

ეს ფოტო გადაღებულია „დამონებული ხალხების კომიტეტის" სხდომაზე, სადაც მსოფლიოში მოქმედი ანტისაბჭოთა ორგანიზაციების ლიდერები შეიკრიბნენ.

კირკპატრიკისა და სტეცკოს უკან დგას **კატერინა ჩუმაჩენკო** — ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (1982 წ.). ის ახლახან შეუდგა „უკრაინის ნაციონალური საინფორმაციო ბიუროს" ხელმძღვანელობას პროპაგანდისტულ ორგანიზაცია „ამერიკის უკრაინული კონგრესის კომიტეტში".

სწორედ აქ დაიწყო ჩუმაჩენკოს პოლიტიკური კარიერა, რომელმაც მოგვიანებით უკრაინის პირველ ლედობამდე მიიყვანა. The Wall Street Jornal-ი 2004 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებისადმი მიძღვნილ სტატიაში კატერინა ჩუმაჩენკო-იუშჩენკოს „ამერიკაში აღზრდილ, ფხიზელ და გონიერ საქმიან ქალს" უწოდებს და დასძენს: **„სწორედ ძლიერი კავშირები, რომლებიც ცოლთან აერთიანებს, დაეხმარა ბატონ იუშჩენკოს დაძაბული კამპანიის წარმატებით გავლაში და, სავარაუდოდ, სწორედ ცოლთან მტკიცე ურთიერთობა დაეხმარება იუშჩენკოს, იყოს წარმატებული პრეზიდენტი". თუ ამ სტატიის ავტორმა იცოდა ქალბატონი ჩუმაჩენკოს ჭეშმარიტი ისტორია, მაშინ ეს უნიკალური საჯარო გულწრფელობაა, თუ არა — მაშინ ირონიის ისრის მოხვედრებაა პირდაპირ ათიანში.**

ვინ არის კატერინა ჩუმაჩენკო-იუშჩენკო?

კატერინა ჩუმაჩენკო დაიბადა 1961 წლის 1 სექტემბერს ჩიკაგოში, უკრაინელი იმიგრანტების ოჯახში. 1981 წელს მოიპოვა საერთაშორისო ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის დიპლომატიურ სკოლაში — იქ, სადაც ასწავლიდა პროფესორი კირკპატრიკი და



**წინა პლანზე. სხედან: გაეროში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი ჯინ კირკპატრიკი და ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკის პრეზიდენტი იაროსლავ სტეცკო. უკანა პლანზე: ოსამი კუბოკი (იაპონია), პრეზიდენტი ორგანიზაციისა „გამარჯვება კომუნიზმზე", ბრიტანეთის პარლამენტის წევრი ჯონ ვილკინსონი. მათ შორის დგას უკრაინის ნაციონალური საინფორმაციო ბიუროს დირექტორი კატერინა ჩუმაჩენკო.**

სწავლობდა **პოლა დობრიანსკი.**

უკრაინის ნაციონალური საინფორმაციო ბიურო, რომლის დირექტორიც გახდა კატერინა ჩუმაჩენკო, 1976 წელს დაარსდა ვაშინგტონში „ამერიკის უკრაინული კონგრესის კომიტეტის" მუშაობის გასაუმჯობესებლად აშშ-ის ოფიციალურ წრეებთან. ეს კომიტეტი 1940 წელს შეიქმნა და მიზნად ისახავდა „უკრაინელთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციის შექმნას, რომელიც აშშ-ში უკრაინელი საზოგადოების ინტერესებს დაიცავდა და ხელს შეუწყობდა უკრაინელ ერს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. „ამერიკის უკრაინული კონგრესის კომიტეტის" საბჭოს თავმჯდომარეობდა **ლევ დობრიანსკი** — „დამონებული ხალხების" შესახებ კანონის ერთ-ერთი ლობისტი. მის ქალიშვილს — **პოლას**, რომელმაც 1981-87 წლებში აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების თანამშრომლიდან დირექტორობამდე რთული გზა გაიარა, ჩუმაჩენკო კარგად იცნობდა და მჭიდროდაც თანამშრომლობდა.

კატერინა ჩუმაჩენკოს დიდი წარმატება მოუტანა ძალისხმევამ სპეციალური საგამოძიებო კვლევების ოფისის წინააღმდეგ. ეს ორგანიზაცია, რომლის მიზანიც ყოფილი ნაცისტების მოძებნა იყო, 1979 წელს შეიქმნა ამერიკაში.

1982 წლის 18 ნოემბერს გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა ჩუმაჩენკოს წერილი, რომელშიც კატეგორიულად არის უარყოფილი ბრალდება უკრაინელი ნაციონალისტების მიმართ — მათ ფაშისტებთან კოლაბორაციონიზმში ადანაშაულებდნენ.

1983 წელს ჩუმაჩენკო იკავებს „დამონებული ხალხების ნაციონალური (ამერიკული) კომიტეტის" დირექტორის პოსტს. ეს კომიტეტი ატარებს „დამონებული ხალხების კვირეულს" და 1983 წლის 18-19 ივლისს საზეიმოდ აღნიშნავს თავის 25 წლის იუბილეს.

„კვირეულს" ესწრებოდნენ ოფიციალური პირები, კანონმდებლები, ელჩები და სტუმრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან; მათ შორის — აშშ-ის პრეზიდენტი **რონალდ რეიგანი**, ვიცეპრეზიდენტი **ჯორჯ ბუში** (უფროსი), აშშ-ის ელჩი გაეროში **ჯინ კირკპატრიკი**, რომლებმაც დაგმეს „ხალხებზე კომუნისტების დომინირება". საზეიმო ღონისძიებაზე, აგრეთვე, სიტყვით გამოვიდნენ „ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკის" ხელმძღვანელი იაროსლავ სტეცკო და აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში **რიჩარდ ალენი.**

„დამონებული ხალხების კვირეულის" საორგანიზაციო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა გენერალი ჯონ სინგლაუბი.

კატერინა ჩუმაჩენკო — „დამონებული ხალხების კვირეულის" აღმასრულებელი დირექტორი და „უკრაინის ნაციონალური საინფორმაციო ბიუროს" ხელმძღვანელი — 4 ღონისძიების კოორდინატორი იყო: თეთრ სახლში ცერემონიის, კონგრესში ოფიციალური სადილის, პლენარული სესიისა და ბანკეტის.

იმავე 1983 წლის 20-23 სექტემბერს ლუქსემბურგში გაიმართა „მსოფლიოს ანტიკომუნისტური ლიგის" (მალ) მე-17 კონფერენცია. მალ-ზე ბევრი წიგნი დაიწერა. მათგან ერთ-ერთის სათაური, რომლის ავტორებიც არიან ამერიკელი მკვლევარები **სკოტ ანდერსონი** და **ჯონ ლი ანდერსონი**, წარმოდგენას იძლევა ამ ორგანიზაციის შემადგენლობასა და მოღვაწეობაზე: **„ლიგის შიგნით: შოკისმომგვრელი მხილება იმისა, როგორ შეაღწიეს „მსოფლიოს ანტიკომუნისტურ ლიგაში ტერორისტებმა, ნაცისტებმა და ლათინურამერიკულმა სიკვდილის ესკადრონებმა"** (Anderson S., Anderson J.L. Inside the league: The Shocking Expose of How Terrorists, Nazis and Latin American Death Sguads Have infiltrated The Word Anti Communist League. New York. 1986).

„მსოფლიო ანტიკომუნისტურ ლიგას" მისი ყოფილი წევრი **ჯეფრი სტიუარტ-სმიტი** ასე ახასიათებს: **„ნაცისტების, ფაშისტების, ანტისემიტების, სიყალბის გამავრცელებლების, სასტიკი რასისტებისა და კორუფცირებული კარიერისტების საკრებულო".**

ამ კონფერენციაში მონაწილეობდნენ 70 ქვეყნისა და ათეულობით საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის:

***პროფესორი თეოდორ ობერლანდერი — აბვერის ყოფილი ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფდა კავშირს ეს-ეს-ის უკრაინულ ქვედანაყოფებთან — გერმანიიდან.**

*ამერიკელი გენერალ-მაიორი **ჯონ სინგლაუბი**, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წინამორბედი ორგანიზაციის — სტრატეგიული ინფორმაციის სამმართველოს ოფიცერი, ცსს-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი, კერძო სადაზვერვო ანალიტიკური ცენტრის — Western Goals Foiundation-ის თანადამფუძნებელი, რომელსაც იატაკქვეშა მუშაობის 40-წლიანი გამოცდილება ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

***ამერიკელი გენერალ-ლეიტენანტი დენიელ გრემი, თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი და „ვარსკვლავური ომების" კონცეფციის მთავარი არქიტექტორი.**

* ხალხების ანტიბოლშევიკურ ბლოკს წარმოადგენდნენ მისი პრეზიდენტი **იაროსლავ სტეცკო** და მეუღლე-თანამებრძოლ **იაროსლავასთან** ერთად.

*** 22 წლის კატერინა ჩუმაჩენკო. ის წარმოადგენდა ხალხების ამერი-** ▶

**როგორ მოხვდა ახალგაზრდა უკრაინელი ქალი ნაცისტების (რომლებმაც თავიდან აიცილეს ნიურნბერგის პროცესი), ეს-ეს-ის ქვედანაყოფების წევრი ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერებისა და სიკვდილის ესკადრონების შემქმნელნი აშშ-ის დაზვერვის გენერლების შეკრებაზე? 21 წლისა როგორ გახდა უკრაინელი ნაციონალისტების ქსელის რამდენიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევდა აშშ-ის თეთრ სახლსა და კონგრესში გამართულ ღონისძიებებს და თავს შესანიშნავად გრძნობდა ამერიკის პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტისა და გაეროში მუდმივი წარმომადგენლის გარემოცვაში?**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## უკრაინის იუსტიციის მინისტრი თავის დროზე პასუხს აგებდა იაროსლავ სტეცკოს აგენტურული ქსელის მოქმედებაზე, რომელიც „უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციისა“ და „ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკის“ საფარქვეშ მუშაობდა, ანუ მსოფლიოში მოღვაწე უკრაინელი იურისტებიდან აშშ-მა უკრაინის იუსტიციის მინისტრის პოსტისთვის ნაცისტებთან მომუშავე იაროსლავ სტეცკოს უკრაინელი ნაციონალისტების აგენტურული ქსელის მეთაური შეარჩია.

◀ **კულ ნაციონალურ კომიტეტს.**

როგორ მოხვდა ახალგაზრდა უკრაინელი ქალი ნაცისტების (რომლებმაც თავიდან აიცილეს ნიურნბერგის პროცესი), ეს-ეს-ის ქვედანაყოფების წევრი ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერებისა და სიკვდილის ესკადრონების შემქმნელნი აშშ-ის დაზვერვის გენერლების შეკრებაზე? 21 წლისა როგორ გახდა უკრაინელი ნაციონალისტების ქსელის რამდენიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინაციას უწევდა აშშ-ის თეთრ სახლსა და კონგრესში გამართულ ღონისძიებებს და თავს შესანიშნავად გრძნობდა ამერიკის პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტისა და გაეროში მუდმივი წარმომადგენლის გარემოცვაში?

როგორ მიაღწია ახალგაზრდა ჩუმაჩენკომ ასეთი მაღალი დონის პირებთან ურთიერთობას? რატომ ენდობიან მას? როგორც ჩანს, სიჭაბუკისა და უნივერსიტეტში სწავლის წლებში ჩუმაჩენკოს ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც მისცა შესაძლებლობა, შეეღწია აშშ-ის უმაღლეს ეშელონებში და მოეპოვებინა დიდი ნდობა.

ადამიანი, რომელსაც ამერიკის ინტერესების გატარებასა და ამერიკულ დაზვერვასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ, ბევრია. თუმცა ჩუმაჩენკოს შემთხვევა განსაკუთრებულია. ის სხვა წონით კატეგორაშია, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი ადამიანები მიეკუთვნებიან.

ამ ვითარებას მორალური ასპექტიც აქვს. **„გალიჩინა“, რომლის სრული სახელწოდებაა „ეს-ეს-ის გრენადერთა მე-14 ვაფენ-დივიზია (პირველი უკრაინული)“, უკრაინაში ე.წ. წმენდის ჩატარებისას, გესტაპოს დავალებით, ყველაზე ბინძურ საქმეებს ასრულებდა — ხვრეტდა ბავშვებს.** ადამიანისთვის, მით უმეტეს, ახალგაზრდა ქალისთვის, რომელსაც წაკითხული აქვს უკრაინელი გესტაპოელების თარეშის შესახებ, — და ჩუმაჩენკოს ეს წაკითხული აქვს, რადგან უარყოფის სტატია დაწერა, — ფსიქოლოგიურად და მორალურად რთული უნდა ყოფილიყო ამ ფაქტების უარყოფა და ფაშისტებთან ერთად მუშაობა. იმისათვის, რომ ასეთ გარემოცვაში, სულ ცოტა, უხერხულობას არ განიცდიდე, ამ გარემოს უნდა ეკუთვნოდე, ანუ ფაშისტურ გარემოში უნდა იყო აღზრდილი.

1984-1986 წლებში ჩუმაჩენკომ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მიიღო ჩიკაგოში, პარალელურად, სტაჟირებას გადიოდა ილინოისის შტატის ვაჭრობის სამინისტროში და მუშაობდა ვაშინგტონის „პოლიტიკისა და ეთიკის“ ცენტრში რედაქტორად.

სწავლის დასრულებისთანავე, 1986-1988 წლებში, ის იკავებს ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარულ საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილის — **რიჩარდ შიფტერის** სპეციალური თანაშემწის პოსტს და მჭიდროდ თანამშრომლობს პოლა დობრიანსკისთან, რომელიც 1987-1990 წლებში შიფტერის მოადგილე გახლდათ. **სახელმწიფო დეპარტამენტის ეს განყოფილება რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდში ლათინური ამერიკის სიკვდილის ესკადრონების ლიდერებს „თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებად“ წარმოაჩენდა.**

1988 წელს ჩუმაჩენკომ მუშაობა დაიწყო თეთრ სახლში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორის მოადგილედ, ამ რანგში გამოვიდა (პოლა დობრინსკისთან ერთად) მისასალმებელი სიტყვით ამერიკაში მცხოვრები უკრაინელების მე-15 კონგრესზე 1988 წლის 16 სექტემბერს და მათ რონალდ რეიგანის მისალმებაც გადასცა.

1991-1993 წლებში ჩუმაჩენკო გახდა აშშ-უკრაინის ფონდის თანადამფუძნებელი, ვიცეპრეზიდენტი და სათავეში ჩაუდგა „ფილიპ ორლიკის“ ინსტიტუტს. 1993-დან 2000 წლამდე მოღვაწეობდა ამერიკულ კონსალტინგურ კომპანიაში, რომელსაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებდა.

**შემდეგი მონაცემები, რომლებმაც ჩუმაჩენკო დასახულ მიზნამდე მიიყვანა, კარგად არის ცნობილი:**

რომანტიკულად, „შემთხვევით“ გაიცნო თვითმფრინავში ვიქტორ იუშჩენკო, რომელსაც 1998 წელს ცოლად გაჰყვა.

ვიქტორ იუშჩენკოს ისტორია ცალკე თემაა (იხ. ისრაელელი ისტორიკოსის — იური ვილნერის წიგნი „ანდრეი იუშჩენკო: პერსონაჟი და „ლეგენდა“) მამამისმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, რომ ნამდვილ ყავას გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკში სვამდა. რა რანგში უნდა ემუშავა მას ფაშისტურ ბანაკში, ნამდვილი ყავის დალევის უფლება რომ ჰქონოდა? ნათელია, რომ ვიქტორ იუშჩენკოსთვის ამერიკული სისტემის ნიჭიერი მოსწავლის — კატერინა ჩუმაჩენკოს — მეუღლედ შერჩევა გულმოდგინედ იყო მოფიქრებული.

ქორწინებიდან ერთი წლის თავზე, 1999 წელს, იუშჩენკო უკრაინის პრემიერმინისტრი გახდა. 2004 წელს კი, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შედეგად, ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა.

ასე და ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაწყებული, ცივი ომის ათწლეულებში ჩამოყალიბებული და 1990-იან წლებში სკრუპულოზურად დამუშავებული პროექტი 60 წლის თავზე წარმატებით დასრულდა.



კატერინა ჩუმაჩენკო და ვიქტორ იუშჩენკო ლორა და ჯორჯ ბუშებთან ერთად თეთრი სახლის აღმოსავლეთ დარბაზში. 2005 წლის 4 აპრილი.



უკრაინის იუსტიციის ექსმინისტრი რომან ზვარიჩი




რომან ზვარიჩი ხალხების ანტიბოლშევიკურ კონგრესზე ხსნის ახალგაზრდათა პლენარულ სხდომას. 1981 წლის 2-3 მაისი

## იურისტი არ არის და არც უკრაინაში უცხოვრია, მაგრამ უკრაინის იუსტიციის მინისტრი იყო: რომან ზვარიჩი

აშშ-ის ისტორიაში პირველი ადამიანი, რომელმაც ამერიკის მოქალაქეობა უკრაინის მოქალაქეობაზე გაცვალა (1995 წელს), იყო რომან ზვარიჩი. რით შეიძლებოდა დაეინტერესებინა შეძლებული ამერიკელი მშფოთვარე ვითარებაში მცხოვრებ უკრაინას?

რომან ზვარიჩი დაიბადა 1953 წელს ქალაქ იონკერსში, ნიუ იორკთან ახლოს, უკრაინელი პოლიტიმიგრანტების ოჯახში; 1971-76 წლებში სწავლობდა მანჰეტენის კოლეჯში; 1976 წელს სწავლა განაგრძო კოლუმბიის უნივერსიტეტში. ორი წლის შემდეგ მიიღო პედაგოგიური მოღვაწეობის უფლება და დაიწყო მუშაობა დისერტაციაზე პლატონის შესახებ. 1983-1991 წლებში კი, ოფიციალური რეზიუმეს მიხედვით, ზვარიჩი პოლიტიკურ თეორიას, ფილოსოფიას, ინტელექტუალურ ისტორიასა და სამართლის თეორიას ასწავლიდა ნიუ იორკის უნივერსიტეტში.

1991 წელს ზვარიჩი უკრაინაში გადადის საცხოვრებლად. მისი პირველი პოსტი ქვეყანაში, სადაც მანამდე არასოდეს ყოფილა, იყო დემოკრატიული რეფორმების ცენტრ „დემოსის“ საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის დირექტორობა. 1998 წლის მაისში აირჩიეს უზენაესი რადის მესამე მოწვევის დეპუტატად, მუშაობდა სამართლებრივი რეფორმისა და საგარეო საქმეთა კომიტეტებში; 2002 წლიდან კვლავ დეპუტატია, ფრაქცია „ნაშა უკრაინის“ წევრი; ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

2005 წლიდან ზვარიჩი იუსტიციის მინისტრია იულია ტიმოშენკოს მთავრობაში. 2006 წლის მარტში მესამედ ხდება დეპუტატი ბლოკ „ნაშა უკრაინიდან“; ამავე წლის აგვისტოში კვლავ ინიშნება იუსტიციის მინისტრად; 1 ნოემბერს კი რადამ მხარი დაუჭირა პოსტიდან მის გადადგომას, თუმცა მალე ვიქტორ იუშჩენკომ თავის წარმომადგენლად დანიშნა უზენაეს რადაში. მოგვიანებით ზვარიჩი მუშაობდა იუშჩენკოს თანაშემწედ და იყო პარტია „სახალხო კავშირი — „ნაშა უკრაინას“ პოლიტსაბჭოს წევრი. პარალელურად, იკავებდა მაღალ თანამდებობებს უკრაინელი ნაციონალისტების კონგრესსა და პარტიაში — „რეფორმები და წესრიგი“.

**2005 წლის გაზაფხულზე გაზეთმა „უკრაინსკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ჟურნალისტი ამტკიცებდა, რომ იუსტიციის მინისტრი სულაც არ იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, არ იყო სამეცნიერო ნაშრომების ავტორი და არ ჰქონდა ზემოხსენებული უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი, როგორც ზვარიჩის ბიოგრაფიაში იყო აღნიშნული.**

მოგვიანებით, The Ukrainian Weekly-სთვის მიცემულ ინტერვიუში, რომან ზვარიჩმა აღიარა, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტში არც მაგისტრის დიპლომი მიუღია და არც დოქტორის ხარისხი, არც პროფესორის წოდება ჰქონდა ნიუ იორკის უნივერსიტეტში და არც იურიდიული განათლება.

**დააკვირდით, როგორ ჰგავს ზვარიჩის ამბავი მიხეილ სააკაშვილის კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლასა და იურისტობას — ისიც ხომ, თავდაპირველად, საქართველოს იუსტიციის მინისტრად დაინიშნა. ასე, ერთნაირი მეთოდით ცდილობენ ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილი ადამიანების ამერიკულ ყაიდაზე აღზრდას და შემდეგ სახელისუფლო სტრუქტურებში ჩანერგვას მათი ამერიკელი მამები.**

ზვარიჩმა განაცხადა, რომ 50-მილიონიანი უკრაინის (რაც უნდა იყოს, ბანანის რესპუბლიკა ხომ არ არის?!) იუსტიციის მინისტრის პოსტის დაკავების საფუძველი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში მუშაობის 6-წლიანმა გამოცდილებამ მისცა, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით, ნათელი გახდება, რატომ არ ჰყოფნიდა ზვარიჩს დრო სწავლისთვის — ის ძალიან დაკავებული იყო საზოგადოებრივი საქმიანობით.

1981 წლის მაისში ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკის კონგრესზე ახალგაზრდათა პლენარული სესია სწორედ ზვარიჩმა გახსნა. 1983 წლის სექტემბერში მსოფლიოს ანტიკომუნისტური ლიგის კონფერენციაში მონაწილეობდა კატერინა ჩუმაჩენკოსთან, ცოლქმარ სტეცკოებთან, თეოდორ ობერლანდერთან, ჯონ სიგლაუბსა და დენიელ გრემთან ერთად. მაგრამ, თუ კიდევ უფრო ჩავუღრმავდებით, ზარიჩისთვის არც ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში დაძაბული მოღვაწეობა იყო ძირითადი სამუშაო. მისი ჭეშმარიტი ზრახვები სხვა ადგილას იგეგმებოდა.

2005 წლის 28 მარტს „ბი-ბი-სის“ კიევის ბიურომ გამოაქვეყნა ინტერვიუ უკრაინის იუსტიციის მინისტრ რომან ზვარიჩთან სათაურით: Ukrainian justice minister shares personal story. **ამ ინტერვიუში ზვარიჩი ყვება, რა ძნელი იყო მისთვის ამერიკულ „გადასადნობ ქვაბში“ ცხოვრება, რადგან სამშობლოსთან „სულიერი ფესვებით“ იყო მიბმული; როგორ მუშაობდა ტაქსისტად ნიუ იორკში; როგორ უთხრა უარი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლობაზე; როგორ უთვალთვალებდა „კა-გე-ბე“ მის მომავალ ცოლს. „დიახ, — ამბობს ზვარიჩი, ჩემი ამერიკული წარმომავლობა უამრავი ჭორის საბაბს აჩენს, მე უკრაინაში მსოფლიო კაპიტალიზმისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტად მთვლიან“.**

კორესპონდენტი ალექსანდრე არტაზეი მინისტრს ეკითხება:

**— როგორ გაიცანით მეუღლე? ისიც უკრაინული დიასპორის წარმომადგენელია?**

**ზვარიჩი:**

— არა, და ეს იყო უკრაინაში ჩემი ჩამოსვლის მეორე მიზეზი. მე და სვეტლანამ ერთმანეთი პოლონეთში გავიცანით 1983 წელს.

შემდეგ ზვარიჩი გამაოგნებელ რაღაცებს ყვება:

— **დეტალებზე არ ვისაუბრებ, რადგან იქ კონფიდენციალური რაღაცებიც არის, მაგრამ არა — პირადული. საქმე ის არის, რომ იმხანად უკვე მიტოვებული მქონდა ჩემი საქმე უნივერსიტეტში (ოფიციალური ბიოგრაფიის თანახმად, ზარიჩმა ნიუ იორკის უნივერსიტეტში პედაგოგობა 1983 წელს დაიწყო) და ვმუშაობდი მიუნხენში უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციაში იაროსლავ სტაცკის ხელმძღვანელობით. პასუხისმგებელი ვიყავი საერთაშორისო მიმართულებაზე, და ეს იყო საიდუმლო მიმართულება.**

კორესპონდენტი:

**— სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკრაინაში აგენტად სამუშაოდ გამზადებდნენ?**

**ზვარიჩი:**

— მე მათ აგენტებს არ ვუწოდებდი. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც კავშირი უნდა ჰქონოდათ იატაკქვეშეთთან. ამ კონტექსტში იაროსლავ სტეცკომ რამდენიმე განსაკუთრებული ამოცანის შესრულება დამავალა. 1983 წელს პოლონეთში, როდესაც ერთ-ერთ დავალებას ვასრულებდი, უკრაინელ კურიერთან კავშირზე გავედი. ეს კურიერი იყო ჩემი სვეტლანა. სხვა დეტალებზე ვერ ვილაპარაკებ. ის კიევში ცხოვრობდა, ჰქონდა კავშირები ქალაქში. ჩვენ რამდენიმეჯერ შევხვდით, მოგვეწონა ერთმანეთი და 1985 წელს კიhევში დაიბადა ჩემი შვილი, რომლის შესახებაც 1990 წლამდე არაფერი ვიცოდი.

**სხვაგვარად რომ ვთქვათ, უკრაინის იუსტიციის მინისტრი თავის დროზე პასუხს აგებდა იაროსლავ სტეცკოს აგენტურული ქსელის მოქმედებაზე, რომელიც „უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციისა“ და „ხალხების ანტიბოლშევიკური ბლოკის“ საფარქვეშ მუშაობდა, ანუ მსოფლიოში მოღვაწე უკრაინელი იურისტებიდან აშშ-მა უკრაინის იუსტიციის მინისტრის პოსტისთვის ნაცისტებთან მომუშავე იაროსლავ სტეცკოს უკრაინელი ნაციონალისტების აგენტურული ქსელის მეთაური შეარჩია.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამცხე-ჯავახეთში გადასასვლელ თიკმატაჟის უღელტეხილზე (2100 მეტრზე ცოტა მეტია ზღვის დონიდან) ზამთარში გზა რომ იკეტება, ნამქერის ბრალია: დაჰბერს ჩრდილოეთის ქარი და ისეთ თოვლს მოაყრის, გზაშარას კი არა, მთაბარს გადაასწორებს, წაშლის და გააქრობს.**

თოვლის ტყვეობაში



# სიტყვაგაუტეხელები

## ერთი დღე რკინიგზის მშენებლებთან

**18 დეკემბრის ღამესაც გამოუდვია თავი იქაურ ნორდ-ოსტს (თუ რომელიღაც სხვა მიმართულებისას), ისე უმუშავია, რომ თბილისიდან წამოყოლილი გაფრთხილება, — უღელტეხილი დაკეტილიაო, სიმართლედ უქცევია. დროებით მაინც. ყოველ შემთხვევაში, იმ ერთადერთი მანქანისთვის, რომლითაც „საქართველო და მსოფლიოს“ კორესპონდენტი მარაბდა-კარწახის ტრანსერნოვნული მაგისტრალის მშენებლობის ხელმძღვანელს ოლეგ ბიჭიაშვილსა და მის მოადგილეს კოტე ნინიძეს მიჰყვებოდა საინსპექციო მივლინებაში.**

დროებითიო, რომ ვთქვი, ერთ საათს გაგრძელდა უძრაობის დრო-ჟამის ეს მონაკვეთი; გაგრძელდა და გაიჭიმა იმიტომ, რომ თოვლწაფენილ გზაზე ავად თუ კარგად მიმავალებს გზის გასაწმენდად გამოსულმა ტექნიკამ — სკრეპერმა და გრეიდერმა — თოვლის ისეთი გროვა მოგვაყარა, რომელსაც, იაპონური „ტოიოტა“ კი არა, რუსული ტანკი — „ტ-78“-ც ვერ გადალახავდა.

მოგვაყარა და განაგრძო გზა უღელტეხილის მეორე ბოლოსკენ.

ვაი-ვიში რას უშველიდა.

დაველოდეთ.

მაინც იმათი გამოსაყვანი გავხდით თოვლისგან თავისუფლებააღკვეთილები.

მოკლედ, ზამთარია სამცხე-ჯავახეთის ზეგანზე, ყინვა — 2-დან 4 გრადუსამდე და ცივი, ძალიან ცივი ქარი, რომელიც ძვალსა და რბილში ატანს.

სოფლები მიძინებულია, როგორც დათვი ზამთრის თვეებში. გზები — სისხლისგან დაცლილი ვენები სიცოცხლე წართმეული სხეულის.

რკინიგზის მშენებლები კი თავგამოდებით მუშაობენ.

**— ავრალია, ბატონო ოლეგ?**

— ავრალების დრო წავიდა... უნდა დავასრულოთ ის სამუშაო, რომელიც წლეულსვე გვქონდა მოსამთავრებელი. ეს ერთი. მეორე — საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცეპრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა და აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს 2014 წლის ბოლოს მშენებარე რკინიგზის ჩვენს მონაკვეთზე — თბილისიდან კარწახამდე, რომელიც თურქეთთან საზღვრისპირა სადგურია, გაგვეტარებინა სატესტო მატარებელი. ეს წინადადება მივიღეთ, როგორც დავალება, ვთქვით, რომ წლევანდელ ეტაპს ამით დავასრულებდით. ახლა ვმუშაობთ, რათა სიტყვა არ გავტეხოთ.

**— „სატესტო მატარებელი“ რას ნიშნავს, ბატონო ოლეგ?**

— „სატესტო მატარებლის“, იგივე „მუშა მატარებლის“ გავლა ნიშნავს, რომ რკინიგზის ლიანდაგის დაგება დამთავრებულია. ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რკინიგზის ჩვენი მონაკვეთი საექსპლუატაციოდ მზად არის. ამას დრო სჭირდება. ეს დრო მთელი 2015 წელიწადია.

„საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს გავახსენებ, რომ ახალქალაქიდან კარწახამდე 27 კილომეტრის მანძილზე ლიანდაგი ევროპული სტანდარტის, ანუ ვიწროგანივისაა, რაც 1435 მილიმეტრს უდრის. ახალქალაქამდე ჩვენი ლიანდაგის სიგანე 1520 მილიმეტრია. ასეთი განსხვავება გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა, მაგრამ დღეისთვის ყველაფერი დავძლიეთ და, როგორც ვვარაუდობთ, 25 დეკემბრის შემდეგ შევძლებთ სატესტო მატარებლის კარწახში მიღებას.

**— თქვენი სტუმრები მატარებლით იმგზავრებენ?**

— არა, რადგან ჩვენ არ გვაქვს ვიწრო ლიანდაგის, ანუ ევროსტანდარტის სამგზავრო ვაგონები. ამ რიტუალს მომავალი წლის ბოლოსთვის გადავდებთ, იმ პერიოდისთვის, როცა ხაზი საექსპლუატაციოდ ჩაბარდება.

* * *

**შრომობენ მშენებლები ამ ყინვასა და ქარაშოტში ტრიალ, უკაცრიელ მინდორში, სადაც დღევანდელი ცივილიზაციის ნიშანი სწორედ რკინიგზის ლიანდაგია. სხვა — არაფერი. აქაური ზამთრის სითეთრეში მაინც. რელსებს აწყობენ ბეტონის შპალებზე — გიგანტური როიალის ჰორიზონტამდე გაჭიმულ კლავიშებზე, რომლებზეც მატარებლის ბორბლები მარადიულ და უცვლელ მელოდიას დაუკრავენ, დღეს თუ არა, ხვალ. სულ მალე.** — დაგ-დაგ, დაგ-დაგ! — და ამ სიმარტივეში ჩადებული იქნება შრომის დიდებულებისა და კაცური ღირსების ჰიმნი — მარტივი და გასაგები, როგორც თვით ჭეშმარიტება.

ახლა კი იმ კლავიშებზე ტონა-ნახევრიან რელსებს დებენ თავიანთი საქმის პროფესიონალები — ამწის მემანქანე და ის მუშები, რომლებიც ბურლაკებივით წელში მოხრილები (შორეული ასოციაცია სეროვის ტილოსთან „ბურლაკები ვოლგაზე“), ძლიერი მკლავებით ზუსტ მიმართულებას აძლევენ რელსების „წნელებს“ შპალებისკენ.

მშენებლობის უფროსის გამოცდილი თვალი მაინც ამჩნევს მილიმეტრებით გადახრას და უსწორებს მუშებს ლარსა და ხაზს:



„ბურლაკები ვოლგაზე“ აგებენ რელსებს შპალებზე. მშენებლობის უფროსის გამოცდილი თვალი მაინც ამჩნევს მილიმეტრებით გადახრას



**«დღეს კადრები ქუჩიდან აგვყავს, ისეთი ადამიანები, რომლებსაც რკინიგზასთან შეხება არ ჰქონიათ. მათ დაოსტატებაზე უკვე სამუშაო პროცესში იხარჯება წლები, რადგან რკინიგზელის პროფესია უაღრესად რთულია და მოკლე დროში მისი ათვისება კი — პრაქტიკულად შეუძლებელი»**

— ცოტა უფრო მარჯვნივ! ცოტაც! საკმარისია.

**— რა სამუშაოები ტარდება ამ დასკვნით ეტაპზე, ბატონო ოლეგ?**

— ამ ეტაპზე ლიანდაგის პირაპირების შეერთება ხდება, შეგვაქვს ღორღი, მიმდინარეობს პროფილაქტიკური სამუშაოები და ა. შ. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ასეთ რთულ პირობებში გვიწევს მუშაობა. წელიწადის განმავლობაში 6 თვე აქ ასეთი მძიმე პირობებია.

* * *

აქ რომ ლიანდაგს აგებენ, მოშორებით — იქ, სადაც ტყის კორომია, ხიდის ბურჯის დაბეტონებას ამთავრებენ, რკინიგზაზე გადასატარებელი ხიდისას. კოცონი დაუნთიათ პატარა. უფრო მორალური მდგრადობის შესანარჩუნებლად, თორემ იმ ფიჩხისა და ფიცრების ნარჩენების ცეცხლით გამთბარი ადამიანი ჯერ არავის უნახავს.

გაბოლილი — კი.

**— დამთავრდება მშენებლობა და დადგება პრობლემა რკინიგზის ექსპლუატაციის. მზად ვიქნებით პროფესიონალი კადრებით მისი დაკომპლექტებისთვის?**

— მას შემდეგ, რაც საექსპლუატაციოდ გადაეცემა ბაქო-თბილისი-ყარსის მონაკვეთი, რა თქმა უნდა, აუცილებელი იქნება კადრებით დაკომპლექტების პრობლემის გადაწყვეტა.

ეკონომიკის სამინისტროს სწორად აქვს აღქმული შექმნილი ვითარება. პირადად მინისტრიც გვეხმარება. მის წინაშე დავაყენეთ საკითხი საქართველოს რკინიგზასთან არსებული კოლეჯის შექმნის თაობაზე, რომელსაც დააფინანსებს სახელმწიფო. ასეთი გადაწყვეტილება, სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგების გათვალისწინებით, განათლების სამინისტრომ უკვე მიიღო, მაგრამ გვაბრკოლებს შესაბამისი ბაზის უქონლობა.

საქართველოს რკინიგზას ასეთი ბაზის გამოყოფის საშუალება ჰქონდა, მაგრამ **ყოფილი ხელისუფლების დროს დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარე შენობა, რომელიც 1937 წელს იყო აგებული და რკინიგზის ბალანსზე ირიცხებოდა, სახელმწიფომ ჩამოართვა. 4 წელიწადია, ის შენობა უფუნქციოდ არის დატოვებული, სწავლების არავითარი პროცესი იქ არ მიმდინარეობს, არადა, სწორედ ამისთვის ააგეს თავის დროზე — რკინიგზელთა სწავლებისა და პროფესიული გადამზადებისთვის.** აუდიტორიების პრინციპით დაგეგმარებული და აგებული ეს შენობა, არა მგონია, რაიმე სხვა ფუნქციური დატვირთვისთვის გამოდგეს. მის ეზოში საქართველოს რკინიგზამ ააშენა ოთხსართულიანი საერთო საცხოვრებელი მოსწავლეთათვის და ამით შეიკრა ციკლი ჩვენი რკინიგზისთვის კადრების მოსამზადებლად, საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან ახალგაზრდების მოსაზიდად.

**დღეს კადრები ქუჩიდან აგვყავს. მათ დაოსტატებაზე უკვე სამუშაო პროცესში იხარჯება წლები, რადგან რკინიგზელის პროფესია უაღრესად რთულია და მოკლე დროში მისი ათვისება კი — პრაქტიკულად შეუძლებელი.**

ბატონმა ოლეგმა პოპულარულად ახსნა, რომ მშენებარე უბანი დამატებითი სპეციფიკურობით არის გამორჩეული თავისი აღმართ-დაღმართებით, მოსახვევებით და ა.შ. რომ, თუ მოლითი-წიფას გადასარბენზე აღმართი 28 მეათასედიანია, აქ, სამცხე-ჯავახეთზე გამავალ რკინიგზაზე შვიდი 35 მეათასედიანი „უღელტეხილია“ გასავლელი. ამ სირთულეების მქონე უბანს რომ განსაკუთრებულად მომზადებული პროფესიონალების მომსახურება სჭირდება, ეჭვგარეშეა.

მაგრამ ასეთი პროფესიონალების მომზადება მხოლოდ სათანადოდ აღჭურვილ სპეციალურ ბაზაზეა შესაძლებელი. მარაბდა-კარწახის უბანზე 1600-მა ადამიანმა უნდა იმუშაოს. მათი მომზადება ახლავე თუ არ დაიწყეს, ხვალ გვიან იქნება.

საქართველოს რკინიგზას კადრების გადამზადებაც უჭირს, მიზეზი იგივეა — ბაზის უქონლობა.

— ჩემი მონაცემებით, — **ამბობს ბატონი ოლეგი, — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენს რკინიგზაზე არც ერთი თანამშრომელი არ გადამზადებულა. ეს კი ნიშნავს, რომ ჩამორჩენილები ვართ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას, დარგში მეცნიერების უახლოეს მიღწევებს.**

არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ახლავე უნდა მიხედვა. როგორც გითხარით, რკინიგზის ჩვენს უბანს მომავალი წლის ბოლოს გადავცემთ საექსპლუატაციოდ, მაგრამ ჩვენი პარტნიორები თურქეთში, სულ ცოტა, ერთი წლით ჩამოგვრჩებიან და სამუშაოების დამთავრებას დადგენილ ვადაში ვერ ასწრებენ. მათი განცხადებით, 2015 წლის ბოლოსთვის მხოლოდ მიწის ვაკისს ააშენებენ და ლიანდაგის ზედნაშენს განათავსებენ. ელექტრიფიკაციის სამუშაოების დასრულებას არც გვპირდებიან.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დასასრულ — ერთი რამ, რასაც რკინიგზის მშენებლობასთან არავითარი კავშირი არ აქვს.**

**თიგმანტაჟის უღელტეხილზე თოვლში რომ ჩავრჩით და ირგვლივ სულიერი რომ არ ჭაჭანებდა, მიწაზე გართხმული თეთრი ღრუბლიდან მოულოდნელად იშვა შავი სილუეტი — გამოფრინდა აქაური ციური სივრცის რომელიღაც მბრძანებელი — არწივი? ქორი? — ვერ გეტყვით. ნელა, დინჯად, ფრთების არაბუნებრივად მძიმე მოძრაობით ისე გადაგვიფრინა, რომ ლამის შეეხო მანქანას.**

**ბედისწერის გარდაუვალობით თავს გადაგვევლო და ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორადაც იშვა.**

**რისი ნიშანია?**

**„საიდან მოდის სიბრძნე და სად არის შემეცნების ადგილი? უხილავია ყოველი ცოცხალი თვალისთვის და დაფარულია ცის ფრინველთათვის“ (იობი, 28,20-21).**

**„ამ ხელისუფლებას ვურჩევ, განცხადებები წინდახედულად გააკეთოს. არ შეიძლება, ჯერ განაცხადო და შემდეგ იმართლო თავი, — უი, ასე არ უნდა მეთქვაო. კვალიფიციური კადრები უნდა შეარჩიონ, რათა სახელმწიფო სტრუქტურიდან არ გავიდეს არც ერთი ისეთი განცხადება, რომელიც უამრავ შეკითხვას გააჩენს“.**

სპორტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს კავკასიის ჩემპიონატში ქართველებმა 16 ოქროს მედალი მოიპოვეთ!

**21 დეკემბერს თბილისში, სპორტკომპლექს „მართვეში“, გაიმართა კავკასიის მეორე ჩემპიონატი სეიბუკაი კიოკუშინ კარატეში (ბავშვები, მოზარდები, იუნიორები). ჩემპიონატში, რომლის ორგანიზატორი იყო საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია, მონაწილეობდა 178 სპორტსმენი საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.**

**საქართველოდან მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ფედერაციების წარმომადგენლებმა:**

**1.საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია** (ხელმძღვანელი **გოჩა კაკაბაძე**);

**2.საქართველოს კიოკუშინ კარატეს ეროვნული ფედერაცია იკო-მაცუშიმა (ხელმძღვანელი ნოდარ კვანჭიანი)**;

**3.საქართველოს შინკიოკუშინ კარატეს ფედერაცია** (ხელმძღვანელი **ავთანდილ შენგელია**);

**4.საქართველოს კიოკუშინკან კარატე დოს ფედერაცია** (ხელმძღვანელი **ანზორ ჩუბინიძე**);

**5.საქართველოს კიოკუშინკაი კანის ფედერაცია (ხელმძღვანელი გიორგი ემინაშვილი)**;

**6.საქართველოს კიოკუშინ კარატეს კავშირი** (ხელმძღვანელი **ტარიელ ძებისაშვილი**);

**7.საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს კლუბების კავშირის ეროვნული ფედერაცია** (ხელმძღვანელი **მიხეილ ქანთარია**).

ოქროს მედლები გათამაშდა 6-დან 18 წლამდე სპორტსმენებს შორის 30 წონით კატეგორიაში. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა **საქართველომ (16 ოქროს მედალი)**, მეორეზე გავიდა **სომხეთი (12 ოქროს მედალი)**, ხოლო მესამეზე **აზერბაიჯანი (2 ოქროს მედალი)**

**კავკასიის 2014 წლის ჩემპიონები გახდნენ:**

**1. დავით ასატრიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — სპარტაკ გასპარიანი);

**2. ჰოვანეს ჰოვანესიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — ედუარდ ჰოვანესიანი);

**3. ნიკოლოზ მაისურაძე** — საქართველო (მწვრთნელი — ნიკა ნადირაშვილი);

**4. ერნესტ ჰოვანესიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — სპარტაკ გასპარიანი);

**5. არტურ ბალასანიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — სპარტაკ გასპარიანი);

**6. სურენ ალაბერიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — ედუარდ ჰოვანესიანი);

**7. დომენტი აბრამიშვილი** — საქართველო (მწვრთნელი — გია ემინაშვილი);

**8. გარეგინ სიმონიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — ედუარდ ჰოვანესიანი);

**9. დავით დავოიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — გევორქ ხაჩატრიანი);

**10. ზაალ ჟღენტი** — საქართველო (მწვრთნელი — დავით შონია);

**11. აიხან ალიზადე** — აზერბაიჯანი (მწვრთნელი — ელჩინ ჰაშიმოვი);

**12. შოთა შუბითიძე** — საქართველო (მწვრთნელი — ანზორ ჩუბინიძე);

**13. ირაკლი ბაღნაშვილი** — საქართველო (მწვრთნელი — გოჩა კაკაბაძე);

**14. ხარება ქავთარაძე** — საქართველო (მწვრთნელი — გოჩა კაკაბაძე);

**15. ნიქატ აკბაროვი** — აზერბაიჯანი (მწვრთნელი — ფიზული ჰაშიმოვი);

**16. გიორგი ღამბაშიძე** — საქართველო (მწვრთნელი — კახაბერ კაკაბაძე);

**17. ბექა ზედგინიძე** — საქართველო (მწვრთნელი — გოჩა კაკაბაძე);

**18. ტატო თავართქილაძე** — საქართველო (მწვრთნელი — გოჩა კაკაბაძე);

**19. გიორგი ყრუაშვილი** — საქართველო (მწვრთნელი — კახაბერ კაკაბაძე);

**20. ვარდან ხაჩატრიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — სპარტაკ გასპარიანი);

**21. ედმონ ასატრიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — სპარტაკ გასპარიანი);

**22. ნოდარ ბერიძე** — საქართველო (მწვრთნელი — თენგიზ დავითაძე);

**23. ნიკა ნავროზაშვილი** — საქართველო (მწვრთნელი — გოჩა კაკაბაძე);

**24. გიორგი კვალიაშვილი** — საქართველო (მწვრთნელი — კახაბერ კაკაბაძე);

**25. არმან მელქონიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — სპარტაკ გასპარიანი);

**26. დავით გრძელიძე** — საქართველო (მწვრთნელი — გოგა ტურაბელიძე);

**27. ლაშა ბერეკაშვილი** — საქართველო (მწვრთნელი — დავით შონია);

**28. გიორგი ლომიძე** — საქართველო (მწვრთნელი — გოგა ტურაბელიძე);

**29. ვარდან არაქელიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — გრიშა ტოროსიანი);

**30. ვლადიმერ ვარდანიანი** — სომხეთი (მწვრთნელი — არმენ კირაკოსიანი).

გამარჯვებულები და საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებით, თასებითა და სამახსოვრო პრიზებით.

გამარჯვებულები დააჯილდოვეს მოწვეულმა საპატიო სტუმრებმა: შსს აკადემიის რექტორმა **ნუკრი გელაშვილმა**, მსოფლიო ჩემპიონებმა ჭიდაობაში: **ლუკა კურტანიძემ** და **უშანგი კუზანაშვილმა.** სააქციო საზოგადოება **„ნიკორას“** მიერ დაწესებული პრიზები, გადაეცა გამორჩეულ სპორტსმენებს. ჩემპიონატის უსაფრთხოდ ჩატარება უზრუნველყო დაცვის სამსახურმა **„ვიქტორია სექურიტი“.**




ჩემპიონატს ემსახურებოდა მონაწილე ფედერაციებისგან დაკომპლექტებული მსაჯთა ბრიგადა. საქართველოს სეიბუკაი კიოკუშინ კარატეს ფედერაცია განსაკუთრებულ მადლობას უხდის გაზეთს **„საქართველო და მსოფლიოს“** საინფორმაციო მხარდაჭერსა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

# ლალი მოროშკინა: ამ ხელისუფლების ერთ-ერთი დიდი დანაშაული ემზარ კვიციანის დაპატიმრებაა!

**პუბლიცისტი და პიარტექნოლოგი ლალი მოროშკინა 2014 წელს მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს აფასებს:**

— 2014 წელი საქართველოსთვის, გარკვეულწილად, წინსვლის წელი იყო, თუმცა ბევრი კითხვის ნიშნით. ვხედავ, რომ ხელისუფლებას ნებისმიერ კრიტიკაზე აქვს მყისიერი რეაქცია, რაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში წარმოუდგენელი იყო. სააკაშვილის ხელისუფლებას ვაკრიტიკებდით კი არა, ქუჩაში ვიდექით, ვყვიროდით და ამის გამო გვაპატიმრებდნენ. ამ ხელისუფლებას არ უვარგა პიარის სამსახური და, შესაბამისად — პიარი. როგორც ამ სფეროს სპეციალისტი, ვამბობ, რომ ეს სფერო ჩავარდნილია. **„ნაცმოძრაობა“ ფასადურ ქვეყანას აშენებდა, მაგრამ ხალხის მოტყუებას პიარით ახერხებდა. ახალმა ხელისუფლებამ კი საყოველთაო დაზღვევის რიგიანად გაპიარებაც ვერ შეძლო.** გარდა ამისა, დღეს უსამართლოდ ალარავის იჭერენ და არც ერთ გადაცდომას სისტემური ხასიათი არ აქვს სასჯელაღსრულების სისტემაში, პოლიციასა თუ სხვა უწყებაში, მაგრამ ამ ხელისუფლებას დადებითი მომენტები წინა პლანზე ვერ გამოაქვს. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, რომელსაც უშუალოდ შევესწარი. მაგალითად, თბილისობის ბოლო დღესასწაულზე, „რაკია ჯგუფთან“ ერთად, შევუთანხმდით მერიას და მოვიწვიეთ სუხიშვილების ანსამბლი, მოვიყვანეთ ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული 200-ზე მეტი ბავშვი და ვანახეთ სუხიშვილების კონცერტი. თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მომთხოვა იმ ყველაფერის სია, რაც ამ ბავშვებს სჭირდებოდათ. ორასივე ბავშვისთვის მოიტანეს უამრავი ძვირფასი საჩუქარი, მაგრამ ეს ყველაფერი არც ერთ ტელევიზიას არ გაუშუქებია და არც მერიის პიარსამსახურს.

**— განაცხადეთ, უმიზეზოდ ალარავის აპატიმრებენო. ამ ხელისუფლების მიერ თენგო ერისთავის უკანონოდ დაპატიმრებას თქვენც აპროტესტებდით...**

— ნამდვილად ასე იყო. და თუ რამე გადაცდომა მოხდა, ეს არ იყო სისტემური დანაშაული. თენგო ერისთავის უკანონოდ დაპატიმრებას ჩვენი პროტესტი მოჰყვა და მალევე გაათავისუფლეს. გაიხსენეთ, 9 წლის განმავლობაში რამდენი ქართველი ბიჭი ამოალპეს ციხეში და ჩვენს პროტესტს ერთხელ მაინც თუ მოჰყოლია რეაგირება. **ამ ხელისუფლებას ვურჩევ, განცხადებები წინდახედულად გააკეთონ. არ შეიძლება, ჯერ განაცხადო და შემდეგ იმართლო თავი, — უი, ასე არ უნდა მეთქვაო. კვალიფიციური კადრები უნდა შეარჩიონ, რათა სახელმწიფო სტრუქტურიდან არ გავიდეს არც ერთი ისეთი განცხადება, რომელიც უამრავ შეკითხვას გააჩენს.** არ არის სასიამოვნო, როდესაც ხელისუფლება ბოდიშის მოხდის რეჟიმში იმყოფება. უკრაინაში ქართველი ჯარისკაცის დაღუპვას მოჰყვა თავდაცვის სამინისტროს უგვანი განცხადება და შემდეგ თავის მართლება,— მსგავსი რამ არ დაგვიწერიაო. ასეთ შემთხვევაში თავის მართლება საქმეს არ შველის — **უნდა დაისაჯოს ის ადამიანი, რომელმაც ეს განცხადება დაწერა. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ პრესსამსახურის დაწერილ განცხადებას აუცილებლად კითხულობს პირველი პირი და ისე აქვეყნებენ, ამიტომ პასუხისმგებლობა ვიღაცას უნდა დაეკისროს.** თუ არ ჩამოყალიბდა მინისტრისა და პრესსამსახურის უფროსის ერთიანი და გუნდური მუშაობის პრინციპი, სამინისტროები ყოველთვის ბოდიშის მოხდის რეჟიმში იქნებიან.



**— ხელისუფლების მიერ შეუსრულებელ დაპირებებზე რას იტყვით?**

— ხელისუფლებამ საკმაოდ ბევრი დაპირება შეასრულა, მაგრამ არ გაუპიარებია. **სააკაშვილი საქმის ათ პროცენტს აკეთებდა, 90 პროცენტზე კი ლაპარაკობდა და აპიარებდა. შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობა მიეჩვია საპნის ბუშტებს, ფოიერვერკებს (ყველას გვახსოვს, ცა როგორ ბრუხუნებდა) და ფორსმაჟორულ სიხარულს, რომელსაც საფუძველი არ ჰქონდა.** სამწუხაროდ, დღეს გაკეთებული საქმის წარმოჩინება არ ხდება.

**— ხალხი უკმაყოფილოა, რომ, წინასაარჩევნო დაპირების მიუხედავად, კომუნალური გადასახადები არ შემცირდა...**

— როგორც ჩანს, „ქართულმა ოცნებამ“ იჩქარა, **მთავარი დაპირება, რომ სამართლიანობას აღადგენდა, არ შეასრულა — დამნაშავეები არ დააპატიმრა და არ გაასამართლა. ამ ხელისუფლების ერთ-ერთი დიდი დანაშაული კი ემზარ კვიციანის დაპატიმრებაა. „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის შემქმნელებს 4-5 წლით აღუკვეთეს თავისუფლება, ემზარ კვიციანს კი — 12 წლით. ეს ყველაფერი სამართლებლივი სიბრტყიდან ამოვარდნა და ეთიკურ-მორალური პრინციპების დარღვევაა.**

**— პრეზიდენტის ქმედებებს როგორ შეაფასებთ?**

— პრეზიდენტი ზრდის პროცესშია. ის იყო ფილოსოფოსი, ოპოზიციურად აზროვნებდა და უცებ გახდა პრეზიდენტი. ამ ყველაფერს გაანალიზება სჭირდება. მგონია, რომ **გიორგი მარგველაშვილი ნელ-ნელა გამოასწორებს დაშვებულ შეცდომებს.** მას კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, საკმაოდ გაიზრდება, როგორც პრეზიდენტი. ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებმა ხალხთან მუდმივი კავშირი უნდა იქონიონ, ის შუალედური რგოლი კი, რომელიც მათ ხალხთან აკავშირებს, კვალიფიციური კადრებისგან უნდა შედგებოდეს. ასევე აუცილებლად მიმაჩნია, რომ 2015 წელს მაინც დასაჯონ დამნაშავეები. **ადამიანები ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას და სრულიად საქართველოს ვუსურვებ, რომ 2015 წელს მაინც აღდგეს სამართლიანობა!**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 1200 ადამიანი უკვე გაემგზავრა ან უახლოეს მომავალში გაემგზავრება ახლო აღმოსავლეთში ისლამისტების მხარეს საბრძოლველად. ამ ადამიანებს შორის 100-მდე ქალი და 10 არასრულწლოვანია. ყოველი მეხუთე ფრანგი, რომელიც ჯიჰადს უერთდება, ახლახან ისლამისტი გახდა.**

# ფრანგებსა და შვედებს გული ჯიჰადისკენ მიუწევთ

**უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე გაორმაგდა იმ ფრანგების რაოდენობა, რომლებიც სირიასა და ერაყში ჯიჰადთან შესაერთებლად მიემგზავრებიან. ამის თაობაზე საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშშია ნათქვამი.**



ფრანგი მაქსიმი ნორმანდიიდან, იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ დაჯგუფების მხარეს

**საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 1200 ადამიანი უკვე გაემგზავრა ან უახლოეს მომავალში გაემგზავრება ახლო აღმოსავლეთში ისლამისტების მხარეს საბრძოლველად. ამ ადამიანებს შორის 100-მდე ქალი და 10 არასრულწლოვანია. ყოველი მეხუთე ფრანგი, რომელიც ჯიჰადს უერთდება, ახლახან ისლამისტი გახდა.**

მეორე მხრივ, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სირიიდან დაბრუნდა 234 მოხალისე-ჯიჰადისტი. მათი უმრავლესობა ფრანგულმა სპეცსამსახურებმა დააკავეს. ამ დრომდე სასამართლოს წინაშე მათგან მხოლოდ ერთი წარსდგა. სირიიდან დაბრუნებულ ფლავიენ მოროს საფრანგეთის ტერიტორიის მიღმა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების გამო შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ზემოხსენებული ციფრების კომენტირებისას საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბერნარ კაზენევმა აღნიშნა, რომ ეს არ არის დამახასიათებელი ფენომენი ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისთვის. საფრანგეთში ისლამის ხუთ მილიონზე მეტი მიმდევარია.

**ფრანგების ჯიჰადისკენ მიდრეკილების ზრდის მთავარი მიზეზი არის გადამბირებლებისა და ტერორისტული ქსელის აგიტაცია, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე თვლის ბერნარ კაზენევი:**

„ეს მინისტრთა საბჭო გახდა იმ სამუშაოს შეჯამების საბაბი, რომელსაც უკანასკნელი ორ-ნახევარი წლის მანძილზე ვახორციელებდით ტერორიზმთან ბრძოლისა და საფრანგეთში ტერორისტული ქსელების გაუვნებელყოფის მიმართულებით; კერძოდ, იმ ტერორისტებისა და ქსელების მიმართ, რომლებიც დაკავშირებული არიან საფრანგეთის მოქალაქეების გადაბირებასთან ერაყსა და სირიაში ტერორისტულ მოქმედებებში მათ ჩასაბმელად. ჩვენ შევაჯამეთ მონიტორინგის სამსახურების მუშაობაც. ამ სამსახურებმა 600-მდე გაფრთხილება მიიღეს და ასზე მეტ ადამიანს არ მისცეს გამგზავრების საშუალება. ეს არის ყველა ადმინისტრაციული სტრუქტურის ძალზე სერიოზული მობილიზაცია პრეფექტებისა და რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ხელმძღვანელობით, რათა თავიდან ავიცილოთ ახლახან მოქალაქეობამიღებული ახალგაზრდების ტერორისტული ჯგუფების მიერ გადაბირება“.

საუბრობდა რა სამუშაოზე, რომელიც სამართალდამცავმა ორგანოებმა ახალგაზრდების სირიაში გამგზავრების აღკვეთის მიმართულებით ჩაატარეს, მინისტრმა აღნიშნა, რომ სპეცსამსახურებმა გამოააშკარავეს ტერორისტულ ორგანიზაციებში ადამიანთა გადაბირების 13 ქსელი.

რაც შეეხება შვედებს, მათი უშიშროების პოლიცია ამჟამად იძიებს შვედეთის რამდენიმე მოქალაქის ქმედებებს. ეს ადამიანები სირიაში ტერორისტების რიგებში იბრძოდნენ. ანალოგიური „გასეირნებები“ ავღანეთისა და სომალის მიმართულებით შვედეთში ორი წლის წინათ დასრულდა.

**დადასტურებული მონაცემების თანახმად, 2012 წელს ისეთი ტერორისტული ფორმირებების რიგებში, როგორიც „ისლამური სახელმწიფოა“, 110 შვედი იბრძოდა, მაგრამ ზემოხსენებული უწყების მონაცემები დიდი სისწრაფით იცვლება.**

**25-დან 30-მდე შვედი ბრძოლებში დაიღუპა, დაახლოებით 40 უკვე დაბრუნდა სამშობლოში.**

უშიშროების პოლიციის ოპერატიული ნაწილის მეთაური ანდერს კასმანი ამბობს, რომ ეს მზარდი პრობლემაა, რომელიც გონივრულ მიდგომას მოითხოვს, რათა არ წარმოიშვას პანიკა. მისივე თქმით, ამ უსიამოვნო გარემოში შვედეთს ხანგრძლივი დროის მანძილზე მოუწევს ცხოვრება.

პოლიციის მაღალჩინოსანი დეტალებს არ აკონკრეტებს, მაგრამ პოლიცია დაკავებულია ტერორისტული ქმედებების გამოძიებით. რამდენიმე წინასწარი ძიება უკვე დასრულდა, მაგრამ დანაშაულის შემცველი ქმედებების დამტკიცება ვერ მოხერხდა. პოლიციამ ვერც ის მოახერხა, გამოევლინა ვინმე, ვინც კონკრეტულად გეგმავს შვედეთში ტერაქტის განხორციელებას.

**ru.RFI.fr**
**Sverigesradio**

# იუანი, შესაძლოა, მსოფლიო სარეზერვო ვალუტა გახდეს



**2015 წლის დასასრულს საერთაშორისო სავალუტო ფონდი გააკეთებს ვალუტების კალათის მორიგ მიმოხილვას. ამ კალათში ქვეყნებს — ფონდის წევრებს, შეუძლიათ თავიანთი ოფიციალური რეზერვები შეინახონ. იუანის ჩართვა ეგრეთ წოდებული „სესხების სპეციალური უფლებების“ სისტემაში საერთაშორისო სავალუტო ფონდს საშუალებას მისცემს, ამ გზით აღიაროს მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკის მნიშვნელობა და ამავე დროს ხელს შეუწყობს ჩინეთის მცდელობების წარმატებას გლობალურ ვაჭრობასა და ფინანსურ სფეროში ამერიკული დოლარის დომინირების შესუსტების მიმართულებით.**



ჩინეთმა უნდა დაამტკიცოს თავისი შესაბამისობა ვაშინგტონის მსოფლიო კრედიტორის ეკონომიკური კრიტერიუმებისადმი და მიიღოს მხარდაჭერა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი 187 ქვეყნის უმრავლესობისგან. ეს ქვეყანა, დიდი ალბათობით, წარმატებით ჩააბარებს ამ ორივე ტესტს, ყოველ შემთხვევაში, ამაში ღრმადაა დარწმუნებული მსოფლიო სავალუტო ფონდის ყოფილი თანამშრომელი, ჩინეთის ეკონომიკისა და ფინანსების საკითხთა ექსპერტი ესვარ პრასადი.

„ეს უდავოდ დაეხმარება ჩინეთს, მიაღწიოს მიზანს და ჟენმინბი ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ, საერთაშორისო გარიგებებში ფართოდ გამოყენებად ვალუტად აქციოს“, — ამბობს ნიუ იორკის კორნელის უნივერსიტეტის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის პროფესორი და ვაშინგტონის ბრუკინგის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი — პრასადი.

იმ შემთხვევაში, თუ იუანი სარეზერვო ვალუტის სტატუსს მიიღებს, ცენტრალური ბანკები, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ცენტრალური ბანკები, დიდი სიამოვნებით შეინახავენ საკუთარ ფონდებს იუანებში და საკუთარი რეზერვების დივერსიფიცირებასაც მოახდენენ. ისინი სიამოვნებით გათავისუფლდებიან დოლარის, ევროსა და შვეიცარიული ფრანკების მონოპოლიისგან.



**იუანში წარმოებული ჩინეთის საგარეო სავაჭრო გარიგებების წილი უკვე 20 პროცენტამდე გაიზარდა; ამასთან, იუანში დენომინირებული ობლიგაციების მოცულობა მხოლოდ ბოლო 7 წლის განმავლობაში 72,9 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.** გარდა ამისა, ხელისუფლებამ შეასუსტა უცხოური კომპანიების ნაციონალურ ბაზრებზე წვდომის კონტროლი. ჩინეთმა ასევე ხელი მოაწერა შეთანხმებას იუანებით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ უამრავ ქალაქში ჰონკონგიდან და სინგაპურიდან დაწყებული, ფრანკფურტსა და ლონდონამდე.

საერთო გლობალურ ფულად ბრუნვაში იუანის წილი მიმდინარე წლის სექტემბერში რეკორდულ 1,72 პროცენტამდე გაიზარდა და ის მსოფლიოში მეშვიდე ყველაზე გავრცელებულ ვალუტად იქცა. ამის შესახებ იუწყება მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოება. ეს კოოპერაციული ორგანიზაცია ბელგიაშია და მსოფლიოს 215 ქვეყნის 10 ათასზე მეტი ბანკისა და სხვა კლიენტებისთვის უზრუნველყოფს საერთაშორისო ფულად გადარიცხვებს.

დღეისათვის იუანი კვლავაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება დოლარს საერთაშორისო ვაჭრობასა და ფინანსურ ოპერაციებში გამოყენების აქტივობის მიხედვით. სხვადასხვა ქვეყნის სავალუტო რეზერვების კლასიფიცირებისას საერთაშორისო სავალუტო ფონდი იუანს მიაკუთვნებს „სხვა ვალუტების“ კატეგორიას, რომლის მოცულობაც განთავსებული სახსრების 6,3 ტრილიონი დოლარის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენს. ამერიკული დოლარის წილი 60,7 პროცენტია, ევროსი — 24,2 პროცენტი, ხოლო ბრიტანული ფუნტის — 3,9 პროცენტი.

პოტენციურად აშშ-ს შეუძლია, წინ აღუდგეს იუანის ჩართვას სესხების სპეციალური უფლებების კალათაში, რადგან ცვლილებები მოითხოვს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველობაში ხმის უფლების მქონე აქციების 85%-ზე მეტის მხარდაჭერას, აშშ კი ხმათა 17%-ის მფლობელია. საერთაშორისო სავალუტო ფონდში აცხადებენ, რომ ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ორგანიზაციის მოქმედი წესდების შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება ხმათა 70%-ს მოითხოვს თუ 85%-ს.

**ოქტომბრის ბოლოდან კურსის 1,2 პროცენტით შემცირების მიუხედავადაც, იუანი 31 მსხვილ ვალუტას შორის ერთადერთია, რომელიც სააგენტო „ბლუმბერგმა“ გაძლიერებად ვალუტად აღიარა.**

**bloomberg**

**თუ „ტერორიზმი“ თავისთავად მოძრავი სამიზნეა, როგორ ახერხებს ამერიკა ადამიანების დევნას ამგვარი ორგანიზაციების მხარდამჭერის მცდელობისთვის, მით უფრო, რომ ამ ადამიანებსა და იმ ორგანიზაციებს შორის კავშირი გამოგონილია?**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ის უდიდესი ტერორისტული საიდუმლო

**ცხადია, ეს იოლი ამოცანა ჩანს. „ალ ქაიდა“ და „ისლამური სახელმწიფო“, მიუხედავად იმ ურთიერთობებისა, რომლებიც, ჩვენი აზრით, არის ამ ორ ორგანიზაციას შორის, წარმოადგენს ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოუდგენელი მასშტაბებით ანადგურებენ მშვიდობიან მოსახლეობას. ერთიცა და მეორეც სწორედ იმის გამოა ესოდენ სახიფათო, რომ კარგად მომზადებული პატარ-პატარა დაჯგუფებების მოქმედებების შედეგად მათ შეუძლიათ, ადამიანთა მასობრივი მკვლელობები განახორციელონ.**



პრესა „ისლამური სახელმწიფოს“ დემონიზაციისთვის, ძირითადად, იყენებს ისეთ ფაქტებს, როგორიცაა ამ ორგანიზაციის პრაქტიკა, თავი მოჰკვეთოს ადამიანებს, რომლებსაც სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს და ყველაზე დაუნდობელი მეთოდებით დაამკვიდროს რადიკალური ისლამის წესები მითვისებულ ტერიტორიებზე. მაგრამ საქმე ისა არის, რომ დემონიზაციის იგივე პარამეტრები იგივე დოზითაა დამახასიათებელი რეგიონში აშშ-ის მთავარი მოკავშირის — საუდის არაბეთისთვის.

თუმცა საუდში თავის მოკვეთა შეიძლება იმით გავამართლოთ, რომ ეს სამეფოში გასამართლებული დამნაშავეების სიკვდილით დასჯის მეთოდია. შეიძლება ითქვას, რომ ეს მეთოდი ისეთივე ჰუმანურია, ოღონდ ბევრად უფრო სანახაობრივი, როგორც ამერიკაში — სასჯელის უმაღლესი ზომის სისრულეში მოყვანის პრაქტიკა — ქიმიური კოქტეილი „გააკეთე თვითონ“, რომელსაც ხშირად რამდენიმე საათი სჭირდება, დანიშნულებისამებრ რომ ამოქმედდეს.

საუდის არაბეთში ადამიანებს სიკვდილით სჯიან ჯადოქრობის ან რეჟიმისთვის შეურაცხყოფისთვის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დანაშაულებისთვის დადგენილი სასჯელი ყველაფერს შეიძლება ემსახურებოდეს, გარდა მართლმსაჯულებისა.

**ამიტომ აშშ-ის უმთავრეს მოკავშირეს ტერორისტული ორგანიზაციისგან მხოლოდ ის განასხვავებს, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ სტატუსი, სახელის მიუხედავად, არასახელმწიფოებრივი აქვს, თუმცა ხალიფატის შექმნისკენ მისწრაფება ისე დიდია, რომ მალე, შესაძლოა, ეს დამაბრკოლებელი გარემოებაც აღმოიფხვრას.**

ქურთების დაჯგუფებას, რომელიც ისლამური სახელმწიფოს ყველაზე ეფექტიანი მოწინააღმდეგე იყო, აშშ ტერორისტულ ორგანიზაციად თვლიდა. თურქეთის ბრძოლა ქურთებთან კი ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ აშშ-ის ნატოელი მოკავშირე სულაც არ მიისწრაფის, მხარი დაუჭიროს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლას. სხვათა შორის, უკვე დიდი ხანია, აშშ დაკავებულია ტერორისტული სტატუსის მინიჭებით თავისი კომფორტის შესაბამისად. მაგალითად, მან ტერორისტების სიიდან ამოიღო ირანული დაჯგუფება, როდესაც ეს უკანასკნელი კოლუმბიის ოლქში ნაციონალური უსაფრთხოების ძალების „საყვარელ“ ორგანიზაციად იქცა.

ტერორისტების სიიდან ამა თუ იმ ორგანიზაციის ამოშლა ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს პრეროგატივაა, სწორედ ის წყვეტს, რომელი ბოევიკები შეესაბამებიან ამერიკის ინტერესებს და რომლები — არა. იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო დაკავებულია ადამიანთა პროვოცირებით, „შევიდნენ“ სიაში არსებულ დაჯგუფებებში „მხარდამჭერების“ სახით, რაც შემდგომ ტერორიზმის მატერიალური მხარდაჭერის ბრალდებით მთავრდება, ამ საკითხში პოტენციური აბდაუბდა უკვე იურიდიული პრობლემების საწინდარი ხდება. **თუ „ტერორიზმი“ თავისთავად მოძრავი სამიზნეა, როგორ ახერხებს ამერიკა ადამიანების დევნას ამგვარი ორგანიზაციების მხარდაჭერის მცდელობისთვის, მით უფრო, რომ ამ ადამიანებსა და იმ ორგანიზაციებს შორის კავშირი გამოგონილია?**

არანაკლებ ჩახლართულია რეგიონში აშშ-ის მოკავშირეებთან დაკავშირებული საკითხებიც. **უკვე დიდი ხანია, აშშ-ს სირთულეები აქვს იმის გამო, რომ საუდის არაბეთი, ყატარი და ქუვეითი აღარ მალავენ იმ პირების დაფინანსებას, რომელთაც ამერიკა ტერორისტებად მიიჩნევს.** „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის გაჩაღებამ შესაძლებელი გახადა მათგან დაპირების მიღება, რომ აღკვეთენ ტერორიზმის დაფინანსებას, მაგრამ ამგვარ დაპირებებს ისინი 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მუდმივად არიგებენ. ამ ქვეყნებიდან ზოგიერთი არა მხოლოდ საკუთარ უბეში ზრდიდა რადიკალური ისლამის იმ სახეობას, რომელმაც „ალ ქაიდას“ გაჩენა განაპირობა, არამედ ხშირად საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები მათ აიძულებდა, ელიტური ლიდერების წინააღმდეგ ემოქმედათ.

## აშშ-ის უმთავრეს მოკავშირეს ტერორისტული ორგანიზაციისგან მხოლოდ ის განასხვავებს, რომ „ისლამურ სახელმწიფოს“ სტატუსი, სახელის მიუხედავად, არასახელმწიფოებრივი აქვს, თუმცა ხალიფატის შექმნისკენ მისწრაფება ისე დიდია, რომ მალე, შესაძლოა, ეს დამაბრკოლებელი გარემოებაც აღმოიფხვრას

არის კიდევ ერთი განსხვავება, რომელსაც ამერიკელები, ძირითადად, საკუთარ სამშობლოში იყენებენ. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს ექსპერტი მიკა ზენკო აღნიშნავს, ხშირად ქვეყნის შიგნით მომხდარი დანაშაულები, რომელთაც ტერორიზმის ანალოგიური შედეგი მოჰყვება, ტერორიზმად არ განიხილება. მაგალითად, როდესაც სამოქალაქო ავიაციის ფედერალური სამმართველოს თანამშრომელმა ბრაიან ჰოვარდმა ცეცხლი წაუკიდა ფედერალური საავიაციო სააგენტოს სამართავ ცენტრს, რითაც მთელი დღით შეაჩერა შუა დასავლეთში ფრენები, რომელსაც მოჰყვა ქაოსი, რომელზეც არც ერთი ტერორისტული ორგანიზაცია არ იტყოდა უარს. მიუხედავად ამისა, ეს ადამიანი ტერორისტად არ გამოუცხადებიათ.

ტერორისტად გამოუცხადებლობის ყველაზე საინტერესო ამერიკული შემთხვევა ფრეიზერ გლენ მილერს უკავშირდება. ამ ადამიანს ფართო კავშირები აქვს კუ-კლუკს-კლანთან, ბრალდებულია კანზას სიტიში სამი ადამიანის მკვლელობაში მხოლოდ იმის გამო, რომ, მისი ვარაუდით, ეს ადმიანები, შესაძლოა, ებრაელები ყოფილიყვნენ.

2012 წელს კევინ ხარფემის საქმეში, როდესაც მას ბრალს სდებდნენ მარტინ ლუთერ კინგის ხსოვნის დღეს განხორციელებულ აფეთქებაში ვაშინგტონის შტატის ქალაქ სპოკანეში, ფედერალური პროკურორები ხარფკემის მილერთან კავშირებზე მიანიშნებდნენ, რათა წარუმატებელი ამფეთქებლისთვის უფრო მკაცრი სასჯელი გამოეტანათ. სხვა ექსტრემისტებთან, იმავე მილერთან, კავშირი ხარფემს უფრო საშიშ დამნაშავედ აქცევდა, ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიდა ხელისუფლება. **გამოძიების ფედერალურ ბიუროში უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში იცოდნენ, რომ მილერი არის იმ დაჯგუფების წევრი, რომელიც ადრეც ცდილობდა ტერორისტული აქტის ფარგლებში ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებას.**

დანაშაული, რომელშიც მილერია ბრალდებული, შესაძლოა, სასიკვდილო განაჩენით შეფასდეს, ჰოვარდის დანაშაული კი მხოლოდ გაზრდის პასუხისმგებლობას, რაც, ჩვეულებრივ, საჰაერო ტერორიზმს უკავშირდება.

**ამ ადამიანების მიმართ ამერიკელები არ იყენებენ ტერმინს „ტერორისტი“. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი ქვეყნის შიგნით სრულად არ იყენებენ იმ დამოკიდებულებებს, რომლებიც ხელისუფლებას ქვეყნის გარეთ მოქმედი დაჯგუფებების, ძირითადად, მუსლიმანების მიმართ აქვთ მომზადებული.**

მუსლიმანურ თემებზე გაძლიერებული აქცენტი, რომელსაც ახლავს მტკიცებულება, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ძალადობა ამ თემებში აუცილებლად „უცხოური“ ხასიათისაა და შესაბამისად, უფრო საგულდაგულო გამოძიებას მოითხოვს, შესაძლოა, მიულერის მსგავსი ადამიანების მიმართ ყურადღების მოდუნების საბაბად იქცეს. არადა, ამ ადამიანებს, შესაძლოა, საკმაოდ სერიოზული დარტყმების მიყენების საშუალებაც ჰქონდეთ. აქ კი აუცილებლად ჩნდება კითხვა, თუ რისთვის სჭირდებათ ამერიკელებს ამგვარი განსხვავება.

ზოგიერთ მინიშნებას იძლევა New York Times-ისთვის დაწერილ მასალებში ფილოსოფიის საპატიო პროფესორი ტომის კაპიტანი. იმ პირების მიმართ, რომლებიც ტერორისტების სიაში არიან, კითხვაზე, თუ რატომ მიმართავენ ისინი ტერორიზმს, პასუხში მათი ნამოქმედარი განხილულია, როგორც უაზრო ან, საუკეთესო შემთხვევაში, ცნობისმოყვარეობით განპირობებული ქმედება.

რაც შეეხება მათ, ვინც არ არიან ჩაწერილი ტერორისტთა სიაში, ისინი ცალკე დგანან; მაგრამ, ძირითადად, ყველაფერი იქამდე დადის, რომ დაითესოს შიში პირველთა მიმართ.

**საბოლოო ჯამში, სიტყვა „ტერორიზმი“ აღარ უნდა გვიტოვებდეს სურვილსა და საშუალებას, ვიკითხოთ „რატომ?“ — რატომ მიმართავენ ადამიანები ძალადობას და რატომაა, რომ ერთი ძალადობა ნებადართულია ან, უკიდურეს შემთხვევაში, განიხილება, როგორც რიგითი დანაშაული, მეორე კი — არა.**

salon.com



## ავტრალიაში დედამ შვილები მოკლა

**ტრაგედია ქალაქ კერნსში მოხდა. სამართალდამცველებმა სახლში 8 მოკლული ბავშვი აღმოაჩინეს. მათგან ყველაზე პატარა წლინახევრის იყო, უფროსი კი — 15-ის.** ბავშვებს ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდათ. პოლიციის ცნობით, მოკლული ბავშვებიდან 7 და-ძმა იყო, ერთი კი — მათი ახლო ნათესავი. გამოძიების დეტალები უკვე ცნობილია. პოლიცია ბავშვების მკვლელობაში დედას ადანაშაულებს. სამართალდამცველების ინფორმაციით, 37 წლის ქალი, რომელიც მოკლულ რვა ბავშვთან ერთად სახლში დაჭრილი აღმოაჩინეს, უკვე დაკავებულია, თუმცა ოფიციალურად ბრალი მისთვის ჯერ არ წაუყენებიათ.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტკორექტულობის პრინციპებიდან გამომდინარე, ამერიკელებს ისედაც ყოველი სიტყვის გაკონტროლება უწევთ, რათა ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ვილაცამ შეუწყნარებლობაში არ დაადანაშაულოს. მაგრამ მასწავლებლებს ათჯერ მოუწევთ დაფიქრება, ვიდრე კლასს ჯგუფებად ან წყვილებად დაყოფენ, ვინმემ მათ ქმედებაში რაიმე გენდერულ-დიფერენცირებადი არ შენიშნოს.**

# სტუმრად ბელზებელთან: სატანისტებმა ბავშვებისთვის გასაფერადებელი წიგნი გამოსცეს




**ჰელოუინის დღესასწაულის წინ სატანის ეკლესიამ ორლანდოში მდებარე სახელმწიფო სკოლებს შესთავაზა, გაევრცელებინათ ბელზებელის თემაზე აგებული გასაფერადებელი წიგნი ბავშვებისთვის, რომლებმაც ადგილობრივი ეკლესიისგან საჩუქრად ბიბლიები მიიღეს.**

გასაფერადებელი წიგნი შეიცავს ნახატებს, რომლებზეც ბავშვები სატანისტურ რიტუალებს ასრულებენ; წიგნში ბავშვებს სატანური სიმბოლოები „ამშვენებს" და ავრცელებენ გზავნილს სხვათა წყენინების დაუშვებლობისა და რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ. ამას გარდა, წიგნში არის თამაში, რომელშიც წერტილების ერთმანეთთან სწორად შეერთების შედეგად პენტაგრამა იხატება.

ალბათ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სატანისტებს იუმორი აქვთ, ირონიასაც არ უჩივიან და საბოლოო პროდუქციაც არც თუ ცუდი ხარისხისა გამოსდით; მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მიზნობრივ აუდიტორიას წარმოადგენენ უფროსკლასელი ბავშვები იმ 19 სკოლიდან, რომლებშიც უკვე დაარიგეს ბიბლიები ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა World Changers of Florida და Florida Family Policy Council.

ამ უკანასკნელი ორგანიზაციის ლიდერმა საჯაროდ განაცხადა, რომ ბიბლიის დარიგების პროგრამის მიზანი ბავშვებისთვის ქრისტიანობის გაცნობაა იმ იმედით, რომ ეს მოსწავლეთა გულებში ფუნდამენტურ ცვლილებებს განაპირობებს.

„უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ჩვენი მასალები შეესაბამება მათ სტანდარტებს, მათ არ შეუძლიათ, უბრალოდ უარყონ ჩვენი წიგნები მხოლოდ საკუთარი რელიგიური შეხედულებების საფუძველზე", — განაცხადა სატანის ტაძრის წარმომადგენელმა, რომელიც საკუთარ თავს ლუსიენ გრივზს უწოდებს.

**fortressamerica.gawker.com**



# ამერიკული F-16-ის მფრინავები МиГ-23-ზე ახალ გამანადგურებლებს ვერ უმკლავდებიან

**2012 წელს ბიუჯეტის შემცირებამ მძიმე დარტყმა მიაყენა აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების საწვრთნელ პროგრამას. მათმა მეთაურობამ ამ მიზნებისთვის მიიღო 3,1 მილიარდი დოლარი — იმ თანხის სამი მეოთხედი, რომელიც საჭირო იყო 1600 F-15, F-16, F-22 გამანადგურებლების, ასევე საშტურმო A-10-ისა და ბომბდამშენი B-1-ის ათასობით მფრინავის სრულფასოვანი მომზადებისთვის.**

ზოგიერთი თვითმფრინავი მრავალი მისიიდან მოიხსნა, რამაც განაპირობა ფრენის საათების შემცირება, ეს საათები კი აუცილებელია მფრინავების საბრძოლო მოქმედებებისთვის, მათი მზაობის ოფიციალური აღიარების თვალსაზრისით. შედეგად, დაბალ სიმაღლეებზე საჰაერო ბრძოლის წარმოებისა და მანევრირების უნარი იშვიათობად იქცა, ასობით გამანადგურებელმა დაკარგა შესაძლებლობა, დაუპირისპირდეს მტერს ჰაერში და 60-მდე ბომბდამშენმა საერთოდ შეწყვიტა დაბალ სიმაღლეზე ოპერაციების შესრულება. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მეთაურობამ აშშ-ის საჰაერო შეიარაღებული ძალების ყველაზე მძლავრი გამანადგურებელი F-16 უუნაროდ აქცია, დაუპირისპირდეს 1970-იანი წლების МиГ-23-ზე ახალი წარმოების რომელიმე ტიპის თვითმფრინავს.

გარდა ამისა, აშშ-ის საჰაერო შეიარაღებული ძალების მეთაურობამ ბომბდამშენები ისე „გაუშვა მაღალზე", რომ ეკიპაჟებს შეუმცირა საშუალება, მომზადებულიყვნენ სარისკო ფრენებისთვის დაბალ სიმაღლეებზე. ეს ძალზე უცნაური გადაწყვეტილებაა, რადგან, ჩვეულებრივ, ბომბდამშენები განსაკუთრებით სუსტები არიან დიდ სიმაღლეებზე, სადაც უკეთესად ჩანან თავდაცვის სისტემებიდან.

მიუხედავად იმისა, მომზადებული არიან თუ არა ამისთვის, ომის შემთხვევაში F-16-ის მფრინავები მოწინაალმდეგის სახით ხშირად გადააწყდებიან МиГ-29-ისა და Су-27-ის ტიპის თვითმფრინავებს.

# ნებრასკას სკოლებში აიკრძალა მიმართვა «გოგონებო და ბიჭებო»

**რამდენიმე დღის წინათ სპეციალურ საიტზე გამოქვეყნდა ინსტრუქციები ნებრასკას ლინკოლნის სკოლის საშუალო კლასების მასწავლებლებისთვის. მიმართვა შეიცავს დაჟინებულ მოთხოვნას, — ბავშვებთან ურთიერთობისას თავიდან იქნას აცილებული ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორებიცაა „გოგონებო და ბიჭებო".**



დოკუმენტი, რომლის სახელწოდებაცაა „12 მარტივი ნაბიჯი სქესობრივი იდენტურობის გზაზე", მასწავლებლებს ავალდებულებს, არასდროს წარმოთქვან ისეთი ფრაზები, როგორიცაა „გოგონებო და ბიჭებო", „თქვენ, ბიჭებო", „ქალბატონებო და ბატონებო" და სხვა მსგავსი გამონათქვამები, რომლებიც ხაზს უსვამს სქესობრივ სხვადასხვაობას. ამის ნაცვლად მასწავლებლებს სთავაზობენ, მიმართვისას გამოიყენონ გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალური ფორმები, მაგალითად, „მოსწავლეებო", „სპორტსმენებო" ან თუნდაც „იისფერო პინგვინებო". ეს ხუმრობა არ არის, დოკუმენტში ზუსტად ასე წერია: „იისფერო პინგვინებო".

რაიმე მიზეზით კლასის დაყოფის აუცილებლობის შემთხვევაში კატეგორიულად იკრძალება სქესობრივი სხვადასხვაობის გამოყენება დაყოფის კრიტერიუმად. სამაგიეროდ, შემოთავაზებულია ალტერნატიული ვარიანტები, მაგალითად, მასწავლებლებს ურჩევენ, ბავშვები დაყონ დაბადების თარიღების მიხედვით ან უპირატესობების მხედვით და აირჩიონ „კეიტბორდი თუ ველოსიპედი, რძე თუ წვენი, ძაღლები თუ კატები, ზამთარი თუ ზაფხული, მოსმენა თუ ლაპარაკი".

**პოლიტკორექტულობის პრინციპებიდან გამომდინარე, ამერიკელებს ისედაც ყოველი სიტყვის გაკონტროლება უწევთ, რათა ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ვილაცამ შეუწყნარებლობაში არ დაადანაშაულოს. მაგრამ მასწავლებლებს ათჯერ მოუწევთ დაფიქრება, ვიდრე კლასს ჯგუფებად ან წყვილებად დაყოფენ, ვინმემ მათ ქმედებაში რაიმე გენდერულ-დიფერენცირებადი არ შენიშნოს.**

სქესობრივი იდენტურობის გზაზე მესამე მარტივი ნაბიჯი მოითხოვს, რომ ყველა მოსწავლეს მიენიჭოს სრული უფლება, თავად განსაზღვროს, რა სახელით და ამ სახელის როგორი წარმოთქმით უნდა მიმართონ მას სხვებმა. ამის გაკეთება აუცილებელია პირველივე სასწავლო დღეს.

ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი პუნქტი დოკუმენტში არის ისეთი გამოსახულებების გამოყენების მოთხოვნა, რომლებზეც ადამიანთა ფიგურები არ შეესაბამება რომელიმე კონკრეტულ სქესს.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსწავლეების მიმართ სქესის აღმნიშვნელი რაიმე მიმართვის გამოყენება, მან უნდა მიმართოს ასე: „გოგონებო, ბიჭებო, ორივეებო ან არცერთებო". თუ ეს მიმართვა ბავშვებს დააბნევს და მათ კითხვები გაუჩნდებათ, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას: „სკოლა აღიარებს და პატივს სცემს თავისი მოსწავლეების გენდერული სხვადასხვაობის მთელ სპექტრს".

თუ მასწავლებელი გაიგებს, რომ ურთიერთობისას მოსწავლეები საკუთარ თავს ყოფენ პრინციპით გოგო-ბიჭი, მასწავლებელი ვალდებულია, „საგანგებოდ გაესაუბროს ამგვარ მოსწავლეებს და ყველანაირად შეუწყოს ხელი საზოგადოებაში არსებულ სქესობრივ სპექტრზე გაცილებით უფრო ფართო წარმოდგენების განვითარებას".

მასწავლებლებმა ბავშვებს, ასევე, უნდა ასწავლონ კონკრეტული ფორმულირებები, რომელთა დახმარებითაც ისინი შეძლებენ, იამაყონ ისეთი საკუთარი თავით, როგორადაც გრძნობენ თავს, ასევე დაიცვან სხვები სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციისგან".

როგორც ჩანს, ეს მხოლოდ დასაწყისია. ლინკოლნის სკოლა სულაც არ არის უნიკალური. აშშ-ის მრავალმა სხვა სკოლამაც უკვე მიიღო ანალოგიური ინსტრუქცია.

**shtfjournal.com**

**კონფერენციის დამსწრე უფროსი და საშუალო კლასების მოსწავლეებს არა მხოლოდ გააცნეს ზემოხსენებული საიტი, არამედ დაურიგეს დიდი რაოდენობით მასალა, რომელთა შორისაც იყო კიბერსექსისა და სატელეფონო სექსისაკენ ბიძგის მიმცემი ბროშურები.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ში სასკოლო კონფერენციაზე ბავშვებს მეტამფეტამინის ღირსებები გააცნეს

**სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სასკოლო კონფერენცია „მოზარდთა სექსუალობის შესახებ" გედონისტების სამოთხეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბავშვებისთვის ჩატარებულ ღონისძიებას. ორგანიზატორების განცხადებით, კონფერენციის მიზანი უსაფრთხო სექსის პროპაგანდა და მოზარდთა შორის ორსულობის თავიდან აცილება იყო, მაგრამ ორგანიზაციის სახელწოდებით „მშობლების უფლებები განათლებაში" წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ კონფერენცია მხოლოდ ამ მიზნებით არ შემოფარგლულა.**



ორგანიზაციის — „მშობელთა უფლებები განათლებაში" ხელმძღვანელმა ლორი პორტერმა ინტერნეტში განათავსა აუდიოჩანაწერი, რომელზეც ზემოხსენებული კონფერენციის ნაწილის მოსმენა შეიძლება. კონფერენციაზე მთავარი მომხსენებელი კორი სილვერბერგი იყო, ჩანაწერში ისმის, რომ იგი მოსწავლეებს აცნობს უფროსებისთვის განკუთვნილ საიტს Virtual Fem და ამ საიტის მიზნებს.

გარდა ამისა, კონფერენციაზე გავრცელდა ბროშურები, რომლებშიც ბავშვებს სთავაზობენ ერთობლივად დროის გატარების რამდენიმე „საინტერესო" ვარიანტს, მათ შორის ერთობლივად აბაზანების მიღებას, ერთმანეთის გაპარსვას, ერთმანეთის საცვლების ჩაცმას, ყველაზე დიდი ზომის სალამური შარვლების ყიდვას და მასში ერთობლივად ძილს, მუხლებზე ცეკვას და სტრიპტიზს.

**კონფერენციის დამსწრე უფროსი და საშუალო კლასების მოსწავლეებს არა მხოლოდ გააცნეს ზემოხსენებული საიტი, არამედ დაურიგეს დიდი რაოდენობით მასალა, რომელთა შორისაც იყო კიბერსექსისა და სატელეფონო სექსისაკენ ბიძგის მიმცემი ბროშურები.**

ლორი პორტერმა ჩამოთვალა კონფერენციაზე გაჟღერებული რამდენიმე წინადადება, მაგალითად, „პორნოს დათვალიერება, საცხების გამოყენება, დაკავება ამით სარკის წინ ან მაშინ, როდესაც ვინმე სხვა გიყურებთ".

გაკვეთილების შერჩევამ გააოგნა და შოკში ჩააგდო ყველა, ვინც კი გაეცნო მას.

სკაპონეს სასკოლო ოლქის მმართველობის წევრის — ლიზა მალონის განცხადებით, „მომხსენებლები ბავშვებს ასწავლიდნენ ინტერნეტსექსსათამაშოების გამოყენებას, მეტამფეტამინის გამოყენებას სექსის დროს. ეს ყველაფერი ქმნის მეტამფეტამინის გამოყენებისაკენ მიდრეკილებას, რადგან ის ასტიმულირებს სექსუალურ ლტოლვას და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი წერია ბროშურებში, რომლებიც ახალგაზრდებს დაურიგეს".

ერთ-ერთ ბუკლეტში აღნიშნულია: „მეტამფეტამინი ფართოდ გამოიყენება და საამისოდ მილიონი მიზეზი არსებობს; მაგალითად, ის, რომ დაკავდე სექსით მრავალ პარტნიორთან ხანგრძლივი დროის მანძილზე".

„ეს სისულელეა და ეს სამწუხაროა", — დასძინა ნიურნბერგის სასკოლო ოლქის დოქტორმა კიმ ლებლან ესპარზამ.

მოზარდთა სექსუალობის შესახებ ორეგონის კონფერენცია ტარდება მოზარდთა ორსულობის საკითხების სპეციალური კომიტეტის მიერ და სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. ორეგონის შტატის განათლების დეპარტამენტი მმართველობით კომიტეტშია წარმოდგენილი.

ამ კონფერენციის შინაარსთან დაკავშირებული კრიტიკის შემდეგ დირექტორი ბრედ ვიკტორი დაიმუქრა, რომ კომენტარებს არ გააკეთებს, მაგრამ მაინც გამოხატა საკუთარი აზრი კონფერენციაზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ „ამ კონფერენციაზე გავრცელებული მასალები განსაზღვრულია მოზარდთა ორსულობის თავიდან ასაცილებლად, ვენერიული დაავადებების პროფილაქტიკისთვის, ასევე ჯანსაღი ურთიერთობების განვითარებისთვის".

როდესაც ვიკტორს ჰკითხეს, თუ როგორ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა მოზარდთა ორსულობის გავრცელებას კონფერენციაზე წარმოდგენილ ქმედებათა ზოგიერთმა სახეობამ, მან კითხვას უადგილო უწოდა.

ზოგიერთმა სასკოლო ოლქმა, რომლის მოსწავლეებიც იყვნენ კონფერენციაზე, განაცხადა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ რა თემებზე იქნებოდა საუბარი. სამაგიეროდ, შემდეგ კონფერენციაზე უკვე დარეგისტრირდა კიდევ, სულ მცირე, რვა სასკოლო ოლქი.

eagnews.org

# ახალი მონაცემები: ფიქლური გაზის პერსპექტივები დიდად გადაჭარბებულია

**ნავთობი სწრაფად იაფდება. ეს ცალსახად ცუდი ამბავია ნახშირწყალბადების მწარმოებელთათვის და კერძოდ აშშ-ისთვის, რომელსაც ეიმედება თავისი „ფიქლური სასწაული". მრავალი საბადოსთვის ნავთობის მოპოვება არამომგებიან საქმედ იქცა მას შემდეგ, რაც ერთი ბარელის ფასი 70 დოლარამდე დაეცა. უკიდურესად ცოტა იქნება მათი რაოდენობა, ვისთვისაც, ერთი ბარელის 50 დოლარამდე გაიაფების შემთხვევაში, ნავთობმოპოვება წამგებიანი საქმე არ გახდება.**



მაშ ასე, აშშ-ისთვის ნავთობმოპოვება გარდაუვალად წამგებიანი საქმე გახდება, თუ მიმდინარე ფასები გარკვეული დროის განმავლობაში შენარჩუნდება; მაგრამ, თუნდაც ფასებმა მალე დაიწყოს მატება, ახალი მონაცემების თანახმად, აშშ-ში მოსაპოვებელი ფიქლური ნავთობის საერთო მოცულობა ბევრად უფრო მცირე იქნება, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ.

სანავთობე საქმის ექსპერტმა დევიდ ჰაგისმა შეაგროვა და გააანალიზა იმ მონაცემთა უდიდესი რაოდენობა, რომლებიც ამერიკის ფიქლურ საბადოებს უკავშირდება. ანალიზმა ყველა საბადოს სწრაფი გამოფიტვა აჩვენა. ერთი წლის შემდეგ ფიქლური ნავთობის მოპოვების მოცულობა 70%-ით შემცირდება, მესამე წლის განმავლობაში კი — 85%-ით. და ეს იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად მიმდინარეობს ყველაზე პერსპექტიული საბადოების დამუშავება, ანუ წლების განმავლობაში საუკეთესო შედეგებიც კი ვერ გაუტოლდება ამჟამინდელ მაჩვენებლებს.

ამერიკა „ენერგეტიკულ დამოუკიდებლობის" შესახებ გეგმებს მცდარ გათვლებზე აგებს. უფრო უარესიც: ქვეყანა ხელიდან უშვებს ნავთობის მოპოვების პიკის პერიოდს, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებულ ყოფილიყო ინფრასტრუქტურის ასაშენებლად მომდევნო ენერგეტიკული პერიოდისთვის. ჰაგისი წერს:

„თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს: ყოველწლიურად ყოველი ჭაბურღილიდან მოპოვების მოცულობა 45%-ით იკლებს. ყველაზე პერსპექტიული საბადოები უკვე მუშავდება. წელიწადში 1,5 ათასი ჭაბურღილის გაჭრაა საჭირო მხოლოდ იმისათვის, რომ მოპოვება ერთ დონეზე იქნეს შენარჩუნებული. გარდა ამისა, შესაძლოა, ახალი საბადოების ხარისხი გაუარესდეს და ამ შემთხვევაში ჩვენთვის აუცილებელი გახდება, გავჭრათ არა ათას ხუთასი, არამედ სამი ათასი ახალი ჭაბურღილი წელიწადში. ამასთან, თითოეული ჭაბურღილის დამუშავების ღირებულება უცვლელი რჩება. იმისათვის, რომ საბადოს დამუშავება მომგებიანი აღმოჩნდეს, ნავთობის ღირებულება ბევრად უფრო მეტი უნდა იყოს. ახლა ჩვენ დაკავებულნი ვართ საუკეთესო საბადოებით. ასე რომ, დროთა განმავლობაში მდგომარეობა მხოლოდ დამძიმდება, ჩვენ უფრო და უფრო მაღალი ფასები დაგვჭირდება.

**აშშ-ის ენერგეტიკული ინფორმაციის სამმართველომ გაუმართლებლად ოპტიმისტური პროგნოზები შეადგინა ფიქლური გაზის მოპოვებაზე და გადამეტებულად ოპტიმისტური შეფასება მისცა მის ღირებულებას.** ითვლება, რომ ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად შენდება, უახლოეს წლებში, დაბალი ფასების გათვალისწინებით. მაგრამ ჩვეულებრივი მონაცემები სულ სხვა რამეზე მეტყველებს: იმ დაბალი ფასების პირობებში, რომელთაც დღეს ვხედავთ, წარმოება იმაზე მეტად შემცირდება, ვიდრე მოველით. საუკეთესო შემთხვევაში, ახალი ჭაბურღილების დამუშავებაში ინვესტიციების ნაკადი არ შეწყდება და არ დაწესდება შეზღუდვები, რომლებიც გარემოს დაცვას დაუკავშირდება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ფიქლური საბადოების საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივები სავალალოდ გამოიყურება.

სამწუხაროდ, კორპორაციები მიჩვეული არიან მხოლოდ უახლოესი კვარტლის მასშტაბებით აზროვნებას. პოლიტიკოსებს მხოლოდ იმაზე შეუძლიათ იღელვონ, თუ რა მოხდება შემდგომ არჩევნებამდე. მაგრამ ქვეყნის ენერგეტიკული მდგრადობის გეგმის შესადგენად აუცილებელია, ათწლეულების მანძილზე იყოს საგულდაგულოდ გათვლილი სიტუაციის განვითარების ვარიანტები.

თუ წინ გავიხედავთ, მომავალში, როცა ნავთობისა და გაზის რესურსები მიილევა, ენერგეტიკული სტაბილურობის მისაღწევად საჭიროა ნაკლების დახარჯვის მეთოდების გამონახვა. გარდა ამისა, ენერგეტიკისთვის ამ უკეთეს პერიოდში საჭიროა ფიქრი იმ ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, რომელიც ადამიანებს ენერგორესურსების მაღალი ხარჯვის ალტერნატივას შესთავაზებს".

მსოფლიო



## გაკოტრებული ბიზნესმენი მმართველი პარტიის შენობას აფეთქებდა

**ესპანეთში გაკოტრებულმა ბიზნესმენმა, 37 წლის დანიელ პერეზამ ბუნებრივი აირის ბალონებით სავსე მანქანით მმართველი „სახალხო პარტიის" ოფისი შეანგრია.** ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა და არც აფეთქება მომხდარა. დანიელ პერეზა კრიზისის დროს თავისი ბიზნესისა და ქონების დაკარგვას მმართველ პარტიას აბრალებს. მისი თქმით, მანქანაში მას 15კგ ასაფეთქებელი ჰქონდა, თუმცა ეს ინფორმაცია პოლიციამ არ დაადასტურა. მას მანქანაში მხოლოდ ბუნებრივი აირით სავსე ბალონები ეწყო.



ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამ „ენჯეოელ“ ცხვირმოუხოცავ გოგო-ბიჭებს, რომელთა ერთადერთი ღირსება სამშობლოსა და ეროვნული ტრადიციების სიძულვილია, ათჯერ მეტი ხელფასი აქვთ, ვიდრე ქვეყნისა და ხალხის სამსახურში დამაშვრალ ადამიანებს.



## ტეხასელები აშშ-ისგან გამოყოფას მოითხოვენ

**ტეხასში ძალას იკრებს მოძრაობა, რომლის მიზანიც აშშ-ისგან დამოუკიდებლობაა. ანალიტიკოსების აზრით, მდიდარ შტატს აქვს შანსი, გახდეს აყვავებული სახელმწიფო.**

2014 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოაცხადა მიგრაციული პოლიტიკის შესახებ, რომლის თანახმადაც დაახლოებით 5 მილიონი უკანონო იმიგრანტს ქვეყანაში დარჩენის საშუალება მიეცემა. რამდენიმე დღის შემდეგ 17 შტატის მთავრობამ გადაწყვიტა ობამას ზემოაღნიშნული ინიციატივა სასამართლოში გაესაჩივრებინა. ამ იდეის ავტორი იყო ტეხასის ხელისუფლება, რომელიც შიშობს, რომ არალეგალებისთვის კანონების ლიბერალიზაცია ხელს შეუწყობს მექსიკიდან მიგრანტების ნაკადის გაზრდას, რომლებმაც ბოლო ხანს ისედაც აავსეს აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთი. ამიტომ რეგიონში გაფართოვდა დამოუკიდებლობის მსურველთა რიგები, ტეხასელი ნაციონალისტების ლიდერმა დენიელ მილერმა ტელეარხ CNBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ზოგიერთ გამოკითხვაში დამოუკიდებლობის მომხრეთა რაოდენობა 50 პროცენტს აჭარბებს და, რაც უფრო მეტი მიგრანტი შევა შტატში, მით უფრო გაძლიერდება ეს განწყობა“.

ბოლო წლებში ტეხასის დამოუკიდებლობის იდეამ არნახული პოპულარობა მოიხვეჭა. აშშ-ის პრეზიდენტად ბარაქ ობამას არჩევის შემდეგ თეთრი სახლის ვებგვერდზე გამოაქვეყნა ტეხასის დამოუკიდებლობის პეტიცია, რომელსაც 125 ათასი ადამიანი აწერდა ხელს, თუმცა თეთრმა სახლმა, რა თქმა უნდა, ამ საკითხის განხილვაზე უარი განაცხადა.

# მკბენარი

**მკბენარი პატარა პარაზიტ მწერს ჰქვია, რომელიც ადამიანის ან ცხოველის კანიდან გამოწოვილი სისხლით საზრდოობს, იქვე ცხოვრობს და მრავლდება. თავისთავად, ერთი მკბენარი — ტილი, რწყილი, ბაღლინჯო თუ ტკიპა — ვერც იმდენ სისხლს გამოსწოვს და ვერც ისე უკბენს თავის დონორს, რომ მნიშვნელოვნად დააზიანოს, მაგრამ, რომ გამრავლდება, ძილსა და მოსვენებას დაუკარგავს მსხვერპლს — ბალნიან ადგილებში ქავილი შეაწუხებს...**




მკბენარის მოცილება ძნელი არ არის, საამისო სურვილი თუ აქვს ადამიანს ან ცხოველს და, ამასთანავე, თუ ფხანა-ქავილი სიამოვნებას არ ანიჭებს, დაიბან და მორჩა! მაგრამ ავადმყოფობის გადამტანია მკბენარი. შიდსიანის ტანიდან ჯანმრთელ სხეულზე გადაღოღებულ ტილსა თუ ტკიპას შეუძლია სასიკვდილო სენი შეჰყაროს „ახალ საცხოვრისს“, რომელსაც დაბანა ველარ უშველის.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ ერთი კონკრეტული კაცის, არამედ საზოგადოების სხეულზეც შეიძლება, მომრავლდეს მკბენარი. განსხვავება არის ის, რომ კონკრეტული ადამიანი თვითონ კვებავს თავის მკბენარს და, თუ მოინდომებს, ადვილად დატოვებს მას საკვებისა და საცხოვრებლის გარეშე. საზოგადოების სხეულს შესეულ მკბენარს სხვები კვებავენ და კარგ ჭერქვეშაც ჰყავთ შეფარებული.

**რა არის საზოგადოების სხეულს შესეული მკბენარი? — იკითხავს ჩემი ალალი და გულუბრყვილო მკითხველი. — რა და, არასამთავრობო ორგანიზაციები, ჩემო კეთილო მეგობარო, ენჯეოებს რომ უწოდებენ „სიყვარულით“. არ არიან დაუბანელი კაცის გრუზა თმაში ტილებივით გამრავლებულები, თუ რა?** სადაც არ ელოდები, იქ გამოხტებიან ჭინკებივით და ათასნაირ სნეულებას ავრცელებენ. მერე რა დაფინანსება აქვთ?! **ამ „ენჯეოელ“ ცხვირმოუხოცავ გოგო-ბიჭებს, რომელთა ერთადერთი ღირსება სამშობლოსა და ეროვნული ტრადიციების სიძულვილია, ათჯერ მეტი ხელფასი აქვთ, ვიდრე ქვეყნისა და ხალხის სამსახურში დამაშვრალ ადამიანებს.**

მერე რა სოლიდარულები არიან ერთმანეთის მიმართ! ერთი ბატონ-პატრონი ჰყავთ და იმიტომ. გახსოვთ, ალბათ, როგორც კი ჩვენმა არჩეულმა პარლამენტმა გამოაცხადა მორატორიუმი უცხოელებისთვის მამაპაპური სამკვიდროს მიყიდვის შესახებ, მაშინვე ცოფიანებივით გამოხტნენ „ენჯეოშნიკები“ და იკივლეს — არიქა, საქართველოს პარლამენტი ევროპულ ღირებულებებს ღალატობსო. ეს ჩვენი ხელისუფლება კი, ევროვიოლაცების შიშით ქუსლებიდან სული რომ ეპარება, ადგა და წყალწყალა მორატორიუმი გააუქმა.

ბევრნი არიან და ძლიერ მკვებავი პატრონებიც ჰყავთ ამ წყეულ „ენჯეოებს“, **გრანტების ჭამაზე არიან დაგეშილები და, როგორც მშიერ ძაღლს ძვალს ვერ გამოსტაცებ პირიდან, ისე ვერ გააგდებინებ ხელიდან არასამთავრობოებს იმ საქმეს, რომელიც მათ უცხოელმა პატრონებმა მისცეს.**

ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის რომ უკვეთავს, ყველამ იცის. ჰოდა, რომელი ჭკუათმყოფელი დაუკვეთავს იმ მუსიკას, რომელიც არ მოსწონს, მაგრამ დარბაზის შორეულ კუთხეში მსხდომ, მისთვის სრულიად უცხო მოქეიფეებს „ევასებათ“ ნამეტნავად?! არა მგონია, ამგვარი მუსიკის დამკვეთები არსებობდნენ!

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ჩნდება კითხვა: ვისგან, საიდან და რა მიზნით ფინანსდებიან ისინი?

ერთმა ჩემმა მეგობარმა, მრეწველობის ცნობილმა ინჟინერ-ორგანიზატორმა, სამშობლოს ბედ-იღბალზე დღენიადაგ მოფიქრალმა კაცმა ბიჭიკო ვაშაკიძემ ამას წინათ მითხრა: ადვილი როდია, ამდენ არასამთავრობოში გაარკვიო, ვინ ემსახურება ქართულ ინტერესებს და ვინ — სხვისას, ქართველთა წინაპრების სისხლით შენარჩუნებული მიწა-წყლის გაყიდვისა და ეროვნული შეგნების დანერგვის მოწადინე რომ ჩვენი მტერია, ამას ბრიყვიც მიხვდება, მაგრამ ბევრი „ენჯეოს“ ქცევის გაშიფრვა არც ისე მარტივია, ამიტომ ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ და რატომ აფინანსებს მათ.

ამას წინათ აშშ-ის ელჩი სამი საერთაშორისო ორგანიზაციის — „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელებს შეხვდა და შეაქო ისინი. **სამივე ორგანიზაცია (ბევრ სხვასთან ერთად) ეროვნული ინტერესების ერთგულებით მაინცდამაინც არ გამოირჩევა და, ალბათ, ამიტომ მოეფერა მათ, თორემ რატომ ერთხელ მაინც არ გაუჩნდა სურვილი იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრისა, რომლებიც თავგამოდებით იცავენ ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობას, ტრადიციებსა და ღირებულებებს?!** საბედნიეროდ, აქა-იქ ასეთებიც ხომ არიან? არც შეხვდება — ამ ორგანიზაციებზე ხომ არაფერი დაუხარჯავთ ამერიკელებს?!

უკრაინის ამბების გამო, ერთმა ამერიკელმა ემისარმა რომ იკივლა, ამ ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრების მიზნით ხუთი მილიარდი დოლარი დავხარჯეთო, რატომ არ ჰკითხა ვინმემ — ცხრამეტი მთისა და სამი ოკეანის იქით მცხოვრები უკრაინელებისთვის რისთვის გაისარჯეთო? ან ჩვენ რატომ არ ვეკითხებით ამერიკის ელჩს: „საქართველოს სიყვარული, ნეტავ, რომელმა ბებიამ ჩაგაგონა, ძამია რიჩარდ?“ — იმიტომ, რომ ცნობიერად თუ არაცნობიერად ყველანი ვხვდებით, რომ სხვისთვის უანგაროდ კაპიკსაც (თუ ცენტს) არავინ გაიმეტებს. მათ სჭირდებათ ეს სადღეისოდ თუ სამომავლოდ, ამიტომაც არაფერს იშურებენ იმ არასამთავრობოებისთვის, რომლებშიც ეროვნული და, საერთოდ, ადამიანური ზნეობისგან დაცლილი „მსოფლიო მოქალაქეები“ იზრდებიან.

ერთი ჩემთვის (და ბევრი სხვისთვისაც) ერთობ პატივსაცემი გაზეთის ცნობილი ავტორი წერდა ამას წინათ: **ერთმა ქართული გვარის მქონე ბავშვმა „პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ საქართველო არ უყვარს. ბავშვი ამას როგორ იტყვის, თუ ეს ოჯახში არ მოუსმენია?!“. ვერ იტყვის, ნამდვილად! მერე და, ვისი შვილი ყოფილა ის ბავშვი, იცით? — ვისი და, ერთ ავადსახსენებელ არასამთავრობო ორგანიზაციაში გამოზრდილი უსუფაშვილ-ხიდაშელისა!**

სწორედ ტვინის გამორეცხვაა ამ ე.წ. არასამთავრობო მკბენართა ამოცანა. ამისთვის იღებენ უცხოურ ძღვენს, ანუ გრანტებს. ტვინის გამორეცხვა მიზანმიმართულად ხორციელდება: უნდა წაიშალოს და ამოირეცხოს ტვინის ის უჯრედები, რომლებშიც ზნეობრივი ინფორმაცია, ეროვნული სიამაყე, სამშობლოს ერთგულება და სიყვარული აღიბეჭდება, ურომლისოდაც მიუწვდომელი ხდება საკაცობრიო ღირებულებები. ასე რომ, „ენჯეოელ“ მკბენართა კოლექტიური ძალისხმევა არა მხოლოდ ეროვნული, არამედ კაცობრიობის ინტერესების წინააღმდეგაც არის მიმართული.

ერისა და სახელმწიფოს სხეულზე შესეულ მკბენართა ტვინგამორეცხილობის შემჩნევა ძნელი არ არის. აგერ, იმ ჩემთვის ძვირფას გაზეთში ერთ-ერთ მის მიმომხილველს ტვინგამორეცხილობის მაგალითად ასეთი ფაქტი აქვს მოყვანილი: „10 ტრადიცია საქართველოში, რომლებიც შესაცვლელია და დასავიწყებელი!“ — აი, ასე ხმამაღლა და საზეიმოდ ასკვნის ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი... „მერა და, რა ჰგონია თურმე „ქართული ტრადიცია“ იმ ტვინგამორეცხილს, არ იკითხავთ? — „თამბაქოს ნაწარმის მოხმარება“. მას და მისნაირებს ის ჩვენი კეთილი მიმომხილველი „სულელებს“ უწოდებს. თავისი კაი კაცობით მოსდის ეს, თორემ სულელი სულაც არ იწვევს ზიზღს, უფრო კი სიბრალულსა და თანაგრძნობას აღძრავს ჩვენში. ესენი საზიზღარი მკბენარები არიან, რომლეთაგან გათავისუფლება ერისა და ქვეყნის უპირველესი ამოცანაა, თუ თავმოყვარეობის ნატამალი შერჩენია.

ცხელი წყალი და საპონი არ უშველის ამ საქმეს. ყველამ უნდა ვიცოდეთ, ვის ძუძუს წოვენ და ვის სალაფავს თქვლეფენ ისინი, ვის ჭირსა და ბუღუთურს ავრცელებენ ჩვენშიც და სხვაგანაც. მოვერიდებით მაშინ და ვეღარც ისინი შეასრულებენ იმ ძღვენის გამომგზავნთა დავალებებს. ვერ შეასრულებენ და საკვებსაც შეუწყვეტენ გაწბილებული პატრონები. უსაკვებოდ დარჩენილი მკბენარი გადაშენდება, აბა, რა დაემართება! ასე გადაურჩება ერი და სახელმწიფო გადაგვარება-გადაჯიშების სრულიად რეალურ საფრთხეს!

მარტო იმ ჩემი კეთილი მეგობრის კი არა, ყველა ქართველი მამულიშვილის მოთხოვნაა, გამოქვეყნდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების რაოდენობა და წყაროები. უნდა ვიცოდეთ, ვინ უკვეთავს იმ მუსიკას, რომელმაც ლამისაა, დააყრუოს ქვეყანა. ქონებრივი დეკლარაციის წარმოდგენა ხომ მოეთხოვება ყველა საჯარო მოხელეს! არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პარტიებს რატომ არ უნდა მოეთხოვოს, როცა მათი საქმიანობის ბევრი მხარე ერთობ საფუძვლიან ეჭვსა და უნდობლობას იწვევს. ამგვარი მოთხოვნის კანონიერებისა და ეროვნული ინტერესებისადმი ერთგულების მაგალითები უკვე გვიჩვენეს ჩვენმა ჩრდილოელმა და სამხრეთელმა დიდმა მეზობლებმა.

ჩვენ, იმ დიდ მეზობლებთან შედარებით, პატარები ვართ და ეს ჩვენი ბრალი როდია. მაგრამ მათებრ ჭკვიანები და ღირსეულები თუ ვერ ვიქნებით, ჩვენი ბრალი იქნება ნამდვილად!

**ზურაბ ცუცქირიძე**

მოკლედ



## სკოლაზე თავდასხმას 126 ადამიანი შეეწირა

**ექსტრემისტული ისლამისტური ორგანიზაცია „თალიბანი“ პაკისტანის ქალაქ პეშევარში მდებარე სამხედრო საჯარო სკოლას დაესხა თავს. თავდასხმის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 126-ს მიაღწია.** გამოცემის ცნობით, ტერორისტებმა ასობით ბავშვი მძევლად აიყვანეს. დაღუპულია დახლოებით 82 ბავშვი. სხვა წყაროს ცნობით, სულ ექსტრემისტების თავდასხმის შედეგად დაიღუპა 122 ადამიანი. მათივე ცნობით, შენობაში 5 აფეთქების ხმა გაისმა. მანამდე კიდევ სამი აფეთქების თაობაზე იტყობინებოდნენ. „თალიბანი“ აცხადებს, რომ თავდასხმა წარმოადგენს შურისძიებას და პასუხს პაკისტანის არმიის სამხედრო ოპერაციებზე, რომელთა მსხვერპლნიც ისლამისტების ოჯახები გახდნენ.



**საფუძვლიანი გეოლოგიური კვლევის თანახმად, საყდრისის საბადოზე ოქროს რაოდენობა, სულ მცირე, 50 ტონაა. ამ რაოდენობის ოქროს გადამუშავებით მოსალოდნელი მოგება 1 მილიარდ დოლარზე მეტია.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰეი, თქვენ RMG-ელებო, მომპოვებელნო Gold-ისა, რაღა საყდრისის მაღაროს გაცამტვერება მოგინდათ?..



**RMG-ის უნდა ეზრუნა ოქროს მოპოვების შედარებით ძვირ, შახტურ მეთოდზე, თუნდაც საბადოს ფართობის 1/7-ზე. ანუ უძველესი მაღარო დარჩებოდა ძეგლის სტატუსით და ამით, არც RMG GOLD-ს შეექმნებოდა პრობლემები საზოგადოების მხრიდან. ასეთი ტიპის საბადოდან, ადგილმდებარეობისა და ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით, მადნის მოპოვება აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო არა ღია კარიერული (ბარბაროსული), არამედ შახტური (მიწისქვეშა) მეთოდით, როგორც ეს ხდება ოქროს მოპოვების თანამედროვე ტექნოლოგიით.**

**საზოგადოებისთვის ცნობილია საყდრისის ოქროს მაღაროსთან დაკავშირებული ვნებათაღელვა, რომელიც დასრულდა ქართველების კიდევ ერთი სირცხვილით – მაღაროს ლიკვიდაციით.**

ტყუილად არ ჩაუვლია „დამოუკიდებელ (RMG-ის მხარდამჭერ) ექსპერტთა“ ღვაწლს, დაკმაყოფილებულყო RMG GOLD-ის ზღვარგადასული თვითნებობა, რომელიც დაუსჯელობის სინდრომითაა განპირობებული.

„დამოუკიდებელ (RMG-ის მხარდამჭერ) ექსპერტებს“ თუ დავუჯერებთ, „ოქროს საერთო რაოდენობა საყდრისის საბადოზე არ აღემატება 6 ტონას, ხოლო მისი საშუალო შემცველობა ტონა მადანზე ალაგ-ალაგ შეადგენს 1 გრამს”...

**ამ მონაცემების თანახმად, საბადოს გადამუშავება RMG-ისთვის პრაქტიკულად წამგებიანია, ვინაიდან მოსალოდნელი წმინდა მოგება არ აღემატება 95 მლნ აშშ დოლარს,** ანუ, რომ იტყვიან, ჩიტი ბრდღვნად არ ღირს.

ისმის კითხვა: **რა საჭიროა ასეთი არამომგებიანი კამპანიის წამოწყება?**

პასუხი მარტივია: **საფუძვლიანი გეოლოგიური კვლევის თანახმად, საყდრისის საბადოზე ოქროს რაოდენობა, სულ მცირე, 50 ტონაა. ამ რაოდენობის ოქროს გადამუშავებით, მოსალოდნელი მოგება 1 მილიარდ დოლარზე მეტია.**

რაც შეეხება უშუალოდ პრეისტორიულ მაღაროს (რომელსაც უჭირავს საბადოს ფართობის 1/7) იქ გადასამუშავებელი ოქროს რაოდენობა შეადგენს 3-5 ტონას, ხოლო მოსალოდნელი წმინდა მოგება — 50-80 მლნ დოლარს.

თუმცა არსებობს დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მაღაროში ოქროს შემცველობა გაცილებით მეტია. ამიტომ **RMG-ის უნდა ეზრუნა ოქროს მოპოვების შედარებით ძვირ, შახტურ მეთოდზე, თუნდაც საბადოს ფართობის 1/7-ზე. ანუ უძველესი მაღარო დარჩებოდა ძეგლის სტატუსით და ამით, არც RMG GOLD-ს შეექმნებოდა პრობლემები საზოგადოების მხრიდან.**

**ასეთი ტიპის საბადოდან, ადგილმდებარეობისა და ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით, მადნის მოპოვება აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო არა ღია კარიერული (ბარბაროსული), არამედ შახტური (მიწისქვეშა) მეთოდით, როგორც ეს ხდება ოქროს მოპოვების თანამედროვე ტექნოლოგიით.** საინტერესოა, გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიცია, თუ მას, საერთოდ, აქვს...

ჩნდება კითხვა, რატომ აძლევს ხელს RMG-ის პრეისტორიული მაღაროს ნამსხვრევებად ქცევა და მისი გადამუშავება, მაშინ, როდესაც მადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის ბალანსზე არსებული, სპილენძის მადნის ნარჩენების (ფუჭი ქანები, არაბალანსური მადანი და გამდიდრების კუდები, რომელთა საერთო რაოდენობა 2001 წლისთვის შეადგენდა 180 მლნ ტ-მდე, ოქროს საერთო რაოდენობით 180 ტ-მდე) გადამუშავებით მოსალოდნელი წმინდა მოგება აჭარბებს 1.5 მილიარდ დოლარს? სხვათა შორის, აღნიშნული ნარჩენები ნიადაგის მძიმე ლითონების მარილებით დაბინძურების წყაროცაა.

პასუხი მარტივია — **საყდრისის ოქროს საბადო კვარცული მადანია, რომლის გადამუშავება გაცილებით იოლია და არ მოითხოვს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია ნარჩენების გადამუშავების სპეციფიკური ტექნოლოგიის შესაქმნელად.**

RMG Gold-ის მიმართ მაქვს რამდენიმე კითხვა, კერძოდ:

**1. რატომ განხორციელდა ავსტრალიური კომპანიის მიერ აშენებული როფული გამოტუტვის დანადგარების (7 როფი, თითოეული ტევადობით 1200 ტ მადანი) და მათი ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟი?**

აღნიშნული დანადგარები ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობას იძლეოდა;

**2. რატომ არ არის დაცული RMG GOLD-ის მიერ აშენებული 22 მლნ ტონა მადნის გროვის ფუძის ზომები, რომლის სიმაღლე 70 მეტრია?..** ასეთი დარღვევა, გარდა იმისა, რომ აუარესებს ტექნოლოგიურ მაჩვენებლებს, ეკოლოგიური კატასტროფის წინაპირობაცაა, მით უმეტეს, ისეთი სეისმოლოგიური რეგიონისთვის, როგორცაა ბოლნისის რაიონი (სად არის გარემოს დაცვის სამინისტრო?);

**3. ძეგლის აფეთქებამდე რატომ არ დაელოდა RMG GOLD-ი 12 იანვრისთვის გადადებული სააპელაციო სასამართლოს (რომელიც დაინიშნა მისი საჩივრის საფუძველზე) გადაწყვეტილებას ძეგლისთვის სტატუსის მოხსნის თაობაზე?**

**4. რა მონაცემებს გამოაქვეყნებენ „ერემჯელები“ ისეთი პერსპექტიული ოქროს შემცველი საბადოების გადამუშავების წინ, როგორიცაა ქვემო ბოლნისის (სავარაუდო მარაგით — 41ტ ოქრო), წითელი სოფლის (71 ტ ოქრო) და სხვ.**

**რევაზ კანაშვილი**,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

# ნატო თუ ნეიტრალიტეტი? (სუბიექტური მოსაზრება განსჯისთვის)

**საქართველოს არაფერი ეშველება, თუ ჩვენ, ქართველები, ვერ გავარკვევთ, სად არის ჩვენი ადგილი მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ქსოვილში და განვითარების რომელი ვექტორი იქნება მომგებიანი ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის.**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ჩვენი გადარჩენისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი არის საქართველოს შესვლა ნატოში, მაგრამ არის კი ეს პანაცეა?! იქნებ, საწყის ეტაპზე გავარკვიოთ, რისთვის არის საჭირო ნატოში შესვლა.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანების მომხრეები ამბობენ, რომ ნატო იქნება ის „ქოლგა“, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებასა და თავდაცვისუნარიანობას.

მეორე მხრივ, თუ გავიხსენებთ სერგეი ლავროვის (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის) განცხადებას, რომელიც მან გააკეთა ცოტა ხნის წინათ, რუსეთი არ დაუშვებს ნატოში საქართველოს შესვლას და ყველაფერს იღონებს ამისათვის (ეს შედის რუსეთის ეროვნულ ინტერესებში).

საქართველოსთვის ასეთივე უსაფრთხოების „ქოლგა“ შეიძლება იყოს ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი. ნეიტრალიტეტი არ არის თვითაღიარებითი აქტი. ამაზე ნეიტრალიტეტის გარანტორები უნდა შეთანხმდნენ. საქართველოსთვის ასეთი გარანტორები შეიძლება იყვნენ აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, უშუალო მეზობელი ქვეყნები.



**არის კი მისაღები რუსეთისთვის საქართველოს ნეიტრალური სტატუსი?**

რუსეთის სამხრეთ საზღვარზე ამგვარი ბუფერული ზოლის შექმნა, ალბათ, მისაღები იქნება რუსეთისთვის. თუ ჩვენ სწორად ავუხსნით რუსეთს, რომ საქართველო თანახმაა, არ შევიდეს ნატოში და მიიღოს ნეიტრალიტეტის სტატუსი; თუ გაითვალისწინებს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, დათანხმდება, ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და შეწყვეტს ძირგამომთხრელ საქმიანობას ამ მიმართულებით, რუსეთი, ალბათ, დათანხმდება ამ წინადადებას (ყველაფერი ხომ ნატოში ჩვენი გაწევრების სურვილისა და რუსეთთან ნატოს მჭიდროდ მიახლოების გამო ხდება?!).

ჩვენი ქვეყნის ნეიტრალიტეტი მისაღები უნდა იყოს, აგრეთვე, დასავლეთისა და ჩვენი მეზობელი ქვეყნებისთვისაც, ვინაიდან რეგიონის სტაბილურობა ამ ქვეყნების ინტერესებშია. რა თქმა უნდა, საჭიროა ამ ქვეყნების მზადყოფნაც ჩვენი ქვეყნის ნეიტრალიტეტის ასაღიარებლად. აუცილებელია, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რათა დავარწმუნოთ ისინი ამ ცვლილების პოზიტიურობაში.

ასეთი პოლიტიკური სტატუსი (ნეიტრალიტეტი) არ გამორიცხავს მრავალმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთთანაც.

უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი შესაძლებლობები და, აქედან გამომდინარე, ვიმოქმედოთ ჩვენი ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

ამ საკითხზე საჭიროა ფიქრი და, თუ ჩვენ სწორად განვსაზღვრავთ ქვეყნის განვითარების ვექტორს, აუცილებლად შევქმნით ქვეყნის სწორად და უმტკივნეულოდ განვითარების პირობებს. ამისათვის კი საჭიროა ლიდერი, რომელიც დაარწმუნებს მოსახლეობის უმრავლესობას ამ გადაწყვეტილების სისწორეში. **მხოლოდ რაციონალიზმი თუ გადაგვარჩენს და არა შურისძიება, ვინაიდან ჩვენი რესურსი გაცილებით მწირია, ვიდრე ჩვენდამი მტრულად განწყობილი მოწინააღმდეგის.**

და კიდევ — ზოგი ექსპერტი ამტკიცებს, თითქოს ჩვენი ქვეყნის გადარჩენისა და გამთლიანების ერთადერთი ინსტრუმენტი დასავლელი მეგობრების მხარდაჭერა და თანადგომაა. არავინ უარყოფს ამ მხარდაჭერის მნიშვნელობას, მაგრამ ჩვენი პრობლემების მოგვარების გამო არავინ გაირთულებს ურთიერთობას რუსეთთან. ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯის სისწორე მხოლოდ შედეგით შეიძლება შეფასდეს. თუ რა მოგვიტანა ნატოსკენ სწრაფვამ, ამის მომსწრე თითოეული ჩვენგანია. იქნებ, დადგა დრო, რეალურად შევაფასოთ ჩვენი მდგომარეობა და ადეკვატურად განვსაზღვროთ ქვეყნის შემდგომი განვითარების ვექტორი.

პატივისცემით,
**თ. შანიძე**



# «ჰამასი» ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან ამოიღეს

**ევროკავშირის სასამართლომ პალესტინური დაჯგუფება „ჰამასი“ ტერორისტულ ორგანიზაციათა სიიდან ამოიღო.** ევროკავშირის საერთო სასამართლოს განცხადებაში ნათქვამია, რომ „ჰამასი“ ტერორისტულ სიაში შეყვანილი არ ყოფილა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით და ეს მოხდა მხოლოდ მედიიდან და ინტერნეტიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამასთან, „ჰამასი“ სიიდან დროებით, დაახლოებით სამი თვის განმავლობაში, იქნება ამოღებული. „ჰამასი“ ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში ევროკავშირმა 2001 წლის დეკემბერში შეიყვანა.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ახალ წელს ხშირად „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან 1 იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს. საახალწლოდ ცხვებოდა ადამიანის ფორმის პური ე. წ. „ბასილას კვერები“.**

# ყველაფერი საახალწლო ტრადიციების შესახებ

**მსოფლიოში რამდენი ერიცაა, იმდენი საახალწლო ტრადიცია და კერძია. ეს ტრადიციები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. როგორც ცნობილია, ახალ წელს ჯერ კიდევ წარმართობის ხანაში დღესასწაულობდნენ.**





**ფინელები** შობის წინა დღეს აუცილებლად მიირთმევენ ბრინჯის ფაფას, სვამენ ქლიავის წვენს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ნაძვის ხის მორთვას. შუადღით ოჯახის წევრები სადღესასწაულო სუფრას მიუსხდებიან და ინდაურს კარტოფილისა და სტაფილოს გარნირით შეექცევიან.

ფინელ ქალიშვილებს ახალი წლის ღამეს საბედოს ამოსაცნობად მკითხაობის ტრადიცია აქვთ. ყველაზე გავრცელებული კალით მკითხაობაა — გოგონები გამდნარ კალას ჩაასხამენ ჭიქაში. შემდეგ ამ წყალში დასველებულ პირსახოცს მთელი ღამის განმავლობაში ბალიშის ქვეშ იდებენ, რომ საქმრო დაესიზმროთ.

**შვეიცარიაში** დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე ყველა აცხობს კაცუნების ფორმების საახალწლო ორცხობილებს. ეს ფიგურები შვეიცარიაში ახალი წლის სიმბოლოა და მათ გრიტიბანეცს, ანუ ბატონ ახალ წელს უწოდობენ.

ოჯახის თითოელმა წევრმა უნდა აირჩიოს თავისთვის განსაკუთრებული გრიტიბანეცი. მორთოს იგი სიროფითა და შაქრის პუდრით, საიდუმლოდ ჩაიფიქროს სურვილი და დაკიდოს გრიტიბანეცი საშობაო ნაძვის ხეზე.

ახალი წლის ღამეს ყველამ უნდა მოძებნოს თავისი გრიტიბანეცი და შეჭამოს. ისინი 100%-ით არიან დარწმუნებულნი, რომ ამით მათი ნატვრა აუცილებლად ახდება.

**პოლონელები და ბულგარელები** საახალწლო სუფრაზე ზუსტად 12 კერძს დებენ. მათ შორის ერთიც არ უნდა იყოს ხორცეული.

ბულგარეთში ზუსტად 12 საათზე შუქს აქრობენ რამდენიმე წამით – ეს საახალწლო კოცნის დროა. შემდეგ კი დიასახლისი სიურპრიზებიან ღვეზელებს სთავაზობს დანარჩენებს.

**ავსტრიაში, უნგრეთსა და იუგოსლავიის ყოფილ ქვეყნებში** საახალწლო სუფრაზე არ არის ბატი, იხვი, ქათამი და ინდაური. იქ თვლიან, რომ, თუ ახალი წლის საღამოს ფრინველის ხორცს შეჭამენ, ბედნიერება გაუფრინდებათ.

სამაგიეროდ, ავსტრიელების საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იდოს გოჭის ან ღორის ხორცი. ღორის თავის ნაწილის ან დინგის შეჭმა წარმატების საწინდარია უნგრელების აზრითაც.

ტრადიციას სახელად „ტყვიის ჩამოსხმა“, გერმანელებისა და ავსტრიელების რწმენით, წინასწარმეტყველების ფუნქცია აქვს. ისინი ტყვიის ნაჭერს ადნობენ და წყლით სავსე ჭურჭელში ასხამენ. შემდეგ კი იმის მიხედვით, თუ რა ფორმას მიიღებს უკვე გაციებული ტყვია, დაადგენენ თუ რა მოხდება შემდეგ წელს.

მათ სწამთ, რომ, თუ ტყვიამ ბურთის ფორმა მიიღო, ეს ბედნიერ და კარგ მომავალ წელს პროგნოზირებს, თუ ტყვიით ღუზა გამოისახა, ე. ი. მომავალ წელს ბევრი დახმარება დაგჭირდებათ და, თუ შემთხვევით ტყვიისგან ჯვრის ფორმა გამოისახა, არც მეტი, არც ნაკლები, თქვენ გელით სიკვდილი...

ძველად ავსტრიაში ბედნიერების მომტანად ითვლებოდა საახალწლოდ საკვამურის მწმენდავთან შეხვედრა. ავსტრიელებს სჯეროდათ, რომ ვინც მას შემთხვევით შეეხებოდა და გაიმურებოდა, წარმატებული ახალი წელი ექნებოდა.

ავსტრიული ტრადიციის მიხედვით, აუცილებელია, ახალ წელს მოისმინო წმინდა სტეფანეს ტაძარზე აღმართული „მსოფლიო ზარების“ სადღესასწაულო რეკვა, ამისთვის ათასობით ადამიანი 31 დეკემბერს ტაძრის მოედანზე იკრიბება.

**გერმანელები** საშობაო სუფრაზე ვაშლებით, ნიგვზითა და ქიშმიშით მორთულ კერძსა და მთელი კვირის განმავლობაში გამომცხვარ ღვეზელებს აწყობენ. მათი რწმენით, ვაშლი კეთილისა და ბოროტის შეცნობის სიმბოლოა, ხოლო კაკალი, მაგარი ნაჭუჭითა და გემრიელი გულით, ცხოვრებისეულ საიდუმლოსა და სიძნელეებს აღნიშნავს.

ახალი წლის ღამეს გერმანელების ოჯახებში ყველა უყურებს ბრიტანულ ტელეშოუს „ვახშამი ერთისთვის“, არავინ იცის, რატომ და როგორ, მაგრამ ეს ასე 1972 წლიდან ხდება.

სხვათა შორის, გერმანიას უნდა უმადლოდეს მსოფლიო იმ ულამაზესი ტრადიციის არსებობას, როგორიცაა ნაძვის ხის მორთვაა. შუშის ნაძვის ხის სათამაშოების და ხელოვნური ნაძვის ხეების არსებობაც სათავეს გერმანიაში იღებს.

1 იანვარს, დილის 8 საათზე **დანიელები** სახლიდან გამოდიან და კართან დაყრილ საჭმლის ნარჩენებს მშვიდად უვლიან გვერდს. ტრადიციულად, დანიაში მეგობრები ერთმანეთს საჭმელს უყრიან კართან.

დანიაში ახალ წელს ჭურჭლის მტვრევით ეგებებიან. უფრო უცნაური კი ის არის, რომ დანიელები ჭიქებს და თეფშებს მეზობლების სახლის კარს ესვრიან. ოჯახისთვის, რომლის სახლის კართანაც ყველაზე მეტი დამტვრეული ჭურჭელი მოგროვდება, შემდეგი წელი ბედნიერი იქნება.

**ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში** საყვარელ ოჯახურ დღესასწაულად შობა ითვლება. ამიტომ ახალ წელს ინგლისელები ნაკლებად პომპეზურები არიან. ისინი ტრადიციულად გამოდიან მთავარ მოედანზე, რათა ერთმანეთს მიულოცონ ახალი წლის დადგომა ბიგბენის ზარების რეკვის ფონზე.

ინგლისში ინდაურს პურით, ყველით, შავი ქლიავით, ნივრით, ლობიოთი, სოკოთი, ვაშლით, კომბოსტოთი ტენიან და სუფრაზე ბოსტნეულის გარნირთან ერთად გამოაქვთ.

31 დეკემბერის ღამეს, როცა ახალი წლის დადგომის მაუწყებელი საათი პირველად ჩამოჰკრავს, ინგლისელები აღებენ სახლის უკანა კარს ძველი წლის გასაშვებად, საათის უკანასკნელ დარტყმაზე კი სახლის წინა კარს აღებენ, რათა ახალი წელი შემოვიდეს.

ახალ წლამდე რამდენიმე საათით ადრე ქალაქში ირეკება მთავარი ზარი. დასაწყისში ზარი ნელა იწყებს რეკვას, თითქოს ატყობინებს მოსახლეობას, რომ დღესასწაული გზაშია და სადაცაა, მოუახლოვდება მათ. შუაღამემდე ზარი გახვეულია განსაკუთრებულ პლედში, რომელიც აკავებს მის ძლევამოსილებას.

ზუსტად 12 საათზე ზარს „ხდიან“ პლედს და პირველი სწორედ ის იწყებს ახალი წლის მილოცვას მისი მქუხარე და ნაზი ხმით. შეყვარებული წყვილები ამ მომენტში ვალდებული არიან, ერთმანეთს აკოცონ — ეს წესი იმის მანიშნებელია, რომ წყვილები უნდა მოუფრთხილდნენ სიყვარულს და მთელი წლის განმავლობაში არ დაშორდნენ ერთმანეთს.

ინგლისში საახალწლო ვახშმის აუცილებელი და მნიშვნელოვანი შემადგენელია კარგად შებრაწული ინდაური წაბლით, შემწვარი კარტოფილითა და ცხარე სოუსით; ასევე, მოთუშული კომბოსტო ხორცით; ვაშლისა და ბანანის ნამცხვარი; ტრადიციული ინგლისური პუდინგი, ტკბილეული და ხილის სხვადასხვა ასორტი.

ინგლისში სახლებს რთავენ დეკისა და ფითრის ტოტებით. ჩვეულების თანახმად, წელიწადში ერთხელ, შობის წინა ღამეს, მამაკაცებს უფლება აქვთ, ნებისმიერ ქალს აკოცონ. ერთ-ერთი ძველი ტრადიციაა საშობაო ნაპობიც. ძველად შობას ინგლისელები ხერხავდნენ უზარმაზარ ხეს, რომელიც მთელი შობის დღესასწაულის განმავლობაში მიჰქონდათ სახლში და ბუხარში უკეთებდნენ — თუ ის ბოლომდე დაიწვებოდა, წელი იღბლიანი იქნებოდა.

**მექსიკაში** სადღესასწაულო წირვის შემდეგ ყველა თავის სახლს მიაშურებს. თუ ადამიანი მარტოხელაა, მას სიხარულით შეიფარებენ და ხილის პუნშით გაუმასპინძლდებიან. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, **მექსიკაშიც** და **ბოლივიაშიც** ახალ წელს ფერადი ტრუსებით ხვდებიან. ვისაც სურს, რომ მომავალ წელს საბედო იპოვოს, წითელ ტრუსს იცვამს; თუ ვინმეს სურს, რომ უბრალოდ ბედნიერი წელი ჰქონდეს, იცვამს ყვითელს. **ბოლივიაშიც** მსგავსი ტრადიციაა, თუმცა განსხვავება დროშია. ბოლივიელებს სჯერათ, რომ 12 საათის დადგომისთანავე, თუ სწრაფად გაიქცევიან და გამოიცვლიან ტრუსებს, საუკეთესო წელი ექნებათ.

**იტალიაში** ახალი წლის ღამეს ფანჯრებიდან ყრიდნენ საყოფაცხოვრებო ნივთებს. იტალიელებს მიაჩნიათ, რომ რაც უფრო მეტ ნივთს გადაყრიან და გაატანენ ძველ წელს, მით მეტი სიმდიდრისა და ბარაქის მომტანი იქნება ახალი წელი.

ახლა ძველ ნივთებს ფანჯრიდან აღარ ისვრიან. სამაგიეროდ, საახალწლო სუფრაზე კოტეჩინო კონლეტიჩი (ღორის სოსისი ოსპით) და დესერტად კულიჩი გამოაქვთ.

საჩუქრებს ახალი წლის ღამეს არიგებს ჯადოქარი ბაბბო ნატალე (იტალიური სანტა კლაუსი), ამიტომაც ბავშვები მას მოუთმენლად და დიდი სიხარულით ელიან.

იტალიაში სადღესასწაულო მაგიდაზე აუცილებლად უნდა იყოს ყურძენი, კაკალი, თხილი და ოსპი — კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის სიმბოლო.

იტალიელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია 1 იანვრის პირველი შემხვედრი. თუ ის იქნება პატარა ბავშვი ან მღვდელი, ეს ცუდის მანიშნებელია, ხოლო მოხუცი ბაბუს შეხვედრა კარგია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბაბუს წვერულვაშიც ამშვენებს. მაშინ მათთვის ახალი წელი იქნება წარმატებული და ბედნიერი!

პირველ იანვარს დილით იტალიელებს ახალი, სუფთა და წმინდა წყალი მოაქვთ წყაროდან. იტალიური ლეგენდის თანახმად, ახალ წყალს ბედნიერება მოაქვს და, თუ არ გაქვს რაიმე, რასაც მეგობარს აჩუქებ, შეგიძლია წყაროს წყალი და ზეთის ხილის რტო აჩუქო.

**სამხრეთ ამერიკაში** თვლიან, რომ საახალწლო სუფრაზე ბარდა და პარკოსნები, ასევე მწვანილი, სიმდიდრეს მოიტანს. მათი რწმენით, ბარდა და პარკოსნები მონეტების განსახიერებაა, ხოლო მწვანილი — ქაღალდის ფულის. იქ საახალწლო სუფრაზე უალკოჰოლო ცხელ პუნშს სვამენ.

ყოველმა **კუბელმა, ესპანელმა** და **პორტუგალიელმა** ზუსტად შუაღამეს ყურძნის თორმეტი მარცვალი უნდა შეჭამოს (საათის თითო ჩამოკრაზე თითო მარცვლის შეჭმა უნდა მოასწრონ), მხოლოდ მაშინ აუხდებათ სანუკვარი ოცნება.

ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე კუბელი ბავშვები წერენ წერილებს, რომლებშიც ყველაზე საიდუმლო და გულწრფელ სურვილებს ჩამოთვლიან. ახალი წლის ღამეს ბავშვების სურვილებსა და ოცნებებს ახორციელებს სამი მეფე-ჯადოქარი: ბალთასარი, გასპარი და მელჩორი.

მათ ბავშვები ახალი წლის მხიარულ სულებს ეძახიან.

ტრადიციულად, ახალი წლის ღამეს კუბელები აუცილებლად ავსებენ გასარეცხ ჭურჭელს წყლით, ხოლო 12 საათზე ისინი წყალს ფანჯრიდან ასხამენ. ამ ტრადიციით, ყველა მცხოვრების საახალწლო სურვილია: დამდეგი წელი ისეთივე ნათელი და მკაფიო იყოს, როგორც წყლის გზა.

მზიან და ცხელ **ტაილანდში** ახალი წელი მოდის აპრილში, როდესაც იქ ძალიან ცხელა და, აქედან გამომდინარე, ტაილანდელებმა მოიფიქრეს საახალწლო ტრადიცია. ისინი ყველა გამვლელს სახლიდან ან თუნდაც ქუჩიდან წყალს ასხამენ, ამიტომ ამ დროს ტაილანდში ვერავის ნახავთ მშრალს. ითვლება, რომ წყალი არამარტო აგრილებს ადამიანს სიცხეში, არამედ ჩამორეცხავს ყველა იმ ცოდვას, რომელიც ამ წელს ჩაიდინა და ის ახალ წელს სუფთა სინდისით შეხვდება.

ნამდვილად არასასიამოვნო მომენტია, როდესაც ვინმე თქვენს ფოტოს წვავს, მაგრამ სამხრეთ ამერიკის ქვეყანა **ეკვადორში** აღნიშნული ფაქტი დღესასწაულია — ადგილობრივები აგროვებენ სურათებს, რომლებზეც წინა წლის მოვლენები და ფაქტებია ასახული, აგროვებენ და წვავენ, ეს კი ძველთან და არასასიამოვნოსთან განშორების სიმბოლოა.

თუ მექსიკელები და ბოლივიელები მხოლოდ სიყვარულსა და ბედნიერებას ეძებენ, **ფილიპინელებს** სრულიად სხვა მიზნები აქვთ მომავალი წლისთვის, ისინი ტანსაცმელზე ქარგავენ ან ხატავენ მრგვალ ფორმებს და ჩუქურთმებს. ეს მათთვის ფულის მომასწავებელია, ფილიპინელები მომავალ წელს ჯეკპოტის მოგებას გეგმავენ და გათვლა ფულზეა ორიენტირებული.

**ჩილეს** მოსახლეობა ახალ წელს სასაფლაოზე ხვდება. ქალაქ ტალკაში ახა-

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ქართული ტრადიციის მიხედვით, თოვლის ბაბუა თეთრ ჩოხაში გამოწყობილი წვერ-ულვაშიანი მომღიმარი კეთილი მოხუცია, რომელსაც ხურჯინი აქვს გადაკიდებული და ბავშვებს საჩუქრებს ურიგებს.

◀ლი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე ოჯახის წევრები ნათესავების საფლავებთან მიდიან და სწორედ ასე ელოდებიან ახალი წლის მოსვლას.

**პუერტო რიკოში** სახლის დალაგებასა და დასუფთავებას იწყებენ 31 დეკემბერს და 1 იანვარს ასრულებენ — რეცხავენ და წმენდენ ყველაფერს, რათა წინა წლის ჭუჭყი შემდეგ წელში არ გადაიყოლონ.

**შოტლანდიელები** ახალი წლის ღამეს საუკეთესო საჩუქრად ახალგაზრდა, შავთვალა ბიჭისგან მირთმეულ ნახშირის ქვას თვლიან. შემდეგ ამ ნახშირის ქვისგან სახლის კერაზე ცეცხლს ანთებენ. რაც უფრო დიდი და ძლიერი იქნება ცეცხლი, მით მეტ წარმატებას ჰპირდება ახალი წელი შოტლანდიელებს.

ტრადიციის მიხედვით, საახალწლო ღამეს ცეცხლს უკიდებენ კუპრიან კასრებსაც და ქუჩებში აგორავებენ. ამ ტრადიციით, ისინი ცეცხლს უკიდებენ ძველ წელს და ეპატიჟებიან ახალს. საინტერესოა, რომ შოტლანდიელებსაც აქვთ მეკვლეობის ტრადიცია და სჯერათ, რომ მათი წარმატება მომავალ წელს დიდად დამოკიდებულია მეკვლეზე. მათი აზრით, დიდი წარმატება მოაქვს შავგვრემან მამაკაცს, რომელსაც მოაქვს ოჯახში საჩუქრები. ამ ტრადიციას „ფერსტ ფუტინგს“ უწოდებენ.

საახალწლო სუფრისთვის შოტლანდიაში აცხობენ დიდ ტორტს, რომელიც მორთულია ნუშით, ნიგვზით, კანფეტებით, შაქრისა და მარცეპანის ფიგურებით. ტორტს, როგორც წესი, ამშვენებს ნაციონალური ემბლემები — შოტლანდიური ჯვარი, გადაჯვარებული ხელები ზღვის ფონზე, მთები და სხვ.

შოტლანდიაში ახალი წლის დღესასწაულს ჰოგმანის ეძახიან. ტრადიციის თანახმად, ახალი წლის პირველ დღეს ყველა ოჯახის კარი ღიაა სტუმრებისთვის.

დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროზე მდებარე **ავსტრალიაში** ახალი წელი წლის ყველაზე ცხელ სეზონზე დგება. ასე რომ, ახალ წელს ავსტრალიელები ზღვის სანაპიროზე ხვდებიან. სიდნეის ცნობილი ხიდიდან ახალი წლის ღამეს გრანდიოზულ ფეიერვერკს უშვებენ. ამ ფეიერვერკის სანახავად ავსტრალიაში ყოველწლიურად დაახლოებით 30 000-მდე ადამიანი ჩადის.

ავსტრალიაში საახალწლოდ თოვლი, ნაძვის ხე და სხვა ამგვარი ატრიბუტები არ აქვთ, თოვლის ბაბუა სიდნეის სანაპიროზე სპეცილურად მორთულ სერფზე საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ჩნდება. თუმცა საახალწლო ტრადიციები ნაწილობრივ დაცულია, მას აუცილებლად აქვს თეთრი წვერი და ახურავს სანტა კლაუსის წითელი ქუდი.

**ესპანეთში** ახალი წლის ღამეს მთელი სოფლის გოგო-ბიჭები იკრიბებიან კოცონთან და კენჭს იყრიან. ისინი ფურცლებზე ჩამოწერენ საკუთარ სახელებს, შემდეგ ტომარში მოათავსებენ და შემთხვევით იღებენ ამ ფურცლებს. ვის სახელსაც ამოიღებენ ახალგაზრდები, იმასთან წყვილდებიან და წლის ბოლომდე შეყვარებულებად ითვლებიან.

ესპანელების საახალწლო სიმბოლოდ ითვლება ჯადოსნური ლოგო. მას მოსავენ ეროვნულ კოსტიუმში, ავსებენ საჩუქრებითა და ტკბილეულით, ხოლო ახალი წლის ღამეს ჯოხებს ურტყამენ.

მათ სჯერათ, რომ 12 საათზე რასაც ჩაიფიქრებენ, ყველაფერი აუხდებათ. ახალი წელი ყველასთვის იქნება ბედნიერებისა და წარმატების მომტანი.

ყურძნის მტევანი მრავალ ქვეყნაში, მათ შორის ესპანეთსა და პორტუგალიაშიც მიჩნეულია ხვავის, ჯანმრთელობისა და ოჯახური კერის სიმბოლოდ, ამიტომ, ტრადიციის თანახმად, საახალწლო ღამეს ესპანეთსა და პორტუგალიაში საათის ყოველ დარტყმასთან ერთად მიირთმევენ ყურძენს და ჩაუთქვამენ სურვილს: თორმეტი დარტყმა — თორმეტი სურვილი, წელიწადის ყოველი თვის გათვალისწინებით.

ახალი წლის დადგომის მომენტში **იაპონელები** იცინიან, რადგან სჯერათ რომ სიცილი აუცილებლად მოუტანთ წარმატებას მომავალ წელს. პირველ საახალწლო ღამეს მიღებულია ტაძრებში წასვლა. ამ დროს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ისმის ზარების რეკვა. იაპონიაში ითვლება, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია 6 ნაკლი: გაუმაძღრობა, სიავე, სისულელე, ქარაფშუტობა, გაუბედაობა და სიხარბე. თითოეულს გააჩნია 18 განსხვავებული ელფერი. ზარის ყოველ დარტყმას მოსდევს ადამიანის გაწმენდა მტანჯველი ნაკლოვანებებისგან.

ახალი წელი **ჩინეთში** ღარიბების დღესასწაულად ცხადდება. ღარიბებსა და უსახლკაროებს ამ დღეს შეეძლოთ უსაფრთხოდ შესულიყვნენ ნებისმიერ ყველაზე მდიდრულ სახლშიც კი და ამოერჩიათ ის ნივთი, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ.

ახალი წელი ჩინეთში 17 იანვარსა და 19 თებერვალს შორის, ახალმთვარობისას, აღინიშნება. ქუჩაში საახალწლო მსვლელობები დღესასწაულის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ქუჩებს რთავენ ფანრებით, რომლებსაც აუცილებლად აქვს ჰოროსკოპის მიხედვით 12 ცხოველის ფორმა. წელიწადის სიმბოლო (წლის ჰოროსკოპის ნიშანი) კი საახალწლო ფანრების ძირითადი თემაა.

**ბელგიაში** „პირველი დღის მაგიაა“ გავრცელებული, ანუ იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი ახალი წლის ღამეს, მსჯელობენ, როგორი იქნება ეს წელი მათთვის. ისინი ცდილობენ, რომ ამ დღეს არაფერი ითხოვონ, ჩაიცვან რაიმე ახალი და ა. შ. მთელი წლის განმავლობაში ბარაქის მოსაზიდად საახალწლო სუფრაზე მრავალი კერძი უნდა იყოს.

**ინდოეთი** ერთ-ერთი ყველაზე განსხვავებულია ახალი წლის შეხვედრის ტრადიციით. იქ ახალ წელს წელიწადში 8-ჯერ ხვდებიან. ერთ-ერთ ასეთ დღეს უწოდებენ ინდურ „გუდი პადვას“. ამ დღეს ყველა მხიარულობს და ამზადებს განსაკუთრებულ კერძებს. ამ დღეს ინდოელები დგებიან მზის ამოსვლასთან ერთად, ეწყობიან სადღესასწაულოდ, შემდეგ კი ფიქრობენ თავთავიანთ წარსულ საქციელზე, ქმედებებსა და იმაზე, თუ როგორ გამოასწორონ ის, რაც გასულ წელს გააფუჭეს.



**ვიეტნამელები** ახალ წელს 21 იანვარსა და 19 თებერვალს შორის ზეიმობენ. ისინი დღესასწაულს „ტეტის“ ეძახიან. ახალ წელს ყველა კოცონთან გროვდება, საგანგებოდ ამზადებენ ბრინჯის ნუგბარებს და სადღესასწაულო სიმღერებს მღერიან. ვიეტნამელების რწმენით, ახალი წლის დღეს ღმერთი, რომელიც ყველა სახლში ცხოვრობს, ცაში მიემგზავრება და იქ ყვება, როგორი წელი გაატარა ოჯახის თითოეულმა წევრმა.

შობა და ახალი წელი **საფრანგეთში** კულინარული ფანტაზიების ნამდვილი დღესასწაულია. სადღესასწაულო სუფრის აუცილებელი ატრიბუტია ცნობილი ფრანგული შამპანური — მხიარულებისა და დროსტარების დედაბოძი. ბოსტნეული, ხილი, მწვანე სალათი, შებოლილი ორაგული, ხიზილალა და, რა თქმა უნდა, „ფუა-გრა“ (ცნობილი პაშტეტი მომზადებული ბატის ღვიძლისგან). ცხელი კერძის სახით საშობაო სუფრას აუცილებლად ამშვენებს შემწვარი დედალი ინდაური და ხამანწკები — ფრანგების ნაციონალური სიამაყე. სადღესასწაულო დესერტს წარმოადგენს ცნობილი საშობაო ნამცხვარი, ტორტი და შოკოლადი.

**საბერძნეთში**, ისევე, როგორც საქართველოში, ახალი წელი წმინდა ბასილის დღეა. წმინდა ბასილი კეთილი წმინდანია, რომელსაც ბავშვები უყვარდა. ბერძენი ბავშვები ახალი წლის ღამეს თავიანთ ყელიან ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რომ წმინდანმა საჩუქრებითა და მადლით აუვსოს.

**საქართველოში** ახალ წელს ხშირად „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან 1 იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს. საახალწლოდ ცხვებოდა ადამიანის ფორმის პური ე. წ. „ბასილას კვერები“.

ქართული ტრადიციის მიხედვით, თოვლის ბაბუა თეთრ ჩოხაში გამოწყობილი წვერულვაშიანი მომღიმარი კეთილი მოხუცია, რომელსაც ხურჯინი აქვს გადაკიდებული და ბავშვებს საჩუქრებს ურიგებს.

**აღმოსავლეთ საქართველოში** ახალი წლის წინა დღით ოჯახში აუცილებლად მოიტანდნენ წყაროს უმძრახ წყალს და ეზოში მოასხამდნენ. გადააბიჯებდა თუ არა მეკვლე ზღურბლს, მიმოაბნევდა ხორბლის, სიმინდის ან ქერის მარცვლებს, რათა ახალი წელი ხვავიანი და ბარაქიანი ყოფილიყო.

**ქართლში** თავდაპირველად აცხობენ ბასილას ქანდაკებას. გამთენიისას ოჯახის უფროსი ხონჩაზე ღორის თავს დადებს, ირგვლივ ბედის კვერებს შემოუწყობს და ზედვე ბასილას ქანდაკებას დაასვენებს. ხონჩის ერთ გვერდზე „დასაბერებლად“ თაფლში ამოვლებულ პურის ლუკმებს ჯამით მოათავსებს და ანთებულ სანთლებს მიაკრავს. ამ საახალწლო ხონჩას ქართლში „ბრამიანს“ უწოდებენ.

**იმერეთში** მეკვლის მოსვლამდე ოჯახის უფროსს ევალებოდა, ხორაგით სავსე ხონჩით სამჯერ წალმა შემოევლო სახლისთვის და უფლისთვის გამრავლება, ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა ეთხოვა. შემდეგ ოჯახის უფროსი კერიაში შედიოდა ოჯახის ყველაზე ხნიერ წევრთან ერთად, რომელიც მოგიზგიზე კუნძს რამდენჯერმე დაჰკრავდა ჯოხს და აშლილ ნაპერწკლებს ასეთ ლოცვას დაადევნებდა: ამდენი ოქრო ჩვენს ოჯახში, ამდენი პური და ღვინო, ამდენი მარილი, ამდენი ძროხა, ამდენი ქათამი; დაე, ეს წელი ამ ნაპერწკლებივით უხვი იყოსო.

**გურიაში** შობა-ახალ წელს კალანდობას უწოდებდნენ, მისი მთავარი ატრიბუტი კი ჩიჩილაკი იყო, რომელიც აუცილებლად უნდა მორთულიყო. ახალი წლის ღამეს გურიაში მეალილოები დადიოდნენ და მღეროდნენ, აგროვებდნენ ტკბილეულს, ფულსა და ხილს.

**გურია-სამეგრელოში** ახალი წლის პირველ დღეს „კალანდა“ ეწოდება და მას თოფების სროლით ეგებებიან. მამაკაცები ღორის თავს, ბასილას, საახალწლო გობს სანოვაგით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილაკს და ცარიელ ჩაფს იღებენ და მარნისკენ მიენართებიან. მარანში შესვლისას ოჯახის უფროსი ხმაამოუღებლად საახალწლო გობს მიწაზე დადგამს, ჩაფს ღვინით გაავსებს და წმინდა ბასილას დაჩოქილი შესთხოვს ოჯახის ბედნიერებას.

„გფარავდეთ მრავალძალის წმინდა გიორგი! შეგეწიოთ ყოვლადწმინდა ხოტევი და ნიკორწმინდა! აგარა და ულეში, ღმერთმა მოგცეთ ნუგეში“, — ამ სიტყვებით ლოცავდა **რაჭაში** მეფეხე ოჯახს.

**ლეჩხუმში** ახალი წლის შემობრძანებას ოჯახის უფროსი გობით ხელში ელოდა. დადგებოდა თუ არა ახალი წელი, ბაბუა ღვინით სავსე დოქით ხელში უმცროს ვაჟთან ერთად გავიდოდა ვენახში, სადაც ჯერ თავად ლოცავდა ზვრებს, შემდეგ პატარას დაალოცვინებდა; მოაპკურებდნენ იქაურობას ღვინოს, მერე მივიდოდნენ ბეღელთან, ნალიასთან, ჭურებთან, ამის შემდეგ შედიოდნენ სადგომში (სახლში) და ლოცავდნენ გვარს.

**სვანეთში** როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, მეფეხურს ღამე გარეთ უნდა გაეთია, რათა ოჯახში განწმენდილი შესულიყო და კარგი ფეხი შეედგა. ოჯახის უფროსს აქაც თავისი საქმე ჰქონდა: ალიონზე უნდა ამდგარიყო, საქონლისთვის მიეხედა, მერე კი სანთლებით ხელში შესულიყო შინ და ოჯახი დაელოცა.

**ხევში** ახალი წელი სარიტუალო მსვლელობით იწყებოდა — ისინი დროშას აბრძანებდნენ წმინდა გიორგის ხატში. როგორც კი ზარები ახალი წლის დადგომას აუწყებდნენ, ტაძრიდან გამოსული ხევისბერები ჯერ ერთმანეთს, მერე კი თემს მიულოცავდნენ ახალ წელს, მშვიდობასა და ბარაქას უსურვებდნენ.

**თუშები** თავიანთ „წელწდობას“ მოწიწებით ეგებებიან. საახალწლოდ სოფლებში არაყს ხდიან და ლუდს ადუღებენ. ოჯახებში აცხობენ ერთ გულიან კოტორს — „ქრისტეს საგძალს“, კაცზე „ბაცუკაცს“ და ქალზე მრგვალ კვერს. აცხობენ, აგრეთვე, დამახასიათებელ ნიშნებიან საქონლის კვერებს. სუფრას მეკვლის მოსვლამდე ხელს არავინ ახლებს.

**ფშავსა და ხევსურეთში** საუკუნეების მანძილზე არსებობდა ტრადიცია: ახალი წლის ღამეს ხევისბერები და დასტურები სალოცავში წაიღებდნენ ქადებს, ერბოიან პურებს და სანთლებს, თან წაიყვანდნენ სოფლის ყმაწვილებს და წინ წაიმძღვარებდნენ საკლავს. ქვით გადახურულ ხატში ისინი ლოცვაში ათენებდნენ. ახალი წლის დამდეგს ხევისბერი დალოცავდა მლოცველთ, კუთხეს, გვარსა და ოჯახებს, გარიჟრაჟზე კი გამოვიდოდა ჯვარიდან და იკვლებოდა ცხვარი, რომლის სისხლში ამოვლებულ თოვლის გუნდებსაც ეშმაკისა და ბოროტის განსადევნად ხატიონის კედელს ესროდნენ.

**აფხაზები** ახალ წელს ხიჩხუამას ეძახდნენ. მთელი ოჯახი საგვარეულო სახლში იკრიბებოდა, საგანგებოდ იხსნებოდა ქვევრი, ცხვებოდა თაფლიანი და ნიგვზიანი ქადები, აფხაზურა პურები. ოჯახის უფროსი საკლავის დაკვლის შემდეგ დაკლული საქონლის ღვიძლით, ფილტვითა და თირკმლით ხელში მიდიოდა სალოცავში, ასხურებდა ღვინოს, მერე კი ოჯახში დაბრუნებული ახალ წელს ულოცავდა ახლობლებს.

**სამაჩაბლოში** მეკვლე აუცილებლად პატარა ბავშვი უნდა ყოფილიყო, რათა სუფთა გულითა და ხელებით სიკეთე შეეტანა ოჯახში.

**აჭარაში** ახალი წლის ღამეს მთელი ოჯახი სუფრასთან იკრიბებოდა. ოჯახის უფროსის ნებართვით, ყველას უმცროსი ვაჟი ულოცავდა ახალ წელს. დიასახლისი ირგვლივ უმძრახ წყალს მოაპკურებდა, შემდეგ კი გახსნიდა წინასწარ მომზადებულ ყაურმას. დაილოცებოდნენ აჭარლები და ისროდნენ თოფიდან, ნიშნად იმისა, რომ ოჯახი ხარობდა და სიცოცხლე გრძელდებოდა.

**თბილისში** დღესასწაული სახალხო მხიარულებითა და სეირნობებით, მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნებოდა. ძველად თბილისის მაცხოვრებლები ახალი წლის ღამეს სახლის კარს ღიად ტოვებდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ ამ დროს შეიძლებოდა ბედნიერებას ჩამოევლო და, თუ კარი დაკეტილი დახვდებოდა, გვერდს აუვლიდა. განსაკუთრებული რიტუალი უკავშირდებოდა საახალწლო სუფრასაც — ტაბლას. ტკბილეულითა და ხილით დამშვენებული ტაბლის ოთხივე კუთხეში დიასახლისი საკუთარი ხელით ჩამოსხმულ სანთლებს ანთებდა. ახალი წლის შემობრძანებასთან ერთად ოჯახის უფროსი ტაბლით ხელში სახლს შემოუვლიდა. მოზეიმეებს სწამდათ, რომ ამ დროს მას თან მფარველი ანგელოზი დაჰყვებოდა, რომელსაც ოჯახისთვის კეთილდღეობა და ბარაქა მოჰქონდა.

მრავალი წლის განმავლობაში, როგორც დღესაც, ქართველი მეკვლე ოჯახის კარს სიტკბოსა და სიყვარულის სიმბოლო ტკბილეულით, ხავსისა და ბარაქის სიმბოლო მარცვლეულით, გოზინაყით, ჩურჩხელებით, ხილითა და ჩირით სავსე ხონჩით შეაღებდა და მთელი გულით ილოცებოდა:

**„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა! წელი სიკეთე-სათნოებისა, მშვიდობისა, ბარაქისა, სიყვარულისა, გამრავლებისა! ღმერთმა დაგლოცოთ კაც-დიაცით, თქვენი შვილებით, აკვნების სიმრავლით, პურ-ღვინის დაძველებით, ზვარ-ყანების სიდიდით, ცხვარ-ძროხის სიმრავლით, კარგი სტუმრითა და ყველა მოკეთით! მრავალ ახალ წელს!“**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კაცები ქალებზე სულელები არიან

**გჯერათ, რომ კაცებს ქალებზე ნაკლები ჭკუა აქვთ? არადა, სიმართლე ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, სტატისტიკა ასე ამბობს.** ეს დასკვნა დარვინის პრემიის ლაურეატების შემაჯამებელმა ანგარიშმა დაადასტურა. დარვინის პრემია ყველაზე სულელური მიზეზით გარდაცვლილ ადამიანებს ენიჭებათ (რა თქმა უნდა, სიკვდილის შემდეგ). ცოტა ხნის წინათ პრემიის ორგანიზატორებმა 20 წლის სტატისტიკა შეაჯამეს. სწორედ ამ ანგარიშით გაირკვა, რომ სულელური მიზეზებით დაღუპულები თითქმის სულ კაცები არიან. უფრო ზუსტად, მამაკაცები დაღუპულთა 90%-ს შეადგენენ. მაგალითად, ერთმა კაცმა მატარებლით უბილეთოდ მგზავრობის ჭკვიანური ხერხი მოიფიქრა — სუპერმარკეტიდან ურიკა მოიპარა და მატარებელს გამოაბა. 2 მილის მოშორებით ის გარდაცვლილი იპოვეს. დარვინის პრემია სამართლიანად ერგო ერთ ტერორისტს — მან თავისივე დანაღმული წერილი გახსნა, როცა ის ფოსტამ მარკის არარსებობის გამო უკან დაუბრუნა. მსგავსი მიზეზებით ქალები არ იღუპებიან.





## «მის მსოფლიო 2014» სამხრეთ აფრიკელი გახდა

**14 დეკემბერს ლონდონში გამართული „მის მსოფლიო 2014"-ის გამარჯვებული სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელი — როლის სტრაუსი გახდა.**

**მეორე ადგილზე — უნგრელი ედინა კულშარი, ხოლო მესამეზე ამერიკელი ელიზაბეტ საფრიტი გავიდა. კონკურსში მონაწილეობდა 122 კონკურსანტი.**

რაც შეეხება გამარჯვებულ მის სტრაუსს, იგი სამედიცინო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია და ოცნებობს, ექიმი გახდეს. თავისუფალ დროს გოლფის თამაშითა და ველოსიპედის ტარებით ერთობა. გარდა ამისა, იგი უკრავს ფლეიტაზე, ფორტეპიანოსა და გიტარაზე.

## ცრემლების უნიკალურობა

**ერთხელ, ფოტოგრაფი როუზ-ლინ ფიშერი დაინტერესდა, განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან უბედურებისა და ბედნიერების ცრემლი. ამის გასარკვევად, მან ცრემლების მიკროსკოპის ქვეშ შესწავლა დაიწყო.** ფიშერმა 100 ცრემლი შეისწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ ბაზალური ცრემლები რადიკალურად განსხვავდება ხახვის დაჭრის დროს გამოყოფილი ცრემლებისგან, ხოლო სიცილის ცრემლებს არავითარი საერთო არ აქვთ უბედურების დროს დაღვრილ ცრემლთან. წყლის წვეთის მსგავსად, ადამიანის ცრემლი განცდების მთელი კასკადის მატარებელია. როუზ-ლინ ფიშერის ამ პროექტს „ცრემლის ტოპოგრაფია" ჰქვია.

სმიტსონის ხელოვნებისა და მეცნიერების კოლეჯის მეცნიერის — ჯოზეფ სტრომბერგის თქმით, არსებობს ცრემლის სამი ძირითადი ტიპი: ბაზალური, რეფლექსური და ემოციური. ცრემლის სითხე შეიცავს ორგანულ ნივთიერებებს, ზეთებს, ანტისხეულებს და ფერმენტებს. სხვადასხვა ტიპის ცრემლებს საკუთარი მოლეკულური სისტემა გააჩნიათ.



ემოციური მიზეზით განპირობებულ ცრემლებში ცილოვანი ბუნების ჰორმონები შეიმჩნევა, ასევე ლეიცინ-ენკეფალინის ნეიროტრანსმისტერი, რომელიც ბუნებრივ ტკივილგამაყუჩებლად ითვლება და სტრესის დროს გამოიყოფა. მიკროსკოპის ქვეშ ცრემლების შესწავლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ცრემლებს კრისტალური სტრუქტურა აქვს, რომელიც ფორმას იცვლის. საინტერესოა, რომ ე. წ. ემოციურ ცრემლებსაც კი სხვადასხვა ფორმა აქვს.

## მსოფლიოს ახალი «შვიდი საოცრება»



შვეიცარულმა ფონდმა New 7 Wonders Foundation-მა შეადგინა ბუნების ახალი საოცრებების რეიტინგი, რომლებსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ „სამყაროს ახალი შვიდი საოცრება". რეიტინგი ხალხის გამოკითხვით შედგა, სწორედ ამიტომ ის ორგანიზატორებისთვისაც სიურპრიზს წარმოადგენდა.

**პირველ შვიდეულში მოხვდა მდინარე ამაზონი; ჩეჯუ-დო, სამხრეთ კორეის პროვინცია; იგუასუს ჩანჩქერი; ქეიპთაუნი, მაგიდის მთა; კუნძული კომოდო, ინდონეზია; ჰალონგის ნავსაყუდელი, ვიეტნამი; წყალქვეშა მდინარე, ფილიპინები.**

## პენსიონერის საჩუქარი მაღაზიის სტუმრებისთვის

**ამერიკის ქალაქ ბელინგემში, რომელიც მასაჩუსეტსის შტატში მდებარეობს, ადგილობრივი მაღაზიის სტუმრებმა მოულოდნელი საშობაო საჩუქრები მიიღეს. მათ მიერ დაჯავშნილი საჩუქრების თანხა, რომელიც 20 000 დოლარს აღწევდა, მოხუცმა ქალმა გადაიხადა. მაღაზიის თანამშრომლის თქმით, ქალმა უცხო ადამიანების 150 საჩუქრის თანხა გადაიხადა, შემდეგ მენეჯერს უფლება მისცა, მას ჩახუტებოდა.**

„თუკი რაღაც გაქვთ, რისი გაცემაც შეიძლება, უნდა გასცეთ", — უთხრა პენსიონერმა ქალმა მენეჯერს და დასძინა, რომ ახლა უკეთესად დაიძინებს. სათამაშოების მაღაზიის წარმომადგენლის — ბიორნ ტროვერის თქმით, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მოდიან ასეთი ადამიანები, რომლებიც მზად არიან, უცნობი ადამიანებისთვის საჩუქრები შეიძინონ. „ეს კეთილი საქციელი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი საშობაო საჩუქარი", — ამბობს იგი.



## წლის უმნიშვნელოვანესი გამოგონებები

**ტექნიკური პროგრესი გრძელდება და დღითიდღე უფრო ვუახლოვდებით იმ დროს, რომელსაც სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ფილმებში ვხედავთ ხოლმე. 2014 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი 5 გამოგონება ჩვენს მომავალს საგრძნობლად შეცვლის.**

### სამგანზომილებიანი პრინტერი

მანქანა, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი ობიექტის შექმნა. აპარატი ქმნის ებიექტებს ციფრული მონახაზის მიხედვით, ამისთვის კი იყენებს პლასტმასს და სხვა მასალებს. ეს 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონებაა, რომელიც მომავალში ძალიან ბევრ შესაძლებლობას გააჩენს.

### მფრინავი სკეიტბორდი

საკულტო ფილმში „უკან, მომავალში 2" ნაჩვენები მფრინავი სკეიტბორდები ფილმის გამოსვლის დღიდან ყველას ოცნებად იქცა, ვინც ეს სამეცნიერო ფანტასტიკა იხილა. წელს ფირმა „ჰენდომ" კალიფორნიაში შექმნა რეალური მფრინავი სკეიტის პროტოტიპი.

რასაკვირველია, მას მთელი რიგი შეზღუდვები აქვს. „ჰენდოს" სკეიტს მიწიდან მხოლოდ სამი სანტიმეტრის სიმაღლეზე შეუძლია ფრენა, ბატარეების ენერგია კი მხოლოდ 15 წუთს ჰყოფნის. თუმცა ტექნოლოგია, რომელიც ამ გამოგონებას უდევს საფუძველს, შესაძლოა, რევოლუციური აღმოჩნდეს. ფირმის დამაარსებლები აპირებენ, განაგრძონ მაგნიტური ფრენის ტექნოლოგიაზე მუშაობა და მისი განვითარება.



### ელექტროენერგიის უსადენო გავრცელება

ჩვენ უკვე გვაქვს უკაბელო ინტერნეტი და უკაბელო ტელეფონები. ტექნოლოგიურ კომპანიაში „ვაითრისითი", რომელიც მასაჩუსეტსის შტატშია განთავსებული, გამოიყენება სპეციალური დანადგარი, რომელიც მაგნიტურ ველს შეიწოვს და 2,4 მეტრის რადიუსში არსებულ ნებისმიერ აპარატს ტენის. კომპანიის დირექტორის თქმით, ათი წლის შემდეგ დამტენი უკაბელო ტექნოლოგია შეძლებს მაცივრების, მუსიკალური ცენტრების, ტელევიზორების და სხვა ტექნიკის ენერგიით უზრუნველყოფას.

### ჭკვიანი ინდური კოსმოსური ხომალდი

24 სექტემბერს ინდური პლანეტშორისი კოსმოსური სადგური მარსის ორბიტაზე გავიდა. ეს იქცა ერთგვარ ტექნოლოგიურ მიღწევად, რომლის გამეორება ვერც ერთმა აზიურმა ქვეყანამ ვერ მოახერხა. ამ ხომალდის აგება ინდოეთს 74 მილიონი დოლარი დაუჯდა.

### ჭკვიანი საათი

კომპანია „ეფლის" საათი არის სრულფასოვანი კომპიუტერი ახალი ინტერფეისით, რომელსაც სენსორული ეკრანი აქვს ფიზიკურ ღილაკებთან ერთად. ამ საათით შესაძლებელია არა მხოლოდ დროის გაგება, არამედ მესიჯების გაგზავნა, ჯანმრთელობისთვის თვალყურის დევნება, გადასახადების გადახდა და მრავალი სხვა.

### საახალწლო წვერი

ზამთრის დადგომასთან ერთად, მთელ მსოფლიოში საახალწლო სამზადისი დაიწყო. ახალი წლისთვის ყველა ქვეყანაში მაინც ერთნაირად ემზადებიან. თუმცა 2014 წელს მამაკაცების მოდაში ახალი ტენდენცია შეიმჩნევა — საახალწლო წვერი, რომელიც დღესასწაულის ატრიბუტებითაა მორთული.



## ქართული ჭაჭა ჩიკაგოში ვერცხლის მედალოსანი გახდა

**სასმელების ტესტირების ინსტიტუტმა ჩიკაგოში გამართული ღონისძიების დროს ქართულ „მარნის ჭაჭა საფერავს" ვერცხლის მედალი გადასცა.** Beverage Testing Institute მარკეტინგული კომპანიაა, რომელიც სპირტიანი სასმელების, ღვინის, არყისა და ლუდის შესაფასებელ რევიუებს ადგენს. რეიტინგები 96-დან 100 ქულამდე ვარირებს. გარდა ამისა, კომპანია იყენებს ჩიკაგოს სადეგუსტაციო ლაბორატორიასაც.





ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


# წლის ყველაზე გავლენიანი მოზარდები

**იმ ბავშვების შემხედვარეს, რომლებმაც 2014 წელს მსოფლიო აალაპარაკეს, მართლაც გეიმედება, რომ შეიძლება მათ შეძლონ და სამყარო უკეთესი გახადონ. უმრავლესობას საკმაოდ სერიოზული და მნიშვნელოვანი გზა აქვს არჩეული.**



**მალალა იუსუფზაი** 17 წლის უფლებადამცველია, რომელმაც თალიბების თავდასხმა და მრავალი ჭრილობა გადაიტანა მშობლიურ პაკისტანში. ამ ყველაფერმა ჩვეულებრივი პაკისტანელი გოგონა წელს ნობელის პრემიის ლაურეატად აქცია. მალალა დღესაც აგრძელებს საქმიანობას და თანამემამულეებს ეხმარება განათლების მიღებაში, მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს ლტოლვილი ბავშვებისადმი. თავის ქალაში სამუდამოდ დარჩა ტიტანის ფირფიტა, რომელიც მას მერე ჩაუდგეს ქირურგებმა, რაც სასწაულებრივად გადაურჩა თავში ნასროლ ტყვიას, სამუდამოდ დაეკარგა სმენა, თუმცა ამბობს, რომ არ ნანობს თავის არჩევანს — იცხოვროს ხალხის საკეთილდღეოდ.




**ემერ ჰიკი, კიარა ჯაჯი** და **სოფი ჰლი-ტოუ** 16-17 წლის ირლანდიელი მეცნიერები არიან, თანაკლასელები, რომლებმაც Google Science Fair-ის კონკურსზე გაიმარჯვეს. მათმა პროექტმა გააოგნა მსაჯები — თეორიულად მას შეუძლია გლობალური სამეწარმეო კრიზისის დაძლევა. გოგონებმა გაარკვიეს, რომ ბაქტერია დიაზოტროფის მეშვეობით გარკვეული კულტურები შეიძლება უფრო ნაყოფიერი გახდეს და მოსავალი გაიზარდოს.



18 წლის ოპოზიციონერი **ჯოშუა ვონგი**, ერთი ჩვეულებრივი სათვალიანი ბიჭუნა, მას მერე გაიცნო მსოფლიომ, რაც გაირკვა, რომ სწორედ ის ყოფილა ე. წ. **ქოლგების რევოლუციის** ლიდერი — ჰონკონგის ქუჩის იმ საპროტესტო აქციების, რომლებზეც მოითხოვდნენ ჩინეთის გავლენის შეზღუდვას. ჰონკონგი ადრე ინგლისის კოლონია იყო და უფრო პროგრესულად და დამოუკიდებლად მიიჩნევა, ვიდრე დანარჩენი ჩინეთი. ამიტომაც მოითხოვს ჰონკონგელი ახალგაზრდობა, რომ ჩინეთის ბატონობა გარკვეულწილად მაინც შეიზღუდოს და მეტი თავისუფლება მისცენ ჰონკონგს.



**კრისტინა პიმენოვა** 9 წლის მოდელია, რომელიც მსოფლიოს ყველაზე ლამაზ ბავშვად აღიარეს. რუსი ფეხბურთელის — რუსლან პიმენოვისა და ყოფილი მოდელის — გლიკერია შიროკოვას ქალიშვილს მართლაც დიდი აღიარება ეწვია. დღეს კრისტინას გვერდზე 2 მილიონზე მეტი მეგობარი ჰყავს და მილიონობით თაყვანისმცემელი მსოფლიოში.



**ტავი გევინსონი**, ჟურნალისტი და მსახიობი, ახლა 18 წლისაა, თუმცა 11 წლიდან დაიწყო ბლოგის წარმოება, როგორც ნამდვილმა ნონკონფორმისტმა და აქტუალურ სტატიებს წერდა, როგორც ჟურნალისტი. მისი ბლოგი მალე ნამდვილ ონლაინ-ჟურნალად იქცა, რომელსაც თვეში 3 მილიონზე მეტი მნახველი ჰყავდა. ტავი აგრძელებს ჟურნალისტობას და ბოლო დროს მსახიობობასაც ცდილობს – ბროდვეიზე თამაშობს რამდენიმე წარმოდგენაში.



**ფლინ მაკ გარი** 16 წლის შეფმზარეულია, რომელმაც ჯერ კიდევ 11 წლისამ დაიწყო მთელი ოჯახისთვის საჭმლის მომზადება — დედის მომზადებული არ მოსწონდა.

ახლა დედა ამბობს, რომ თავად მხოლოდ ჭურჭელს რეცხავს, ფლინი კი, არა მხოლოდ ოჯახსა და სანათესაოს კვებავს, არამედ იმ რესტორნის სტუმრებსაც, რომლის შეფმზარეულადაც ცოტა ხნის წინათ დანიშნეს.

ბიჭს ძალიან უყვარს ექსპერიმენტები და ოცნებობს მსოფლიოში საუკეთესო რესტორნის გახსნაზე.

# მამაკაცი ხელის თხოვნას ლამის შეეწირა




**ჰოლანდიის ქალაქ იზელშტეინში მამაკაცი შეყვარებულისთვის ორიგინალურად ხელის თხოვნას აპირებდა.** მან დაიქირავა ამწე და კონსტრუქტორი, რათა საყვარელი ქალის საძინებლის ფანჯრის წინ დაშვებულიყო. ის ამწეს კაბინაზე აპირებდა სერენადის შესრულებას, შემდეგ კი ჩამუხვლას და შესაფერისი კითხვის დასმას. სამწუხაროდ, გეგმა ჩაიშალა, როდესაც ამწე მწყობრიდან გამოვიდა, გადმოტრიალდა და შედეგად, მამაკაცი მეზობელი სახლის სახურავზე დაეცა.

მამაკაცს სერიოზული დაზიანებები არ მიუღია. სასიკეთო ინფორმაცია კი ისაა, რომ გოგონამ მას ცოლობაზე თანხმობა განუცხადა და წყვილი პარიზში გაემგზავრა. ქალაქის მერმა კი აღმოაჩინა, რომ შემთხვევის ადგილზე შენობები რესტავრაციას საჭიროებდა და სამუშაოები დროულად დაიწყო.



# მარსზე გიგანტური ტბა აღმოაჩინეს

**ნასაში გაიმართა კონფერენცია, რომელზეც განაცხადეს, რომ რობოტმა „ცნობისმოყვარეობამ" აღმოაჩინა ნიშნები იმისა, რომ მარსზე კრატერი გეილის ადგილას ოდესღაც ღრმა ტბა არსებობდა. ამჟამად რობოტი ამ კრატერში იმყოფება.**

მეცნიერები თვლიან, რომ ტბა წყლით სამი მილიარდი წლის წინათ იყო სავსე. რამდენჯერმე დაშრა და ისევ შეივსო. წყალი, შესაძლოა, დათოვლილი მწვერვალებიდან ჩამოღვრილიყო. გამოდის, რომ მარსზე ოდესღაც არსებობდა მყარი ატმოსფერო, რომელიც პლუს ტემპერატურას წარმოქმნიდა. მაშინდელი პირობების თანახმად, თავისუფლად წარმოიქმნებოდა პრიმიტიული სიცოცხლის ფორმები, ისეთები, როგორიცაა ბაქტერიები და წყალმცენარეები.




# გარემო, რომელსაც მარტივად შეიძენ

**შესაძლებელია ეს ვარაუდი, რომელიც თომას გედმა გამოთქვა უფრო მეტად გაგიძლიერდეთ, როდესაც თბილისის ახალ უბანს — დირსის აღმოაჩენთ. გარემო, რომელიც მდინარე მტკვარსა და ჩოლოყაშვილის ქუჩას შორის დაგხვდებათ, რადიკალურად განსხვავდება იმ თბილისური რეალობისგან, რომელიც აქამდე გინახავთ. ეს არის პატარა, ევროპული ტიპის საცხოვრებელი კომპლექსი, რომელშიც არც მანქანის გამონაბოლქვი და არც მტვერია. ეზოები დაქსელილია ველოსიპედის ბილიკებით, ბავშვებისთვის ფერადი სათამაშო ატრაქციონები დგას, უფროსებისთვის — ჩოგბურთის კორტები, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები. მაშინ კი, როდესაც კორპუსებს თვალს ააყოლებთ, ევროპიდან მოულოდნელად აღმოჩნდებით ამერიკაში, ვინაიდან ეს ცათამბჯენი სახლები ევროპის, მითუმეტეს თბილისის არქიტექტურისთვის ნამდვილად უცხოა. დირსიში უკვე თერთმეტი – 18, 20 და 26-სართულიანი კორპუსები დგას.**

**მოკლედ, თუკი ორთაჭალისა და ისნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის ნაპირას ბოლო ორი წლის განმავლობაში არ გაგივლიათ, იქ ყველაფერი შეცვლილი და გადასხვანაირებული დაგხვდებათ. დირსის სახით თბილისში კიდევ ერთი ახალი უბანი დგას, საბავშვო ბაღებით, კომერციული ობიექტებით, მშენებარე სკოლითა და სავაჭრო ცენტრებით.**

**თუკი ერთხელ ნახავთ და მოიხიბლებით, სავარაუდოა, რომ დაინტერესდებით ფასითაც. სწორედ ფასისა და საგადასახდო პირობების გასარკვევად ვესტუმრეთ კომპანია „ას ჯორჯიას“ დირექტორს — ანდრეი პატრაკოვს და დეტალების დაზუსტება ვთხოვეთ.**

**— თბილისში ბევრს საუბრობენ დირსიზე. ბოლო დროა, ეს საცხოვრებელი კომპლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგრამ რამდენად ხელმისაწვდომია ის მობინადრეებისთვის?**

— დირსი ნამდვილად არის გარემო, რომელიც თბილისს აკლდა — დასრულებული, გარემონტებული ბინები მოპირკეთებულ და გამწვანებულ ეზოებში. ერთი შეხედვით, ყველაფერი იმდენად მასშტაბური და პომპეზურია, რომ შეიძლება გაიფიქროთ კიდეც, ეს ელიტური კლასის საცხოვრებელია და მასობრივად ხალხი აქ ბინას ვერ იყიდისო, მაგრამ ეს მცდარი შეხედულებაა. დირსიში 1 კვმ-ის ღირებულება 900 დოლარია. ბუნებრივია, ჩვენ ვგეგმავთ ფასის მატებას ახალი წლიდან, ვინაიდან ეს მართლაც არარეალურად დაბალი ფასია უკვე დასრულებული და ექსპლუატაციაში შესული უძრავი ქონებისთვის, თუმცა, ფასის გარდა, ჩვენს კომპლექსში უამრავი საინტერესო აქცია მოქმედებს, რომლებიც მობინადრეს ბინის შეძენას უმარტივებს.

ჩვენ გვინდოდა დირსიში ბინის შეძენის მსურველებისთვის ისეთი გადახდის სისტემა შეგვეთავაზებინა, რომელიც ხელსაყრელი და მოქნილი იქნებოდა. სწორედ ამიტომ განვახორციელეთ ერთ-ერთი იპოთეკური პროექტი და გავაფორმეთ ხელშეკრულება „ვითიბი“ ბანკთან. პროექტმა ნამდვილად გაამართლა. იპოთეკურ სესხს ბანკი 10 წლამდე ვადით, წლიური განაკვეთით 11-დან 13 %-მდე გასცემს. პირველადი მინიმალური შენატანი 30 %-ია, თუმცა ამ პირობებში განსაკუთრებული ის არის, რომ სესხის აღება და ბინის შეძენა ყველას განურჩევლად შეუძლია. მთავარია სურვილი, პირადობის მოწმობა და პირველადი მინიმალური შენატანი 30%, ბინა უკვე თქვენია და, რაც მთავარია, მისი მშენებლობაც დასრულებულია — ეს არის დირსის იპოთეკის მთავარი უპირატესობა.

**— ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ თქვენ იპოთეკა პირადობის მოწმობის გარეშე უფრო მეტად ხელსაყრელი და მოქნილი გახადეთ. კონკრეტულად რა დაამატეთ ამ პროდუქტს?**

— ახალ წელს არ გვინდოდა ბაზარზე სტანდარტული, ჩვეული აქციით გამოვსულიყავით. გვინდოდა, მომხმარებლისთვის რაიმე განსაკუთრებული შემოგვეთავაზებინა. მართალია, მარტივი იპოთეკა პირადობის მოწმობით თავისთავად უკვე არაჩვეულებრივი შეთავაზებაა, მაგრამ იმ მობინადრეებს, რომელთაც პირველადი შესატანი 30 % ამ ეტაპზე არ აქვთ, შემდეგ აქციას ვთავაზობთ — ბინის შეძენის მსურველს შეუძლია დირსიში უძრავი ქონება ამ დროისათვის მინიმალურ ფასად — 1 კვმ 900 დოლარად შეიძინოს პირველადი 0%-იანი შენატანით, გააფორმოს კონტრაქტი და 6 თვის შემდეგ დატვირთოს ის „ვითიბი“ ბანკის მარტივი იპოთეკით. რეალურად, მობინადრეს შანსი ეძლევა, დაჯავშნოს ბინა მინიმალურ ფასად და 6 თვის განმავლობაში მოაგროვოს პირველადი შენატანი — 30%. აღნიშნული აქცია 20 იანვრამდე გაგრძელდება.

**— ცნობილია, რომ გარდა ამ საახალწლო აქციისა, დირსიში სხვა გადახდის სისტემებიც მოქმედებს.**

— ბუნებრივია, დირსიში კვლავ მოქმედებს ბინის შეძენის სხვა სისტემებიც; კონკრეტულად კი, შიგა განვადება 1 წლამდე ვადით და „რესპუბლიკა“ ბანკის 15-წლიანი იპოთეკა.

ამ შემთხვევაში იპოთეკური სესხი შემოსავლების ანალიზით, ჩვეული პროცედურების მიხედვით მტკიცდება, თუმცა მინიმალური პირველადი შენატანი გაცილებით დაბალია — 20 %. წლიური საპროცენტო განაკვეთი კი 9-დან 11%-მდეა. აღნიშნული პროდუქტი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს დირსის მომავალ მობინადრეებში.



## «თითოეული ჩვენგანისთვის სამყარო სხვა არაფერია, თუ არა გარემო, რომელსაც აღვიქვამთ და ეჭვი, რომ, შესაძლოა, არსებობს კიდევ რაღაც სხვა, რაც ჩვენი აღქმის მიღმაა»


Russia US Sanctions and Stupid CIA Oil Wars
Column: Economics Region: Russia in the World
The recent headlines talk of a dramatic collapse of the Russian Ruble against the dollar and euro. World oil prices today hover around $57 dollars a barrel. Late August they were over $100. OPEC ministers refuse to act to stabilize prices. The Russian rouble is forced to halt trading in mid-December. Then the US Congress votes yet a new round of economic sanctions against Russia which await President Obama's signature. When we examine all of this more closely it reveals the strategic great confusion of western elites, especially American Oligarchs frantically trying to find ways to hold their grip on global power.

# პრინსტონის უნივერსიტეტის დოქტორი: ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბრძოლა რუბლის წინააღმდეგ აშშ-ის ეკონომიკის კოლაფსით დასრულდება

**პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა უილიამ ენგდალმა გამოცემა New Eastern Outlook-ის ინტერნეტგვერდზე გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს მიერ რუსეთის ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლაზე წერს.**

ავტორი დარწმუნებულია, რომ დასავლეთის ელიტის წარმომადგენლები, რომლებსაც ბევრი ვერაგ და ცბიერ სტრატეგებად თვლის, სინამდვილეში საკუთარ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ.

„მსოფლიოს წამყვანი გამოცემები წერენ რუსულ რუბლზე გამარჯვების შესახებ, ამერიკის კონგრესი ახალ სანქციებს აწესებს და ამერიკის პოლიტიკური ელიტა აღფრთოვანებს ვერ მალავს. ვაშინგტონის ლოგიკა მარტივია: თუკი ჩვენ 1986 წელს საუდის არაბეთის დახმარებით შევძელით ნავთობის გაუფასურება და საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დანგრევა, რატომ არ უნდა იმუშაოს ამ გეგმამ თანამედროვე რუსეთისა და ვლადიმერ პუტინის ხელისუფლების წინააღმდეგ?

**„რუსეთის ეკონომიკურად განადგურების“ გეგმა კი შეიმუშავა ჯონ ოუენ ბრენანმა — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელმა, თუმცა რუსეთის ავისმოსურნეებმა ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს — ნავთობის ფასის დაცემამ აშშ-ის ენერგეტიკული ბაზარი, პრაქტიკულად, ჩამოშალა; ამ სფეროში ინვესტიციების განხორციელება ძალიან სახიფათოა, და თუ ასე გაგრძელდება, აშშ-ის ეკონომიკას კოლაფსი დაემუქრება“,** — წერს უილიამ ენგდალი.


## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვატკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009